კვირის პალიტრა

გზა

N47 (441)
20/XI-26/XI
80 თ

1168
2008

ცნობილი იუმორისტის მუზა მამაკაცია...

ანი გიუნტერმა ვანო ჯავახიშვილს სამაგიერო გადაუხადა

ვინ წყვეტს პატიმართა შეწყალების საკითხს

მამაკაცი, რომელსაც ნინო ჩხეიძე ანებივრებს

ამერიკის პირველი ლედის ხევსურული კაბა მუზეუმში ინახება

ემიგრანტები

როგორ გაიტაცა თვითმფრინავი ამერიკაში ჩარჩენილმა ქართულმა ტრიომ

გივი ბერიკაშვილის ტკბილი მოგონებები

ISSN 1987 - 5029

მოდაში გასული საუკუნის 70-იანი წლების ფეხსაცმელი ბრუნდება

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№47 (441)
20 – 26 ნოემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

უხერხული სიტუაცია

გზა ვნილები

დიდი ფერმწერია ხატწერა, ამიტ ითქვა ის, ამასთან ყველა ფერწერს.

ლიზიანეთი

35

■ პროფოკატორი
გმირულად დაცემული ლარი ანუ „გამოპყავთ, გამოპყავთ!..“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ქართველებს ხასიათი გვაქვს ისეთი, საკუთარი გაჭირვება რომც გვქონდეს, მაინც სხვებს ვეხმარებით“ 6
■ პოლიტიკა
„რუსული ჯარი გავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საფასურს გადაიხდის“... 7
■ სამართალი
„მოსალოდნელი ამნისტია ფარსია და ის ხელისუფლების პიარს ემსახურება“ 8
■ კონფლიქტი
პორტი, სარადარო სისტემა, ორიარუსიანი ტყვარჩელი – რუსული ექსპანსიის პირველი შედეგები 10
■ ეურნალისტის როლში
ანი გიუნტერმა ვანო ჯავახიშვილს სამაგიერო გადაუხადა 12
■ პირველები
ვინ უფრო მეტ ოფლს აღენს ობამას? 14
■ გვირგვინოსნები
ვინ მოინათლა სოლომონ მესამის სახელით და რა აკავშირებს ჩვილს ბაგრატიონთა ათასწლოვან დინასტიასთან 16
■ თემა
✓ოქროს ხელები, ორღულელი ხელოვანი და ხეში გაცოცხლებული სილამაზე 19
„არაქნე – ობობას ხელოვნება“ 20
✓საარსებო საქმედ ქცეული პობი, ბუნებით ნაკანახევი კომპოზიციები და ადამიანისგამოსახულებებიანი ხის ნაჭერი 22
■ ვარსკვლავოსანი
ლამაზად გაგრძელებული მეგობრული ტრადიცია 24

გორგალზე გვემა

23 ნოემბერს გიორგობასაც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს – დიდმოწამის ბორბალზე გვემის მოსახსენიებლად.



80

„რუსული ჯარი გავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საფასურს გადაიხდის“...

„კრემლისთვის სააკაშვილი ნამდვილად, არ არის იმდენად მიუღებელი ფიგურა, როგორც შორიდან ჩანს. რუსეთს უბრალოდ, ხელს აძლევს ის, რომ საქართველოზე გაბრაზებული იყოს...“

7

– არა ჭამ?! – სიცილით განაგრძო მონღოლმა. – ისე, შენს ადგილზე, მეც ეგრე მოვიქცეოდი, – სავსე სტომაქით ძელზე გასმა უფრო ძნელი იქნება!

– რას გვიპირებთ? – ალაპარაკდა ჰასანი.

– მე – არაფერს. თუმცა ჩემი ნება რომ იყოს, აქვე დაგაყრევინებდით თავებს, მაგრამ ბატონმა თქვენი ცოცხლად მიყვანა მიბრძანა.

– მაშინ რატომ დახოცეთ სხვები?! – ბრაზი მოერია ჰასანს.

86

■ დედამიწეილები
ნინო ჩხეიძის ძმა და მეუღლე ბიზნესკონკურენტები არიან 26
■ ერუდიტი
„ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ძველ სახლში დავბრუნდი“ 28
■ პრობლემა
სოციალური სტატუსი — დევნილი 30
■ ჯანმრთელობა
ფარისებრასლო ჯირკვლები — სნეულების ფარული მიზეზი 32
■ ქურნალი ქურნალში
✓ცხოვრება 35
✓გზავნილები 51
■ სიძე
პიჯი აბი: „ვინც კარგად მიცნობს, იცის, ჩემი მტკიცე ხასიათი...“ 67
■ ანტიდეპრესანტი 68
■ ემიგრანტები
„საუნჯე“ ამერიკიდან: „მისთვის ვუკრავ, ვისაც საქართველო უყვარს“ 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
როგორი იქნება თქვენი მომავალი? 76
■ სამოსი
✓ქართული თექა, ჩამორჩენილი იტალიელები და გამოფენა ტურინში 77
✓გასული საუკუნის 70-იანი წლების ფეხსაცმელი ბრუნდება 79
■ ნმინდანები
ზეციური მფარველი, ბორბალზე გვემა, ხატს შეზრდილი თითი და „განცხადებულად“ მებრძოლი დიდმოწამე 80
■ ვარსკვლავები 82
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 86
■ თინეიჯერული პონტები
✓მოდას აყოლილი ბაბუ და მოტაცებული შინაბერა 90
✓„ძალიან პატარა ვიყავი, მშობლებმა რომ მიმატოვეს“... 92
■ ასპარეზი
ლევან მჭედლიძე: „კუპერმა გუნდს ხელი უკვე დაატყო“ 94
■ აეგო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაკია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

როგორი იქნება თქვენი მომავალი?

განსხვავებული ტემპერამენტის ადამიანები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერთო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამონახონ.

76

„ვინც კარგად მიცნობს, იცის, ჩემი მტკიცე ხასიათი...“

ქართველ ქალს განსაკუთრებული სიყვარული სჩვევია. ალბათ, სწორედ ამან გადააწყვეტინა თურქ ჰიჯი აბის, არა მარტო დაეკავშირებინა ბედი ხათუნა ხურცილავასთვის, არამედ მისი ხათრით, მართლმადიდებლად მონათლულიყო და გულის სწორთან ჯვარიც დაეწერა.

67

ქართული თექა

„ცოტა ხნის წინ ელენე იტალიაში მოდის ფესტივალზე იმყოფებოდა, სადაც ფესტივალის ორგანიზატორებმა ქსოვილების მხატვრული დამუშავების საუცხოო ტექნოლოგიისათვის პრემიით დააჯილდოეს.“

77



— აბა, გისმენთ, რა საქმე გაქვთ ჩემთან? — ისეთი ტონით ვიკითხე, თითქოს მართლა სასამართლო დარბაზში ვყოფილიყავი.

— ნატა, დაიწყე... — მაკა ნატას მიუბრუნდა.

— მე არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, — ტუჩები გაუფითრდა გოგონას და თავი ჩაღუნა. ნიკაპი უცნაურად აუკანკალდა.

— კარგი, მაშინ ჯერ მე ვიტყვი, — მაკამ მედიდურად მიმოიხედა, — ზაზა, მგონი, არ დაგვიწყებია, რასაც შემპირდი.

70

გმირულად დაცემული ლარი

ანუ „გამოჰყავთ, გამოჰყავთ!..“

ახლა ვხვდები, რომ „საცობი“ მარტო მანქანების გაჭედვას არ ნიშნავს და იმდენად ფართო მნიშვნელობას მოიცავს, რომ მხოლოდ ამ ერთი სიტყვით შეიძლება აღწერო საქართველოს დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფინანსურ-მორალური მდგომარეობა. ანუ, სურვილის სიმრავლისა და საშუალების სიმცირის გამო გაჭედილ მდგომარეობაში ყოფნას საცობი ეწოდება.

დავიწყოთ საცობის საგზაო-სატრანსპორტო სახეობით, რომელიც ყველა ქვეყანაში ხდება პიკის საათებში ანუ როცა ხალხი სამსახურში მიდის და როცა შინ ბრუნდება.



ეს დრო თუ სხვაგან დილის 8-დან 9 საათამდე და საღამოს 5-დან 6 საათამდეა, ჩვენთან 10-11 საათზე იწყება და შუაღამემდე არ მთავრდება. ბუნებრივიცაა: რატომ უნდა გარბოდე დილის 8 საათზე სამსახურში, მარტო შენი ასაშენებელია ეს ქვეყანა?! გამოიძინე და წადი 11-ზე. დაგაგვიანდება და იტყვი, საცობში მოვყევიო. ვინაა საყვედურის მთქმელი, როცა დირექტორი საერთოდ, 12-მდე არ მოდის. ჩვენთან ხომ, ძირითადად, თავისუფალი გრაფიკის სამსახურია — როცა გინდა, მიხვალ, როცა გინდა, წამოხვალ და სწორედ ამიტომაა მთელი დღე საცობები. მით უმეტეს, თუ სახლიდან სამსახურამდე მტკვრის მარცხენა სანაპირო გაქვს გასავლელი, სახლში სანამ მოაღწევ, უკვე ისევ წასასვლელი ხარ. მე პირადად აღარ მოვდივარ და სამსახურში ვცხოვრობ... ეჰ, როდის მოვა შვებულება, ბავშვები ალბათ გაზრდილები არიან!..

თუმცა, ვაი-ვიშის საძახებლად არ წამომიწევია ეს თემა, რადგან საცობებს დადებითი მხარეებიც აქვს: ადამიანების ურთიერთობა ყალიბდება და რომანტიკული შეხვედრებისთვის უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ! იმ დღეს, მაგალითად, გვერდით გაჩერებული მანქანის მძღოლ გოგონას სიგარეტი მივაწოდე, იმან შოკოლადი მომიკითხა, მერე მე მუსიკა მოვასმენინე და ვერ გეტყვით, რამდენი საათი გავიდა, მაგრამ ის მახსოვს, რომ საჭე მარჯვენა მხარეს (ჩემკენ) ჰქონდა და პატრულს რომ არ შეეშალა ხელი, — გზა გაიხსნა და იმოძრავეო! — ნახევრად გადამძვრალი ვიყავი მის ფანჯარაში და სულ არ ვჩქარობდი შვებულების მოსვლას... ასე რომ, მოულოდნელი შეხვედრების მოყვარულებს გირჩევთ, თითო ბოთლი შამპანური, მაყალი და ერთი-ორი კილო სამწვადე სულ გედოთ მანქანაში...

ახლა საცობ-გაჭედვების სხვა სახეობებზეც გადავიდეთ. მაგალითად, პოლიტიკური საცობი რომ გვჭირს და ვინ იცის, როდის დამთავრდება, როცა ის თავკომბალა მედვედევი გაიძახის, — სანამ მიშაა საქართველოში, არც მე მოვისვენებ და არც თქვენ მოგასვენებთო. მოკლედ, გინდ, ევროპაში შეკრიბე პრეზიდენტები და გინდ — ბრიუსელში, ის კაცი არ მოისვენებს, სანამ არ განისვენებს, ჩვენი გმირულად დაცემული ლარივით.

ესღა გვაკლდა კიდევ, რა უბედურება დაგვატყდა თავს და ჯიბეს!.. კი გაიძახიან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბრალიაო, მაგრამ ვერ გამიგია — როცა მსოფლიო ეკონომიკა კარგადაა, ეს კარგად ყოფნა ჩვენამდე გვიან აღწევს და კრიზისი კიდევ, „სკვაზნიაკივით“ სწრაფად გვეწევა... ჰოდა, ეს ჩვენი ნაფერები და ათას გაჭირვებას გადარჩენილი ლარი შუა გზაში წაგვექცა, მარილწყლით გაბერილი ფაქიზოსავით და რამდენიც უნდა ვიყვიროთ, წუხანდელი ღამენათევია და ჩეეძინა-თქო, კია 166-ზე ავარდნილი, წნევასავით...

ჰოდა, ველარ ეკარები რაიმეს საყიდლად, ყველა ამბობს, — დოლარი გაძვირდა და რა ვქნაო?! თითქოს მარნეულელ „ბაჯის“ თავის ეზოში მოყვანილი მწვანილი სულ დოლარები უზის... ის კი არადა, დოლარის საყიდლად რომ მივედი და კურსი ვიკითხე, შემეტყო ალბათ სახეზე გაკვირვება და თვითონ 100-დოლარიანზე დახატულმა პრეზიდენტმაც აიჩეჩა მხრები, — ჩემი რა ბრალიაო?!.

არა უშავს, ქართველებო, ეგეთები გადაგვიტანია?! ამ ფინანსური საცობიდანაც გამოვძვრებით. უარესიც ხომ სჭირდა ჩვენს ლარს, 2,2-ზე რომ იყო კურსი და ყველას გვეგონა, მოკვდებაო. ყვიროდა კიდეც, — მივდივარ, კუპონი მეძახისო! — მაგრამ გადავარჩინეთ.

მე იმას ვჯავრობ, დოლარის გაძვირებამდე ნათესავს ფული რომ ვასესხე ლარებში. არა, ვიცი, რომ არ მომიტანს, მაგრამ სად მქონდა ჭკუა: მიმეცა დოლარებში, ხომ უფრო მეტი ვალი ექნებოდა?!

ახლა მით უმეტეს არ მომიტანს, ან რად მინდა, რომ მომიტანოს — მკვდარი გინდ, ჩემთან ყოფილა და გინდ, მასთან. ეჰ, საწყალი ლარი!.. გილაურს ჩაჰკვდომია თურმე ხელში... გამოჰყავთ, გამოჰყავთ...

P.S. ოლიგარქი დაღონებული ბრუნდება სახლში.
ცოლი: — რა მოგივიდა. ცუდი ამბავია?
ქმარი: — ძალიან ცუდია, — გავღარიბდით.
ცოლი: — როგორ?
ქმარი: — რაც ფული გვქონდა, სულ დოლარები ვიყიდე და 1 ლარიც არ მაქვს, პური რომ ვიყიდო, დავიქეცით და ისაა!..

პროვოკატორი

26014

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართველებს ხასიათი გვაქვს ისეთი, საკუთარი გაჭირვება რომც გვქონდეს, მაინც სხვებს ვეხმარებით“

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, თურქეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ავტოავარია მოხდა, რომელსაც კვლავ რამდენიმე ქართველი ემსხვერპლა. საზოგადოების უმეტეს ნაწილსაც მნიშვნელოვან და აღმაშფოთებელ მოვლენად სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია. გარდა ამისა, ხალხი პატიმრების შეწყალებასაც მიესალმება...

ნათია ქივიძე

ანდრო კაკაბაძე, *იურისტი, 53 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაკვირველია, ლიახვის ხეობიდან ლტოლვილების დაბინავებაა. მართალია, ზოგიერთი ადამიანი ამბობს, — სახლები კი არა, საქათმეები აუშენესო, — მაგრამ აფხაზეთიდან დევნილებს ეგეც არ ჰქონიათ და მთელი ეს წლები სასტუმროებსა თუ საავადმყოფოებში გაატარეს, მერე კი ისინიც წაართვეს. მადლობა თქვან, რომ საქათმეებისხელა თავშესაფარი მაინც მისცეს, აბა, ამდენ ლტოლვილს ვილებს ხომ ვერ აუშენებდნენ?! ჩვენს ხელისუფლებას კი არ ვასხამ ხოტბას, მას შეცდომაც ბევრი მოსდის, მაგრამ რასაც კარგს აკეთებს, ის მაინც არ უნდა დავუკარგოთ... კვირის მოვლენებიდან კიდევ საშინელ ფაქტს გამოვყოფ — თურქეთიდან მომავალი ავტობუსის ავარიას. ორ წელიწადში მესამე ავარია იყო და ამჯერადაც სულ ქართველები დაზარალდნენ. ნამდვილად დასასჯელები არიან იმ ავტობუსის მძღოლები. რამდენ მგზავრზეც იყო გათვლილი, იმდენი უნდა ჩაესვათ და ფულის გამო, ხალხის სიცოცხლე საფრთხეში არ უნდა ჩაეგდოთ. ვისარგებლებ შემთხვევით და გარდაცვლილების ოჯახებს სამძიმარს გამოვუცხადებ...

ლალი კინწურაშვილი, *დიასახლისი, 37 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად, ახალი კანონი მიმაჩნია, რომლის თანახმადაც, გიორგობის დღესასწაულზე 100-ზე მეტი პატიმარი დატოვებს ციხეს. ძალიან კარგია, ამ ბოლო დროს ამდენ ხალხს რომ იწყალებენ. მესმის, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ შეცდომის გამოსწორების საშუალება ხომ უნდა მივცეთ?! თუ კიდევ ჩაიდენენ მსგავს დანაშაულს, მერე აღარ უნდა შეიწყალონ. ჩემი ახლობელი ნარკოტიკის მოხმარება-შენახვისთვის არის დაპატიმრებული. გული ძალიან მწყდება, ეს შეწყალება მას რომ არ ეხება. ნარკოტიკთან საქმის დაჭერა დანაშაული როგორ არ არის, მაგრამ მას საკუთარი თავი გასჭირვებია — ის ხომ ავადმყოფია და კიდევ ციხეში გამომწყვდევა უნდა?!. მისთვის ნარკოდილერობა რომ დაებრალებინათ, კი, ბატონო, მის მხარეს აღარ დავიჭერდი, რადგან მომხრე ვარ — ვინც ამ შხამს ავრცელებს, მას, დახვრეტა თუ არა, სამუდამო პატიმრობა მაინც უნდა მიუსაჯონ, მაგრამ ვინც მომხმარებელია, ისინი მეცოდებიან. საცოდავია ადამიანი, რომელიც რაღაცაზეა დამოკიდებული...

ნაირა მოლოდინაშვილი, *ქიმიკოსი, 54 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად, თურქეთში მომხდარი ტრაგედია მიმაჩნია. ძალიან განვიცადე, ასეთი ამბავი რომ მოხდა. როგორც გაირკვა, ეს უკვე მესამე შემთხვევაა. ჯერ კიდევ არ დამვიწყებია, 2006 წელს პატარა გოგონამ — ცისიამ თურქეთში ავარიის შედეგად ფეხები რომ დაკარგა. მაშინაც ხომ ბევრი დაშავებული და გარდაცვლილი იყო, მაგრამ ამ გოგონას ამბავი განსაკუთრებით განვიცადე. ვილაც მძღოლის გამო ულამაზეს ბავშვს ცხოვრება დაუმახინჯდა. ახლაც იგივე განმეორდა. რა სჭირთ ამ მძღოლებს?! გასაგებია, რომ თურქეთში სულ ავტობანებია და სწრაფად უნდა იარონ, მაგრამ თუ ტარება არ შეუძლიათ და საფრთხეს თავიდან ვერ აიცილებენ, არც ამდენი ხალხის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საკუთარ თავზე. ნამყოფი ვარ თურქეთში და კარგად ვიცი, ავტობუსები რა სიჩქარითაც მოძრაობენ. ჩვენ ისეთი კარგი მძღოლი შეგვხვდა, ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ დაუშვია შეცდომა და უსაფრთხოდ გვამგზავრა. ვინც ასეთი გამოცდილი არ არის, ის საჭეს არც უნდა მიუჯდეს. ყველაზე მეტად კი ის მიკვირს, ასეთ ავარიებში ყოველთვის ქართველები რომ ხვდებიან. მხოლოდ ქართველები მოგზაურობენ თურქეთში?!. ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია...

დავით ძავთარაძე, *პროგრამისტი, 39 წლის:*

— ძალზე აღმაშფოთებელი ფაქტია, რუსები კვლავ რომ არ წყვეტენ ცეცხლს და ჯერ გალში მოგვიკლეს რამდენიმე ადამიანი, ახლა კი ფლავში გაუშვეს უპილოტო თვითმფრინავი, რომელმაც კიდევ რამდენიმე ქართველის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის — მცირეწლოვანი ბავშვებისაც. ამის თაობაზე რუსეთს პასუხს რატომ არავინ სთხოვს?! ევროპას შეეშინდა გაზის გაძვირების და ამიტომ გაჩუმდა?!. საინტერესოა, მათი მშვიდობიანი მოსახლეობა რომ დაეხოცა რუს ოკუპანტებს, რას იზამდნენ? არ ამოიღებდნენ ხმას და მთელ მსოფლიოს დახმარებას არ სთხოვდნენ? როგორც ჩანს, საქართველოზე გული არავის შესტკივა და ზოგიერთი ქვეყნის ლიდერი ტყუილად იბრალებს, — ჩვენი მეგობარი ქვეყანა ხართო. პრინციპში, რას ვერჩით?.. ქართველებს ხასიათი გვაქვს ისეთი, საკუთარი გაჭირვება რომც გვქონდეს, მაინც სხვებს ვეხმარებით (სხვაგვარად, ერაყის ომში ქართველი ჯარისკაცები არ იბრძოლებდნენ), თორემ სხვა ეროვნების ადამიანებიც ჩვენსავით კეთილები და უღალატოები კი არ არიან. ეჭვიც არ მეპარება, რომ რუსეთთან ომი კვლავ გარდაუვალია და ალბათ, იმაზე მეტი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვება ამ ყველაფერს, ვიდრე აგვისტოში იყო...

ელზა გუჯია, *პედაგოგი, 46 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა — პატიმრების შეწყალების ამბავია. ძალიან მიხარია, 100 ადამიანი მაინც რომ დაუბრუნდება საკუთარ ოჯახს. გული მწყდება, შალვა რამიშვილი შეწყალებულთა სიაში ისევ რომ არ არის. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მისი ქვისლი, გოგა ხაჩიძე მინისტრად დანიშნეს, შალვას კი ქრთამის აღება ამდენ ხანს არ აპატიეს და მას არც ერთი შეწყალება არ შეეხო. თავის დროზე ეს ადამიანი მეც არ მომწონდა. ცინიკური პიროვნებაა და ყველასა და ყველაფერს მასხრად იგდებდა, მაგრამ ახლა უკვე მეცოდება. განსაკუთრებით, მისი ოჯახის გამო ვღელავ. მისი ცოლი სულ მარტოა, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და სამ შვილს ზრდის. გარდა ამისა, პატიმრის შენახვაც ხომ არ ჯდება იაფი?! ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ვის არ აუღია ქრთამი, მაგრამ ასე არ გასწორებიან. ამ კაცმა მოიხადა უკვე საკმარისი სასჯელი. დარწმუნებული ვარ, მეორედ მსგავსს არაფერს ჩაიდენს და უკვე დროა, ციხიდან გამოუშვან. ბოლოს და ბოლოს, ნარკოტიკის გასაღებაში ეჭვმიტანილი თემურ თათარაშვილი გაათავისუფლეს ციხიდან და რამიშვილს რაღას ერჩიან?! როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას მისი უკომპლექსობისა და მართალი სიტყვის ისევ ეშინია... ■

ჟენევაში გამართული მოლაპარაკებებისაგან რეალურ შედეგებს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ უნდა ველოდეთ — ასეთია ქართველ პოლიტოლოგთა უმრავლესობის აზრი. რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ თუ დაპირისპირებული მხარეები მომდევნო შეხვედრის თაობაზე მაინც შეთანხმდებიან, მოლაპარაკების მეორე რაუნდი პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ.

„რუსული ჯარი მავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საფასურს მაღაიხდის“...

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო რამაზ, თუ დაპირისპირებული მხარეები ჟენევაში მხოლოდ იმიტომ დადიან, რომ მორიგ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რატომ ვანიჭებთ ამ ფაქტს ასეთ მნიშვნელობას და საერთოდ, რას ველით ამ შეხვედრებისგან?

— სიმართლე რომ გითხრათ, მხოლოდ მოლაპარაკებების წარმოება ვერაფერს გადაწყვეტს, თუ ამ პროცესში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მოხდა. მნიშვნელოვანი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის არის, რომ ამერიკის პრეზიდენტად ბარაკ ობამა აირჩიეს, მაგრამ კაცმა არ იცის, რას აპირებს ახალი პრეზიდენტი. ე.ი. ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც რუსეთისა და სეპარატისტული რეგიონების პოზიციას შეცვლიდა, ჯერ არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, მოსკოვი ეცდება, გააჭიანუროს მოლაპარაკებები და პროცესი უშედეგოდ აქციოს.

— მერე, ასეთ შემთხვევაში, საქართველოში როგორ განვითარდება მოვლენები?

— კატასროფულად...

— უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით?

— სეპარატისტული რეგიონები თანდათან მიიღებენ დამოუკიდებლობის „იერს“. ამის პარალელურად, იქ რუსული ეკონომიკა და სამხედრო ძალა დამკვიდრდება.

— რუსეთი თავად აღმოჩნდა ეკონომიკურ კრიზისში. ფაქტია, რომ კრემლი საკუთარი სამხედროების ჩაცმასა და კვებასაც კი ვერ უზრუნველყოფს.

— მოდი, ასე ადვილად ნუ „გამოვიტირებთ“ რუსეთს. მხოლოდ ეკონომიკური კრიზისი არ არის იმის მიზეზი, რომ კრემლი თავის ჯარს საჭმელს არ აძლევს. რუსულ პოლიტიკურ ელიტას და, თუ გნებავთ, გენერალიტეტს უბრალოდ, არ ადარდებს საკუთარი ჯარისკაცების ბედი. მოსკოვს თავისივე მოქალაქეები არაერთხელ გაუწირავს. ჩემი აზრით, კრემლი საქართველოში დისლოცირებულ ჯარისკაცებს ასე უგულისყუროდ იმიტომ ექცევა, რომ აქ დიდხანს მათ დატოვებას არ აპირებს. რუსული ჯარი საქართველოდან გავა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასავლეთი გარკვეულ საფასურს გადაიხდის. რადგან ქართველები გადახდისუნარიანები არ ვართ, ჩვენი კეთილდღეობისთვის სხვამ უნდა გადაიხადოს.

— სხვა ჩვენი კეთილდღეობისთვის რატომ გადაიხდის?

— იმიტომ, რომ ჩვენი და დასავლეთის ინტერესები ამ შეთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. 18 წლის წინ, როდესაც აფხაზეთი „თავზე დაგვექცა“, ევროპას ამაზე რეაქციაც კი არ ჰქონია.

— ეს საფასური რა შეიძლება იყოს?

— ამის ბოლომდე გაშიფვრა მიჭირს, მაგრამ შეიძლება, ეს იყოს რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების ევროპაში განთავსება ან ენერგომატარებლებით ვაჭრობა.

— მოსკოვმა ევროპას გაზის საფასური უკვე გაუიაფა. რუსეთის მიმართ ევროკავშირის დამთბარი ტონი ამის შედეგიც ხომ არ არის?

— გარკვეულწილად, მართალი ხართ, მაგრამ გაზის დაბალი ტარიფით მოსკოვი იმ ცოდვის გამოსყიდვას უფრო ცდილობს, რომელიც საქართველოში აგვისტოს ომის დროს ჩაიდინა.

— ე.ი. ევროპა საქართველოს კეთილდღეობისთვის საფასურს კი არ იხდის, უბრალოდ, ჩვენი პრობლემებით რუსეთთან მანიპულირებს...

— რატომ? შესაძლებელია, რომ ევროპა-რუსეთს შორის დამთბარი ურთიერთობების შედეგად, მოსკოვმა საქართველოსადმი აგრესია შეანელოს.

— დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ რუსეთი საქართველოში აგრესიის შეჩერებას ცდილობს. რაც შეეხება ჟენევის მოლაპარაკებას: როგორ ფიქრობთ — როდესაც კონფლიქტის მხარეები ანუ რუსეთი და საქართველო, რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამო შეთანხმებას ვერ ახერხებენ, საერთაშორისო მედიატორი ვალდებულია თუ არა, გარკვეულ ზომებს მიმართოს?

— კი, ვალდებულია, მაგრამ მედიატორობა თავისთავად, არაფერს ნიშნავს, თუ მის მიღმა სერიოზული ძალა არ დგას. ევროკავშირს რუსეთზე ზეწოლისათვის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია.

— **არა მგონია, სარკოზი ასე ფიქრობდეს.**

— აბა, რა გინდათ, სარკოზიმ თავისი პირით თქვას — მე არაფერი შემიძლიაო?.. მას დიპლომატიური ძალა მართლაც აქვს, მაგრამ რუსეთი მის პოლიტიკურ წონას ყურადღებას არ აქცევს. მოსკოვზე ზეგავლენის რეალური ბერკეტი — მხოლოდ ომი ან სანქციებია. დღეს ომზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სარკოზიმ ისიც არაერთხელ აღნიშნა, რომ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად სანქციების გამოყენებას არ აპირებს.

— **რამდენად შესაძლებელია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის შემდეგ, ევროკავშირმა რუსეთისადმი დამოკიდებულება შეცვალოს?**

— გარწმუნებთ, რომ თუ რუსეთი იზოლაციაში მოექცევა ან მის წინააღმდეგ სანქციები დაწესდება, რუსულ ტანკებს თბილისშიც ვიხილავთ. გარდა ამისა, ჯერ არც ერთმა პოლიტოლოგმა და ექსპერტმა არ იცის, ობამა რა საგარეო პოლიტიკას გაატარებს.

— **რატომ გახდა ასეთი რთული, ობამას პოლიტიკური კურსის განსაზღვრა?**

— იმიტომ, რომ ის არატრადიციული, ორიგინალური ფიგურაა და მოულოდნელი სვლების განხორციელება უყვარს. ასე რომ, მთელი მსოფლიო ზის და ელოდება, რას მოიმოქმედებს ობამა.

— **მოსკოვმა თბილისთან დიალოგის დაწყების უმთავრეს პირობად საკაკაშვილის ხელისუფლების შეცვლა დაასახელა. თქვენი აზრით, ეს მხოლოდ საბაბია იმისათვის, რომ დიალოგი არ შედგეს თუ — რეალური ულტიმატუმი?**

— კრემლისთვის საკაკაშვილი ნამდვილად, არ არის იმდენად მიუღებელი ფიგურა, როგორც შორიდან ჩანს. რუსეთს უბრალოდ, ხელს აძლევს ის, რომ საქართველოზე გაბრაზებული იყოს, ვინაიდან დიალოგის დაწყება და რუსულ-ქართული კონფლიქტის დარეგულირება ჯერჯერობით მის ინტერესებში არ შედის. როგორც უკვე გითხარით, პრობლემის გაჭიანურებით, დასავლეთისგან ახალ დათმობაზე წასვლას ელოდება.

— **ქართული მხარე ჩვენს ტერიტორიაზე საერთაშორისო პოლიციის ჩაყენებას მოითხოვს. რამდენად შეცვლის მათი აქ ჩამოყვანა არსებულ ვითარებას?**

— რა შეცვალა ევროკომისიის წარმომადგენლების ჩამოყვანამ?..

— **ვერაფერს ვიტყვით, ჯერ მათ თავიანთი დასკვნები არ წარმოუდგენიათ. ისე, როგორ ფიქრობთ — მათ დასკვნებში, კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარება ობიექტურად იქნება გადმოცემული?**

— ასეთ აღწერას ყოველთვის უძღვის პოლიტიკური წინა პირობა. მარტო სიმართლის თქმას მიზნად არავინ ისახავს. შოთა რუსთაველის აფორიზმი — „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — ევროპაშიც აქტუალურია. ევროკომისიის დამკვირვებლების დოკუმენტები იმისდა მიხედვით აშენდება, თუ როგორ დასჭირდება ევროპას... ■

„მოსალოდნელი ამნისტია ფარსია და ის ხელისუფლების პიარს ემსახურება“

„შეწყალების საკითხს ძირითადად, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ბაჩო ახალაია წყვეტენ“

„ვარდების რევოლუციის“ 5 წლის იუბილეზე — 23 ნოემბერს ხელისუფლება, როგორც თავად განმარტავს, ფართომასშტაბიან ამნისტიასა და შეწყალებას აპირებს. ამნისტია სამოცამდე მუხლს შეეხება და პარლამენტის თავმჯდომარეს თუ დავუჯერებთ, ამის შედეგად, დაახლოებით 2500 პატიმარი გათავისუფლდება. ხელისუფლების ოპონენტები კი, ცოტა არ იყოს, ნიჰილისტურად არიან განწყობილნი მოსალოდნელი აქტის მიმართ, რის საფუძველსაც მათ „მკვდარი მუხლების გაცოცხლების“ მცდელობა აძლევს.

ნანა ფიცხელაური

ამ დღეებში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გავრცელეს განცხადება, რომელშიც ლაპარაკია ყველა იმ მანკიერ მხარეზე, რომელიც დღევანდელ პენიტენციარულ სისტემას ახასიათებს. მათვე შეადგინეს და ხელისუფლებას წარუდგინეს პოლიტპატიმართა 30-კაციანი სია. მათ შორის არიან: ნორა კვიციანი, შალვა რამიშვილი, იგორ გიორგაძის 12 მომხრე, თამაზ ბაკურიძე, ვაჟა ადამია, რეზო კლდიაშვილი, მარლენ ნადირაძე, ომარ ქუცნაშვილი და ლუკა რამაზაშვილი. კომენტარი არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ — ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ადვოკატ **გელა ბოკოლაიშვილს** *ვთხოვეთ.*

— **ბატონო გელა, ვიდრე ამნისტიის თემას შევეხებოდეთ, საინტერესოა, არაოფიციალური მონაცემებით, რამდენი პატიმარია საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და თავსდება თუ არა ის საერთო-ევროპულ სტანდარტებში?**

— არაოფიციალური მონაცემებით, დღეს პატიმართა რიცხვი, სამწუხაროდ, 25 ათასს აღწევს. თუ 2003 წლამდე მათი საერთო რაოდენობა 6274 იყო, დღეს ეს რიცხვი გაოთხმაგდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში 100 ათას მოსახლეზე დაახლოებით, 500 პატიმარია, რაც, ცხადია, არ ჯდება საერთო-ევროპულ სტანდარტებში. ამ მონაცემებით, საქართველომ, მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნის ადგილი დაიკავა — ჩინეთის, აშშ-ისა და რუსეთის შემდეგ. რაც შეეხება გარდაცვლილ პატიმრებს, — მათმა რაოდენობამ, ოფიციალური მონაცემებით, 2007 წელს 100-ს მიაღწია და ამ მაჩვენებლით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამწუხარო რეკორდიც დაამყარა.

— **ალბათ ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით განიზრახა ხელისუფლებამ, როგორც თავად უწოდებს, გრანდიოზული, უპრეცედენტო და ფართომასშტაბიანი აქტი-ამნისტია გამოეცხადებინა...**

— ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, მისი არსებობის 5 წლისთავზე რაღაც საჩვენებელი ღონისძიება მოეწყო. ამავე დროს, უნდა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლას: ერთი მხრივ, დაგვარწმუნოს, რომ ფართომასშტაბიან ამნისტიას ახორციელებს, მეორე მხრივ, რაღაც ფუნქცია შესძინოს ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციას, რომელმაც თავის დროზე საკუთარ პრინციპებს უღალატა. ამნისტიის კანონპროექტი, ფაქტობრივად, არათუ ფართომასშტაბიანი არაა, არამედ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის თვალებში ნაცრის შეყრის აქტი უფროა, ვინაიდან ის მხოლოდ ისეთ მუხლებს შეეხო, რომლებითაც ძალზე ცოტაა ნასამართლევი. ამნისტია შეეხო გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს: ავტოავარიებს, ავტოსაგზაო შემთხვევებს, პირობით მსჯავრდადებულებს, რომლებიც ისედაც უკვე გარეთ არიან, და ნაკლებად მძიმე დანაშაულების კატეგორიის მუხლების ნაწილს. ამნისტია ნაკლებად მძიმე დანაშაულებს მთლიანად რომ შეხებოდა, რომლებიც 5 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს, კიდევ გასაგები იქნებოდა და საკმაოდ სოლიდური რაოდენობა გათავისუფლდებოდა. ჩვენში სასამართლო სისტემა დამახინჯებული, საქმეების უმრავლესობა — გაყალბებული და „შეკერილია“. სასჯელს იხდიან უდანაშაულო ან ნაკლებად დამნაშავე ადამიანები, რომელთაც ხელოვნურად აქვთ მდგომარეო-

ბა დამძიმებული. ამნისტია იძლევა იმის საშუალებას, რომ ხელისუფლებამ ამ 5 წლის მანძილზე ჩადენილი საკუთარი დანაშაული გამოისყიდოს. მაგრამ მან ეს საჭიროდ არ მიიჩნია და ვერ გაბედა, ეღიარებინა და სასამართლოს განაჩენების გზით ჩადენილი შეცდომები გამოესწორებინა.

— გამოდის, რომ ეს ამნისტია — ფარსია და ციხეების განტვირთვას არ ემსახურება?

— რა თქმა უნდა, ფორმალობაა. როცა საქართველოში 20 ათასზე მეტი პატიმარია და ყოველდღიურად მათ რიგს კვლავ ბევრი განსასჯელი ემატება, ასეთი „ნახევარზომები" ციხეების განტვირთვას ხელს ვერ შეუწყობს. მით უმეტეს, იქ ბევრია ისეთი, ვისაც სასჯელის ვადა უკვე უმთავრდება. მოგეხსენებათ, შეწყალებაც მცირე რაოდენობას ეხება. თუ შევარდნაძის დროს ყოველთვე ხდებოდა შეწყალება და ამით 100-ზე მეტი პატიმარი სარგებლობდა, ახლა სააკაშვილმა ყოველთვიური შეწყალების კომისიის სხდომები გააუქმა და ის წელიწადში ორჯერ დანიშნა. ეს კომისიაც, ფაქტობრივად, ფორმალურად არსებობს, ვინაიდან მის მიერ წარდგენილ პატიმრებს არ აკმაყოფილებენ; ხელისუფლების წარმომადგენლებს მერე თვითონ შეჰყავთ დამატებით სიებში ისინი, ვინც სურთ, და მათ შეიწყალებენ...

— შალვა რამიშვილი შეწყალებაზე განცხადებას არ წერს. როგორც ჩანს, არც პრეზიდენტი იყენებს კონსტიტუციურ უფლებას, რომ განცხადების გარეშე შეიწყალოს იგი. ამნისტია ფინანსურ მუხლებს არ შეეხო. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რამიშვილი ბოლომდე მოიხდის ოთხწლიან სასჯელს?

— შალვა რამიშვილის კანდიდატურა წინა შეწყალების დროსაც წარადგინა კომისიამ, მაგრამ მისი გათავისუფლების შესახებ დოკუმენტს პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა. კომისიას ახლაც შეუძლია წარადგინოს იგი, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ პრეზიდენტის ნება არ იქნა: თუ სააკაშვილი ხელს მოაწერს, მხოლოდ მაშინ შედის ძალაში კანონი შეწყალების შესახებ. აქედან გამომდინარე, ძნელია თქვა, თუ როგორ ხასიათზე იქნება პრეზიდენტი მაშინ, როცა შესაწყალებელთა სიას წარუდგენენ. უფრო სწორად, ამ საკითხს ძირითადად, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ბაჩო ახალაია წყვეტენ.

— აქამდე ვიცოდით, რომ შეწყალების აქტის გაფორმება მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივა იყო...

— პრეზიდენტი თითოეული პატიმრის საქმეს არ იცნობს და არც არის ვალდებული, იცნობდეს. ეს სამი ადამიანი ცხრილავს ამ სიებს. პრეზიდენტი მათ თვალდახუჭული ენდობა და თუ მათგან თანხმობა არ ექნა, შეწყალებაზე სიას ხელს არ აწერს. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ არ მოქმედებს ვადამდე პირობით გათავისუფლების (ე.წ. „უდო") ინსტიტუტი.

— რატომ, ისიც გაუქმდა?

— ის არავის გაუუქმებია. ადრე, როცა პატიმარს „უდო" ეკუთვნოდა, თავად წერდა განცხადებას სასამართლოს სახელზე. ახალი წესის მიხედვით, პატიმარს აღარ აქვს იმის უფლება, რომ ვადამდე პირობით შეწყალება ითხოვოს. ეს უნდა გააკეთოს ადმინისტრაციამ — ანუ იმ კომისიამ, რომელიც შექმნილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ის კი, როგორც წესი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებს: ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს კაცი გამოსწორებულიაო, — და საქმეები სასამართლომდე თითქმის აღარ აღწევს. ეს ყოველივე მკაცრ, სასტიკ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკას ემსახურება, რომელიც ამ ხელისუფლებამ გამოაცხადა.

— პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამნისტია 2500 პატიმარს შეეხება. თუ გავითვალისწინებთ, რა მუხლებს შეეხება ამნისტია, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ციფრი?

— თავდაპირველად თქვეს, რომ ამნისტიის საფუძველზე, 3000 პატიმარი გათავისუფლდებოდა, შემდეგ — 2500, ბოლოს კი — 2000. რამდენიმე დღის წინ გია თორთლაძე ამბობდა ინტერვიუში, 900 პატიმარი გათავისუფლდებაო. ასე რომ, დღესდღეობით თვითონაც არ იციან, რა და როგორ იქნება. ვფიქრობ, ამნისტიის საფუძველზე, 1000 კაცზე მეტი არ გათავისუფლდება.

— ხალხში ანეკდოტად დადის მუხლები — „ჩაძირული გემის კაპიტნის", ცხოველთა მწვალებლების და ხე-ბუჩქნარის მკაფავთა შესახებ...

— საქმე გვაქვს „მკვდარი" მუხლების „გაცოცხლებასთან". იქ ჩამოთვლილი მუხლებიდან, 20-ზე მეტი ისეთია, რომლითაც სასჯელს საერთოდ არავინ იხდის. მათი შეტანა ალბათ იმისთვის დასჭირდათ, რომ ეთქვათ, 60-მდე მუხლს ვაკმაყოფილებთო. დანარჩენი 40-დან, 20 მუხლით სასჯელს ერთეულები იხდიან. რა თქმა უნდა, კარგია, თუ ამნისტია ერთ პატიმარს მაინც შეეხება, მაგრამ მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ძალზე შეზღუდული აქტი და არა — ფართომასშტაბიანი და უპრეცედენტო. ხალხი არ უნდა მოატყუონ. ამნისტია ფართომასშტაბიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს შეეხებოდა და არა ამორჩევით დანაშაულებს.

— უმრავლესობის ლოგიკით, აღნიშნული ამნისტია არ გამორიცხავს ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების დაძაბვას და ის გარკვეული რისკის მატარებელია...

— მათ შესანიშნავად იციან, რომ პატიმართა 70%-ზე მეტი — კრიმინალი არ არის და ციხიდან რომ გამოვა, მაინცდამაინც კრიმინალს ჩაიდენს?!. ვინც ციხეში ზის, მათი უმრავლესობა პირველადაა ნასამართლევი. ან პატიმრობაში შემთხვევითაა მოხვედრილი და მათი გათავისუფლება სიტუაციას არ დაძაბავს. ასე რომ, ამგვარი ლოგიკა ხელისუფლებას საზოგადოების დასაშინებლად სჭირდება.

— ანტიკრიზისული საბჭოს წარდგენილ, შესაწყალებელთა 16-კაციან სიაზე რას იტყვით — ისიც არაფრის მომცემია?

— წარადგინეს მათი სია, ვისაც ისინი პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ. მათ ამ სიის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. აღნიშნული სია არასრული გახლდათ. მაგალითად, იქიდან ერთ-ერთი პიროვნება — ფოთის მერი დათო ქანთარია 3 თვის წინ გაათავისუფლეს. ანტიკრიზისული საბჭოს პოლიტპატიმართა სიაში ძირითადად, ის ადამიანები არიან შესული, რომლებიც შარშან 7 ნოემბრის შემდეგ დააკავეს.

— თქვენც, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეთ განცხადება, რომელსაც პოლიტიკურ პატიმართა 30-კაციანი სია დაურთეთ. როგორ ფიქრობთ — მათ შეწყალებაზე დაგთანხმდებათ პრეზიდენტი?

— ჩვენ ზოგადი განცხადება გავაკეთეთ და მივმართეთ ხელისუფლებას იმის თაობაზე, რომ პოლიტპატიმრები უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ, რომ არ მუშაობს შეწყალების ინსტიტუტი, რომ ამნისტია — ფარსია და ა.შ. დანარჩენი — მათი ნებაა. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას მოღვაწეობის 5 წლისთავზე სატრაბახო არაფერი აქვს და ამ ვითომდა ჰუმანური აქტით ამის გადაფარვას ცდილობს. რეალურად, ეს ამნისტია თავისთავად, კარგი მოვლენაა, მაგრამ მცირემასშტაბიანი აქტია, რომელიც ხელისუფლების პიარს ემსახურება. ■

„ჯი. ბი. თი."

გთავაზობთ დასაქმებას ექიმებსა და ექთანებს

10-თვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ
საშუალება გეძლევათ, მიიღოთ
მაღალანაზღაურებადი სამუშაო გერმანიაში.

მასაჟის კურსები

„ჯი.ბი.თი." ასევე გთავაზობთ სამკურნალო და
სალონური მასაჟის 5-თვიან ინტენსიურ კურსს.

კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

მისამართი: თბილისი, ლეონიძის ქ. №82
ტელ: 38 05 95; 30 86 61 ელ-ფოსტა: office@gbt-edu.ge

პორტი, სარადარო სისტემა, ორიარუსიანი ტყვარჩელი — რუსული ექსპანსიის პირველი შედეგები

აფხაზეთის დაბრუნების კონკრეტული გეგმა და პერსპექტივა წლების განმავლობაში ბუნდოვანი იყო, ცხინვალის ომის შემდეგ კი ამ სფეროში უფრო მეტი გაურკვევლობაა. რუსეთის ექსპანსიას აფხაზებში უკვე მოჰყვა უარყოფითი რეაქცია, მაგრამ არა იმდენად მტკიცე, რომ „დათვი" მას ვერ გაუმკლავდეს. მით უმეტეს, რომ სეპარატისტული რეგიონის აღიარების შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთის „ჩაყლაპვას" უფრო აქტიურად და საფუძვლიანად მიჰყო ხელი. ინვესტიციებთან ერთად, ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო პორტის მშენებლობასაც შეუდგა. კიდევ რა გეგმები აქვს რუსეთს აფხაზეთში და როგორ ხვდება აფხაზი მოსახლეობა ჩრდილოელი მეზობლის მეურვეობას, — ამის შესახებ, პარტიზანული დაჯგუფების მეთაური ზურაბ სამუშია გვიამბობს.

ლალი პაპასკირი

— ბატონო ზურაბ, ბოლოს როდის იყავით აფხაზეთში?

— სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამის დაკონკრეტება არ შემიძლია... რადგან რამდენიმე დღის წინ აფხაზეთში მასშტაბური აფეთქება მოხდა და ეს აქტი რუსულმა სპეცსამსახურებმა მე დამაბრალეს. მაშინვე განვაცხადე, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი არ ერია... როცა ცხინვალში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, უკვე ნათელი გახდა, რომ ფრონტის ხაზი აფხაზეთშიც გაიხსნებოდა. მით უმეტეს, რომ ამას წინ უსწრებდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ცხინვალში ომის დაწყებამდე, სეპარატისტულ ოსეთსა და აფხაზეთს შორის დაიდო. თუმცა ეს უფრო ქართულ არმიაში არეულობის შემოტანას ისახავდა მიზნად, ვიდრე ახალი ქართული ტერიტორიების წართმევას, — ოღონდ კოდორის ხეობას არ ვგულისხმობ. აფხაზებს ძალიან უნდათ, მსოფლიოს დაანახვონ, რომ მათ სხვა ტერიტორიები არ აინტერესებთ, „სახელმწიფო საზღვარი" გალისა და ზუგდიდის რაიონებს შორის გადის...

— ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ კოდორის ხეობა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უბრძოლველად ჩააბარა სეპარატისტებს...

— ფაქტია, რომ ხეობაში ერთი ტყვია არ გავარდნილა, ამაზე მგონი, არავინ დაობს. მომხდარი, ლეგიტიმური ხელისუფლების სინდისზე იყოს. საბრძოლო მოქმედებებზე ვინ ამბობს რამეს? დროშები მაინც ჩამოეხსნათ და წამოეღოთ, იქ აფხაზებსა და რუსების გასათელად რომ არ დაეტოვებინათ.

— იქნებ, მათ ზემოდან მიიღეს ბრძანება, რომ ასეთი ქმედებით, ზედმეტი დანაკარგი აერიდებინათ...

— ეს არ არის გამართლება, მაგრამ თუკი ასე იყო, მოვლენების ჩაწყნარების შემდეგ, უნდა გადამდგარიყვნენ... აფხაზეთში ომის შემდეგ — 1994 წლის 13 სექტემბერს თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის ბრძანების საფუძველზე, კოდორის ხეობა დავტოვე და მალე თავდაცვის სამინისტროდან წამოსვლის განცხადებაც დავწერე...

— ბატონო ზურაბ, ჩემი ინფორმაციით, როცა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, სოხუმში ამბობდნენ, — რუსეთი ამით აფხაზეთის საბოლოოდ მიერთებას აპირებსო...

— ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, 15 წლის განმავლობაში აფხაზების ერთადერთი ოცნება — დამოუკიდებლობა იყო, თუმცა მაინც იყო ლაპარაკი, რომ აფხაზებმა ორი ბოროტებიდან უკეთესი აირჩიეს... დიახ, ისინი ხვდებიან, რომ რუსეთს ახლა ხელ-ფეხი აქვს გახსნილი, მას აფხაზეთის მიერთების საუკეთესო შანსი ეძლევა და აფხაზეთი სულ მალე, რუსეთის საკურორტო ზონად გადაიქცევა, მაგრამ ქართველების მიმართ შიში და სიძულვილი იქ დღემდე ძალიან დიდია. ამას უფრო მეტად შეუწყო ხელი იმან, რომ აფხაზეთის დაბრუნების ქართულმა „სამშვიდობო გეგმამ" კრახი განიცადა. ამის შემდეგ აფხაზებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი ჩვენზე და ამ ყველაფერმა მათ რუსეთისკენ უბიძგა. ადგილობრივი აფხაზების დიდი ნაწილი უკვე წასულია აფხაზეთიდან. მათთვის კი, ვინც დარჩა, რუსული „სიახლეები" მისაღებია, რადგან ეს, ქართული აგრესიისგან დაცვის გარანტიაა. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი: აფხაზებმა იციან, რომ რუსული ჯარების წასვლისთანავე იქ ქართველი დევნილების დაბრუნების პროცესი დაიწყება... არადა, ამ საკითხზე შეთანხმება რომც მოხდეს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქაღალდზე დარჩება... გალის მოსახლეობა უკვე შეგუებულია ასეთ ცხოვრებას. ბიზნესმენებისთვის მთავარია, მათი საქმიანობისთვის თავისუფალი გარემო იყოს. მათი ინტერესი — რუსეთის ბაზარზე შეღწევაა და ამ მხრივ მათ ხელ-ფეხი გაეხსნათ. აფხაზებმა და რუსებმა კი კარგად იციან, რომ გალელები მშრომელი ხალხია და ეს რაიონი აფხაზეთის ეკონომიკურ ხერხემალს წარმოადგენს. გალელებისაც მესმის — ისინი მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრებით დაიღალნენ... ბოლო დროს ძალზე აქტუალური გახდა პასპორტიზაციის თემა: ქართველებს აფხაზური პასპორტების აღებას აიძულებენ. ხალხს არჩევანის წინაშე აყენებენ: თუ უნდათ იქ ცხოვრება, პასპორტი უნდა აიღონ, თუ არა და — სახლკარი უნდა დატოვონ. იქ მცხოვრები ქართველი, რომელსაც ერთხელ დაუწვავენ სახლს, მერე კი სიკვდილით დაემუქრებიან, იძულებული გახდება, აფხაზური პასპორტი აიღოს, რადგან ეს მისი გადარჩენის ერთადერთი გარანტიაა, არადა, ეს სრულიად უმოქმედო დოკუმენტია...

გაგრძელება იხ. გვ. 14

ავერსის ოქროს დაბადების დღე

ფარმაცევტულ კომპანია „ავერსს" 14 ნოემბერს 14 წელი შეუსრულდა. სწორედ 14 წლის წინ, 1994 წლის 14 ნოემბერს დარეგისტრირდა ოფიციალურად ორგანიზაცია „ავერსი".

ბიზნესი, რომელიც დღეს საქართველოს ყველა რეგიონში განლაგებულ 160-ზე მეტი აფთიაქს, საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ფარმაცევტულ საწარმო "ავერსი-რაციონალს" და მსოფლიო დონის სამკურნალო დაწესებულებათა — "ავერსის კლინიკათა" ქსელს აერთიანებს, მხოლოდ ერთი აფთიაქით დაიწყო, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ 22 დასახელების მედიკამენტი იყიდებოდა.

„ავერსში" დასაქმებულ ადამიანთა რიცხვმა დღეისათვის უკვე 3000-ს გადააჭარბა. თუმცა, იყო დრო, როდესაც კომპანიის წინსვლისთვის მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იღწვოდა. 14 წლის იუბილე „ავერსის" მესვეურებმა ვიწრო წრეში აღნიშნეს. საიუბილეო საღამოს სწორედ ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, ვისთან ერთადაც და ვისი დახმარებითაც ვითარდებოდა და აღწევდა თავის პირველ წარმატებებს კომპანია „ავერსი".

არსებობის 14 წლის განმავლობაში „ავერსმა" ბოლომდე გაამართლა თავისი სახელწოდება (სიტყვა ავერსი ლათინურად სპირალურად აღმასვლას ნიშნავს) და არამარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, უკრაინისა და რუსეთის მასშტაბითაც ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიად იქცა.

„ავერსის" წინსვლა სააფთიაქო ქსელის გაფართოებით დაიწყო, თუმცა, მასთან ერთად ვითარდებოდა კომპანიის შიდა სტრუქტურაც. შეიქმნა მომარაგებისა და რეალიზაციის და სხვადასხვა განყოფილებები. 2001 წელს "ავერსში" პირველი მარკეტინგული ჯგუფი ჩამოყალიბდა, ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მარკეტინგული ჯგუფები.

2002 წელს „ავერსმა" ქართული ფარმაცევტული საწარმოს „ავერსი-რაციონალის" მშენებლობა წამოიწყო. 2005 წლის მაისში კი საწარმომ პირველი მედიკამენტი გამოუშვა. დღეისათვის "ავერსი-რაციონალი" ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს უკვე 70 დასახელების 110 პოზიციით ამარაგებს. ექსპორტი ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც: ყირგიზეთში, აზერბაიჯანსა თურქეთში და სომხეთში. 2006 წლის 13 დეკემბერს "ავერსი-რაციონალი" ISO სერთიფიკატის მფლობელი გახდა, რაც იმის დასტურია, რომ ქართული ფარმაცევტული საწარმოს წარმოებული პროდუქციის ხარისხიანობა მსოფლიომ აღიარა.

2006 წელს "ავერსმა" კიდევ ერთი ახალი პროექტის "ავერსის-კლინიკის" განხორციელება წამოიწყო. ამაჟამად ამ პროექტის ფარგლებში უკვე 4 კლინიკა გაიხსნა: მარნეულში — 2007 წლის ივნისში, რუსთავში — 2008 წლის მაისში, ლანჩხუთში — 2008 წლის ივნისში, ხოლო თბილისის ცენტრალური, გრანდიოზული კლინიკის გახსნა 2008 წლის ნოემბერშია დაგეგმილი. "ავერსის" სამკურნალო დაწესებულებათა შორის ყველაზე მასშტაბური და ფართო პროფილიანი სწორედ თბილისის ცენტრალური სამკურნალო დაწესებულება გახლავთ, აქ ამბულატორიულ და დიაგნოსტიკურ სამსახურთან ერთად ერთად ფუნქციონირებს ქირურგიული განყოფილება და 25 საწოლიანი სტაციონარიც.

"ავერსის" საქმიანობის ერთ-ერთი პრიორეტიტული მიმართულება ქველმოქმედებაა. კომპანიის საქველმოქმედო პროექტთაგან განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოირჩევა პროექტები მრავალშვილიან ოჯახთა დასახმარებლად, რომლის ფარგლებშიც დახმარებით 1100 ოჯახზე მეტმა ისარგებლა; საქველმოქმედო პროექტი კატარაქტით დაავადებულთათვის, რომელიც მათთვის ოპერაციების დაფინანსებას გულისხმობს და რომლის ფარგლებშიც უკვე 1600 პაციენტს დაუბრუნდა თვალის ჩინი და მედიკამენტებზე 10%-იანი ფასდაკლების პროექტი პედაგოგებისთვის, ექიმებისთვის და პენსიონერებისთვის.

დაბოლოს, კომპანია "ავერსისათვის" წარმატების ზღვარი არ არსებობს. ასე რომ, უახლოეს მომავალში "ავერსი" საზოგადოებას ახალ-ახალი მიღწევებით გაახარებს.

ანი გიუნტერმა ვანო ჯავახიშვილს საშაგიერო გაღაუსაღა

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ანი გიუნტერი
რესპონდენტი – ვანო ჯავახიშვილი

მათ საჟურნალო შეხვედრას იუმორის გარეშე, რა თქმა უნდა, არ ჩაუვლია. ჟურნალისტ-რესპონდენტის როლებიც შესანიშნავად გაითავისეს და დიალოგში გამუდმებით ერთმანეთის პროვოცირებასაც ცდილობდნენ. მთავარი ის არის, რომ ანი გიუნტერი სიტუაციით სარგებლობდა და ცდილობდა, სამაგიერო გადაეხადა ვანო ჯავახიშვილისთვის იმის გამო, რომ თავის გადაცემაში ხშირად ანის, როგორც სასმლის მოყვარულ ქალბატონს, ისე მოიხსენიებს... ამაზე ანი თურმე სერიოზულად ბრაზდება. ამ ინტერვიუების დროს ისიც გაირკვა, რომ დავით აქუბარდია (ვანო მასაც ასევე ხშირად ახსენებს თავის გადაცემაში) — მისი შთაგონების წყარო და შემოქმედებითი მუზა ყოფილა. ამის დადასტურებაა ის, რომ ვანოს მისი სურათი სამუშაო ოთახში უკიდია...

— ვანო, ერთი მითხარი, რატომ გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან? ამ ინტერვიუში მეძლევა შანსი, სამაგიერო გადაგიხადო.

— მე გადაგეკიდე? რა ასპექტში?

— შენს შოუში ხშირად ამბობ, თითქოს ალკოჰოლი ისე მიყვარს, რომ ჭკუა მეკარგება.

— ჭორები დადიოდა შენზე: ნასვამი ვნახეთო... ამიტომ...

— ვინ გითხრა?

— გენაცვალე, ჭორები, ჭო-რე-ბი...

— ესე იგი, აღიარებ, რომ ჭორებია, ხომ?.. მოგწონს ის საქმე, რასაც აკეთებ?

— ხანდახან.

— ეს რას ნიშნავს?

— ხან კარგად ვაკეთებ, ხან — ცუდად.

— ხშირად გიწევს ისეთი ხუმრობის თქმა, რომელიც არ გსიამოვნებს?

— არა, დამოუკიდებელი ვარ ჩემს საქმიანობაში, ხანდახან არის ხუმრობა, რომელიც არ მომწონს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა...

— ცნობილი ფაქტია, რომ ყველა დიდი კომიკოსი თუ იუმორისტი სახლში აუტანელი ყოფილა. შენ როგორი ხარ?

— აუტანელი არ ვარ, მაგრამ არც მთლად გადასარევი ხასიათი მაქვს. ოჯახთან ერთად, მხიარულებასა და სიცილ-კისკისში ნამდვილად არ ვატარებ დროს. ვარ მშვიდი და წყნარი.

— სპორტულებს რატომ აღარ იცვამ?

— ეს ადრე იყო, ახალგაზრდობაში... სპორტული ტანსაცმელი საერთოდ, არ მიყვარს. ვერ ვიტან, ადამიანები სახლიდან მაღაზიაში სპორტული სამოსით რაღაცის საყიდლად რომ ჩადიან.

— ესე იგი, ეკრანული ვანო განსხვავდება რეალური ვანოსგან... შენს შოუს იუმორისტულ ბაზარზე რა კატეგორიას მიაკუთვნებდი?

— პოლიტიუმორისტული შოუა. ის მეტ-ნაკლებად, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მეუბნებიან, — პოლიტიკურ სიახლეებს შენი გადაცემიდან ვიგებთო. შეიძლება, ისინი საინფორმაციო გამოშვებებს არ უყურებენ.

— შენი გადაცემის იუმორის ხარისხსა და დონეს როგორ განსაზღვრავ? კრიტიკული თუ ხარ საკუთარი თავის მიმართ?

— საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ. მინდა, რომ გადაცემა ყოველთვის განსხვავებული და მასაზე გათვლილი იყოს.

— რამდენად ქართულია ის პროდუქცია, რომელსაც თქვენ ქმნით?

— გადაცემა არის აბსოლუტურად ქართული. მე მასში არც ერთ ინგლისურ სიტყვას არ ვიყენებ.

— იუმორის რა ჟანრში გიყვარს ყველაზე მეტად მუშაობა?

— ყველაზე მეტად, შავი იუმორი მომწონს, რომელსაც ალბათ ვერასდროს გავაკეთებ და ამის უკმარისობას სულ ვგრძნობ.

— მეც ძალიან მიყვარს შავი იუმორი... ხალხის ყურადღება გალიზიანებს?

— ყურადღება მსიამოვნებს, მაგრამ როდესაც ის შეურაცხყოფაში გადადის, უკვე აუტანელია.

— არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფამილარულად გექცევიან? მაგალითად, სუფრასთან მყოფს თუ გეუბნებიან, — მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიეო.

— კი, რესტორანში ხშირად მოდიან და მეუბნებიან, — ადექი და ჩვენს სუფრასთან წამოდიო. არ მესმის, რას ნიშნავს ეს?.. ყოფილა ასეთი შემთხვევაც: მოსულან და უთქვამთ, — მიდი, ერთი, რაღაც გაიხუმრეო. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, მშენებელს რომ უთხრა, — მიდი, აქვე ერთი კედელი ამიშენეო.

— ვანო, მუშაობისას რეალურად ხომ იწურება იუმორის რესურსი და არ გამიკვირდება, თქვენს შოუებზე რომ თქვან: იუმორის ხარისხი დაეცაო.

— კი, ამბობენ, იუმორი დაუძველდათო. ეს იმის ბრალი არ არის, რომ იუმორი მართლაც დაგვიძველდა. უბრალოდ, მაყურებელი შეგვეჩვია და ჰგონია, რომ ჩვენმა იუმორმა დეგრადაცია განიცადა. არადა, სხვა ადამიანი რომ ათამაშო და იგივე „შუტკები" მისცე, ასე აღარ იტყვის. ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვენ. ამიტომ, ყოველდღიური მუშაობა იმისკენაა მიმართული, რომ არაფერი დაძველდეს.

— „ვანოს შოუზე" რამდენი სცენარისტი მუშაობს?

— 10... ისე, ძალიან გვაკლია ხალხში გასვლა, სოციალური თემების წინ წამოწევა. მაგალითად, შარდენზე კაფეებში რომ დავსხდეთ, თითო ჭიქა წყალი დავლიოთ, როგორც ჭეშმარიტ ქართველებს ეკადრებათ (*თავისებურად ნაბავს თვალებს*).

— რესტორნებში დადიხარ?

— რა თქმა უნდა, რესტორანში ნამყოფი ვარ. ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ ხანდახან არის ზედმეტი რაღაცები, რაც გამაღიზიანებელია. მაგალითად, კაცმა კაცს არ შეიძლება, დიდხანს კოცნოს, ეს საშინელებაა. ასევე დამახინჯებული ტრადიციაა, როდესაც თამადა სადღეგრძელოს 22 წუთის განმავლობაში ამბობს და ფეხზე მდგომს აჩერებს სუფრის წევრებს.

— გასაგებია. მოდი, ახლა შენ დასვი კითხვები?

ჟურნალისტი – ვანო ჯავახიშვილი
რესპონდენტი – ანი გიუნტერი

— შეგიძლია მითხრა, სად „დაიწყო" ანი გიუნტერი?

— ანი გიუნტერი თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში „დაიწყო".

— ამბობ, რომ გერმანელი ხარ, არა?

— კი, ორთაჭალაში დაბადებული გერმანელი.

— ერთობ სასიამოვნოა. პოპულარული როდის გახდი?

— ჩემს მეგობრებში ყველაზე პოპულარული ვიყავი მაშინ, როდესაც ვიოლინოზე ვუკრავდი. სულ მეუბნებოდნენ, მთხოვდნენ, — ანი, დაუკარი, — რაც ძალიან

მეჯავრებოდა.

— მახსოვს, იუმორისტულ სერიალ „მუსკულებში“ თამაშობდი.

— კი და მას მერე კიდევ ერთი სერიალი იყო — „დიდი სახლი“... ეს ერთ-ერთი საინტერესო და სასიამონო ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში.

— დაოჯახებას როდის აპირებ?

— ახლო მომავალში.

— როდის? ორშაბათს?

— ორშაბათი არ მომწონს, ცუდი დღეა, უფრო — შაბათს.

— გყავს რჩეული, ვისაც ბედი უნდა დაუკავშირო?

— არა...

— როგორ გგონია — სიყვარული თავისით უნდა მოვიდეს?

— ბოლო დროს მამაკაცები ქალებისგან უფრო მეტ აქტიურობას ითხოვენ. ინიციატივას იმ შემთხვევაში გამოვიჩენ, თუ ძალიან მომეწონება და დამაინტერესებს ადამიანი.

— რამდენი წლის ხარ?

— 24-ის.

— ჩემზე უმცროსი ყოფილხარ...

— და არა მარტო შენზე, რა!..

— ისევ „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ხარ და ისევ „კოსმო გოგონას“ გეძახიან?

— დიახ. მაგრამ ახლა „საავადმყოფო ფურცელზე“ ვარ, რადგანაც ფეხი დავიწვი. საშინელი დღეები გადავიტანე.

— მთვრალი ხომ არ იყავი?..

— საზიზღარო!.. ახლა შენი შოუს გასაგონად ვამბობ: მაქვს აღებული ექიმის ცნობა და ისეთი წამლები მქონდა გამოწერილი, რომ სასმელი კატეგორიულად მეკრძალებოდა. ამიტომ, მაშინ ნასვამი ვერანაირად ვერ ვიქნებოდი. ჩემო ვანო, უსაფუძვლოდ ხუმრობთ...

— რატომ გეკრძალებოდა? ძალლმა ხომ არ გიკბინა?

— სხვა რაღაც პრობლემები იყო...

— ეტყობა, ქალური პრობლემები გქონდა (ჩაცინა)...

— ვიმეორებ, სრულიად უსაფუძვლოდ ხუმრობ. რაღაც ჭორებს მივრცელებ... მე ვარ ადამიანი, რომელსაც შეუძლია, წვეთი არ დალიოს და სუფრასთან ისედაც გაერთოს. მაგალითად, გუშინ თამადად დამნიშნეს სიღნაღში, სადაც წვეთი არ დამილევია და ფხიზელი ვთამადობდი.

— შუა კახეთში თამადად დაგნიშნეს და გინდა, დამაჯერო, რომ არ დაგილევია?!

— საერთოდ, არც ვეწევი, არც ვსვამ — კარგად დაიმახსოვრე!..

— „მწოლიარეს, მდგომიარესა და მჯდომიარეს“ სადღეგრძელო არასდროს დაგილევია?

— ეს რას ნიშნავს?

— ერთდროულად სამ ადამიანს რომ ადღეგრძელებენ, არ იცი? „მწოლიარეა“ ის, ვინც ავად არის, „მდგომიარე“ — ვისაც მორალურად, სულიერად უჭირს, „მჯდომიარე“ კი ის არის, ვინც ციხეშია... ეს სადღეგრძელო პირველად ერთ-ერთ სუფრასთან, ერთი გოგოსგან მოვისმინე. რომ დასჭექა, კინალამ ჭერი ჩამოიქცა.

— არა, მე არ ვხვდები ისეთ სუფრებთან, სადაც ასეთ სადღეგრძელოებს ამბობენ.

— ჰო, შენ ძირითადად, „სვეტსკი სასტავებში“ იჩითები, არა?

— ჩვენ სუფრასთან 5-6 გოგო ვიკრიბებით, სადაც ძირითადად, მხიარული სადღეგრძელოები ისმება.



აქუბარდია ჩემი მუშაა!

— მოდას მიჰყვები, გეტყობა. სად იცვამ?

— ყველგან, სადაც ეს შეიძლება და სამოსი მომეწონება. ამაში ჩემი მეგობრებიც მეხმარებიან. თუკი სადმე რაიმე საინტერესოს ნახავენ, მატყობინებენ.

— კაბებს არ გჩუქნიან?

— არა. პირიქით — საყიდლად რომ მივდივარ, ფასს მიმატებენ.

— ბაზარში თუ დადიხარ? საინტერესოა, როგორი მეოჯახე ხარ?

— არა. მხოლოდ ერთხელ ვარ საბურთალოს ბაზარში ნამყოფი. იქ დახლებზე უმი ხორცი რომ დავინახე, ცუდად გავხდი. რაც შეეხება ჩემს კულინარობას, — რაღაცებს ვაკეთებ... ერთხელ კვერცხი შევწვი და ტაფაზე ცხიმის დასხმა დამავიწყდა. სამაგიეროდ, შარშან ძალიან მოვინდომე და გემრიელი პასქა გამოვაცხვე. ტორტის გაკეთებაც შემიძლია. კარგი ჩახოხბილი გამომდის, შესანიშნავად ვწვავ ხორცს, კარტოფილს. მოკლედ, იმას ვაკეთებ, რაც მე მიყვარს. ოჯახისთვის დრო არ მაქვს, რომ დავდგე და კერძები ვამზადო. ბავშვის საჭმელიც საკმაოდ კარგად გამომდის... ჩემს პატარა დისშვილს ვუმზადებ ხოლმე. ეს ის დისშვილია, რომელმაც გამაგიჟა, ძალიან მიყვარს.

— დილით რომელ საათზე ილვიძებ?

— როცა ეთერში ვარ, 7-ის ნახევარზე, ისე — 11 საათისთვის.

— ანუ ვარსკვლავების იმ კატეგორიას არ მიეკუთვნები, რომლებიც გვიან ილვიძებენ?

— არა, ბიოლოგიური საათი მაქვს ისეთი, რომ გვიანობამდე ვერაფრით დავიძინებ.

**— მოდი, მილიონს მოგცემ და სცადე, იქნებ დაიძინო... ეეე

— **მაშინ, ვინმე სხვა ადამიანი იქნებოდა.**

— ანჯელინა ჯოლისთან „გადაღებულ“ სურათზე რას იტყვი?

— **აა, ეს ძველი სურათია. სანამ დაქორწინდებოდი, იყო რაღაც ბიძგები...**

— მისი მხრიდან?

— **აბა, ჩემი მხრიდან ხომ არ იქნებოდა?!**

— გადაცემაში რატომ არ იწვევ?

— **შოუს გამიფუჭებს.**

— როგორი იუმორის გრძნობა აქვს?

— **საერთოდ არა აქვს. უმაკიაოდ, უნდა ნახო, რას ჰგავს... ანი, რამდენი თაყვანისმცემელი გყავდა?**

— ვინც მიყვარდა, ერთია; ისე, ერთზე მეტი იქნებოდა...

— **მერე, არ გაგიმართლა არც ერთთან?**

— არა, პირიქით, ძალიან გამიმართლა, რომ დღეს ასე მარტო ვარ!

— **დეპრესიაში ხომ არ ჩავარდი?**

— დეპრესიაში აუცილებლად ჩავვარდებოდი, დღეს ერთად რომ ვყოფილიყავით.

— **ეტყობა, რაღაც შენი ხუშტურები გაქვს, არა? მამაკაცები რატომ ვერ გიგებენ?**

— არა, საუბედუროდ, შევხვდი ისეთ ადამიანს, რომელიც ისე იყო ოჯახის წევრზე დამოკიდებული, — კერძოდ, დედის აზრზე რომ... მეგონა, მიყვარდა — არადა, დედიკოს ბიჭი ყოფილა.

— **ანუ როგორი მამაკაცები გხიბლავენ?**

— ჩემზე ძლიერი.

— **კუნთები არ ჰქონდა იმ ბიჭს?**

— არ შევხებივარ. საერთოდ, კუნთმაგარი და გონებასუსტი მამაკაცები არ მომწონს.

— **ანუ — სულიერად ძლიერი?**

— ფიზიკურადაც ძლიერი თუ იქნება, ურიგო არ იქნება.

— **ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი რაში გჭირდება?**

— სახლში საქმე რომ აკეთოს. ჯანსაღი ადამიანი ყველანაირ ასპექტში კარგია.

— **ესე იგი, კუნთიანი მამაკაცები, არა?..**

— რას გადაეკიდე ამ კუნთიან მამაკაცებს?!

— **გენაცვალე, მე ჟურნალისტი ვარ და რასაც მინდა, იმას გკითხავ და დაგიწერ! აბა, ინტერვიუ რაღაცით საინტერესო ხომ უნდა გავხადოთ! რაც შეეხება იმ სიყვარულს, მასზე აღარ იფიქრო. ყველას თავისი გაჭირვება ეყოფა. შენ თავისუფალი ადამიანი ხარ, მოფარფატე თოლია, რომელიც ამაყად დაფრინავს და არავის ინდობს, მრისხანეა.**

— ახლა მოგკლავ! ადამიანი რომ მომეწონოს, უნდა იყოს თავისუფალი, აზრიანი, ძლიერი და...

— **კარგი, გვეყოფა. რამდენი კითხვა დაგისვი, ხედავ?! რა მაგარი ვარ!** ■

დასაწყისი იხ. გვ. 10

— **ბატონო ზურაბ, ბოლო დროს რუსეთსა და აფხაზეთს შორის დაპირისპირება მწვავდება. რა ხდება — აფხაზები ვერ ეგუებიან მათ ბატონობას?**

— თვითონ აფხაზები რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილი და დაპირისპირება მათსა და მათ „მფარველ“ რუსებს შორისაც ხდება... გარდა ამისა, გალში სამხედრო ქალაქი შენდება. მთელი აფხაზეთი, განსაკუთრებით კი გალის რაიონი სავსეა რუსული რეგულარული ჯარით, მაგრამ ეს აფხაზეთსა და რუსეთს შორის გათვალისწინებული სამხედრო ხელშეკ-

რულების ფორმატში თავსდება. საქმე ის არის, რომ რეგულარული ჯარის გარდა, იქ სარადარო სისტემაც არის განთავსებული. ის, რა თქმა უნდა, არ არის იმ ტიპისა და სიდიდის რადარი, რომლის განთავსებასაც კალინინგრადში აპირებენ, მაგრამ აფხაზეთში განლაგებული რუსული დანადგარი, გალის რაიონს კი არა, მთელ აფხაზეთსა და სამეგრელოს აკონტროლებს. რუსები აფხაზებთან ერთად, ე.წ. საზღვარს სრულად აკონტროლებენ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ისმის აფეთქებების ხმა. ფაქტია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი აქტების მოწყობას ვერ გაბედავს. აფხაზი კრიმინალებიც რუსებმა მეტ-ნაკლებად „გააჩუმეს“. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც ჩვენები აქტიურობენ. მაშ, ვინ უნდა იყოს?!

— **ამაზე პასუხს თქვენგან ველოდები...**

— ამას ისევ რუსები აკეთებენ. ძველ და ახალ სამხედრო შემადგენლობას შორის დაპირისპირება უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა: ახლები გავლენის მოსაპოვებლად იბრძვიან, ძველები კი — შესანარჩუნებლად. ხშირია შემთხვევა, როცა აფხაზები რუსების გადაბირებას ცდილობენ, რათა თვითონაც უფრო თავისუფლად იმოქმედონ — სხვადასხვა არალეგალურ ბიზნესში წილების ჩასადებად, ხელ-ფეხი გაეხსნათ. თავის მხრივ, რუსებმაც იციან, რომ იქ უამრავი გზით შეიძლება ფულის შოვნაც და „გათეთრებაც“... როცა რუსლან ქიშმარია გალის აფხაზური ადმინისტრაციის გამგებლად დანიშნეს, მას აფხაზურმა ბანდფორმირებებმა ბევრი პრობლემა შეუქმნეს, ამიტომაც ადგა და მოიშორა. ასე იქცევიან სხვებიც. საბოლოოდ კი, ყველაფერი ქართველ პარტიზანებსა და სპეცსამსახურებს ჰბრალდებათ.

— **რუსები ოჩამჩირეში სევასტოპოლის ტიპს სამხედრო პორტს აშენებას აპირებენ. რა იცით ამის შესახებ?**

— დიახ, უკვე დაწყებულია მშენებლობა. პორტის ასაშენებლად საჭირო კალაპოტის გასაჭრელად, რუსეთიდან უზარმაზარი ამწე ჩამოიყვანეს, პირველად ვნახე ამხელა მანქანა... რუსები იქ საფუძვლიანად დამკვიდრებას აპირებენ. მსგავსი გეგმა უფრო ადრე — 1999 წელსაც არსებობდა, მაშინ ამ საქმეში თურქები იყვნენ ჩართულნი. საუბარი იყო ტყვარჩელის მაღაროებზე, რომელიც თურქებმა შეისყიდეს. ხელშეკრულების მიხედვით, ისინი ქვანახშირს გაიტანდნენ, ერთი წლის შემდეგ კი, სათანადო მოგების შემთხვევაში, ოჩამჩირეში სამხედრო პორტს ააშენებდნენ. სამწუხაროდ, მაშინ საქმეში ჩვენი ხელისუფლება ჩაერია და აკვასკაბესლახუბას რკინიგზის მონაკვეთი ავაფეთქეთ. ამაზე პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე ავიღეთ და შემდეგ იქ არც ერთი თურქი აღარ დარჩა. ინვესტიციის დაბანდებას იქ, რუსის გარდა, ვერავინ ბედავდა. ახლა კი, ტყვარჩელს რომ გადახედო, ველარ იცნობ: ის ორიარუსიანი ქალაქია და დღითი დღე შენდება. სხვათა შორის, აქტიურად არიან ჩართული თურქი ინვესტორებიც — მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარ სახელმწიფოდ მიიჩნევა, თბილისის გვერდის ავლით, იქიდან აფხაზეთში უამრავჯერ შესულა ინვესტიცია... მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მას ხელ-ფეხი გაეხსნა. იქაურობას ვერ იცნობთ. რუსები ფულს აბანდებენ და მოგებაც თვითონ მიაქვთ. იმაზე ლაპარაკი, რომ ევროპა და ამერიკა ჩვენ გვერდით არის და რუსეთს არაფრის საშუალებას არ მისცემს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „დიდი რვიანიდან“ და გაეროს უშიშროების საბჭოდან გარიცხავენ, ბლოკადაში მოაქცევენ და ა.შ. — სასაცილოა.

— **ბატონო ზურაბ, ნაწილობრივ მაინც, თქვენს გეგმებსაც ხომ არ გაგვიმხელთ?..**

— კონკრეტული გეგმების შესახებ საუბარი გამიჭირდება, ძნელია ამ პირობებში რამის დაგეგმვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე გაჩერება არ შეიძლება... როცა „თეთრი ლეგიონი“ გალის რაიონში ეგულებოდათ, იქ აფხაზი ვერ ჭაჭანებდა; ადმინისტრაციის შენობასთან რომ მოდიოდნენ, ყველა საათს დასჩერებოდა — როდის გახდებოდა 4, სამშვიდობოს დროზე რომ გაეღწია; 4 საათის შემდეგ იქ მოძრაობა წყდებოდა... ჩვენმა ხელისუფლებამ ერთი რამ ვერ გაიგო, დრო რუსების სასარგებლოდ მუშაობს. ■

ვინ უფრო მეტ ოფლს აღენს ობამას?



The International Herald Tribune-ის ჟურნალისტი კრისტოფერ კლეირი იმ სახელმწიფო მეთაურებით დაინტერესდა, რომლებმაც სპორტში ამერიკის ახალ პრეზიდენტ ბარკ ობამაზე არათუ ნაკლებ, არამედ ზოგჯერ ბევრად შთამბეჭდავ წარმატებებსაც მიაღწიეს. დასაწყისისთვის ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თავად ობამას ანგარიშზე სასკოლო საკალათბურთო გუნდებს შორის შტატის ჩემპიონატში გამარჯვებაა.

„სხვათა შორის, — აღნიშნავს კლეირი, — მაშინ მას ბარაკი კი არა, ბარი ერქვა და სასკოლო გუნდის ვარსკვლავად ნამდვილად მიიჩნევდნენ, თუმცა მაშინდელი ათლეტური აღნაგობა დღემდე შეინარჩუნა“.

ჟურნალისტი ობამას ურჩევს, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად ირბინოს და დანიის პრემიერ-მინისტრთან, რომელმაც გასულ ზაფხულს ველორბოლა „ტურ დე ფრანსის“ მთიანი ეტაპი დასძლია, ველოსიპედით გაისეირნოს.

„თუმცა ობამას უჯობს, ორთაბრძოლაში არ გამოიწვიოს რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი, რომელიც ძიუდოში თავისი მშობლიური სანქტ-პეტერბურგის ექსჩემპიონია და იმის დასადასტურებლად, რომ ჯერაც კარგ ფორმაშია, ხალხის თვალწინ წელს ზემოთაც ხალისით შიშვლდება“, — წერს კლეირი.

ავტორი ვარაუდობს, რომ ევროპელი ლიდერებიდან სულიერად ყველაზე ახლობლები ობამასთვის, შვედეთის პრემიერ-მინისტრი ფრედრიკ რაინტელდი და ჩერნოგორიის პრემიერი მილო დიუკანოვიჩი გახდებიან. ახალგაზრდობაში ორივე წარმატებით თამაშობდა კალათბურთს და ორივე, ამერიკის ახალი პრეზიდენტის ასაკისაა.

კრისტოფერ კლეირის აზრით, სამხრეთ ამერიკაში ყველაზე სპორტული ლიდერია ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი, რომელიც დღემდე სისტემატურად თამაშობს ფეხბურთს. აი, ჩრდილოეთ ამერიკაში კი ობამა დღეს ვენესუელის გაეჯიბრება, რადგან ყოფილი ბეისბოლისტი — ფიდელ კასტრო ხელისუფლების სათავეში ოფიციალურად აღარ იმყოფება.

სპორტის მიმდევარ აფრიკელ ლიდერებს შორის, კლეირი ოდესღაც ფეხბურთის პროფესიულად მოთამაშე, კენიის პრემიერ-მინისტრ რაილუ ოდინგუსა და სტუდენტობისას საკმაოდ ცნობილ კალათბურთელს, ტანზანიის პრეზიდენტ ჯაკაიუ კიკვეტეს გამოყოფს.

„აზიის ქვეყნების ლიდერებს შორის ერთადერთი ოლიმპიელი — იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი — ტარო ასოა, რომელიც „მონრეალი-1976“-ზე თავისი ქვეყნის ღირსებას მსროლელთა გუნდის შემადგენლობაში მყოფი იცავდა“, — აღნიშნავს ავტორი. ის ასევე არ ივიწყებს დუბაის მმართველ შეიხ მუჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაქთუმს, რომლის მფლობელობაში მყოფი ცხენებიც საცხენოსნო სპორტის უმსხვილეს შეჯიბრებებში იმარჯვებენ. „აი, 65 წელს მიღწეულ ჩინეთის პრემიერს კი დღემდე კალათბურთი უყვარს“.

დაბოლოს, კრისტოფერ კლეირი ობამას, ოკეანიის ციცქნა რესპუბლიკის — ნაურუს პრეზიდენტის, ძალოსან მარკუს სტივენის გაცნობასაც ურჩევს, რომლის ანგარიშზეც „თანამეგობრობის თამაშების“ 5 ოქროს მედალი და



1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალია. ჟურნალისტი იმასაც ხაზს უსვამს, რომ, როგორც პრეზიდენტი, სტივენი ობამაზე ბევრად უფრო რთული პრობლემების წინაშე დგას, რადგან გლობალური დათბობის შემთხვევაში, ნაურუს მთელ სასიცოცხლოდ სასარგებლო მიწას სრული დატბორვა ემუქრება.

■

მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲠᲘᲜᲐᲗᲚᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲩᲕᲘᲚᲡ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲗᲐ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ

ᲔᲛᲐ ᲩᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამ წერილს უამრავი მკითხველის გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი გვირეკავდა, ზოგი კი რედაქციაში გვესტუმრა კიდეც და აღშფოთება გამოთქვა რესპონდენტის მიერ წამოყენებული ვერსიის გამო.

მოგვიანებით, მასმედიის სხვა საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ პატარა სოლომონი ძალზე პომპეზურ ვითარებაში, შვიდმა სასულიერო პირმა მონათლა... ამას ჩვენს პუბლიკაციაზე გამოხმაურებათა ახალი ტალღა მოჰყვა. ზოგმა, ნიშნის მოგებით, ისტორიული წყაროების გადახედვაც კი გვირჩია და შეგვახსენა, — საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოლომონ II-ს მემკვიდრე არ დარჩენიაო. გადავწყვიტეთ, კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად, ამ საკითხს მივბრუნებოდით. თავდაპირველად, იმერეთის მეფის ბიოგრაფიის საკვანძო ფაქტებს შეგახსენებთ.

სოლომონ II (1789-1810) სოლომონ I-ის ძმის, არჩილის ძე გახლდათ, დავითად წოდებული. იზრდებოდა ქართლ-კახეთში დედასთან, ერეკლე II-ის ასულ ელენესთან. სოლომონ I-ს მემკვიდრე არ ჰყოლია და სიცოცხლეშივე ტახტი ძმისწულს — დავითს უანდერძა, მაგრამ გავლენიანმა ფეოდალებმა გვირგვინოსნის გარდაცვალების შემდეგ, მცირეწლოვანი დავითის ნაცვლად, დავით გიორგის ძე (დავით II) გაამეფეს. ახალი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო თავადების, ერეკლე II-ისა და ოდიშის მთავარ, გრიგოლ დადიანის დახმარებით, მათხოვრის ბრძოლაში (1789) დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა და სოლომონ II-ის სახელით ავიდა ტახტზე. ხელისუფლებისთვის ბრძოლის პერიოდში ქვეყანაში ფეოდალური ანარქია სუფევდა, სოლომონ II-ის პოზიცია მტკიცე არ იყო. დავით II ტახტისთვის ბრძოლას განაგრძობდა. სოლომონი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა; მან პირველ რიგში, ოდიშის დამორჩილება სცადა, მაგრამ მიუხედავად ხანმოკლე წარმატებისა, მიზანს ვერ მიაღწია. რუსეთის მთავრობა ამ წინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ იყენებდა. 1804 წლის 25 აპრილს სოლომონ II-მ რუსეთის ქვეშევრდომად აღიარა თავი, მაგრამ ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად იბრძოდა. 1810 წლის 20 თებერვალს რუსეთის სარდლობამ ქუთაისში სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუსეთის მმართველობა გამოაცხადა. სოლომონ II მოტყუებით შეიპყრეს და თბილისში ჩამოიყვანეს, მაგრამ მან მალე დააღწია თავი ტყვეობას და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. 1810 წელს სოლომონ II იმერეთში დაბრუნდა და მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდა. შეიარაღებული ბრძოლისას (იმერეთის აჯანყებად წოდებული) დამარცხდა და კვლავ ახალციხეს შეაფარა თავი, საიდანაც ცოტა ხანში ოსმალეთში გადავიდა. ემიგრაციაში ცდილობდა, უცხო ძალის გამოყენებით (ოსმალეთი, ირანი, საფრანგეთი), იმერეთის გვირგვინის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. დაკრძალული იყო ტრაპიზონში, წმინდა გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესიის ეზოში. 1990 წლის შემოდგომაზე მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.



ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲝᲕᲐᲩᲘ, *არქეოლოგი:*

— გახსოვთ ალბათ — 2007 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას გააკეთა განცხადება, ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მიზანშეწონილობის შესახებ. მაშინ ზოგმა, უწმინდესის ეს იდეა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა, ზოგმაც, როგორც ხედავთ — თავისი ვერაგული ზრახვების განსახორციელებლად. მეგობრების დახმარებით დავადგინე იმ კაცის ვინაობა, ვინც სოლომონ II-ის შთამომავლად ასაღებს თავს. ეს ბატონი გახლავთ მერაბ ტიტანიძე, ოთხჯერ ნასამართლევი, როგორც საქართველოში, ასევე — რუსეთში, თურქეთსა და ამერიკაში. ყველა ამ შემთხვევაში, ტიტანიძე წვრილმანი თაღლითობისთვის იხდიდა სასჯელს. ერთხელ თურმე ციხეში, სასწაულის წყალობით გადაურჩა სიკვდილს: „ქურდობაზე" განუცხადებია პრეტენზია, რის გამოც, „შავი სამყაროს" წარმომადგენლებთან სერიოზული პრობლემები შეექმნა... გარდა იმ მერკანტილური ინტერესებისა, რაც ზედაპირზე დევს, ვფიქრობ, ძალიან ცუდი მიზნები უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს. ერთი ის, რომ რასაც ის სამეფო გვარის სახელით სჩადის, ეკლესიის პირდაპირი დისკრედიტაციაა, მეორე მხრივ კი პირდაპირ „ურტყამს" ქვეყნის ინტერესებს.

ᲖᲐᲖᲐ ᲡᲐᲛᲨᲘᲐ, *ისტორიკოსი:*

— გამოგიტყდებით, რომ ზოგადად, ამ საკითხში — ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებას ვგულისხმობ — თავს ანტიმონარქისტად მივიჩნევ. კათოლიკოს-პატრიარქის ის განცხადებაც, რომელიც ბატონმა სიმონმა ახსენა, იმ დროს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისით იყო განპირობებული და ვფიქრობ, გარკვეული გამოსავლის ძიების გამოხატულებად უნდა მივიღოთ... მაგრამ ის, რასთანაც ახლა გვაქვს საქმე, არანაირ კავშირში არ არის საქართველოს სამეფო საგვარეულოსთან. გამოგიტყდებით, როდესაც „გზაში" ეს სტატია წავიკითხე, თავდაპირველად, იუმორი მეგონა. მოულოდნელად, საიდანღაც გამოჩნდეს ადამიანი, დაიბრალოს, რომ არის სოლომონ II-ის შთამომავალი, რომლის წინაპრებიც მანამდე არც ერთ სამეცნიერო ნაშრომში, ბაგრატიონების გვარის გარშემო ჩატარებულ არც ერთ კვლევაში არ ჩანან, — სხვა არაფერია, თუ არა აბსურდი. XIX საუკუნის 30-40-იანი წლების იმერეთში დიდი დავები მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთვის უნდა მიენიჭებინათ თავადობა, ვისთვის — აზნაურობა. ამ საკითხის გადასაწყვეტად, საგანგებო კომისიაც კი ჩამოყალიბდა. მან განიხილა უამრავი დოკუმენტი და ყველა ეს საბუთი არქივებშია დაცული. მათ შორის, აღმოაჩინეს იმ დროს გაცემული, ყალბი სიგელ-გუჯრები. ცნობილია, რომ მაშინდელ ქუთაისში ცხოვრობდა რამდენიმე ადამიანი, რომელსაც თავადობისა თუ აზნაურობის მიმნიჭებელი, ყალბი დოკუმენტის გაკეთება შეეძლო. შემდგო-

გაგრძელება იხ. გვ. 84

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

„გზის" №42-ში წარმოგიდგინეთ კაცი, რომელიც იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის შთამომავლად ასაღებს თავს. შეგახსენებთ რესპონდენტის ნაუბრის მთავარ ნაწილს: „სოლომონ II-ს 2 ვაჟი ჰყავდა — არჩილი და ვახტანგი. მე ვახტანგის შტამომავალი ვარ. რაღაც პრობლემების გამო ჩემი მშობლები თურქეთში ცხოვრობდნენ. მეც დიდი ხნის განმავლობაში უცხოეთში ვცხოვრობდი: ჯერ თურქეთში, მერე — ამერიკაში. ჩემი ორივე ვაჟი იქ დაიბადა... ბავშვს (გულისხმობს შვილიშვილს, რომელსაც სოლომონ III-ს უწოდებს. — რედ.) ისე აღვზრდიდი, რომ ხალხმა მეფედ თვითონ აღიაროს... მე მეორე ვაჟიც მყავს და მასაც ეყოლება შვილი. ისიც ეკლესიაში გაიზრდება და მათგან რომელიც ხალხის რჩეული იქნება, ის გახდება მეფე. სხვა ბაგრატიონებსაც შეუძლიათ, თავიანთი შვილები თუ შვილიშვილები მომავალ მეფეებად აღზარდონ და ხალხი თავად აირჩევს მეფეს... თანახმა ვარ, ჩემმა სოლომონ მესამემ უფრო ღირსეულს დაუთმოს ტახტი. დადგეს ყველა ბაგრატიონი და ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება მათი მონარქი".

დღე „დილით“ იწყება



„გზის“ №46-ში გამოქვეყნებულ სტატიაში კვების ჰიგიენის სპეციალისტმა ბელა ყურაშვილმა ქათმის ხორცისა და კვერცხის კვებით ღირებულებაზე საუბრის დროს აღნიშნა, რომ იმპორტირებული ქათმის ხორცსა და სამამულო ნაწარმს შორის, უპირატესობას ქართულ პროდუქტს, კერძოდ — კომპანია „დილის“ პროდუქციას ანიჭებს. უკვე 1 წელია, რაც ეს კომპანია ქართულ ბაზარზე გამოჩნდა და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. როგორ მოახერხეს ეს და რა სამომავლო გეგმები აქვთ — ამის შესახებ კომპანია „დილის“ პარმენეჯერი ნინო ჩლაიძე გვესაუბრება:

თამუნა კვინიკაძე

— კომპანია „დილა“ 2007 წლის ნოემბერში კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნა, ხოლო დეკემბრიდან უკვე პროდუქციის რეალიზებას ეწევა. მოგეხსენებათ, კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა ორი ნაწილისგან შედგებოდა: ეს იყო თვით სოფელ კოდასა და ღილოს დასახლებაში არსებული მეფრინველეობის ფაბრიკები. 2007 წელს კომპანია „რაკიინ დეველოპმენტის“ მიერ მოხდა სოფელ კოდაში არსებული ფაბრიკის დიდი ნაწილის შესყიდვა. „რაკიინ დეველოპმენტმა“ საკმაოდ სოლიდური ინვესტიცია განახორციელა. ამის შემდეგ მოხდა კომპანიის ე.წ. „რებრენდინგი“ და „კოდის“ ბაზაზე ახალი კომპანია — „დილის პროდუქტები“ ჩამოყალიბდა. განხორციელებული ინვესტიციის ხარჯზე მოხდა ფაბრიკის ხელახალი აღჭურვა უახლესი აპარატურით. 1 წლის მანძილზე აქტიური მუშაობით კომპანიამ, როგორც კვერცხის, ასევე ქათმის ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა. დღეს „დილა“ ქართულ ბაზარზე არსებულ სხვა ბრენდებს ღირსეულ კონკურენციას უწევს.

— „დილა“ მომხმარებელს ქათმის ხორცის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს...

— დიახ, ამჟამად კომპანია საკუთარ მომხმარებელს გაყინულ, ნედლ ქათამსა და ცალკე შეფუთულ ქათმის ნაწილებს სთავაზობს. ხოლო კვერცხის წარმოებაში „დილას“ ბაზრის 40% უჭირავს. მნიშვნელოვანია, რომ კვერცხი დახლზე დადების ან მეორე დღეს გაგვაქვს. გაყინული ქათმისა და ქათმის ნაწილების წარმოებაში კომპანია უპირობო მონოპოლისტია. ადგილობრივ ბაზარზე ჩვენს კონკურენტად შეიძლება, მხოლოდ იმპორტირებული ნაწარმი მივიჩნიოთ, მაგრამ ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ მომხმარებელი უპირატესობას ადგილობრივ ბრენდს ანიჭებს და არა უცხოურს, რომელიც არავინ იცის, რამდენჯერ არის გამლღვალი და ხელახლა გაყინული. აქედან გამომდინარე, მომხმარებლის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებისთვის, წარმოების გაზრდას ვაპირებთ. ახლახან ბაზარზე ნედლი ქათმის გატანაც დავიწყეთ. ამ პროდუქციის მიმართ ინტერესი აშკარად დიდია.

— ყოველთვიურად რა რაოდენობის კვერცხის და ქათმის ხორცის რეალიზებას ახდენთ?

— საწარმოში ყოველთვიურად 1 მილიონი კვერცხისა და 80-100 ტონამდე ქათმის ხორცის წარმოებარეალიზება ხდება. ფაბრიკა თანამედროვე დანადგარებით არის აღჭურვილი და გვაქვს საკუთარი ლაბორატორია, რაც პროდუქციის მუდმივად კონტროლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „დილის პროდუქტები“ ფრინველის საკვებს თავად აწარმოებს. დამზადება ხდება უახლესი ტექნოლოგიით და ევროპულ სტანდარტებს უტოლდება. საკვებად მხოლოდ ბუნებრივ ინგრედიენტებს ვიყენებთ (სოია, სიმინდი, მზესუმზირა და ა.შ.). ერთი სიტყვით, ქარხანაში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მომხმარებელს ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია მივაწოდოთ. ამას ხელს უწყობს საწარმოში არსებული, შენახვის იდეალური პირობები და გამართული სასაწყობე მეურნეობა. ქათმების დაკვლის, მათი გასუფთავებისა და შეფუთვის დროს, ყველა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმა დაცულია.

— თქვენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— კომპანია „დილის პროდუქტების“ მიზანია, შექმნას ისეთი ბრენდი, რომელიც მომხმარებლის თვალში მაღალ ხარისხთან, უსაფრთხოებასა და ჯანსაღ კვებასთან იქნება ასოცირებული. ამჟამად კომპანიაში 300-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, გვაქვს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი. უახლოეს მომავალში კომპანია მომხმარებელს ხორცის პროდუქციის ბევრად უფრო ფართო ასორტიმენტს შესთავაზებს, რასაც თავისთავად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შტატის გაზრდა და დისტრიბუციის გაფართოება მოჰყვება. აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, კომპანიამ იკისრა ვალდებულება, აქტიურად დახმარებოდა იძულებით გადაადგილებულ პირებს. ეს არ არის ერთჯერადი დახმარება. კომპანიას ასევე გამოყოფილი აქვს გარკვეული თანხა სოციალურად დაუცველი ფენებისთვის. ქველმოქმედებას მომავალშიც გავაგრძელებთ. ■

26014

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ხელები



ქედური ხელოვნების შედევრი და სადიაცო ჯაბა პირველი ლედისთვის

ჩვენს ქვეყანაში ძველთაგანვე მისდევდნენ გამოყენებითი ხელოვნებას, არსებობდნენ ოსტატები, რომლებიც ფლობდნენ მნახველს მაღალმხატვრული ნიმუშებითა და უჩვეულო ფორმის ნივთებით. „ოქროს ხელები" არც ახლა აკლია ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ ხშირად, დაუფასებელი რჩება.

„გზის" ერთ-ერთი წამყვანი რუბრიკის თემად ხელმარჯვე ოსტატების შემოქმედება ტყუილად როდი შევარჩიეთ. ამჯერად რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ. მანამდე კი, მცირე ისტორიული ექსკურსისთვის, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს მივაშურეთ.

თამუნა კვინიკაძე

ამ სფეროში მდიდარ წარსულზე მეტყველებს მუზეუმში დაცული ექსპონატები. თითოეული მათგანი უნიკალურია და ანალოგი არ მოეძებნება. როგორც მუზეუმის დირექტორმა **ვიხეილ კიკნაველიძემ** *მითხრა, ამჟამად მათთან 9000-მდე ექსპონატი ინახება.*

— ბატონო მიხეილ, მუზეუმი რომელ წელს დაარსდა?

— ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი 1899 წელს შეიქმნა. თავდაპირველად მუშთაიდის ბაღში იყო. მუზეუმთან ერთად ფუნქციონირებდა პატარა სახელოსნო, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშთაიდის ბაღიდან გამოაძევეს და მუზეუმმა მაჩაბლის ქუჩაზე დაიდო ბინა.

— დღეს მუზეუმში რამდენი ექსპონატი ინახება?

— აქ 9000-მდე ექსპონატია დაცული. გვაქვს უძველესი ხანჯლები, ვერცხლის თასები, ხევსურული კაბა, ფარდაგები, ხალიჩები...

— ექსპონატებიდან უძველესი რომელია?

— ღვინის თასი, ქართული ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშია და XVII საუკუნით თარიღდება.

— თქვენი ექსპონატები გამოფენებზე თუ გაგაქვთ?

— დიახ, 3 დეკემბერს სომხეთში 3 ხალიჩა მიგვაქვს. ჩვენთან დაცულია ხევსურული სადიაცო კაბა, რომელიც ჟაკლინ კენედის ეცვა.

— ეს როგორ მოხდა?

— ამერიკაში ჩატარდა კონკურსი, მასში ცნობილი ადამიანები მონაწილეობდნენ. ისინი საღამოზე ორიგინალური ტანსაცმლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. ჟაკლინ კენედის ხევსურული სადიაცო კაბა საქართველოდან ზურაბ წერეთელმა ჩაუტანა. ეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის.

— კაბას მოწონება ხვდა?

— რა თქმა უნდა, ჟაკლინ კენედის პირველობა მიაკუთვნეს. ხოლო 1925 წელს პარიზში მოწყობილ გამოფენაზე ჩვენს ორ ხანჯალს „გრან-პრი" მიენიჭა.

— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ მუზეუმთან პატარა სახელოსნო ფუნქციონირებდა. იქ რას ამზადებდნენ?

— მუშთაიდის ექსპერიმენტულ სახელოსნოში მაშინდელი ცნობილი მხატვრები იკრიბებოდნენ. მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. ლატვიიდან ჩამოსული სტრაუმე კავკასიაში მოგზაურობდა, ოჯახებს სტუმრობდა და ხალხური ხელოვნების ნიმუშებს ფოტოფირზე აღბეჭდავდა. შემდეგ ის ფოტო ექსპერიმენტულ სახელოსნოში მიჰქონდა, ადიდებდნენ და ორიგინალის მსგავს ნიმუშებს ქმნიდნენ. ■

ოქროს ხელოვანი და ხეში გაცოცხლებული სილამაზე

ირმა ხარშილაძე

ხეზე მუშაობა 45 წლისას დაუწყია. ღმერთისგან მაქვს ეს ნიჭი მომადლებული, თორემ მამაჩემმა ხარებისა და თოხის მეტი არაფერი იცოდა. დედის მხრიდან წინაპრები ხელოსნები ჰყოლია, ხელოვანი არავინ მყავდაო, — ამბობს. ეამაყება, რომ საჩხერეში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტს თავისი შექმნილი საათი და ხანჯალი აჩუქა. „საქართველოს დაცვა ხომ უნდა-მეთქი! — და საჩვენებლად ხანჯალი ბუდიდან ამოვაძვრინე. უეცრად შევნიშნე, დაცვას იარაღი მოემზადებინა. მე კი ამაზე არც დავფიქრებულვარ... ბატონი პრეზიდენტი დამპირდა, ამ ხანჯალს ჩემს ოთახში დავიდებო და... ალბათ, დაკიდა კიდეც“.

— ბატონო ჯემალ, ხეზე მუშაობა საგანგებოდ შეგასწავლეს თუ თქვენით შეისწავლეთ?

— ყველაფერი ღმერთისგან მაქვს ბოძებული. თბილისში, მშრალ ხიდზეც უნახავთ ჩემი ნამუშევრები და არავის სჯერა, მოყვარული რომ ვარ. ჰგონიათ, სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული. მხოლოდ ჩემმა მეზობლებმა იციან, რომ არსად მისწავლია.

იარაღებსაც ჩემით ვამზადებ. ამაზე მუშაობას ერთი-ორი კი არა, ასი-ასოცი სახეობის იარაღი სჭირდება

— შევამჩნიე, ქვაზეც მუშაობთ.

— ქვაზეც და ძვალზეც, მაგრამ — იშვიათად. ამას უფრო მეტი დრო და სხვადასხვაგვარი იარაღი სჭირდება, ამიტომ ძირითადად, ხეზე ვმუშაობ. თემებსაც ჩემით ვირჩევ და სიამაყითაც გეტყვით, რომ ერთსა და იმავეს არასდროს ვაკეთებ.

— აგერ გაქვთ კიბე ვიწროყელიან ბოთლში. სხვა საგნებიც მოგითავსებიათ ბოთლში. როგორ ახერხებთ?

— მაგ კიბეს, სხვათა შორის, 7 საფეხური აქვს, სიმბოლურად, კვირის 7 დღეს შევუსაბამე. თანაც, რამეზე მიდგმული კიბე დოვლათს ნიშნავს. გირჩებიანი ბოთლიც მაქვს, მასში სასმელს ვასხამ ხოლმე და საკმაოდ გემრიელი გამოდის. თითოეულ დეტალს ბოთლში პინცეტით ვათავსებ და მერე ვაწყობ. ძირითადად, ცაცხვზე ვმუშაობ.

— რატომ? უკეთესი გამოდის თუ იოლი მოსაპოვებელია?

— უფრო იშოვება კიდეც და ადვილადაც ვიმორჩილებ, რბილი ხეა.

— რა იარაღებით მუშაობთ?

— იარაღებსაც ჩემით ვამზადებ. ამაზე მუშაობას ერთი-ორი კი არა, ასი-ასოცი სახეობის იარაღი სჭირდება. მაგდენი ნამდვილად არ მაქვს. რაც მაქვს, არც ის არის ძალიან მჭრელი, მაგრამ რას ვიზამ? კარგი იარაღი უცხოეთშიც ძვირი ღირს.

— ოჯახში გამოსაყენებელ საგნებს, ვთქვათ, კარადებს, სკამებს, მაგიდებს ამზადებთ?

— რასაც დაზგაზე ამზადებენ, იმას არ ვაკეთებ. მე მხოლოდ ხელით ვმუშაობ.

— გამოფენებს აწყობთ?

— არაერთ გამოფენაზე ვყოფილვარ. „არტგენზე“ ვიყავი და ზუმბამ ალბომით დამაჯილდოვა. საერთაშორისო გამოფენებშიც ვმონაწილეობდი. მახსოვს, შევარდნაძის დროს რაღაც პრემიაც მომცეს.

— ძირითადად, ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების ფიგურები ჭარბობს თქვენს გალერეაში. მგონი, ხის კუნძსაც იყენებთ მასალად, არა?

— სულ უვარგისი კუნძიდან შეიძლება, ულამაზესი რამ გამოკვეთო. ზოგიერთისთვის ის შეშა და ნაგავია, ჩემთვის კი — სასარგებლო ნივთი.

— ასეთი ნამუშევრების შესაქმნელად, ალბათ, ბუნებასთან სიახლოვეა საჭირო.

— რა თქმა უნდა, მე მონადირეც ვარ და კარგი მეთევზეც. კარგი აღქმის უნარიც მაქვს. შორიდან ხეს რომ დავინახავ, უკვე ვიცი, მისგან რას გავაკეთებ.

— ეი. ხის დანახვისთანავე მუზაც მოდის?

— ასეც არის და ხანდახან, პიკასოსი არ იყოს, ჯერ ვპოულობ და მერე ვეძებ ანუ ჯერ იდეა მომდის და ხეს მერე ვეძებ.

— მაგალითად, როდესაც მქონოდა ქსოვილი ქსოვს, თუ რაღაც შეეშალა ან არ გამოუვიდა, არღვევს და



ჯემალ ჭილლაძის „ოქროს ხელებზე“ საჩხერეში მიამბეს, პირადადაც გამაცნეს და სასწრაფოდ დავიპატიჟე თავი სოფელ ორღულში. საშუალო განათლების მქონე ამ გასაოცარ კაცს საჩხერეში პატარა ჰიდროელექტროსადგური ჰრვეულს გაუკეთებია, დენზე მომუშავე სათოხი მანქანაც დაუმზადებია, სახლიც საკუთარი ხელით აუშენებია და ვფიქრობ, თუ მოისურვა, კიდევ ბევრ რამეს შექმნის, რადგან ორღულში ყოფნისას ყველაზე დიდ საოცრებას — ჯემალ ჭილლაძის არაჩვეულებრივ გამოფენას გავეცანი.

კიბის მეიდი საფეხური კვირის 7 დღეს შევუსაბამე. თანაც, რამეზე მიდგმული კიბე დოვლათს ნიშნავს

მე მონადირეც ვარ და კარგი მეთევზეც. კარგი აღქმის უნარიც მაქვს



თითოეულ დეტალს ბოთლში პინცეტით ვათავსებ და მერე ვაწყობ



თემებსაც ჩემით ვირჩევ და სიამაყითაც ვეტყვით, რომ ერთსა და იმავეს არასდროს ვაკეთებ

პრაქტიკანტი აღარ ვარ, ამხელა არწივზე ვიმუშაო 20 დღის განმავლობაში და გამიფუჭდეს?!

თავიდან იწყებს. მკერავიც, ვიდრე კერვას დაიწყებს, ასჯერ გაზომავს, რადგან მერე შეიძლება ქსოვილი გადასაგდები გაუხდეს. თქვენ როგორ იქცევით ანალოგიურ შემთხვევაში?

— თავიდან მართლა მქონდა ასეთი შემთხვევები — შეცდომებს ვგულისხმობ. ახლა თუ მსგავსი რამ დამემართა, ამ ხელობას მაშინვე თავს დავანებებ. პრაქტიკანტი აღარ ვარ, ამხელა არწივზე ვიმუშაო 20 დღის განმავლობაში და გამიფუჭდეს?! ეს ჩემთვის დიდი შეურაცხყოფაა. ასეთი რამ აღარ დამემართება.

— ახლა რომ არწივზე მუშაობთ, მის დასრულებას რამდენი ხანი სჭირდება?

— სამი კვირა სჭირდება, თავიდან ბოლომდე რომ გავაკეთო. თან, დღეში 2-3 საათზე მეტს ვერ იმუშავებ არწივზე, რადგან იმ დროს გონებრივადაც იტვირთები. აი, სასმისზე კი თავაუღებლად შემიძლია მუშაობა.

— ნამდვილი არწივი ახლოდან გინახავთ?

— როგორ არ მინახავს?! მაგრამ მათშიც განსხვავებაა. სხვადასხვა ჯიშის არწივი ვიცი.

ოქროს ხელები

— ყველაზე მეტად, როგორ ფორმებსა თუ ფიგურებზეა მუშაობა რთული?

— რთულია გააკეთო, ვთქვათ, არწივი თევზს რომ იჭერს.

— ანუ დინამიკაში შესრულებულ კომპოზიციას გულისხმობთ?

— კი. თან, სიმეტრიის დაცვაა მაგ დროს აუცილებელი.

— ცაცხვის გარდა, რომელ ხეზე მუშაობთ?

— კაკლის ხეზე. კიდევ, ყვირილაზე საბანაოდ რომ დავდივარ, იქიდან ჭრელი ქვები მომაქვს და სხვადასხვა ფორმას ვაძლევ.

— ყოველთვის მარტო მუშაობთ თუ ოჯახის წევრები ან შეგირდები გეხმარებიან?

— ვაჟი არ მყავს, რომ მომეხმაროს. გოგონები დამითხოვდნენ, სიძეებს კი არ აინტერესებთ. ეგ კი არა, შეგირდები მყავდა, მაგრამ სამუშაოს ვერ გაუძლეს — ნერვები არ ეყოთ. ახლა იმედად მხოლოდ შვილიშვილი დამრჩა, ეგებ ის დაინტერესდეს და შეისწავლოს, თუმცა თუ ნიჭი არ დაჰყვა, არაფერი გამოუვა.

— ოჯახში მეუღლე არ აპროტესტებს თქვენი და ხის „მეგობრობას“?.. ალბათ, მისთვის დრო აღარ გრჩებათ.

— აპროტესტებს, — მაგას რას ჩასცივებიხარ, საქმე გააკეთე, თოხნე და ბარეო, — მეუბნება. თუმცა ბოლო ხანს მიეჩვია და აღარაფერს ამბობს. ისე, ცოტას ვთოხნი კიდეც.

— როცა ცუდ გუნებაზე ხართ, მაშინაც მუშაობთ?

— არა, რა თქმა უნდა. წყნარად და მშვიდად უნდა ვიყო და თანაც, მუსიკა მქონდეს ჩართული — ასე ვმუშაობ.

— ამდენი სასმისი რომ დაგიმზადებიათ, ქეიფი გეყვარებათ.

— ღვინოს მაინცდამაინც არ ვეტანები, სუფრასთან საუბარი უფრო მიყვარს. სხვათა შორის, ეს ამბავი ყველას აოცებს — ამხელა სასმისებს ამზადებ და ღვინოს არ სვამო?

— კედელზე გიკიდიათ საფერფლე პისტოლეტით, რა თქმა უნდა, თქვენი დამზადებული...

— ორივე სატანის მოგონილია — იარაღიც და სიგარეტიც, რომელსაც საფერფლეში აფერფლებ, ამიტომაც მოვაქციე კომპოზიციაში.

— ამდენი მასალის შოვნა არ გიძნელდებათ?

— ბევრი მჩუქნის კიდეც, აბა, ამდენ რამეს როგორ შევქმნიდი?! ჩემი ნამუშევრების ნაწილი მშრალ ხიდზეც მაქვს გასაყიდად გატანილი. ასე რომ, შესაძლებელია, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წააწყდეთ. არადა, დრო იყო, სხვა მოსწავლეებისა და სტუდენტებივით გაჭირვებაში ვცხოვრობდი, ზღვაში ფეხის შედგმისაც კი მეშინოდა, ახლა... შუა ზღვაში ვარ და თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვის ფსკერზეც გავივლი, თუ მოვისურვებ (*იცინის*).

„ახალქნე — ობობას ხელოვნება“

„არაქნე — ობობას ხელოვნება“ — პირობითად, ასე უწოდებს ახალ მიმართულებას სახვით ხელოვნებაში თვითნასწავლი მხატვარი ია მღებრიშვილი, რომელიც უნიკალურ საქმეს, აბლაბუდით ხატვას მისდევს... 13 წლის წინ, სახლის დალაგებისას ოთახის კუთხეში აღმოჩენილი ობობას უნაზესი ქსელი და მისგან შექმნილი პირველი ნახატი — „მშვენიერების დატყვევება“ — პროფესიით ფილოლოგი ქალბატონის სამხატვრო შემოქმედების დასაწყისი გახდა...

ეთო ყორღანაშვილი

— ბერძნული მითის თანახმად, ახალგაზრდა ქალმა — არაქნემ ქსოვის ხელოვნება ქალღმერთ ათენასაგან შეისწავლა. იგი ამაყობდა, რომ მთელ დედამიწაზე ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა. არაქნე გაკადნიერდა და საკუთარ მასწავლებელს გაეჯიბრა. ქალმა უმაღლესი ხარისხის ქსოვილი შექმნა, რომელზეც ღმერთების უხამსი ქმედებები გამოსახა. ათენა განრისხდა და არაქნეს ქსოვილი დახია. ქალმა თავი ჩამოიხრჩო. ქალღმერთმა მას სიცოცხლე დაუბრუნა, ოღონდ — ობობად აქცია, რათა მთელი ცხოვრება თავისსავე ქსელზე ყოფილიყო დაკიდებული და ისე ექსოვა... საინტერესოა, საუკუნეების მერე, რაღა მაინცდამაინც ქალის გონებაში წარმოიშვა იდეა, რომ ობობას ქსელით მხატვრული ნამუშევრები შექმნილიყო?

მსოფლიო ხელოვანთა საერთაშორისო გამოფენაზე ნამუშევრებს ნამდვილი ფურორი მოუხდენია

ვფიქრობ, ეს საოცარი ფაქტია!.. ბატონი გია ბულაძე არაქნეთი მომმართავს ხოლმე — არაქნე, როგორ ხარო (*იცინის*)?

— საინტერესოა, აბლაბუდით როგორ ხატავთ?

— ეს სპეციფიკური სამუშაოა... როგორ აგიხსნა? ობობას ქსელს ვიყენებ ისე, როგორც სხვა მხატვრები — საღებავს. აბლაბუდა ჩემი სამუშაო მასალაა.

— ობობას ქსელებს სად შოულობთ?

— მჩუქნიან... თქვენ რატომ არ მაჩუქეთ? ეს აუცილებლად დაწერე: როცა ჩემთან ინტერვიუსთვის მოდიხართ, უნდა „გადამიხადოთ“: კი არ გთხოვთ, მოვითხოვ ობობას ქსელებს!.. ხშირ შემთხვევაში — მჩუქნიან, მაგრამ თვითონაც ვაგროვებ ხოლმე. სხვათა შორის, საუკუნის ქსელიც მაქვს — ერთი პიროვნება შემპირდა, რომ ამ უნიკალურ აბლაბუდას მომაპოვებინებდა... ყველაფერს ვერ გეტყვი, შესაძლოა, ვინმეს რამე ვავნო (*ილიმება*)... მოკლედ, დიდი ნაცნობობით, ერთ-ერთ მარანში შევაღწიე. ჩემი ვაჟიშვილი ვიდეოკამერით მახლდა. ის რეჟისორია და ყველაფერი დააფიქსირა — იქნებ, რეალური კადრები ოდესმე დოკუმენტური ფილმისთვის გამოადგეს. სულ „ვაის“ და „ვუის“ ვყვიროდი — დუბლი არ მომთხოვოთ-მეთქი (*იცინის*)... მარანში რომ შევედი, დავინახე — ჩემი სანუკვარი განძი ფარდასავით ეკიდა! რა დამემართა, ვერ აღგიწერ!..

— კედლიდან აბლაბუდის დაუზიანებლად ჩამოღებას როგორ ახერხებთ?

— ქაღალდის ფურცლით... ძალიან მარტივია.

— საუკუნის ქსელით ნახატი უკვე შექმენით?

— მთლიანად საუკუნის ქსელით არ შემიქმნია — მაინც რთული მოსაპოვებელია და ვუფრთხილდები, ვიზოგავ ნახატების პატარ-პატარა დეტალებში ვიყენებ ხოლმე.

— როგორც ვიცი, თქვენს ერთ-ერთ ნამუშევარში იერუსალიმის წმინდა ადგილიდან მოპოვებული ქსელიც გაქვთ გამოყენებული...

— იერუსალიმში ჩემი მეგობარი ქალბატონი — ნანა შარაშენიძე ტურისტულ მოგზაურობაში იმყოფებოდა. მოინახულა ბეთანიის მღვიმე, სადაც იესო ქრისტეს მოხმობის შემდეგ — „ლაზარე, გამოვედ გარეთ!“ — ლაზარე აღდგა. სწორედ ლაზარეს აღდგინების ადგილიდან ჩამოხსნა ობობას ქსელები და საჩუქრად ჩამომიტანა. ეს გახდა მუხტი იმისა, რომ ნამუშევარი — „ლაზარეს აღდგინება“ შემექმნა. მაქვს ბიბლიური ციკლი და ეს ნახატი მისი გაგრძელება იყო...

— არ გიფიქრიათ — იქნებ, მკრეხელობაა წმინდანების აბლაბუდით გამოსახვა?

— რა თქმა უნდა, მკრეხელობა არ არის. ყოველთვის ვამბობ: რაც სიყვარულით იქმნება, ყველაფერი გამართლებულია. სიყვარული თავად ღმერთია... ერთ-ერთი ნამუშევარი — შობის კომპოზიცია სპეციალურად პატრიარქის დაბადების დღისთვის შევქმენი. ამჟამად, როგორც ვიცი, ის ნახატი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ინახება. საპატრიარქოში ბიბლიური ციკლიც მქონდა გამოფენილი და ჩემი ხელოვნება პატრიარქის სიგელითაა დაჯილდოებული.

— კიდევ, რა სიგელები გაქვთ მიღებული?

— ძალიან ბევრი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი პატრიარქის სიგელია. ბევრი ადამიანისგან მსმენია — შენი ნახატები მსოფლიოს ნებისმიერ გალერეას დაამშვენებსო. ეს ჩემთვის ცოტას არ ნიშნავს... ჩემი ნახატები გერმანიის ქალაქ ბილეფელდში მსოფლიო ხელოვანთა საერთაშორისო გამოფენაზე იყო. როგორც გავიგე, აბლაბუდით შექმნილ ნამუშევრებს ნამდვილი ფურორი მოუხდენია. ნანობდნენ, რომ ავტორი იქ არ იმყოფებოდა — ალბათ, ბევრი კითხვა გაჩნდა, ჩემ გარდა, ვინ უპასუხებდა?

— გამოფენაზე თქვენ რატომ არ იყავით?

— ჩემი გამგზავრება კულტურის სამინისტროს რომ დაეფინანსებინა, მეც წავიდოდი (*იცინის*).

— სულ რამდენი ნახატი გაქვთ შექმნილი?

— ბევრი კერძო კოლექციონერის მფლობელობაშია, საქართველოშიც და უცხოეთშიც. თუ არ ჩავთვლით მათ, ჩემს ძირითად კოლექციაში 60 ნახატი იქნება... ძალიან მნიშვნელოვანი ნამუშევრები შევქმენი ბიბლიურ თემაზე — „შობა“ და „ამაღლება“, რომლებსაც ამჟამად სხვა პატრონი ჰყავთ... საერთოდ, ნახატებს იშვიათად ვყიდი — ჩემთვის სულერთი არაა, ვინ იქნება ჩემი ნამუშევრების მფლობელი. საბედნიეროდ, ღირსეული ადამიანების ხელშია. მათი ვინაობის გამხელა არ მინდა (*იცინის*)... უცხოეთში, კერძო პირებსაც აქვთ. მაგალითად, ტეხასის შტატში, დალასში ჩემი ნახატი ერთ-ერთი ნავთობმაგნატის ოჯახს ამშვენებს. ის კაცი მილიონერია.

— ანუ კარგი შემოსავალი გაქვთ?

— ვაიმე, სამწუხაროდ, ჩემგან ქართველი ინტელიგენცია ყიდულობს და შემდეგ უცხოელ მილიონერებს ჩუქნის. ეს ორიგინალური ნახატები ექსპერტების მიერ საკმაოდ ძვირადაა შეფასებული, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობ — იმ ფასებში ვერ და არც ვყიდი... საერთოდ, ნამუშევრებს ძნელად ველევი.

— ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ ობობას ქსელისგან შექმნილი ნახატები დროთა განმავლობაში დაზიანდეს?

არ მაქვს იმის მიმი, რომ ჩემი ნახატები დროთა განმავლობაში გაქრება

— არა. მექანიკური ზემოქმედება თუ არ მოხდა, ჩემი ნამუშევრები საუკუნეებს გაუძლებს. ამის თქმის საფუძველი მაქვს: ობობას ქსელის ქიმიური შემადგენლობა შევისწავლე. არ მაქვს იმის შიში, რომ ჩემი ნახატები დროთა განმავლობაში გაქრება.

— ამჟამად, რა თემაზე მუშაობთ?

— იცი, აგვისტოს მოვლენებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა... ალბათ, დავხატავდი — „თავისუფლებას“. იდეა ჯერ კარგად ჩამოყალიბებული არ მაქვს, მაგრამ ის თავისთავად მოვა, როცა სამუშაო მაგიდას მივუჯდები ანუ როცა მე და ობობას ქსელები მარტო დავრჩებით... ■

ოჯახის ხელობა

საარსებო საქმედ ქცეული ჰობი, ბუნებით ნაჯარნახევი ყომპოზიციები და ადამიანისგამოსახულებიანი ხის ნაქერი

როდესაც არაფრისგან რაღაცას ვაკეთებ, ძალიან მსიამოვნებსო, — მითხრა 59 წლის გიორგი რთველიაშვილმა. რუსთაველზე, გარე გამოფენასთან ჩავლისას შეუძლებელია, არ შეამჩნიო ხისგან გაკეთებული ულამაზესი სუვენირები; არც მის უკან მდგარი სევდიანი გამომეტყველების ადამიანი გამოგრჩება თვალთახედვიდან, ვისთვისაც ცხოვრება ძალზე მკაცრი აღმოჩნდა: პროფესიით ბიოფიზიკოსი კაცის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სტუდენტობის დროინდელი ჰობი დღეს მისთვის თავის რჩენის ერთადერთ საშუალებად ქცეულა.

თორნიკე ყაჯრიშვილი

— დღეს გაყიდეთ რამე?

— ჯერ არაფერი. გუშინ ერთი სუვენირი გავყიდე, შანდალი მქონდა გაკეთებული.

— აქ ყოველდღე დადიხართ?

— ყოველდღე ვერ ვახერხებ. ფონიჭალაში ვცხოვრობ და ცუდ ამინდში გამოსვლას აზრი არა აქვს: ამ დროს ქუჩაში ბევრი ხალხი არ დადის და რაიმის გაყიდვის შანსი ნაკლებია.

— დღეში რამდენ ნამუშევარს ყიდით?

— დღეს, როგორც გითხარით, ჯერ არაფერი გამიყიდია. ძნელი სათქმელია. ერთ დღეში რამდენს ვყიდი. ბევრჯერ უფულოდ წავსულვარ სახლში. მზიან ამინდში კი საშუალოდ, ორი-სამი სუვენირი იყიდება ხოლმე.

— რამდენი ხანია, რაც ასე საქმიანობთ?

— ფაქტობრივად, რაც სამსახური დავკარგე ანუ 1993 წლიდან. ქვეყანა რომ აირია, იქიდან მოყოლებული, ამ საქმით ვარ დაკავებული. ჩემი პროფესიით ცოტა ხანს ვიმუშავე. შემდეგ, ელექტრომექანიკოსის კურსები გავიარე და კარგა ხანს, ლიფტების შემკეთებლად ვმუშაობდ... 10 წელი ასე ვსაქმიანობდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ახალგაზრდობის დროინდელი ჰობი თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას მექცეოდა.

— მაინც, როდის გაგიტაცათ ამ საქმემ?

— სტუდენტობის დროს ჩემი ჯგუფელი, ნიჭიერი ადამიანი — ნუკრი ლეკვეიშვილი ჯგუფელ გოგონებს დაბადების დღეზე თავის გაკეთებულ ხის სუვენირებს ჩუქნიდა (სხვათა შორის, ნუკრი ამ საქმეს მალე შეეშვა და ძალიან საინტერესო, მხატვრობის ახალი სტილი აირჩია: დღეს ის ხოხბის ბუმბულებისგან ულამაზეს ნახატებს ქმნის). როდესაც პირველად ვნახე მისი ნამუშევრები, ძალიან მომეწონა. იმ დროს მეგობრები მთაწმინდაზე ფეხით ხშირად დავდიოდით. ავლა-ჩამოვლის დროს, სხვადასხვა ფორმის ტოტებსა და ფესვებს ვპოულობდით. სახლში მიმქონდა და მეც „ვხელმარჯვეობდი". გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერთობოდი ამ საქმით. ხის ტოტებისგან ვთლიდი პატარა ცხოველებსა და ფრინველებს და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. მაგრამ მაშინ რასაც ვაკეთებდი, არ ვყიდდი, ახლობლებსა და ნათესავებს ვჩუქნიდი. უმუშევრად დარჩენის შემდეგ დიდხანს არ მიფიქრია, რით მერჩინა თავი და ამ საქმეს ისევ მოვკიდე ხელი. პირველ ნამუშევარს „ჩიტი ხეზე" დავარქვი და პირველ დღესვე გავყიდე. ამან დიდი სტიმული მომცა და იქიდან მოყოლებული, ასე ვსაქმიანობ.

— არ გიცდიათ, ნამუშევრები მაღაზიაში ჩაგებარებინათ, აქ რომ არ იყინებოდეთ?

— აქ რომ ვდგავარ და ვყიდი, გგონია, მეხალისება? მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. მაღაზიაში თავის პროცენტს დაუმატებენ, იმხელა ფასი დაედება, რომ შეიძლება, თვეები გავიდეს და არაფერი გაიყიდოს. მირჩევნია, აქ ვიდგე, ვიდრე მაღაზიაში მედოს.

— ეი. თქვენი შემოსავლის წყარო მარტო ეს არის?

— მარტოხელა კაცი ვარ. ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო ეს არის, ცოტას პენსიაც „მეშველება" და თავს ასე თუ ისე, ვირჩენ.

— მასალას სად შოულობთ?

— ყოველკვირა მტკვრის სანაპიროზე გავდივარ. წყლიდან გამორიყული, ძალიან ბევრი საინტერესო ფორმის მასალა მხვდება. ხშირად დამუშავებული და გაპრიალებულ ხის ტოტებს ვპოულობ, ვაგროვებ და სახლში მიმაქვს. როდესაც ძალიან საინტერესო ფორმის ფესვს ვპოულობ, პატარა ბავშვივით მიხარია. ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე და მისგან რაღაც გავაკეთო. ხშირად „თვითონ მკარნახობს", რა უნდა გავაკეთო მისგან. ზოგჯერ ისეთი ფორმის ხეს ვპოულობ, შელამაზება აღარც სჭირდება და პირდაპირ ვყიდი. მსგავსი ფორმის ბუნებრივ ხეს მეორედ ვერსად ნახავთ. უმეტესობა, რასაც ვყიდი, ასე ვთქვათ, ექსკლუზივია და ასეთ ნამუშევრებს შედარებით ძვირად ვაფასებ. მაგალითად, სუვე-

როდესაც ძალიან საინტერესო ფორმის ფესვს ვპოულობ, პატარა ბავშვივით მიხარია

წერო ძალიან რთული გამოსათლელია — წვრილი კისერი და ფეხები აქვს





ზოგჯერ ისეთი ფორმის ხეს ვპოულობ, შელამაზება აღარც სჭირდება

ამ კომპოზიციას 10 ლარს ვაფასებ. უკვე დიდი ხანია, მიდევს

ნირს, რომელსაც „შვლის ნუკრი“ დავარქვი, დასრულებული სახე ჰქონდა. მაგრამ სულ ვფიქრობდი, რომ რაღაც აკლდა. დიდი ხნის შემდეგ ვიპოვე ადამიანის ფორმის ტოტი, რომელიც ამ შველს ზუსტად მოერგო, მივამაგრე და გამოვიდა ორიგინალური სცენა — მონადირე შვლის ნუკრს განგმირავს. შველს კისერი წითელი ფანქრით შევუღებე, ეფექტური რომ გამოსულიყო. საერთოდ, ნაკლებად ვიყენებ საღებავებს, ვცდილობ, ბუნებრივ ფერებს მივანიჭო უპირატესობა. მაგრამ ზოგჯერ ნამუშევარი თვითონ ითხოვს ფერებს და ამისთვის მხოლოდ ფანქარს ან ფლომასტერს ვიყენებ. მაგალითად, ამ წეროს ასანთით ვმურავ; სხვათა შორის, წერო ძალიან რთული გამოსათლელია — წვრილი კისერი და ფეხები აქვს. ყველაზე ადვილია ჩიტის გამოთლა, რომელსაც ნაკლები დრო და შრომა სჭირდება. კვერცხებად საღეჭ რეზინს, ხან სანთელს ვულაგებ და ა.შ. ასევე ძალიან ადვილია ვარდების გაკეთება, რომლისთვისაც ლამაზად გაშლილ გირჩებს ვიყენებ. ამას ბევრს არ ვაფასებ — დაახლოებით 2 ლარად ვყიდი. სხვათა შორის, მოსწონთ. გარდა ამისა, მასალად ვიყენებ ასანთის ღერებს, ეკალს, ფოთლებსა და ბალახებს. მსიამოვნებს, როდესაც არაფრისგან რაღაცას ვქმნი.

— ამ გედებს რამდენად ყიდით?

— ამ კომპოზიციას 10 ლარს ვაფასებ. უკვე დიდი ხანია, მიდევს. დაიმტვერა და შევღებე. თავიდან ბუნებრივი ხის ფერი იყო. ვფიქრობ, უფრო ლამაზი გამოვიდა.

— სამუშაო იარაღებად რას იყენებთ?

— დანასა და ქლიბს.

— ერთ დღეში დაახლოებით, რამდენ ნამუშევარს აკეთებთ?

— როდესაც ჯანმრთელობა ხელს მიწყობდა, დღეში დაახლოებით, 10-15 სუვენირს ვაკეთებდი, მაგრამ ახლა შეიძლება, დღეები გავიდეს და არაფერი გავაკეთო. ისე, საშუალოდ, 3-4 ნაკეთობას თუ გავაკეთებ. გააჩნია, როგორი დღე იქნება: თუ ერთ დღეში რამდენიმე ნამუშევარი გავყიდე, სტიმული მეძლევა და მეორე დღისთვის უფრო მეტს ვაკეთებ, თუ არ იყიდება და ტყუილად მილაგია, მაშინ არ ვწვალობ. ვცდილობ, რაც გაკეთებული მაქვს, ჯერ ის გავყიდო და მერე გავაკეთო ახალი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი კვირა მაინც ვერაფერი გავყიდე, ახალი ნაკეთობის გაკეთებას მაშინ ვიწყებ. თუ ერთი და იგივე ნაკეთობა დიდხანს დევს, თვალი ეჩვევა და ახლოს აღარავინ მოდის. ყოველთვის ახლის გაკეთებას მთხოვენ და ხშირად შეკვეთასაც მაძლევენ.

— ამ სუვენირებს ძირითადად, რა ასაკის ადამიანები ყიდულობენ?

— ძირითადად, ახალგაზრდები. საჩუქრად უძღვნიან თავიანთ მეგობრებს. ასევე, თურქები ყიდულობენ ხშირად და თან, ძალიან ბევრს. ერთმა კაცმა 7 სუვენირი იყიდა. ერთხელ ქვა ვიპოვე, რომელზეც გამოსახული იყო პატარა ბიჭის თევზაობა. შავი ფანქრით კონტურები გავუკეთე და შემდეგ, უფერული ლაქი გადავუსვი. ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ პირველსავე დღეს გავყიდე — ჰოლანდიელმა კაცმა იყიდა. რა ღირსო? — შემეკითხა. ვუპასუხე, — 10 ლარი-მეთქი. ჯიბიდან 10 დოლარი ამოიღო და მითხრა, — ეს ნამუშევარი შეუფასებელიაო... ამას წინათ, ერთი ფესვი გადავჭერი, რომელზეც ადამიანის სახე იყო გამოსახული. რა ხე იყო, ვერ გავარკვიე და ეს ნამუშევარი რატომღაც, ქაშუეთის ეკლესიასთან წავიღე. ერთმა ახალგაზრდა ქალმა მითხრა, — უფლის სახეა გამოსახულიო, — და მანვე იყიდა. არადა, თავიდან ეს ხის ნაჭერი სუვენირის საყრდენად უნდა გამომეყენებინა. ადამიანის სახე რომ გამოისახა, ხელი აღარ ვახლე... ■

ღამეზედ გაგრძელებული მეგობრული ტრადიცია



„ჩემი შემოქმედების შემფასებელი ხალხია. მე მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ „ვარსკვლავის“ გახსნის შემდეგ უფრო მეტად მეფერებიან. ხალხის სიყვარული ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. ამ სიყვარულმა არ უნდა გაგათამამოს. შენი ყოველი ნაბიჯი და სიტყვა უნდა გააკონტროლო,“ — მითხრა საუბრის დასაწყისში ბატონმა **გივი ბერიკაშვილმა.**

როგორ გადაურჩნენ გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე გაკოტრებას

მარეხ ჭონიშვილი

— ბატონო გივი, 15 მაისს თქვენი სახელობის „ვარსკვლავი“ გახსნეს. რა შეგრძნება გქონდათ იმ დღეს, ღელავდით?

— როგორ შეიძლება, ასეთ დღეს არ იღელვო? ეს დიდი ბედნიერებაა, ყველას უნდა, მოგილოცოს, შეგეხოს, მოგეფეროს... 23 ოქტომბერს კახი კავსაძის ვარსკვლავი გახსნეს. ისიც ძალიან ღელავდა. ხალხს ხელიდან ძლივს გამოვგლიჯე... ეს ვარსკვლავი მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების შეფასებაა, რომელიც ჩემმა ხალხმა გამიხსნა. ხალხის სიყვარული და სითბო არასოდეს მაკლდა, არც მე ვარ უკარება კაცი, მაგრამ „ვარსკვლავის“ გახსნის შემდეგ ხალხისგან უფრო მეტ სითბოს ვგრძნობ და ამით ბედნიერი ვარ.

— 75 წლის ბრძანდებით. ამბობენ, წლები მიდის, მაგრამ გული არ ბერდებაო, ასეა?

— ახალგაზრდობაში, 50 წლის კაცის გარდაცვალების ამბავს რომ გავიგებდი, გავიფიქრებდი, — ბევრი უცხოვრია, მეტი რაღა უნდოდა-მეთქი?!. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ 50 წელი კი არა, 75 წელიც

ცოტა ყოფილა. გული თურმე არ ბერდება. ბევრი რამის გაკეთებას ვერ ასწრებ.

— თქვენს ცხოვრებაში რაიმეს შეცვლიდით?

— არაფერს შევცვლიდი. ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად გავაკეთებდი — უქმად არც ერთ წუთს არ დავკარგავდი.

— როგორც ვიცი, ქეიფი ძალიან გიყვართ...

— კარგ საზოგადოებაში ყოფნას და ქეიფს არაფერი სჯობია, მაგრამ ასაკი თავისას შვრება. ახლა ხშირად ქეიფს ვერიდები.

— თქვენი როლებიდან ყველაზე მეტად, რომელი გიყვართ?

— ვერ გამოვყოფ. ჩემთვის ყველა გმირი ერთნაირად საყვარელია. არის მსახიობთა კატეგორია, რომლისთვისაც კინოა მთავარი, ზოგისთვის — თეატრი. მე ორივე სფეროში ვიმუშავე. ქართულ კინოში ჩემი მოღვაწეობა ეპიზოდური როლებით დაიწყო. პოპულარობა „ლონდრემ“ მომიტანა. თეატრში კი სპექტაკლმა — „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“.

— თქვენ და ბატონი კახი მეგობრები ხართ, როგორ მოხდა თქვენი დამეგობრება?

— თამარ ჭავჭავაძის ქალიშვილი, ლიკა ჭავჭავაძე ჩემი თანაჯგუფელი იყო. მათთან სახლში ხშირად მივდიოდი. კახი ლიკას მეზობელი გახლდათ. იქ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით. შემდეგ ერთად კინოში მოგვიწია თამაშმა. აგერ უკვე 20 წელია, ჩვენს ცხოვრებაში ესტრადაც გაჩნდა. ხალხს უკვე ცალ-ცალკე ვერც კი წარმოვუდგენივართ. ჩვენი ერთად ყოფნა ხალხს უნდოდა. ჩემი „ვარსკვლავის“ გახსნის შემდეგ დავით ოქიტაშვილს ვუთხარი: სანამ ჩემთვის თავში რაიმე ჩაურტყამთ და ვინმეს მოვუკლავარ, ვარსკვლავი კახისაც გაუხსენით-მეთქი: ქუჩაში ვერ გავდიოდი, მაჩერებდნენ და მეკითხებოდნენ, — შენი ვარსკვლავი რომ გახსნეს, კახისი სადააო?!. პირველად კახის ვარსკვლავი რომ გაეხსნათ, დარწმუნებული ვარ, ჩემზეც ამას იტყოდნენ.

— როგორც ვიცი, თქვენს მეგობრობას თქვენი შვილებიც აგრძელებენ.

— კი, ჩემი და ჩემი მეგობრის შვილები მეგობრობენ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ზურიკო და კახის ირაკლი კარგი მეგობრები არიან. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ირაკლი და ზურიკო ხომ ერთად გაიზარდნენ. გადაღებების დროს ხშირად დაგვყვებოდნენ, შემდეგ ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს. ჩემი და კახის შვილიშვილებიც მეგობრობენ. აი, ასე ლამაზად გრძელდება ჩვენი მეგობრობის ტრადიცია.

— თქვენ და ბატონ კახის ერთხელ ბიზნესიც წამოგიწყიათ...

— წამოვიწყეთ, მაგრამ ჩვენგან ბიზნესმენები არ გამოვიდა. მარნეულის მხარეს 120 ჰექტარი მიწა ავიღეთ იჯარით და ხორბლის მოყვანა გადავწყვიტეთ. 3 წლის განმავლობაში ვირებივით ვშრომობდით და ძლივს ვახერხებდით დახარჯული ფულის ამოღებას. ერთი კილო ხორბლის მოყვანა 22 თეთრი გვიჯდებოდა, ქარხნები კი — 15 თეთრად იბარებდნენ. ბანკში ჯერ კახის ბინა ჩავდეთ, შემდეგ — ჩემი. ძლივს გადავურჩით ამ ბინების გაყიდვას. ჩვენს ადგილას ბევრი მალევე გაკოტრდებოდა, მაგრამ ჩვენ დაგვეხმარა ის ფაქტი, რომ გივი და კახი ვართ. სამეგობროც გვერდზე დაგვიდგა. ბევრი ვინმე შევაწუხეთ. ფქვილი მარნეულიდან თბილისში ჩამოვიტანეთ და ფურნეში ერთ კაცს გასაყიდად მივუტანეთ. მან გვითხრა: „რომ გავაფორმო, დიდი გადასახადია, ამიტომ „ლევად“ შემოიტანეთ; თქვენც აქ იყავით — რომ დამიჭირონ, ვიტყვი, აი ამათია და რა ვუყო, სახლებს ხომ არ გავაყიდვინებ-მეთქი?!.“ ყველა ჩვენს დახმარებას ცდილობდა. ბევრი ვიჯახირეთ, 3 წელი გაფქვილულებმა ვიარეთ და ამ საქმიდან ისე გამოვედით, რომ ვალი არ დაგვრჩენია.

— ბატონო გივი, თქვენი და ბატონი კახის ტანდემი ფილმში შედგა, თეატრის სცენაზე კი ერთად არასოდეს გითამაშიათ. ნუთუ არ გქონიათ სურვილი, ერთ სპექტაკლში გეთამაშათ?

— მე და კახის არ გვინდა, თეატრიდან ის წავიდეთ, რომ სცენაზე ერთად არ ვითამაშოთ. ამ საკითხზე უკვე 3 რეჟისორი ფიქრობს. შეიძლება, მაყურებელმა ერთ სპექტაკლში მალე გვიხილოს. ეს ჩვენთვის და მაყურებლისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება.

— დღევანდელ ახალგაზრდებზე რას იტყვით?

— თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ. ჩვენს დროს ხშირად ასეთ ფრაზას გაიგონებდით: ახლა შენ გოგოსთან ერთად არ იყო, მე ვიცი, რასაც გიზამდიო!.. მოსისხლე მტერი ქუჩაში გოგოსთან ერთად რომ გენახა, მას შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდი. თუ მიაყენებდი, ეს იქნებოდა საშინელება და ამ ამბავს მთელი თბილისი გაიგებდა. ახლა ამ ფრაზას ალბათ გოგონები ამბობენ...

— რას გულისხმობთ?

— არ მომწონს ახლანდელი გოგონების სითამამე. ქუჩაში ნახევრად შიშვლები დადიან, ხშირად იგინებიან კიდეც. ზოგს მართლა უხდება ისეთი ჩაცმა, მაგრამ ზღვარი ყველაფერს აქვს. ხომ იცით, რუსთაველის შესანიშნავი გამოთქმა: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირად". შვილებო, გოგონებო, ჩემი რჩევა იქნება, ნუ გაშიშვლდებით, თორემ მალე გვერდით კაცი აღარ გეყოლებათ!.. გაიძახიან, ევროპელები ვართო და რაც ცუდია, ის გადმოიტანეს. პირადად მე, მირჩევნია, ჩემმა შვილიშვილმა ორი-სამი ცოლი გამოიცვალოს, ვიდრე „ცოლად" ბიჭი მოიყვანოს...

— ბატონო გივი, ცოტა ხომ არ აჭარბებთ?..

— ცოტა ხანში თუ აზრზე არ მოვედით, უარეს დღეში აღმოვჩნდებით. როგორ უნდა ვიყო იმედიანად, როცა სკოლებში სავალალო მდგომარეობაა?! ბავშვები აღარ სწავლობენ. ჩემი სკოლის დირექტორმა ერთხელ რომ დამტუქსა, ვუთხარი: რა გინდათ, მასწავლებელო, მამაჩემი ხომ არ ხართ-მეთქი? მითხრა: აბა, ვინა ვარ, ბიჭო?!. მე შენი მეორე მშობელი ვარ და აბა, ერთი, არ ისწავლო!.. მეშინოდა და თანაც რიდი მქონდა მასწავლებლის, ამიტომ ხელიდან წიგნს არ ვუშვებდი. ახლა სკოლაში ბავშვებს მასწავლებელი არაფერს სთხოვს და ისინიც არ იკლავენ თავს სწავლით.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას და შევინარჩუნოთ ტრადიციები. ქვეყანას რომ გავუფრთხილდეთ, ამისთვის საჭიროა, ერთმანეთი შევიყვაროთ, ჩვენ-ჩვენი საქმე ხუთიანზე გავაკეთოთ, სხვისი წარმატებების არ შეგვშურდეს. პირიქით — მეგობრის, კოლეგის წარმატებით ვხარობდეთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის სჯობს, აი, მაშინ ყველაფერი აეწყობა. ქართველებს დღეს რაღაც გვჭირს, ბევრ რამეს ვითმენთ, არ ვამბობთ და ეს სამწუხაროა.

— საოცნებო როლი თუ გაქვთ?

— რომელიმე როლის შესრულება მინდოდა და არ მოხერხდა-მეთქი, რომ გითხრათ, არ იქნება სიმართლე. ჩემი შემოქმედებითი და პირადი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ... ■





ნინო ჩხეიძის ძმა და მეუღლე ბიზნესკონკურენტები არიან



მომღერლის ძმა დიმა ჩხეიძე, მიუხედავად იმისა, რომ თავის დაზე ცუდად არ მღერის, ბიზნესმენია და მომღერლობას არც აპირებს. დიმამ ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, პირველი ინტერვიუ მიეცა „გზისთვის". ჩვენთან შეხვედრის წინ ძალიან ნერვიულობდა. ამიტომ ნინომ გადაწყვიტა, ჩვენს საუბარს დასწრებოდა. მის ქმარსა და ძმას კომპიუტერული ფირმები აქვთ და ერთმანეთის კონკურენტები არიან. ამის მიუხედავად, და-ძმას საუცხოო ურთიერთობა აქვს და ბიზნესის გამო კამათს არ აპირებს...

მერი კობიაშვილი

— დიმა, ნინო შენზე უფროსია?

— ნინო ჩემზე 3 წლით უფროსია. ბავშვობაში ბევრს ვჩხუბობდით, ერთმანეთს არაფერს ვუთმობდით ხოლმე. ახლა სიტუაცია შეიცვალა. ბოლოს როდის ვიჩხუბეთ, აღარც მახსოვს. ნინო ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— ჩემი აზრით, გარეგნულად საერთოდ არ ჰგავხართ ერთმანეთს. ჩემნაირად სხვებიც ფიქრობენ?

— შენ პირველი ადამიანი ხარ, ვინც ამას ამბობს. სრულიად უცნობებსაც კი უკითხავთ, ნინო ჩხეიძე შენი და ხომ არ არისო? სხვათა შორის, სახელი ჩემმა დამ დამარქვა. საბავშვო ბაღში რომ დადიოდა, იქ ერთი ბიჭი მოსწონდა, რომელსაც დიმა ერქვა. სახლში დადიოდა და ამბობდა, დიმა მინდაო. დედაჩემი მაშინ ჩემზე ფეხმძიმედ იყო და რომ დავიბადე, დიმა დამარქვეს.

— მოგწონს სახელი? კმაყოფილი ხარ შენი დის პირველი „საჩუქრით"?

— კი, ძალიან მომწონს. ჩემს ბავშვობაში დიმა ბევრს არ ერქვა. ახლა ძალიან პოპულარული გახდა.

— მშობლები რომელს უფრო ანებივრებდნენ, ნინოს თუ შენ?

— არც ერთი არ ვყავდით გამორჩეული. ორივეს თანაბრად გვექცეოდნენ. უკმაყოფილება არც მე გამომითქვამს და არც ნინოს.

— დარწმუნებული ვარ, ნინოს, ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. დის გამო ოდესმე გიჩხუბია?

— საქმე ჩხუბამდე არასდროს მისულა. თაყვანისმცემლებთან პრობლემებს ნინო თვითონვე აგვარებდა.

— მღერი?

— კი და, როგორც ამბობენ, ეს საქმე ცუდად არ გამომდის.

ნინო:

— ინტერვიუში ჩაგერთვებით და გეტყვით, რომ დიმა ძალიან კარგად მღერის. განსაკუთრებით, გიტარაზე დაკვრა ეხერხება.

— დიმა, ნინოსთან ერთად რა სიმღერას იმღერებდი?

— არა მგონია, რომ ეს მოვახერხოთ. ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ვმღერი ხოლმე, როცა მეგობრების წრეში ვიმყოფები. ჩემი და, ამ მხრივ, აბსოლუტურად განსხვავებულია. უყვარს, როცა ყურადღების ცენტრშია და ყველა უყურებს.

— ნინოს რეპერტუარი მოგწონს? არასდროს გითქვამს, — უკეთესი იქნება, სხვა ჟანრშიც ჩაწერო სიმღერა და მაშინ უფრო მეტი მსმენელი გეყოლებაო?

დიმა ძალიან კარგად მღერის

— ნინოსთვის ასეთი რჩევა არასდროს მიმიცია, ვფიქრობ, რომ ქალაქური სიმღერები მშვენივრად გამოსდის. თან, მე იმდენად კომპეტენტური ადამიანი არ ვარ, რომ ამ საქმეში კარგი რჩევა მივცე. ამ თემაზე სახლში არც ვლაპარაკობთ. უფრო ნინო მაძლევს ხოლმე რჩევებს.

— ნინო რჩევებს ალბათ გოგონებთან დაკავშირებით გაძლევს. ოდესმე უთქვამს, შენ გვერდით როგორი გოგონას ნახვა გაუხარდებოდა?

— მისთვის მთავარია, ვინც ჩემი რჩეული იქნება, მიყვარდეს და მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობდე. ნინო ამ შემთხვევაში ისევე ფიქრობს, როგორც მე ვფიქრობდი მის პირად ცხოვრებაზე.

— როგორ გგონია, მკაცრი მული იქნება?

— არანაირად. ნინო არ შეიძლება, ვინმესთან მკაცრი იყოს და რაღა მაინცდამაინც ჩემს ცოლთან გამოავლენს ასეთ ხასიათს?!

— ნინოს სხვა ჟანრში ნამღერი სიმღერა მოსმენილი გაქვს?

— ძალიან ბევრჯერ. ნინო რომანსებსაც მღერის. ჩემი აზრით, მას რომანსების სიმღერა ძალიან კარგად გამოსდის.

— რა პროფესიის ხარ?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული.

— ნინო კი, როგორც ვიცი, პროფესიით ჟურნალისტია. მითხარი, რომ ორივე კარგად მღერით. კონსერვატორიაში ჩაბარება რატომ არც ერთმა არ მოინდომეთ?

— ნინოს ყველაზე მეტად, მსახ-

იობობა უნდოდა. დარწმუნებული ვარ, თეატრალურში რომ ჩაებარებინა, არანაკლებ წარმატებას მიაღწევდა, ვიდრე ახლა აქვს.

ნინო:

— ჩემი ოცნებაა, რომ ოდესმე რამე როლი ვითამაშო სცენაზე. მაგრამ ეს ოცნება, ალბათ ოცნებადვე დარჩება. აი, ჟურნალისტობა რატომ ავირჩიე, დღემდე არ ვიცი.

— ამ პროფესიაში ბედი არასდროს გიცდია?

— ერთ დროს რადიოში ვაკეთებდი გადაცემას; რამდენიმე სტატიაც დავწერე, მაგრამ კარგად ვხვდები, რომ ეს ჩემი საქმე არ არის.

— დიმა, შენ რატომ არ აირჩიე სიმღერა პროფესიად?

— გულახდილად გეტყვით, ბიჭისთვის არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია. როცა პროფესიად აირჩევ, სიმღერაში სხვანაირად უნდა იმეცადინო.

— როგორ ფიქრობ, ნინოს ჩაცმის მხრივ როგორი გემოვნება აქვს?

ნინო:

— შეიძლება, დიმამ პირდაპირ არ თქვას, რომ რაიმე არ მოეწონა, მაგრამ ამას შეფარვით ამბობს ხოლმე. მაგალითად, ცოტა ხნის წინ მითხრა, — ნინო, ბოლო დროს ცოტა მოიმატეო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი წონის გაკონტროლებაზე უნდა ვიფიქრო.

დიმა:

— ნინოს ძალიან კარგი გემოვნება აქვს. რაც ჩემთვის უყიდია, ყველაფერი ძალიან მომწონს.

— ეი. ნინო საჩუქრებით ძალიან განებივრებს...

— რა თქმა უნდა. ამას წინათ პარიზში იყო და კედები დავაბარე. ვერ მოვითმინე, სანამ თბილისში ჩამოვიდოდა, მობილურით გადავაღებინე სურათი და გამოვაგზავნინე. ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მინდოდა. ამ საჩუქრით ნინომ ძალიან გამახარა.

— როგორ ფიქრობ — და და ძმა ხასიათით ჰგავხართ ერთმანეთს?

— ნინოს არ უყვარს, როცა უხეშად ექცევიან. თვითონ ძალიან თბილია, ყველანაირად ცდილობს, არავის არაფერი ავნოს. მისი წონასწორობიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ თუ უმიზეზოდ გული ვინმემ ატკინა, მასზე გული ძნელად მოუბრუნდება ხოლმე. მე და ნინო ამ მხრივ, ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

— სიძესთან როგორი ურთიერთობა გაქვს? როგორც ვიცი, თქვენ ბიზნესკონკურენტები ხართ. ასე რატომ მოხდა? არ გერჩივნათ, თქვენი ბიზნესი გაგეერთიანებინათ? ამ შემთხვევაში ხომ მოგება უფრო დიდი იქნებოდა...

ნინოს არ უყვარს, როცა უხეშად ექცევიან

— სანამ ჩემი და გათხოვდებოდა, მანამდე ვიყავით მე და ჩემი სიძე ერთმანეთის კონკურენტები.

ნინო:

— ...მაგრამ ეს ამბავი მე არც ვიცოდი. ისე გავთხოვდი, რომ ჩემს შეყვარებულს რა ბიზნესი ჰქონდა, არ ვიცოდი. მერე რაღას შევცვლიდი?

— დიმა, შეგიძლია, გულახდილად მითხრა, რომელი თქვენგანის ფირმაა უფრო მაგარი?

— (*იცინის*) ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარს არ გავაკეთებ. ორივე საკმაოდ სერიოზული ფირმაა. ისიც აღსანიშნავია, რომ სხვა კონკურენტი ფირმებიც სერიოზულები არიან. ჩვენი ბიზნესის გაერთიანებას კი არ ვაპირებთ. გაერთიანება იოლი არ არის. მომავალში შეიძლება, ასეც მოხდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

— ნინო ძმის და მეუღლის ბიზნესში ერევა?

— არა. მას ურჩევია, თავისი საქმე აკეთოს ანუ — იმღეროს.

— საინტერესოა, ნინო ოდესმე თუ გაგიკრიტიკებია? მისი რომელიმე ნამუშევარი თუ არ მოგწონებია, ამის შესახებ გულახდილად გითქვამს მისთვის?

— ნინოს ნამუშევრებთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს. ყველა კლიპი ძალიან მომწონს, მაგრამ ერთ შენიშვნას ყოველთვის ვაძლევ. არ უყვარს ვარჯიში. სულ ვეუბნები, რომ კარგი ფორმის შესანარჩუნებლად, ვარჯიში აუცილებელია, მაგრამ არ მიჯერებს. ამ მხრივ ძალიან ზარმაცია. ურჩევნია, დიეტაზე იყოს, ვიდრე ივარჯიშოს.

— შეყვარებული გყავს?

— ჩემს ცხოვრებაში არის გოგონა, რომელიც მომწონს.

— ოჯახის შექმნას ახლო მომავალში აპირებ?

— ეს საკითხი ჯერ არ გადამიწყვეტია.

„ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ძველ სახლში დავბრუნდი“

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ახალი წევრი „ეროვნულ-დემოკრატი“ გურამ ჩახვაძე „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა და ინტერვიუსთვის პარტიის ოფისში მიმიპატიჟა. ის ბავშვობაში სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურით და მოგზაურთა ბიოგრაფიებით იმდენად ყოფილა გატაცებული, ფიქრობდა, აუცილებლად გეოგრაფი გამოვალო. მოგვიანებით მიმხვდარა, საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქეს მსოფლიოს შემოვლა მხოლოდ ოცნებად დარჩებოდა, ამიტომ გეგმა შეცვალა და ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა. დღეს დროის უქონლობის გამო, მოგზაურებზე ბევრს ველარაფერს კითხულობს. უფრო სწორად, სათავგადასავლო ჟანრი პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ლიტერატურამ ჩაანაცვლა. მისი საყვარელი მწერლები გურამ დოჩანაშვილი და ოთარ ჭილაძე არიან.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ბატონო გურამ, თქვენ ორი მოწვევის პარლამენტის წევრი ბრძანდებოდით, მცირე ინტერვალის შემდეგ კვლავ დეპუტატი გახდით...

— დიახ, პარლამენტში ჩემთვის უცხო გარემო არ არის. მართალია, მცირე ინტერვალმა გარკვეული კვალი დამიტოვა, მაგრამ ახლა ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ძველ სახლში დავბრუნდი, ძველი ნაცნობები ვნახე.

— პროფესიით ეკონომისტი ბრძანდებით, როგორც ვიცი, გსურთ, დარგობრივი და ეკონომიკური განვითარების კომიტეტში იმუშაოთ. რა ახალ წინადადებებს სთავაზობთ თქვენს კოლეგებს?

— პირველი, რაც ჩვენს ეკონომიკას აკლია, არის კონკურენცია. დღეს ეკონომიკა მონოპოლიზებულია. გადასახედია კანონმდებლობა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში არსებობს ანტიმონოპოლიური სამსახური, ასეთი სამსახურის არსებობა ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია. ამუამად ეკონომიკის სამინისტროში არსებობს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელშიც 6 კაცია დასაქმებული.

— რამდენად ქმედუნარიანია ეს სააგენტო?

— არ შეიძლება, სააგენტო ექვემდებარებოდეს ეკონომიკის სამინისტროს. ასეთ შემთხვევაში ქმედუნარიანი ვერ იქნება. სააგენტომ თვალი უნდა ადევნოს, ხომ არ აქვს ადგილი მონოპოლიურ შეთანხმებას, ხომ არ ირღვევა კონკურენციული გარემო და ა.შ. ჩემი აზრით, ასეთი სამსახური ყველა სამინისტროსგან დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს.

— რომელი ტომების თავდასხმისგან დასაცავად ააგეს ჩინელებმა დიდი კედელი?

— (ფიქრობს) ზუსტად რომ ვერ ვიხსენებ?

— მიგანიშნებთ, დამპყრობელთა ეს ტომები საქართველოშიც იყვნენ.

— მონღოლები, არა?

— დიახ. რომელია დონ-კიხოტის სათავადაზნაურო ტიტული?

— არ ვიცი.

— იდალგო. მითხარით, რომ გურამ დოჩანაშვილი თქვენი საყვარელი მწერალია. რა ერქვა ავაზაკთა ქალაქს მის რომანში „სამოსელი პირველი“?

— (ფიქრობს). ვერ ვიხსენებ.

— კამორა. ალექსანდრე V, დემეტრე I, გიორგი III, ბაგრატ III, არჩილი — ამ მეფეებიდან რომელი არ არის დაკრძალული გელათში?

— ვერ გიპასუხებთ.

— არჩილი. სამეგრელოს რომელი რაიონიდან იყო კონსტანტინე გამსახურდია?

— აბაშიდან.

— ვინ არის ტექსტის ავტორი სიმღერისა — „ტრიალებს“ ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“?

— პეტრე გრუზინსკი.

— ცდებით. სწორი პასუხია მორის ფოცხიშვილი. დურუ ხუჭუა, პაპნია, ელიბო — რომელ ფილმებში გვხვდებიან ეს პერსონაჟები?

— „რეკორდი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ღვინის ქურდები“.

— რომელი მდინარე ასაზრდოებს თბილისის ზღვას?

— იორი.

— თავდაპირველად, რა ერქვა პეტრე მოციქულს?

— ვერ ვიხსენებ.

— სიმონი. „ერთი ადამიანის მოკვლა ტრაგედიაა, ბევრის — სტატისტიკა“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ვინ არის ავტორი, არ ვიცი, მაგრამ ეს გამოთქმა მახსოვს.

— მისი ავტორი სტალინი გახლავთ. რომელია შეჭახრის მშობლიური ქალაქი ინგლისში?

— სტრატფორდი.

— რა ჰქვია „უთავო მხედარში“ მორის მუსტანგერის მსახურს?

— არ მახსოვს.

— ფელიმი. რომელ ქალაქში მოუწყვეს სასამართლო პროცესი ფაშისტური გერმანიის თავკაცებს?

— ნიურნბერგში.

— სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით, გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ჰერეთი ჩამოაჭრეს. რომელ ქვეყანას მიუერთეს ეს ტერიტორია?

— აზერბაიჯანს.

— ვინ ნიშნავს ,,ეშიშროების საბჭოს წევრებს?

— პრეზიდენტი.

— სადაური ცეკვაა „მაზურკა“?

— პოლონური.

— ქრისტეს რომელი მოციქული იყო მებაჟე?

— სახელს ვერ ვიხსენებ.

— მათე. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ვინ იყო ანთეოსის მამა?

— არ ვიცი.

— პოსეიდონი. რუსეთის რომელი იმპერატორის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა გრიგორი რასპუტინი?

— ნიკოლოზ II-ის დროს.

— ვინ იყო სოფია ალექსის ასული რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ისთვის, რომელსაც ამბოხება მოუწყო?

— და.

— რა ტიტულს ატარებდნენ 1453-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგთა დინასტიის პრინცები?

— არ ვიცი.

— ერცჰერცოგის ტიტულს. რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?

— (*ფიქრობს*) ესპანეთის.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?

— ვიქტორია. სწორად გიპასუხეთ?

— დიახ. „ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— არ ვიცი.

— ბატონო გურამ, დაფიქრდით, რატომ ჩქარობთ?

— თუ შეიძლება, გამიმეორეთ? (*გამეორების შემდეგ*) შოთა რუსთაველი.

— რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი „გაბაასება რუსთაველთან“?

— თეიმურაზ II-ს.

— რომელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახელმწიფო ხურალი?

— მონღოლეთის.

— კინოს ისტორიაში, როცა კინოხელოვნება პირველ ნაბიჯებს დგამდა, მეტად უჩვეულო ფაქტი მოხდა. ძმები ლუმიერების მიერ გადაღებული ფილმის ჩვენებისას მაყურებლები შიშისგან დარბაზიდან გარბოდნენ. რა იყო ნაჩვენები ეკრანზე?

— არ ვიცი.

— სადგურზე მატარებლის შემოსვლა.

— (*იცინის*) მართლა? არ ვიცოდი.

— ვინ ჩაიდინა პირველი მკვლელობა დედამიწაზე?

— კაენმა.

— რომელ ქვეყანას მართავდნენ მამლუქები?

— ეგვიპტეს.

— რომელი ხილით მოწამლა ჯადოქარმა ფიფქია?

— ვაშლით.

— ისინი 12 წლის მანძილზე 2 უდიდეს სახელმწიფოს მეთაურობდნენ. მმართველობის პირველი 2 წელი ქვეყნების გაძლიერებას მოანდომეს, შემდეგი 6 წელი კი ერთმანეთთან ბრძოლას. ორივე ერთსა და იმავე წლის ერთსა და იმავე თვეს გარდაიცვალა, 18 დღის სხვაობით. დაასახელეთ ეს ორი პიროვნება.

— ვერ დავასახელებ.

— ჰიტლერი და რუზველტი. სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს აწერიათ ნომრები ქუდებზე?

— (*ფიქრობს*) წყალბურთელებს.

— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი, სადაც 1203 წელს საქართველოს სამეფო ლაშქარი თურქსელჩუკების წინააღმდეგ იბრძოდა?

— თურქეთის.

— ვინ მეფობდა იმ დროს საქართველოში?

— თამარი.

— ამ ხის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშაზეა გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნევა. რომელია ეს ხე?

— არ ვიცი, გაეროს დროშაზე რომელი ხის რტოა გამოსახული?

— ზეთისხილის. რამდენი რაიონის ტერიტორიას მოიცავს რაჭა?

— 2 — ონის და ამბროლაურის რაიონებს.

— რა ეწოდება მონეტების, მედლების, ორდენების...

— (*მანყვეტინებს*) ნუმიზმატიკა.

— ნუმიზმატიკა მონეტათმცოდნეობაა.

— აბა, თქვენ რას მეკითხებით?

— რა ეწოდება მონეტების, მედლების, ორდენების და სხვა სახელმწიფო ნიშნების დასამზადებელ სახელმწიფო საწარმოს?

— ამ კითხვაზე პასუხი ვიცი (*ფიქრობს*). ზარაფხანა.

— ინგლისის რომელი ქალაქიდან იყვნენ ლეგენდარული ჯგუფ „ბითლზის“ წევრები?

— ლივერპულიდან.

— რომელ ქალაქში ტარდება ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალი?

— ნიუ-იორკში.

— ცდებით, ლოს-ანჯელესში. რომელი ქართველი მწერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?

— გრიგოლ რობაქიძე.

— ეს ნაკადგური ორი ღირსშესანიშნაობით არის ცნობილი: ოპერის შენობითა და ხიდით. ცათამბჯენები ქალაქს საქმიან ნაწილში დგას, რომელიც სამეფო ბოტანიკურ ბაღს ესაზღვრება. რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?

— სიდნეიზე.

— რას ვეძახით ჩვენ ნატრიუმის ქლორიდს?

— (*ფიქრობს*).

— მას ყოველდღიურად ვიყენებთ.

— (*იცინის*) დავიბენი. მარილს, არა?

— დიახ. კაბადოკია მისი უძველესი სახელია. სწორედ აქედან წამოვიდა ქრისტიანობის გასავრცელებლად წმინდა ნინო საქართველოში. სად მდებარეობს ეს ისტორიული ადგილი?

— თურქეთში. ჩრდილოეთ ანატოლიისა და ტავრის მთებს შორის მოქცეულია ანატოლიის ზეგანი, რომელსაც 3 ნაწილად ყოფენ. კაბადოკია ზეგანის შუა ნაწილში მდებარეობს.

— რამდენი სახმელეთო მეზობელი ჰყავს კანადას?

— 1. ეს არის აშშ.

— რომელ სახელმწიფოშია სტოუნჰენჯი, — ქვის ყველაზე სახელგანთქმული კომპლექსი ევროპაში?

— მგონი, დიდ ბრიტანეთში.

— დიახ. რას ნიშნავს სიტყვა „დეპუტატი“?

— არ ვიცი. „მინისტრი“ მსახურს ნიშნავს.

— „დეპუტატი“ — რწმუნებულს.

— ეს უნდა დავიმახსოვრო.

— სად მდებარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი?

— ვაშინგტონში.

— სად მოხდა იესოს ფერისცვალება — გოლგოთაზე, თაბორის მთაზე, გეთსმანიაში თუ კაპერნაუმში?

— თაბორის მთაზე.

— მოსწავლეს 4 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დარჩებოდა, ხოლო იმავე თანხით 8 ფანქარი რომ ეყიდა, 7 თეთრი დააკლდებოდა. რა თანხა ჰქონია მოსწავლეს?

— (*ფიქრობს*). არ ვიცი, ვერ გამოვიანგარიშე.

— 17 თეთრი.

— ანუ ერთი ფანქარი 3 თეთრი ღირდა?

— დიახ. დასრულეთ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი „მე არასდროს ვფიქრობ მომავალზე, ის ისედაც...“

— მოდის.

— „... სწრაფად მოდის“.

ერუდიტი +

იარდი (*ინგლ.*) — *ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 3 ფუტს (91 სანტიმეტრს).*

ინკები — *ინდიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე. მე-15 საუკუნეში მათ შექმნეს მაღალი კულტურა და სახელმწიფო (ინკების სახელმწიფო). 1532 წელს ესპანელმა კოლონიზატორებმა დაიპყრეს.*

პატაპაულტა (*ბერძ.*) — *მანქანა, რომლითაც ისროდნენ ლოდებს, საწვავით სავსე კასრებს. მას ძველად ბერძნები და რომაელები ციხესიმაგრეთა ასაღებად იყენებდნენ.*

ლაგტინგი (*ნორვეგ.*) — *ნორვეგიის პარლამენტის (სტორტინგის) ზედა პალატა.*

მადრიგალი (*ფრანგ.*) — *პატარა ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივ მიძღვნილი ქალისადმი. გავრცელებული იყო სალონურ პოეზიაში (მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დასაწყისში).*

პრეზუმფციი (*ლათ.*) — *ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება.*

აპრიორი (*ლათ.*) — *ცდისაგან დამოუკიდებელი, ცდის გარეშე.*

სოციალური სტატუსი დევნილი

„ცხოვრებაში ორი გამოსავალი არსებობს — ან თავი უნდა მოიკლა, ან — იუმორით შეხედო ყველაფერს...“ — ეს სიტყვები გერმანელ მწერალს, ჰერმან ჰესეს ეკუთვნის. ძნელია, სხვის ტკივილზე ლაპარაკი, მით უმეტეს, როცა მსგავსი რამ თავად არ განგიცდია, მაგრამ მათ, ვის შესახებაც, დღეს გვინდა გიამბოთ, ვფიქრობ, კიდევ დიდხანს გაუჭირდებათ, ყველაფრისთვის იუმორით შეხედვა.

„სახელმწიფო დახმარების იმედზე ვერ ვიქნებით“

სოფო მინაშვილი

...ერთ დღეს გაეღვიძათ და აღმოაჩინეს, რომ ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა: ახალი საცხოვრებელი გარემო, ახალი მეზობლები და სოციალური სტატუსი — დევნილი. ისინი მომავალს იმედით შესცქერიან და ფიქრობენ, რომ მალე ყველაფერი ისევ ძველებურად იქნება. რა სოციალური სტატუსიც უნდა მივანიჭოთ ადამიანს, არ შეიძლება, მინიმალური საცხოვრებელი პირობების უფლება წავართვათ. აგვისტოს ომიდან 3 თვე გავიდა. თბილისში დღეს 20500 დევნილი ცხოვრობს. უმრავლესობა — დიდი და პატარა ლიახვისა და კოდორის ხეობის მოსახლეობაა. რამდენად იცავს სახელმწიფო დევნილთა უფლებებს? როგორ საცხოვრებელ პირობებში მოუწევთ მათ ზამთრის გატარება? ამ და სხვა საჭირბოროტო კითხვებზე, დევნილების გარდა, იმ ადამიანებსაც გავესაუბრე, ვისაც დევნილთა უფლებების დაცვის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

თამარაშვილის ქუჩაზე, რუსეთის არმიის სამხედრო ოლქის ყოფილი შტაბის შენობაში 1500-მდე დევნილი ცხოვრობს.

ამირან ჯულუხაძე, *ცხინვალის რაიონის სოფელ აჩაბეთის მკვიდრი:*

— მესამე თვეა, აქა ვართ. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, სახლში დაბრუნება გვინდა. აქ არაფერია, შვილო, არც სასმელი და არც საჭმელი. ისე წამოვედით, თან არაფერი წამოგვიღია. დღემდე ჩვენთვის ერთი თეთრი არავის მოუცია. ჩვენი დახოცვა იქ რუსებს და ოსებს უნდოდათ, ვერ დაგვხოცეს და ახლა აქ ქართველები გვხოცავენ. ჩვენი პატრონი არავინაა. დანგრეულ სახლში დავბრუნდები, მთავრობის აშენებული სახლი არც მინდა. ჩვენ ავაშენებთ ყველაფერს, როგორც შევძლებთ. მთავრობამ მხოლოდ უსაფრთხოების გარანტია მოგვცეს. თბილი ტანსაცმელი, საბნები, მედიკამენტები — ეს ყველაფერი ზღაპარია. აქ რომ ვსხედვართ, ჭუჭყსა და მტვერში, ერთი აბანო არ გაგვიკეთეს ამდენი ხანია. ფართი გვაქვს მხოლოდ საკმარისი. აქ ერთად დასახოცად გვაგროვებენ, ჩამოაგდებენ მერე ერთ ბომბს და ეგ იქნება.

ნინო გესარია, *ორსული, ქალაქ გორის მკვიდრი:*

— დევნილი მეორედ გავხდი — პირველად სოხუმში ვცხოვრობდი. აქ მეორე თვეა, რაც ვარ. ჩემს ოჯახში შვიდი ადამიანია და საწოლი ერთი გვაქვს. ყველა ცდილობს, სამსახური იშოვოს, სახელმწიფო დახმარების იმედზე ვერ ვიქნებით. ჩვილ ბავშვს ლობიოს ხომ ვერ ვაჭმევ?! ჩემმა დამ მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. გაზი არ გვაქვს, ჩვენი ოთახის ფანჯრები ჩამსხვრეულია და ძლივს ვთბებით. ელექტროენერგია ქუჩის განათებიდან გვაქვს

რამდენიმე ოჯახს შემოყვანილი.

ალექსანდრე ჯულუხაძე, *ცხინვალის რაიონის მკვიდრი:*

— ჩემს სართულზე 134 კაცი ცხოვრობს და სულ 5 საერთო მოხმარების გაზქურა გვაქვს. ათ დღეში ერთხელ შემოაქვთ სულზე: 1,5 კგ მაკარონი, 500 გ ლობიო, 300 გ შაქარი, 300 გ მცენარეული ზეთი, 50 გ მარილი და 500 გ ორცხობილა, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა. ახლა ყველაზე მეტად საწოლები, ლეიბები და საბნები გვჭირდება. ჯერ ისევ იმ თხელ გადასაფარებლებს ვიყენებთ, რომლებიც თავიდან მოგვიტანეს. ამხელა შენობაში სულ ორი „სველი წერტილია“... პატივი გვცეს მხოლოდ იმით — ბავშვები მიიყვანეს ადგილობრივ სკოლებში, მაგრამ წიგნები ჯერ არ დაურიგებიათ.

ბეჟან კასრაძე, *ცხინვალის რაიონის სოფელ ერგნეთის მკვიდრი:*

— დღეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვიყავი. იქ ერთმა კაცმა (ვინაობას არ დავასახელებ) მითხრა, — საყოფაცხოვრებო ნივთებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ანაწილებენო. ხალხმა არ იცის, ვის მიმართოს. აქ, ჩვენთან ერთი ქალია, მის შვილს გლანდების ოპერაცია სჭირდებოდა. სადაც ჰყავდა, ყველგან უარი უთხრეს ოპერაციაზე. სახელმწიფო საავადმყოფოებიც უარს ამბობენ უფასოდ მკურნალობაზე. თუ 10 ლარზე ძვირი ღირებულების წამალი დაგვჭირდა, არ იძლევიან. მთავრობას არაფრით ვაწუხებდით, აქეთ შეგვაწუხა... აგვიშენონ სახლები და დაგვანებონ თავი!

სიხარულით დავბრუნდებით უკან, მაგრამ აბა, როგორ?! იქ ჯერ კიდევ ხალხი იხოცება ყოველღამე, დამთავრებული არაფერია.

ცხინვალის რაიონის ერთ-ერთმა მკვიდრმა ქალბატონმა ჩვენთან საუბრისას თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა და აი, რა გვითხრა:

— ჩვენს რაიონში ბევრი შეძლებული ოჯახი ცხოვრობდა, აქ კი მათხოვრებად გვაქციეს. ჩემი შვილი ცოლის მოყვანას აპირებდა, ქორწილისთვის ვემზადებოდით, ახლა კი 5 სულს ერთი საწოლი გვაქვს, რა დღეში უნდა ვიყოთ, შვილო?! საპრეზიდენტო არჩევნების დროს ნომერი 5 შემოვხაზეთ, მაგრამ სწორედ ამ მთავრობამ დაგვინგრია ცხოვრება.

სოფო ხორგუანი, *სახალხო დამცველის მოადგილე:*

— მოგეხსენებათ, დევნილები ქვეყანაში 1990-იანი წლებიდან გვყავს. მათი უფლებების დაცვის სფეროში უამრავი პრობლემა დღემდე მოუგვარებელი იყო და ეს აგვისტოს ომმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა. სახელმწიფოს არ გააჩნია კონკრეტული სამოქმედო გეგმა დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებით და ამ პრობლემების გადაჭრის საერთო მიდგომა. დევნილთა საჭიროებების განსაზღვრა და მათი უზრუნველყოფა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრეროგატივაა. აგვისტოს შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, რათა მათთვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობები შეექმნათ, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა. პირადად მე, დღეში 5-6 ადამიანი მომმართავს სხვადასხვა პრობლემით. მძიმე საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან თბილისიდან საკუთარ სახლებში დაბრუნებული დევნილებიც. ისინი ვერც უსაფრთხოდ

გრძნობენ თავს. ჩვენთან რამდენიმე განცხადება შემოვიდა, დევნილთა იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით. რუსეთი არაა საიმედო პარტნიორი და მორიგი პროვოკაციისგანაც არავინაა დაზღვეული.



გიორგი ჩხეიძე, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე:*

— აგვისტოში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გვთხოვა, დავხმარებოდით მათ, დევნილთა აღრიცხვასა და მოთხოვნილებების განსაზღვრაში. ამასთან ერთად, დევნილებს ვუწევდით სხვადასხვა სახის იურიდიულ კონსულტაციას, ვეხმარებოდით დაკარგული დოკუმენტების აღდგენაში და ვუნაწილებდით ჰუმანიტარულ დახმარებას. სამართლებრივი კუთხით ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ დევნილებთან მუშაობას. საქართველოს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ვამზადებთ ინდივიდუალურ საჩივრებს ევროპის სასამართლოში წარსადგენად. ამ დოკუმენტებში აისახება აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფოსა და დევნილთა უფლებების დაცვის ურთიერთმიმართების საკითხს: დღეს არ არის ნათელი, თუ რა სტრატეგიით მოქმედებს სახელმწიფო. სტრატეგიაში ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამიჯნული სახელმწიფო ორგანოთა და თავად დევნილთა როლი პრობლემების მოგვარების საკითხებში. დევნილები არ არიან ჩაბმული ამ პროცესში, ხელისუფლების წარმომადგენლები მათ არ უსმენენ და შესაბამისად, ვერც სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ბესიკ წერედიანი, *ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე:*

— დღეს ჩვენს მთავარ პრობლემას წარმოადგენს იმ დიდ ობიექტებზე ნორმალური პირობების შექმნა, რომლებშიც დევნილები ცხოვრობენ. გადაუჭრელია ელექტროენერგიით მომარაგებისა და გაზიფიკაციის საკითხები; საკვების რაოდენობა თითოეულ ადამიანზე გათვლილია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და მისი მიწოდება 10 დღეში ერთხელ ხდება. ვიცით, რომ დღემდე უამრავი პრობლემა აქვთ დევნილებს, მაგრამ მე გაძლევთ პირობას, რომ აღარ იარსებებს არც ერთი ობიექტი, სადაც არ იქნება შექმნილი ყველა საჭირო პირობა ადამიანთა საცხოვრებლად. ამ პროცესში სახელმწიფოს ყველა რესურსია ჩართული და ზამთრამდე ეს მოესწრება. რაც უფრო მეტი სახელმწიფო სტრუქტურა იქნება დევნილთა პრობლემების მოგვარებაში ჩაბმული, მით უფრო სწრაფად დასრულდება ყველაფერი. — როდის მიენიჭებათ დევნილებს ოფიციალურად ეს სტატუსი? — იმ დევნილებმა, რომლებიც თბილისში იმყოფებიან, განცხადებით უნდა მომართონ სამინისტროს. მათთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება ამჟამად მსჯელობის საგანს წარმოადგენს. სამინისტრო მზადაა ამ საკითხზე ნებისმიერ ორგანიზაციასთან სათანამშრომლოდ. აქვე მინდა გითხრათ, რომ იმ დევნილებისთვის, რომლებიც დღემდე თბილისში იმყოფებიან, მათივე ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით, სახლები კონფლიქტის ზონიდან ყველაზე შორს, 60 კილომეტრის დაშორებით შენდება. მათ უნდოდათ, რომ ახალი სახლები ძველ სახლებთან ახლოს აშენებულიყო, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში, დატოვებული მიწა მაინც გამოეყენებინათ. თითოეული მათგანისთვის უკვე ახალ წლამდე აშენდება ახალი სახლი, სადაც საცხოვრებლად საჭირო ყველა პირობა იქნება შექმნილი.

— როგორ საცხოვრებელ პირობებში დაბრუნდნენ დევნილები? რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ ისინი დღეს თავს? ყველგან ჩატარდა თუ არა განნაღმვითი სამუშაო, სანამ დევნილები დაბრუნდებოდნენ?

— მინდა გითხრათ, რომ დაბრუნებულთაგან, დღეს ღია ცის ქვეშ არავინ ცხოვრობს. ძალიან ბევრი ადამიანი გორში კომპაქტურ ცენტრებში — სკოლებისა და ბაღების შენობებში ცხოვრობს. ისინი ვერ ბრუნდებიან სახლებში, რადგან მათი სახლები ომის დროს დაიწვა და განადგურდა. მათ ღია ცის ქვეშ ცხოვრებას არავინ აიძულებს. თბილისიდან ყველა საკუთარი ნებით წამოვიდა. რაც შეეხება უსაფრთხოებას, — იქ, სადაც ჩვენი პოლიციელები დგანან, დაბრუნებულთა სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სოფლები, რომლებშიც დევნილთა დაბრუნება მოხდა, განნაღმულია. შესაძლოა, ნაღმები დღესაც დარჩენილია სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე — მინდვრებში, ტყეებში, უბრალოდ, ისინი ჯერჯეროობით არ აღმოუჩენიათ.

ქუჩაში უკვე საგრძნობლად ცივა. 4 ნოემბრიდან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთათვის მეორადი ტანსაცმლის დარიგება დაიწყო. იმედია, მას მალე სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებიც მოჰყვება. დევნილებს ვუსურვებდით, მომავალ წელს მაინც შეხვედროდნენ მშვიდობიანად და ძველებურად — საკუთარ სახლებში. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ფარისებრსახლო ჯირკვლები — სნეულების ფარული მიზეზი

წერილი რედაქციას

ფარისებრსახლო ჯირკვალთა პათოლოგიების პრობლემა ძალზე აქტუალურია, რასაც რედაქციაში მოსული რამდენიმე წერილიც მოწმობს: მკითხველები იმ დაავადებათა შესახებ საუბარს გვთხოვენ, რომელთა განვითარებაც სწორედ ამ ჯირკვლების დისფუნქციითაა განპირობებული.

ერთ-ერთი მათგანი გვთხოვს, მივაწოდოთ ინფორმაცია ოსტეოპოროზის შესახებ, რადგან „კლიმაქსის შემდეგ აშკარად შევამჩნიე — ძვლების პრობლემა (ორჯერ, რომ იტყვიან, სწორ ადგილზე მოვიტეხე ფეხი) მქონდა, ექიმმა კი ოსტეოპოროზის დიაგნოზი დამისვა. ლალი გიგილაშვილი“.

მეორე მკითხველი გვწერს: „მაქვს თირკმლებში კენჭი და ამის გამო, ხშირი შეტევა. ექიმმა მითხრა, ფარისებრსახლო ჯირკვალი არ გაქვს წესრიგშიო. ფარისებრი ჯირკვლის შესახებ კი გამიგონია, მაგრამ ფარისებრსახლოც თუ არსებობდა, ნამდვილად არ ვიცოდი. გ. ნინიკელაშვილი“.

მართლაც, ფარისებრსახლო ჯირკვალთა შესახებ ბევრს არ სმენია. არადა, მათი დისფუნქციით გამოწვეული პათოლოგია საკმაოდ ხშირია, მაგრამ ადვილად ემორჩილება მკურნალობას. მთავარია, დროულად და სწორად დაისვას დიაგნოზი.

ადამიანს 2 წყვილი ე.ი. სულ 4 პარათიროიდული ანუ ფარისებრსახლო ჯირკვალი აქვს. მიუხედავად მცირე მოცულობისა, ჯირკვლებს შეუცვლელი ფუნქცია აკისრია. მათი ძირითადი დანიშნულება — ორგანიზმში კალციუმის ცვლის რეგულირებაა.

კალციუმი და ძვლები

კალციუმის შემცველობაზეა დამოკიდებული ნერვული იმპულსების გატარება, კუნთების შეკუმშვა, სისხლის შედედება და, რაც მთავარია, ჩონჩხის ძვლების სტრუქტურა და სიმკვრივე. მნიშვნელოვანია ის, რომ ძვალი ნორმალურ მდგომარეობაში სისტემატურ რემოდელირებას განიცდის. რას ნიშნავს რემოდელირება? ძვლებზე მუდმივად ხორციელდება მექანიკური დატვირთვა, რომელიც ადაპტირებას საჭიროებს. სწორედ ადაპტირების პროცესი გახლავთ რემოდელირება, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამუდმებით ხდება ძვლის დაშლისა და ახალი ძვლის წარმოშობის პროცესი: დემინერალიზაცია და რემინერალიზაცია.

ძვლის დაშლის პროცესს ახორციელებს სპეციალური უჯრედები, რომელთაც ოსტეოკლასტები ეწოდება, ხოლო ძვლის წარმოშობის პროცესში ოსტეობლასტები მონაწილეობს. ყოველივე ამაზე დიდ გავლენას ახდენს ფარისებრსახლო ჯირკვლები.

პარათირეოიდული ჰორმონი კალციუმის ცვლას უზრუნველყოფს

ფარისებრსახლო ჯირკვლები გამოიმუშავებს პარათირეოიდულ ჰორმონს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმში კალციუმის რეგულირება ხდება. ამ ჰორმონის სეკრეციის დაქვეითების დროს ვითარდება ჰიპოკალციემია, ჰორმონის გაძლიერებული სეკრეციის პირობებში კი — ჰიპერკალციემია. ამ ჰორმონს კერძოდ, შემდეგი ფუნქციები აკისრია:

ზრდის კალციუმის შეწოვას თირკმლებიდან;

- ამცირებს ფოსფატის შეწოვას. ფოსფატი კალციუმთან შეწყობილად მოქმედებს და ამიტომ მისი დაქვეითება კალციუმის მომატებას იწვევს;
- ახდენს ოსტეობლასტების — ძვლის წარმომშობი უჯრედების სტიმულირებას;
- ხელს უწყობს ნაწლავებიდან კალციუმის შეწოვას.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ჰორმონი დამოუკიდებლად არ მოქმედებს. კალციუმის რეგულაციაში ის D ვიტამინთან ერთად მონაწილეობს. ამ ვიტამინს ადამიანი, ისევე, როგორც კალციუმს, საკვებთან ერთად იღებს, მაგრამ ორგანიზმს ამ ნივთიერების გამომუშავებაც შეუძლია, ულტრაიისფერი სხივების გავლენით. აქედან გამომდინარე, კანზე მზის სხივების ზემოქმედება სასარგებლოა, მაგრამ, როგორც ყველაფერში, აქაც ზომიერებაა საჭირო.

D ვიტამინისა და კალციუმის წყარო

D ვიტამინის ძირითად წყაროს რძის პროდუქტები წარმოადგენს; კალციუმისას — ასევე რძე, ყველი, მაწონი, იოგურტი, წვენები, ბოსტნეული და მწვანილი. კალციუმზე დღიური მოთხოვნილება 0,5-დან 1,5 გრამამდეა. განსაკუთრებით დიდია მასზე მოთხოვნილება 45 წლის ზემოთ ქალებში, რადგან ამ დროს დიდია ოსტეოპოროზის საშიშროება.

დაავადება ოსტეოპოროზი

ოსტეოპოროზი ძვლოვანი მასის შემცირებით მიმდინარე დაავადებაა, რომლის დროსაც, მთავარ საშიშროებას ძვლის მოტეხილობა წარმოადგენს. მას მეოთხე ადგილი უკავია — გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური და სასუნთქი ორგანოების დაავადებების შემდეგ. სწორი კვება, D ვიტამინისა და კალციუმის საკმაო რაოდენობით მიღება, ძალზე მნიშვნელოვანია. ძვლებში კალციუმის ჩალაგებას ზომიერი ფიზიკური დატვირთვაც უწყობს ხელს.

ვის ემუქრება ოსტეოპოროზი

კალციუმის ნაკლებობის გამო ძვლის მასის შემცირება საკმაოდ გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და „ჩუმ ეპიდემიადაც“ კი მიიჩნევა. ასაკოვან ადამიანებში ხშირია ძვლების, კერძოდ — ბარძაყის ძვლის მოტეხილობა, აგრეთვე — ზემო კიდურების სპეციფიკური მოტეხილობა. ამ პრობლემის მოგვარება დიდ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ის ძალიან მძიმე ფიზიკურ და მორალურ ტვირთად აწვება პაციენტსა და მის ოჯახს. ამიტომ აქტუალურია იმ ჯგუფის გამოვლენა, სადაც ოსტეოპოროზი მეტადაა მოსალოდნელი. ასეთ სარისკო ჯგუფს განეკუთვნება:

ყველა ის პაციენტი, რომელიც მკურნალობს ზოგიერთი ჯგუფის პრეპარატებით, მათ შორის, გლუკოკორტიკოიდით. იმ პაციენტთა რიცხვი, რომლებიც რევმა-

ტიზმის, რევმატოიდული დაავადებების, ასთმის გამო იღებენ გლუკოკორტიკოიდებს, საკმაოდ დიდია ხანდაზმულ მოსახლეობაში. მათ სჭირდებათ კალციუმის დონის განსაზღვრა სისხლში და პროფილაქტიკურად, კალციუმის დანიშვნა.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ქალებს მენოპაუზის (კლიმაქსი) შემდგომ პერიოდში. 45-50 წლის შემდეგ, ქალებში ოსტეოპოროზის პროცესი ძალზე აქტიურად მიმდინარეობს. წელის ტკივილი, ტკივილი ძვლებში, მხრებში მოხრა — ძვლის სტრუქტურის ცვლილებების გამომხატველი სიმპტომებია.

კალციუმის დეფიციტის გამოვლენა შესაძლებელია ძვლის ექოსკოპიური გამოკვლევით. ამ შემთხვევაში პაციენტს დროული მკურნალობისა და მოტეხილობის პროფილაქტიკის შესაძლებლობა ეძლევა.

ოსტეოპოროზის მკურნალობისა და პროფილაქტიკის, უფრო სწორად — კალციუმის დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება, კვერცხის ნაჭუჭის გამოყენება: კარგად გარეცხეთ სოფლის კვერცხი, გააშრეთ, ნაჭუჭს შიდა მხრიდან მოაშორეთ აპკი, როდინში დაფქვით, სანამ პუდრს არ მიიღებთ; აიღეთ ჩაის კოვზის წვერით, დაწვეთეთ ლიმონის წვენი და მიირთვით. კვერცხის ნაჭუჭი მდიდარია კალციუმით და ამ სახით ის კარგად შეიწოვება.

ჰიპერპარათირეოზი

პარათირეოიდული ჰორმონის გაძლიერებულ სეკრეციას ფარისებრი ჯირკვლის ადენომა იწვევს. ჰიპერპარათირეოზის კლინიკა მრავალფეროვნებით გამოირჩევა: უსიმპტომო მიმდინარეობიდან — კომამდე. განასხვავებენ რამდენიმე ფორმას: ძვლოვან, თირკმლისმიერ, კუჭ-ნაწლავის (კუჭის წყლული, პანკრეატიტი, ქოლეცისტიტი), გულ-სისხლძარღვთა (არტერიული ჰიპერტონია) და სხვა.

ავადმყოფები უჩივიან: სისუსტეს, უმადობას, გულისრევას, ღებინებას, წყურვილის შეგრძნებას, გახშირებულ შარდვას, შეკრულობას, სიგამხდრეს, ტკივილს ძვლებში, მუცელში, კუნთების სისუსტეს. ვითარდება ფსიქონევროლოგიური დარღვევები: დეპრესია, მეხსიერების გაუარესება და კომატოზური მდგომარეობაც კი. ამ სიმპტომებიდან ზოგი, სისხლში კალციუმის დონის მატებითაა განპირობებული, ზოგიც — ორგანოებში კალციუმის მარილების ჩალაგების გამო განვითარებული დისფუნქციით.

ერთ-ერთი წერილის ავტორის საყურადღებოდ ვიტყვი, რომ თუ თირკმელკენჭოვანი დაავადების რეციდივი ხშირია, უნდა გამოვიკვლიოთ ფარისებრახლო ჯირკვალი, რათა არ გამოგვეპაროს, კენჭოვანი დაავადების ეს ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი. იგივე ითქმის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებაზეც. ის ვითარდება იმიტომ, რომ ჰიპერკალციემიის გამო, იმატებს კუჭის წვენის სეკრეცია. საყურადღებოა, რომ ამ დროს, მკურნალობის მიზნით, რძის პროდუქტებითა და ტუტე მარილებით დიეტას (როგორც წესი, ასეთ დიეტას წყლულოვანი დაავადებისას მიმართავენ) შეიძლება, ჰიპერკალციემიური კრიზიც კი მოჰყვეს.

დიაგნოსტირება. ფარისებრახლო ჯირკვლის დაავადებები ისეთი ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც ადამიანს არ გამოეპარება. ესენია: სისუსტე, უმადობა, გულისრევა, ღებინება, წყურვილის შეგრძნება, გახშირებული შარდვა, შეკრულობა, სიგამხდრე, ტკივილი ძვლებში ან კრუნჩხვები. როდესაც ეს ნიშნები გამოხატულია, მაგრამ მათი განვითარების სხვა მიზეზები არ ჩანს, ფარისებრახლი ჯირკვლების შესწავლა უნდა მოხდეს, კერძოდ — საჭიროა სისხლში იონიზებული კალციუმის დონის განსაზღვრა. ორგანიზმი მკაცრად იცავს კალციუმის დონის მუდმივობას სისხლში. მერყეობის დიდი დიაპაზონი ამ

შემთხვევაში არ აღინიშნება. ამიტომ ანალიზი (სისხლში კალციუმის დონის განსაზღვრა) ადვილად გამოავლენს, როგორც ჰიპერკალციემიას, ასევე ჰიპოკალციემიას. ნებისმიერი მიმართულებით გადახრის შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმ-ენდოკრინოლოგს, რომელიც შემდგომი გამოკვლევის გეგმას დასახავს.

ჰიპოპარათირეოზი

ყველაზე ხშირად ჰიპოპარათირეოზი გვხვდება ფარისებრახლო ჯირკვლების ოპერაციული მკურნალობის (მოცილების) შემდგომ. ჰიპოკალციემია იწვევს ნერვულ და კუნთოვან აგზნებადობას (კრუნჩხვითი შეკუმშვები); კლინიკურად იგი მიმდინარეობს ტეტანიის შეტევებით, როდესაც აღინიშნება კუნთების, განსაკუთრებით — პირის გარშემო კუნთებისა და თითების კრუნჩხვები. შეტევისას გამოხატულია: ოფლდენა, ბრონქოსპაზმი, თირკმლისა და ღვიძლის ჭვალი; შეიძლება განვითარდეს ლარინგოსპაზმიც (ეს კი სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს). თუ კრუნჩხვით პროცესში სისხლძარღვებიც ჩაერთო, ამას შეიძლება მოჰყვეს სტენოკარდია, რეინოს სინდრომი, შაკიკი; აღინიშნება ფრჩხილებისა და კბილების ტროფიკული ცვლილებები; შეიძლება, თმის ცვენაც განვითარდეს. ტეტანია შეიძლება, ფარულადაც მიმდინარეობდეს. ამ დროს დამახასიათებელია: ძილიანობა, შიში, ცნობიერების დაქვეითება.

პროგნოზი კეთილსაიმედოა სწორი მკურნალობის ფონზე. მკურნალობა კალციუმის დეფიციტის შევსებას ითვალისწინებს.

ვის მივმართოთ ჭარბთმიანობის დროს — ექიმს თუ კოსმეტოლოგს?!

ჩვენი ქალბატონების, მოზარდი გოგონებისა და მათი მშობლების ხშირი შეკითხვაა. ჭარბთმიანობა და გამონაყარი სახესა და სხეულზე (აკნე) მხოლოდ გარეგნული ნაკლი როდია, ხშირად იგი შვილოსნობის უნარის სერიოზული დარღვევის სიმპტომია და საკვერცხეების ფუნქციის მოშლაზე მეტყველებს.

მოკლედ საკვერცხეების შესახებ

ქალის ორგანიზმში ორი საკვერცხეა. საკვერცხეები მცირე ზომისაა (სიგრძე-2,5 სმ, სიგანე-1,5 სმ), მათი წონა მხოლოდ 5-8 გრამია, მაგრამ ორგანოს ზომით არ განისაზღვრება ადამიანის ორგანიზმისათვის მისი მნიშვნელობა. სწორედ საკვერცხეში წარმოიქმნება ის სასქესო ჰორმონი (ესტროგენი), რომელიც ქალის გარეგნულ სახეს და მისი ორგანიზმის სრულფასოვან ფუნქციონირებას განაპირობებს. ესტროგენის გავლენით საკვერცხეში მწიფდებიან კვერცხუჯრედები, რომელთა განაყოფიერება ახალ სიცოცხლეს აძლევს დასაბამს.

ჩვეულებრივ, საკვერცხე მცირე რაოდენობით მამაკაცის ჰორმონებსაც — ანდროგენებს გამოიმუშავებს.

მრავალი პრობლემის ერთი მიზეზი

ანდროგენების დონის მომატება (ჰიპერანდროგენია) ქალის გარეგნობაზე არასახარბიელოდ ისახება. ჭარბთმიანობა, გამონაყარი სახესა და ტანზე (აკნე), კანის ცხიმიანობისა და ფორიანობის მომატება (სებორეა), თავზე თმის ცვენა ჩვენი ქალბატონების განცდების ხშირი მიზეზია. სტატისტიკური მონაცემებით, ჰიპერანდროგენია საქართველოში ყოველ მეორე ქალს აღენიშნება.

კანისმიერ გამოვლინებებთან ერთად, მამაკაცის ჰორმონების სიჭარბე გამოიხატება მენსტრუალური ციკლის დარღვევებში, ზოგჯერ უშვილობასა და თვითნებურ აბორტებში. ამიტომ, ჰიპერანდროგენია, კოსმეტიკური პრობლემის გარდა მნიშვნელოვან სამედიცინო-სოციალურ პრობლემასაც წარმოადგენს.

ექიმი-გინეკოლოგი + კოსმეტოლოგი = ლამაზი და ჯანმრთელი ქალი

საკვერცხეების პათოლოგიის ბევრი სხვადასხვა ფორმა არსებობს, მრავალფეროვანია მათი გამომწვევი მიზეზებიც. ამიტომ, დაავადების ზუსტი დიაგნოზის დასმა საკმაოდ რთულია და მხოლოდ კოსმეტოლოგთან ვიზიტები არასწორი მკურნალობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

„სუსტი სქესის" წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეპილაცია ნემსით ან ლაზერით, დეპილატორული კრემების გამოყენება და სხვა კოსმეტიკური პროცედურები ამაოა. ჭარბთმიანობა და გამონაყარი მხოლოდ შედეგია, მიზეზის დადგენა კი გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის კომპეტენციას წარმოადგენს.

ზუსტად დასმული დიაგნოზი სწორი მკურნალობის აუცილებელი წინა პირობაა. ჰორმონული მაჩვენებლები მოწესრიგდება, „მიზეზი" აღმოიფხვრება და მასთან ერთად ჭარბთმიანობაც „ალაგდება".

პარალელური ვიზიტები კოსმეტოლოგიურ კაბინეტში კი დაჩქარებს სასურველი შედეგის მიღწევას.

SOS!

საყურადღებოა, რომ ასეთი პაციენტების გამოკითხვისას ხშირად მენსტრუალური ციკლის დარღვევებიც „იჩენს თავს". სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ არარეგულარული მენსტრუალური ციკლი („გადაცდენები", „გახანგრძლივებული თვიური" და სხვ.) თავისთავად მოწესრიგდება. ეს შეხედულება მცდარია. თავისთავად არაფერი მოგვარდება, დაგვიანებული მკურნალობა კი დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის გართულების მიზეზი შეიძლება გახდეს.

სამკურნალო აბები სილამაზისათვის

ჰიპერანდროგენული მდგომარეობების სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება ფარმაკოლოგიური პრეპარატები, რომელთა შორის აღსანიშნავია დიანე-35 (გერმანია). დიანე-35 შეიცავს კომპონენტს, რომელიც იწვევს სისხლში ჭარბი „მამაკაცური" ჰორმონების დონის დაქვეითებას და თრგუნავს კანის მგრძნობიარე უჯრედების (რეცეპტორების) მიერ ამ ჰორმონების აღქმას. დიანე-35-ით მკურნალობის ფონზე მცირდება ან ქრება პათოლოგიური თმიანობა სახესა და ტანზე, ალაგდება გამონაყარი, აღდგება კანის ბუნებრივი სტრუქტურა და სილამაზე.

დიანე-35-ით მკურნალობის საჭიროება ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. მანვე უნდა შეარჩიოს პრეპარატის დანიშვნის სქემა და მკურნალობის ხანგრძლივობა სათანადო გამოკვლევების საფუძველზე.

ჰიპერანდროგენიის მკურნალობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ის პაციენტისაგან მონდომებას, მოთმინებასა და სწორ ფსიქოლოგიურ განწყობილებას მოითხოვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმისადმი ნდობის ფაქტორი. ქალი თავს უფრო მშვიდად გრძნობს, როცა დარწმუნებულია, რომ მის ჯანმრთელობაზე გამოცდილი სპეციალისტი ზრუნავს.

მაია პარკაული
ი. ყორდანიას სახ.-ის ადამიანის რეპროდუქციის სკი-ის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მედიცინის დოქტორი

ექიმის უფასო
სატელეფონო კონსულტაცია:
30 80 99

კიდევ ერთი ბანალური ამბავი

მარინა ბაბუნაშვილი

წერილი, რომელიც სამი წლის წინ მოვამზადე, სიყვარულს და მშობლებისა და შვილების ურთიერთობას ეხება („როცა შვილებს შენი არ ესმით“, — „კვირის პალიტრა“, 2005 წლის, 21 ნოემბერი). ეს ამბავი ერთმა ნაცნობმა მიამბო. იგი წერილის პერსონაჟის — გოგის ნათესავია. მან გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ შვილების საქციელმა კინალამ მამა შეიწირა და სასურველი იქნება, სხვებმა გაითვალისწინონ მომხდარი, რათა მსგავსი შეცდომა არ დაუშვან...

ერთი შეხედვით, ესეც ჩვეულებრივი ამბავია, ბანალურიც კი, რომლის მსგავსიც არაერთხელ გვიამბნია მკითხველისთვის: გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ, მერე კი რატომღაც დაშორდნენ. გოგო თავისი გზით წავიდა, ვაჟმაც სხვა შეიყვარა, მაგრამ... სწორედ ამ „მაგრამ“-იდან იწყება ის მთავარი, რაც თითქოსდა ჩვეულებრივ ამბებს ერთიმეორისგან ცოტათი მაინც განასხვავებს.

ამბავი პირველი

„უარყოფილი საღლინაცვლო“

მაშინ თინა და გოგი 25-26 წლისანი იყვნენ. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ორივეს მშობლებმა რატომღაც ცხვირი აიბზუეს. არც ბიჭის დედ-მამას მოსწონდა სარძლო, არც გოგოსას — სასიძო. ბიჭი „მაგრად“ დაუხვდა უფროსებს, გოგო კი მოტყდა, ვერ გაუძლო წინააღმდეგობას. ბიჭს უარი უთხრა და სრულიად მოულოდნელად, მალევე გათხოვდა. ქმართან „ნელთბილი“ ურთიერთობა 7 წელიწადს გაგრძელდა — მეტის ატანა ველარ შეძლო თინამ და გაშორდა. რეზიკო მაშინ ექვსი წლის იყო. დედამ შვილს მარტივად აუხსნა: მე და მამიკომ გადავწყვიტეთ, ცალ-ცალკე ვიცხოვროთ, შენ ხან ჩემთან იქნები, ხან — მამასთანო... ბავშვმაც შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანა მშობლების გაყრა. მერე რეზიკო სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში წავიდა.

25 წლის შემდეგ თინას და გოგის გზები კვლავ გადაიკვეთა. თითქოს მშვიდად უნდა წარმართულიყო მათი ურთიერთობა (გოგი უკვე ქვრივი იყო), მაგრამ ჭაღარაშერეული კაცისა და ქალის ერთად ყოფნა ვერაფრით აიტანეს შვილებმა.

გოგის 3 შვილი ჰყავდა, ერთი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟს შეეცოდა მამა და „პოზიციები“ დათმო, გოგონები კი უკან არა და არ იხევდნენ. ის კი არა, თინას შინ ეწვივნენ და მასთან საქმის გარკვევა სცადეს: რა უფლება გაქვს, მამაჩვენთან რომ „სიყვარულობია“ წამოიწყე, საწყალი დედაჩვენის ცხედარი ჯერ საფლავში არც გაცივებულა და შენ უკვე მის ადგილს იკავებო? მოკლედ, გაოგნებულ ქალს სულ მუშტები უბრახუნეს მაგიდაზე. იმ საღამოს „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოიძახეს მეზობლებმა. ამდენ უსიამოვნებას არც გოგისთვის ჩაუვლია უკვალოდ. აღდგომის წინა დღეებში სოფელში ჩავიდა. სასაფლაოზე გასვლა და მშობლების საფლავების გაწმენდა უნდოდა. სწორედ, მუშაობისას უმტყუნა გულმა. თანასოფლელებმა შვილებს გააგებინეს გოგის მდგომარეობა, ისინიც იმ დღესვე ჩავიდნენ სოფელში.

ექიმებმა ურჩიეს: მგზავრობა სასურველი არ არის, ახლა მისთვის ყველაზე კარგი წოლა და სიმშვიდეაო. გოგონები თავს ევლებოდნენ მამას, არაფერს აკლებდნენ, ექიმების დანიშნულებას ზუსტად ასრულებდნენ, მაგრამ როცა ჭიშკართან თინას მოჰკრეს თვალი, სიმშვიდის დაცვა სულ დაავიწყდათ და ისეთი ამბავი ატეხეს, ქალს ეზოში არც კი შეადგმევინეს ფეხი — შენი ბრალია, მამა რომ ასეთ დღეშია, ჯადოსავით გამოჩნდი ჩვენს ცხოვრებაშიო. ქალი ტირილით დაბრუნდა თბილისში. გოგიმ გვიან შეიტყო მომხდარის შესახებ. ბევრი აღარ უფიქრია, თავისი ტანსაცმელი და ნივთები ჩანთაში ჩაალაგა და თინასთან გადაბარგდა.

ამგავი მეორე

„...მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“

გოგი საოცრად გულნატკენი იყო შვილებზე. ერთადერთი ის აშფოთებდა, რომ ვაჟიშვილი ხშირად სტუმრობდა და თინასაც პატივისცემით ეტყოდა. კაცს იმედი ჰქონდა, ადრე თუ გვიან, ძმა გაჯიუტებულ დებს შეაგნებინებდა, რომ მშობლის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სამარცხვინო იყო.

გოგი ხშირად იხსენებდა წარსულს... თინას მოულოდნელად გათხოვების მერე, ძალიან გაუჭირდა ტკივილთან გამკლავება, მაგრამ როგორმე უნდა გაეძლო. საყვარელ გოგოს ახალი ცხოვრება თუ დაავიწყებდა. როგორც იქნა, ისიც დაოჯახდა. მართალია, ნათელამ ქმარს ოჯახური სიმყუდროვე შეუქმნა, სამი შვილიც გაუჩინა, მაგრამ მისთვის თინას დავიწყება ვერ შეძლო.

გოგი თავდაუზოგავად მუშაობდა, საქმე წარსულის ტკივილს ავიწყებდა, მაგრამ შინ მისულს, ნათელას დანახვისას, უნებურად ფიქრი მაინც თინასკენ გაურბოდა.

ერთხელაც, როცა ავადმყოფი დედის მოსანახულებლად მივიდა, ქალმა მისთვის მტკივნეულ საკითხზე წამოიწყო ლაპარაკი: განა ვერ ვხედავ, რომ უსიყვარულოდ ცხოვრობ! მაპატიე, არ უნდა ჩავრეულიყავი შენს ცხოვრებაში. არ მეგონა, ასე თუ გიყვარდა თინა. მეეჭვებოდა, რომ უზრუნველ ცხოვრებას მიჩვეული გოგო, შენს გაგებას შეძლებდა; ამიტომაც არ მინდოდა რძლადო.

გოგი გაოცებული მისჩერებოდა დედას. მისთვის ძნელი იყო ამის მოსმენა...

თანაკურსელი რომ გარდაეცვალა, გულმა უგრძნო, რომ იქ აუცილებლად შეხვდებოდა თინას. ასეც მოხდა. აღმოჩნდა, რომ თინამ მის შესახებ გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე გოგიმ ქალზე. როცა ისიც გაიგო, რომ თინა კარგა ხანია, ქმარს გაშორებოდა, გული დასწყდა — აქამდე რატომ არ ვინახულეო. მერე მათი ურთიერთობა კვლავ განახლდა. გრძნობა იმ პირველ სიყვარულს აღარ ჰგავდა — გაცილებით უფრო ძლიერი და მრავლისმომცველი გახლდათ. გალაკტიონისა არ იყოს: „... მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“. თუმცა ვინ აცალა მათ ეს სიყვარული? ქალიშვილების წინააღმდეგობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო კაცი.

ახსენდებოდა, როგორი თბილები, საყვარლები იყვნენ პატარაობისას, სულ უკან დასდევდნენ მამას. ზოგჯერ, დედაზე წინაც აყენებდნენ, რადგან დედა ხანდადან ტუქსავდა ხოლმე, მამა კი ყოველთვის ანებივრებდა. მათი დედა ცოცხალი რომ ყოფილიყო, გოგონების გააფთრებას, რაღაც ახსნას მაინც მოუძებნიდა; ახლა კი მათი ქმედება სრულიად გაუგებარი იყო. ორივენი გათხოვილები იყვნენ, შვილებიც ჰყავდათ, მხოლოდ ვაჟი არ ჩქარობდა დაოჯახებას. ვერ გაეგო გოგის, რატომ „იცავდნენ“ ისინი მას თინასგან... ინფარქტის მერე, თინასთან ცხოვრება საბოლოოდ გადაწყვიტა. ერთი წლის განმავლობაში არც ტელეფონით, არც პირადად, ქალიშვილებს არ მოუკითხავთ. სამაგიეროდ, თინას შვილი — რეზიკო მათ ყურადღებას არ აკლებდა. ერთხელ ჩამოვიდა გერმანიიდან, მერე იქით დაპატიჟა დედა და მამობილი. რეზიკო მიუნხენში ცხოვრობდა, გერმანელი ცოლი ჰყავდა — ჰანა და სულაც არ ემდუროდა ბედს. ამდენი უსიამოვნების მერე მიუნხენში გატარებულმა ორმა კვირამ ცოტათი დაამშვიდა გოგი. თბილისში ჩამოსულს კი ვაჟმა ახარა, ცოლი მომყავსო. მიუყვანა კიდეც მამას საცოლე და გააცნო. გოგისკენ ქალიშვილებმა სწორედ სანდროს ქორწილის დღეს ქნეს პირი. მიხვდა გოგი, რომ ეს, ვაჟიშვილისა და რძლის დამსახურება იყო...

გოგი და თინა დღესაც ბავშვებივით ხელიხელჩაკიდებულები დადიან ქუჩაში. ერთი წუთითაც არ შორდებიან ერთმანეთს. მათ მხოლოდ იმაზე სწყდებათ გული, რომ საერთო შვილი არა ჰყავთ.

●

„დედას რომ არ მიეტოვებინა“...

„შემზარა „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილმა წერილმა, სადაც მოთხრობილია იმ ბიჭის შესახებ, რომელიც დედამ მიატოვა. ოჯახიდან დედის წასვლის შემდეგ კი ბიჭის სულში მკვლელი ჩასახლდა. მან ის გოგონა შეიყვარა, რომელიც დედამისს ჰგავდა და როცა გოგონასგან უარი მიიღო, მოკლა. ტრაგედიაა, აბა, რა! ჩემს სამეზობლოშიც მსგავსი რამ მოხდა. მართალია, ხვიჩას არავინ მოუკლავს, მაგრამ მას მერე, რაც მშობლები გაიყარნენ, ხელიდან წავიდა. არადა, იცით, რა კარგი ბიჭი იყო? ათი წლის განმავლობაში სულ ჩხუბი და ორომტრიალი იყო მათ ოჯახში: კაცი სვამდა, ქალმა კი საყვარელი გაიჩინა. უმიზეზოდ არ ეჭვიანოდა კაცი, არც სიფხიზლეში იყო წყნარი, მაგრამ სიმთვრალეში სულ ზღვარს გადადიოდა. ხვიჩა არაერთხელ გვინახავს გარეთ გამოსული. კუთხეში ჩაიცუცქებოდა და თავისთვის ჩუმად იცრემლებოდა. მერე, ოჯახიდან დედა წავიდა; მამამ სხვა ქალი მოიყვანა. ძველებურად აღარ ისმოდა ჩხუბის ხმა, მაგრამ ეტყობა, ბიჭს გული არ უდგებოდა სახლში. ქუჩას მიეჩვია. მეათე კლასში იყო, მაგნიტოფონის მოპარვისთვის რომ დაიჭირეს. მერე — ერთმანეთს მიჰყვა მისი „საქმენი საგმირონია“. რამდენჯერ გვილაპარაკია მეზობლებს მასზე. შვილებს დედაც და მამაც — ორივე სჭირდებათ, მაგრამ განსაკუთრებული როლი დედას ენიჭება. სწორედ ქალზეა დამოკიდებული, როგორი გაიზრდება შვილი. როცა ოჯახში ორომტრიალია და ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ ეგუება, რა თქმა უნდა, გაშორება ჯობს, მაგრამ ქმრის ჯინაზე დედამ შვილს ზურგი როგორ უნდა შეაქციოს? ხვიჩა დღეს 35 წლის იქნება და აქედან ნახევარი, ციხეში აქვს გატარებული. დედას რომ არ მიეტოვებინა, იგი სულ სხვა გზას დაადგებოდა.

რუსუდანი, თბილისი“.

„ვარეგნული ხიბლი მხოლოდ მითია“

„ვეხმაურები წერილს რუბრიკიდან „ცხოვრება“ — „ეს სიყვარულია თუ ანომალია?“

მეც ზუსტად იმ გოგონასავით მოულოდნელად მესტუმრა სიყვარული. იმ ბიჭს არც მე ვიცნობდი კარგად; უბრალოდ, ერთ სასწავლებელში ვსწავლობდით. გაზაფხულის წვიმიან დღეს მის მზერას შევეჩეხე, თვალი ვერ მოვწყვიტე და მიეხედი, ჩემთვის რაღაც ახალი, აქამდე უცნობი რამ ინყებოდა. ის ბევრ გოგოს მოსწონდა, მაგრამ საკუთარ თავში ჩაკეტილი და ამაყი ბიჭი იყო. მხოლოდ ერთ გოგონასთან მეგობრობდა. იმ გოგომ გაიგო ჩემი გრძნობის შესახებ და თავის ძმაკაცს გაუმხილა. იმ დღიდან მან ყურადღება მომაქცია, სულ ჩემ ირგვლივ ტრიალებდა, მაგრამ თავი ისე მეჭირა, თითქოს ვერც ვამჩნევდი. ბოლოს, გამიწყდა მოთმინების ძაფი. არდადეგები გვწყებოდა და დავუმესიჯე, ისიც ამყვა და გასაქანი აღარ მომცა — დრო არის, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთიო. გავიცანი და მალე მიეხვდი, რომ იგი ჩემი ოცნების მამაკაცის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. რაც შორიდან ჩანდა, მირაჟი ყოფილა. მისი წარმოსადეგი გარეგნობის მიღმა, არაფერი იყო ადამიანური და მოსაწონი. საკმაოდ ეჭვიანი აღმოჩნდა. ვერ გავიგე, როდის რა სწყინდა ან უხაროდა. საოცრად ჩაკეტილი იყო საკუთარ თავში. ვითომ ცდილობდა, ყურადღება არ მოეკლო ჩემთვის, მაგრამ ამას ისე ულიმღამოდ აკეთებდა, სულაც არ ვიხიბლებოდი. ბოლოს, ჩემი ცხოვრებიდან გაქრა. იმდენად მყავდა „ამოჩემებული“, რომ მისი წასვლა მაინც განვიცადე; დეპრესიაშიც კი ჩავვარდი. ალბათ, იმას უფრო ვდარდობდი, რომ ბიჭი, რომელიც ასე ძალიან მიყვარდა, ჩემი ოცნების მამაკაცი არ აღმოჩნდა. სამმა თვემ განვლო და ვიგრძენი, რამხელა ტვირთი მომეხსნა გულიდან. ასე რომ, ყველა გოგოს ვურჩევ, ასე უაზროდ ნურავის შეიყვარებს და გარეგნული ხიბლის მიხედვით რაინდად ნუ შერაცხავს უცნობ მამაკაცს. მთავარია, ერთმანეთის სულს ჩასწვდეთ და ამის მერე შეიყვაროთ ერთურთი. მერწმუნეთ, ასეთი გრძნობა უფრო ძლიერი და მყარი იქნება.

თიკა ქუთაისი“.

„ჩემი საქმრო ქურდი აღმოჩნდა“



„არავის ვუსურვებ იმას, რაც შარშან თავს გადამხდა. შემიყვარდა ბიჭი, რომელზედაც ყველა მეუბნებოდა — შენი ტოლი და სწორი არ არისო. მეგობრებიც ალმაცერად უყურებდნენ ჩემს რჩეულს და დედაჩემს ხომ მისი სახელის გაგონებაც არ სურდა. ძალიან მიკვირდა, რატომ იყვნენ მის მიმართ ასე უარყოფითად განაწყობილნი. ეტყობა, ისინი თავიდანვე ამჩნევდნენ მას ანგარებას... მე კი ისე მიყვარდა, ბრმასავით ვენდობოდი. საბოლოოდ, მშობლებსაც და მეგობრებსაც კატეგორიულად განვუცხადე, ტყუილად ნუ ცდილობთ, აზრი შემაცვლევინოთ, მე ის მიყვარს და მხოლოდ მისი ცოლი გავხდები-მეთქი. იმათაც სხვა რა გზა ჰქონდათ, უკან დაიხიეს. იმდენს მივაღწიე, ოჯახშიც მივიყვანე და უფრო ახლოს გავაცანი დედაჩემს. იმ დღიდან, მან ჩემთან სტუმრობას მოუხშირა. ერთხელაც, ჩემი საქმრო (ყველგან ვაცხადებდი, რომ ის ჩემი საქმრო იყო) მეგობრებთან ერთად მეწვია. შუა დროს ტარებისას და მხიარულებისას გამომიცხადა, ნათესავი ავარიაში მოყოლილა და სასწრაფოდ უნდა წავიდეო. შევწუხდი და შევთავაზე, მეც გამოგყვები-მეთქი, მაგრამ იუარა, სტუმრებს ხომ არ მიატოვებ, აქ დარჩი, შეიძლება, მოგვიანებით კვლავ შემოგიერთღეთო. გვიან ღამით დამირეკა და მითხრა, ძალიან ცუდად არის ჩემი ბიძაშვილი და რაიონში უნდა წავიდე მისი მშობლების ჩამოსაყვანადო. მეორე დღეს მობილური გათიშული ჰქონდა. საღამოს, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემს პატარა ზარდახშაში არც ერთი სამკაული აღარ იდო. უნებურად, მეგობრებისკენ გამექცა ფიქრი, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ყველას სათითაოდ დავურეკე და დანაკარგის შესახებ ვუთხარი. რამდენიმე წუთში ხუთივე ჩემთან გაჩნდა. ისინი ძალიან შეშფოთებულები იყვნენ. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. მერე, ერთ-ერთმა შემომაპარა, „იმას“ თუ შეეხმიანეო. ისე შევხტი, თითქოს დენმა დამარტყა. მასზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი ასეთ რამეს, მაგრამ რადგანაც ეჭვი ყველამ მასზე მიიტანა, მეც დავეჭვდი. იქნებ, ნათესავის ავარიაში მოხვედრა და სოფელში გამგზავრება ფარსი იყო და ყველაფერი გაითამაშა, რომ კვალი დაეფარა-მეთქი. დედაჩემმა თავისი მეგობრის შვილს დაურეკა (ჩვენი რაიონის საპატრულო პოლიციაში მუშაობს) და დახმარება სთხოვა... იმ დღესვე ყველაფერი გამოაშკარავდა. ჩემმა რჩეულმა პოლიციაში სიმართლე დაფქვა — „ფული დამჭირდა და იმიტომ ავიღე... როცა თეას ცოლად შევირთავდი, ორ იმდენს ვუყიდდიო. ასე მეგონა, სამყარო თავზე ჩამომექცა. ძალიან განვიცადე საქმროს ხელმრუდობა. უსაზღვრო სიყვარული უსაზღვრო სიძულვილმა შეცვალა. საშინლად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. მან დააბრუნა სამკაულები (გაყიდვა ვერ მოასწრო) და ჩემთან დალაპარაკებაც მოინდომა, მაგრამ კარი ცხვირწინ მივუჯახუნე. რა უცნაურია შეყვარებული ადამიანი! რჩეულზე ვინც არ უნდა გითხრას ცუდი, ვერ იჯერებ, სანამ თავად არ დარწმუნდები ამაში. სამწუხაროდ, თვალი ზოგჯერ გვიან გვეხილება. ჩემს შემთხვევაში კი ალბათ, დაგვიანებულად მაინც არ მიიჩნევა, რადგან მე მისი ცოლი კი არა, საცოლე ვიყავი. კიდევ კარგი! ალბათ, ცოლად რომ გავყოლოდი, უარესიც მელოდა, მაგრამ ღმერთმა დამიფარა ქურდბაცაცა კაცთან ცხოვრებისგან.

თეა ს“.

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru

ჯაჭვიანი ალისფერი ბალის ალსარება

პოლინა

ტურინის შემოგარენი. თავად ბორგეზეს სამფლობელო. 1808 წლის ერთ-ერთი საღამო.

— ნიკოლო, თქვენ რა, ეჭვიანობთ? — პოლინა ბორგეზემ სახესთან ნახევრად დამჭკნარი ვარდი მიიტანა და ღიმილი მის უკან დამალა.

— არა, ქალბატონო, არ ვეჭვიანობ, რადგან ამას ვერ გავბედავ! — გრძელთმიანმა, გაქუცულფრაკიანმა მამაკაცმა მხრები აიწურა. ის ისეთი გამხდარი იყო, რომ ტანისამოსი მხრებზე ეკიდა. ერთი მხარი მეორეზე მაღალი ჰქონდა, თითები მოქნილ ჭიაყელებს ან ტროპიკულ ტყეში დაკიდებულ ლიანებს მოგაგონებდა.

პოლინას რატომღაც სან-დომინგოს, ყვავილების სურნელით გაჟღენთილი კუნძული გაახსენდა, სადაც მისი და გენერალი ლეკლერკის ბედნიერი ურთიერთობა დაიწყო. სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— რით გაგანაწყენეთ, ქალბატონო? — ჯადოქარ მევიოლინეს მისი სახის გამომეტყველება არ გამოჰპარვია.

— საიდან მოიტანეთ? არ გავბრაზებულვარ. მაპატიე, ნიკოლო, კარგი დიასახლისის მოვალეობას ცუდად ვასრულებ, — ქალბატონმა უხერხულობის დასაფარავად გაიცინა, მაგრამ მუსიკოსის უზადო სმენას ყალბი ნოტები არ გამოჰპარვია.

ქალი დაძაბული იყო. მამაკაცმა მის შიშველ მხარს ხელი შეახო. ქალმა თითქოს ვერ შეიგრძნო მისი ცხელი თითების ცელქობა. არც კი განძრეულა, მაგრამ შიგნით, სხეულში თითქოს რაღაც გალღვა. იგრძნო, რომ ცრემლი, რომელიც ყელში ბურთივით ჰქონდა გაჩხერილი, „გადნა" და სხულში ჩაიღვარა.

— უბრალოდ, თქვენთვის ვარდის ახალი, დამასკური ჯიშის ჩვენება მინდოდა, მაგრამ უკვე გვიანია, ბაღში ახლა უკვე ვეღარაფერს დავინახავთ, — ქალბატონი კიბისკენ შებრუნდა და მაესტროს ხელით საფეხურებისკენ ანიშნა. მამაკაცი დაემორჩილა მის უსიტყვო ბრძანებას.


ნიკოლო პაგანინი

— თქვენმა დაკვრამ გამაშეშა, უფრო ადრე უნდა გავსულიყავით — ქალბატონი დღესავით განათებულ ოთახში შეუძღვა, სადაც ვაზაში ჩალაგებული ვარდები თავს იწონებდნენ, ბუხარი კი სასიამოვნოდ ტკაცუნებდა. სპარსული ნოხის სირბილე მისი ნაბიჯების ხმას ახშობდა. იასამნისფერი კაბა კი დიასახლისის სხეულის ყველა ღირსებას თამამად წარმოაჩენდა და მამაკაცს მოწიწების გრძნობას უნერგავდა. თუმცა, პოლინა ამას ვერ ამჩნევდა. საერთოდ, ყურადღებას არ აქცევდა მისით მოხიბლული ადამიანების აღფრთოვანებულ გამოხედვას. მან ისედაც იცოდა თავისი მშვენიერების შესახებ.

პაგანინი უხმოდ ჩაჯდა სავარძელში და დიდი ხნის განმავლობაში თვალს არ აცილებდა დიასახლისს, ვიდრე ის ვერცხლის ფინჯნებში ყავის ჩამოსხმას ცდილობდა.

— ქალბატონო, უფლებას მომცემთ, რომ ერთი კომპლიმენტი გითხრათ? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო მამაკაცმა და მის შიშველ, ძვირფასი სამაჯურებით მორთულ მკლავებს თვალი აარიდა.

ქალმა შეხედა, თან მსახურის გამოსაძახებლად ზანზალაკი

მოიმარჯვა.

— რა თქმა უნდა, თქვენ ყველაფრის უფლება გაქვთ, მაესტრო!

— თქვენი სხეული ჭკუიდან შემშლელ, შეჩერებულ მუსიკას ჰგავს... იცოდით, ამის შესახებ? რა თქმა უნდა, იცოდით... თქვენი საყვარლების შესახებ მთელ იტალიაში ლაპარაკობენ...

— ჰო, მაგრამ ნიკოლო, თქვენ ხომ ერთ-ერთი მათგანი ხართ! — ქალმა გაიცინა, მაგრამ უცებ დასერიოზულდა. — ბრბოლამაზ ქალს ყოველთვის ჭორავს, რადგან სხვა საქმე არ აქვს... ჩემი საყვარლების რიცხვი გაცილებით მცირეა, ვიდრე ამბობენ, — პოლინამ ამოიოხრა და ისევ ზანზალაკი მოიმარჯვა, მაგრამ პაგანინი ხელში სწვდა.

— მიამბეთ თქვენ შესახებ, მადამ, მე თითქმის არაფერი ვიცი, ოფიციალური ქრონიკის ინფორმაციის გარდა. იქ ყველასთვის ქალბატონი ბორგეზე ხართ, ტურინის მბრძანებელი, ჰერცოგინია დიუ გუასტალა, დიდი იმპერატორის, ნაპოლეონის და. მე კი თქვენი საიდუმლოებების ცოდნა მინდა.

— ეს უკვე მეტისმეტია! — პოლინამ ზანზალაკი ააწკრიალა.

კარი მაშინვე გაიღო, თითქოს დაძახებას ელოდნენ და შავთმიანმა მოახლემ ვერცხლის ლანგარზე დადებული ყავის ჭიქები და ნამცხვარი შემოიტანა. დიასახლისი მოახლის გასვლის შემდეგაც არ ჩქარობდა საუბრის დაწყებას.

რამდენიმე გრძელი წუთი გავიდა. შემდეგ მხრები აიჩეჩა.

— მოსაყოლი არც არაფერია, ჩემი ძმის ჩრდილში ვიზრდებოდი, — აქ ქალმა ჩაიცინა, — რა ევალებოდა მკაცრ, კორსიკულ ოჯახში გაზრდილ გოგონას? კერვის დროს დაშვებული მცირე შეცდომის გამო — სილაქე; ერთი დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვის გამო — 2 სილაქე; ურცხვი გამოხედვის გამო — 4, ხოლო თუ ეკლესიაში ყოფნის დროს მამაკაცისკენ თვალი გაგექცევა, მთელი 2 კვირით სახლში გამოკეტვა გელის. მას შემდეგ, რაც დედამ ცუდად მოქარგული ქსოვილის გამო თითები ნემსით დამიჩხვლიტა და სისხლი მადინა, ხელსაქმისადმი ზიზღი გამიჩნდა. ამიტომ, არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— ტყუილად არ გიწოდებენ „მეფის ოჯახის განებივრებულ ბავშვს", — გაიღიმა პაგანინიმ.

მანამდე დედაჩემი ეტლით კი არა, მამაჩემს ვირით დაჰყვებოდა კვალდაკვალ. მამა კი კორსიკელების აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. ღამეს კი ღია ცის ქვეშ ათევდა, რადგან ჩვენი თეთრი, სამსართულიანი სახლი მივატოვეთ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩემი „არისტოკრატიული აღზრდა" ძალიან მალე დასრულდა. შესაძლოა, სწორედ ამის ბრალია, რომ წერის დროს უამრავ შეცდომას ვუშვებ, — ქალმა ზიზღით ჩაიცინა და მხრები აიჩეჩა. — 16 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა დიდმა ძმამ, როგორც თქვენ მოიხსენიეთ, გენერალ ვიქტორ ემანუელ ლეკლერკზე, ქერა, ახალგაზრდა, მომხიბვლელ, მდიდარ და თავის ერთგულ ადიუტანტზე გამათხოვა. მე იძულებული გავხდი, ჩემი ბავშვობის, ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი სიყვარული დავიწყებისთვის მიმეცა. თუმცა, არასოდეს ვყოფილვარ ცივი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე დაწერეს: „როდესაც ქალბატონ პოლინას შეხედავთ, მიხვდებით, რომ ადამიანის წინაპრები ღმერთები იყვნენ". — პოლინამ გულიანად გაიცინა.

მისი სიცილი იასამნის სიმღერას ან უბრალოდ, ერთ ნოტს ჰგავდა. პაგანინიმ გაიფიქრა, რომ ეს ნოტი საჭირო ადგილზე უნდა ჩაწეროს იმ ნაწარმოებში, რომლის წერაც გუშინ დაიწყო.

— სულელი ჭორიკანები, მათ ეგონათ, რომ ჩემი სილამაზე ყველგან მშველოდა, მწუხარების დროსაც კი, — პოლინამ ამოიოხრა.

— ნუთუ ეს ასე არ არის, მადამ? — მოწიწებით გააწყვეტინა სიტყვა მაესტრომ. მან რეპლიკა ბურთივით ისროლა და ელოდა, რომ პოლინა აიტაცებდა. თუმცა, შეცდა.



ასე გამოიყურებოდა ის ოთახი, სადაც ნიკოლოსა და პოლინას საუბარი შედგა

პოლინა თითებით რბილად შეეხო მის ტუჩებს. ეს ჟესტი, რომელიც გაჩუმებას ნიშნავდა, მოფერებაში გადაიზარდა. ის თითქოს ბუმბულით ეხებოდა მამაკაცის ტუჩის კონტურებს. ნიკოლოს სუნთქვა შეეკრა და ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა, მაგრამ პოლინას თითები ტუჩებს სწვავდა.

ქალი უეცრად წამოდგა და ბუხართან დადგა. ცოტა ხნის შემდეგ მისი სიმღერის ხმა მოისმა.

„ალბათ კორსიკული „იავნანაა", რომელიც ბავშვობაში მოუსმენია", გაიფიქრა ნიკოლომ, როდესაც მისმა სმენამ ხალხური მოტივი დაიჭირა. მან თითები ნერვიულად გადააჯვარედინა, რომ ღელვა დაეფარა.

ამ ქალმა იოლად გამოდევნა მისი გონებიდან, გულიდან და მეხსიერებიდან ყველა წინა რომანი.

რაც ტურინში ერთმანეთი გაიცნეს, მას შემდეგ პოლინას გარდა არავის გახსენება არ სურდა, რაც ასე აღიზიანებდა ნიკოლოს მეგობარს, ფელიჩიო ბლანჯინის, რომელიც პოლინას სასახლის კარის მუსიკოსი გახლდათ.

— რა არის სიყვარული, მაესტრო? ეს წუთიერი, ლამაზი, ცეცხლივით მწველი გრძნობაა, რომელიც პეპელას ფრთებს ჰგავს



და მანამდე არსებობს, ვიდრე არ მოგწყინდება, მოგბეზრდება და არ ჩაიფერფლება. არ მეთანხმებით? — დიასახლისი მსუბუქი ნაბიჯებით მიაბიჯებდა ნოხზე. მაესტრომ თვალები დახუჭა, თავი გააქნია და ჩუმად თქვა:

— ნაპერწკალი რჩება, ქალბატონო...

— მხედველობაში გაქვთ მეხსიერება? მე მასზე ძლიერი ვარ! მუდმივად წარსულით ცხოვრება სასაცილოა. თუმცა, ახლაც შიშით ვიხსენებ, როგორ იფერფლებოდა ჩემს ხელებში, ყვითელი ციებ-ცხელებით შეპყრობილი ჩემი ქმარი, ლეკლერკი. ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ დაავადების წინაშე. აი, ესეც სიყვარულის სამოთხე! — ქალმა პირჯვარი გადაისახა.

— გიყვარდათ? — პაგანინიმ ხანგრძლივი სიჩუმე დაარღვია.

— არ ვიცი. ქორწინებაში ხშირად ხდება ისე, რომ ერთს უყვარს, მეორე კი უფლებას აძლევს, რომ უყვარდეს. მას მივეჩვიე. ის ნაზი, მზრუნველი, ყურადღებიანი მამაკაცი იყო, ჩემი შვილის მამა. მე მისთვის თავისი კერპის, ნაპოლეონის ნაწილი ვიყავი და მაღმერთებდა. ჩემი შვილი, დერმიდი 4 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. ეს საშინელებაა, ნიკოლო, პატარა, უცოდველი, ცისფერთვალება არსება, რომელიც მხარზე თავს გადებს, სიცხისგან იწვის... შენ კი ვერაფერს შველი... სიკვდილმა სამუდამოდ წამართვა ჩემი პატარა.

რატომ ერქვა მას ასეთი უცნაური სახელი, პაოლეტა? — ნაამბობით აღელვებულმა პაგანინიმ ქალს სახელით მიმართა, რის უფლებასაც თავს მხოლოდ ღამით აძლევდა, როდესაც თავის მკლავებში მოქცეულ, ვნებისგან გათანგულ ქალს ეჩურჩულებოდა.

— დერმიდი? ეს ერთ-ერთი მითოლოგიური პერსონაჟის სახელია, რომელიც ჩემს შვილს ნაპოლეონმა დაარქვა. მას უყვარდა ბავშვები, თუმცა, ღმერთმა საკუთარი შვილი არ მისცა. რას უნდა ელოდე, იმ ბებერი ჟოზეფინასგან, რომელმაც ჩემი ძმა მოხიბლა, მოაჯადოვა და ცოლად გაჰყვა? ის ქმარზე 6 წლით უფროსია და ბერწი. მისთვის თავი უნდა მოეკვეთათ, — პოლინას თვალებში ნაპერწკალი გაკრთა. მრისხანება, რომელსაც საძულველი რძლის მიმართ გამოხატავდა, სახეზეც აღებეჭდა.

პაგანინი წამოდგა და პოლინას მხრებზე ხელი ნაზად მოხვია.

— დამშვიდდი, ჩემო დედოფალო, თქვენი ძმა იმპერატორია, იმპერატორები თავის ბედს თავად ირჩევენ. იმპერატრიცა ჟოზეფინას ქვეყნისა და არმიისთვის სიკეთე მოაქვს. ის უყვართ. მას კი თქვენ უყვარხართ და პატივს გცემთ.

— კი, ის იყო ჩემს ქორწილში, როდესაც ამ საცოდავ ჭიაყელაზე, ბორგეზეზე ვთხოვდებოდი — თუმცა, ის თავის თავს პრინცს უწოდებს. ძვირფასი სამკაული მისახსოვრა. თუმცა, იმდენი სამკაული მაქვს, აღარ ვიცი, სად წავიღო. რაში მჭირდებოდა? ბორგეზე ძალზე მდიდარია და ამ სიმდიდრისგან გული მერევა.... სხვა მოსაყოლი არაფერი მაქვს, ნიკოლო. საკმარისია, დავიღალე... უკვე თენდება კიდეც... თანაც, რა გავიხსენო, საყვარელო? გენერალ ლეკლერკის 4 კუბო? მისი ხანგრძლივი დასაფლავების ცერემონია? ქვრივის ტვირთი? თუ ჩემს ლოგინში შემომძვრალი, უქნარა და უვიცი საყვარლების „ჯაჭვი"? თუმცა, ყველა მათგანი, ერთად აღებული, ნამდვილად სჯობს ჩემს ახლანდელ ქმარს, კამილოს. მისი მამაკაცური ღირსება იმდენად მცირეა, რომ ჩემი ყველა საიდუმლოს ჩაწვდომა არ შეუძლია და არც მე მაქვს სურვილი, რომ გული გადავუშალო, რადგან მძულს. — ქალმა გაიცინა და მაესტროს სახელოზე მოქაჩა. მამაკაცი მის ნებას დაჰყვა. პოლინამ ის ერთ-ერთი ქანდაკების უკან დატანებული ფარული კარისკენ წაიყვანა.

— იჩქარეთ, ნიკოლო, თორემ სადაცაა, გათენდება, მოვა თქვენი მეგობარი მუსიკოსი და იბურტყუნებს — სადაა ნოტები? სადაა მუსიკა? მუსიკა... მუსიკა... ჩემთან ერთად მუდმივად მხოლოდ ისაა... — დაასრულა თავისი მონოლოგი ქალმა.

— თქვენ ხომ შემპირდით, მადამ... — თავბრუდახვეული ნიკოლო წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა.

— რაა? — ხმამაღლა გაიცინა პოლინამ, — ყველა საიდუმლოს გაგება გინდათ? ახლავე გაიგებთ! ჩემი დევიზი გახსოვთ? აბა, გაიმეორეთ, გელოდებით! — ბრძანა პოლინამ და თავისი ლამაზი ფეხები იატაკზე დააბაკუნა.

დასასრული
შემდეგ ნომერში



დაუკვირდი სურათს რამდენიმე წუთის განმავლობაში და იფიქრე, რას უნდა ნიშნავდეს მასზე გადმოცემული მოქმედება. შემდეგ დახედე ტესტის კითხვებს, უპასუხე და შეიტყვე, რამდენი % ეშმაკი და რამდენი % ანგელოზი „ზის" შენში.

1. გიყვარს თუ არა საშინელებათა ფილმების ყურება?

ა) დიახ — 1;

ბ) უპირატესობას მელოდრამებს ვანიჭებ — 2;

გ) დოკუმენტურ ფილმებზე ვგიჟდები — 3.

2. ხშირად იყენებ თუ არა გამოთქმებს — „ეშმაკმა დალახვროს", „ფუი, ეშმაკს".

ა) ხანდახან — 1;

ბ) ხშირად — 2;

გ) ასეთი შემთხვევების დროს უწმაწურად ვიგინები — 3.

3. ჰგავხარ თუ არა ანგელოზს?

ა) დიახ, ყველა მეუბნება, რომ ნამდვილი ანგელოზი ვარ — 1;

ბ) ასეთი სისულელე ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს — 2;

გ) ახლა ავდგები, წვერსა და ულვაშს გავიპარსავ, სარკეში ჩავიხედავ და გეტყვით — 3.

4. შავი კატა გყავს?

ა) დიახ და ძალიანაც მიყვარს — 1;

ბ) არა — 2;

გ) რად მინდა კატა? თუ დამჭირდა, მეც ჩამოვკაწრავ სახეს... — 3.

5. როგორი ვარცხნილობა გაქვს?

ა) ლამაზი, აკურატული — 1;

ბ) უწესრიგო — 2;

გ) მელოტი ვარ... მერე რა? — 3.

6. ქერათმიანი ხარ?

ა) არა, შავი თმა მაქვს, იმიტომ, რომ შავთმიანები უფრო ჭკვიანები არიან — 1;

ბ) კი, მაგრამ შემიძლია, გადავიღებო — 2;

გ) ხომ გითხარი, მელოტი ვარ-მეთქი? — 3.

7. მკითხაობა გიყვარს?

ა) ძალიან — 1;

ბ) ასეთი სისულელეების არ მჯერა — 2;

გ) ყოველთვის ვცდილობ, წინასწარ გამოვიცნო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები — 3.

8. სხვისი გასაჭირი სიხარულს განიჭებს?

ა) დიახ, ამაზე კარგი გასართობი არ არსებობს — 1;

ბ) არა, თანავუგრძნობ — 2;

გ) არ ვიცი, დავაკვირდები და გეტყვი — 3.

მიღებული შედეგი გაამრავლე 2-ზე. რასაც მიიღებ, ზუსტად იმდენი % ეშმაკი, დანარჩენი კი ანგელოზი „ზის" შენში.

„ბესყფთავეზის" ეხალი მეთოდი,

რომელიც თაღლითებმა მოიგონეს

ეი, დადგა დრო
და ჟამი, ნათელი
მოვფინო ერთ-
ერთ ახალ აფერას.
სხვათა შორის,
თუ ყურადღებით
არ იქნები,
შესაძლოა, ისე გაება
თაღლითების მიერ
დაგებულ მახეში,
რომ აზრზეც ვერ
მოხვიდე.



მარი ჯაფარიძე

მე რომ არ გითხრათ, თავადაც იცით, რომ ამ ბოლო დროს ბანკთან ურთიერთობა ჩვენი ცხოვრების წესად იქცა. არ მეგულება ადამიანი, ამა თუ იმ ბანკში ხელფასს ან პენსიას არ იღებდეს, ან სესხი ან განვადება არ ჰქონდეს გაკეთებული. მოკლედ, ამ სიტუაციას თაღლითები სათავისოდ იყენებენ.

მოკლედ, ასე, 1 თვის წინ მესიჯი მომივიდა: „სამწუხაროდ, ამა და ამ ბანკმა კრედიტის გაცემაზე უარი გითხრათ". გულში გამეცინა, ალბათ, სხვისთვის განკუთვნილი მესიჯი გამომიგზავნეს-მეთქი, რადგან მე არავითარ კრედიტზე არ მქონდა განაცხადი შეტანილი. „საწყალი, ალბათ ბანკის პასუხს ამაოდ დაელოდება", — გავიფიქრე და მესიჯი საერთოდ მივივიწყე. რამდენიმე დღის წინ ჩემმა მობილურმა დარეკა. „ამა და ამ ბანკიდან გიკავშირდებით (იგივე ბანკი დაასახელა) და გთხოვთ, თქვენ მიერ აღებული კრედიტი დროულად დაფაროთ", — იმერული კილოთი მითხრა მამაკაცის ხმამ. მაშინვე ის მესიჯი გამახსენდა. ბანკის თანამშრომლის მეტყველების ამგვარმა მანერამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა, მაგრამ გამახსენდა, რომ ამ ქვეყანაში ამაზე უარესი რამეებიც ხდება და ყურადღება აღარ მივაქციე.

— კი, მაგრამ რომელი კრედიტი? — ვიკითხე გაოგნებულმა.

— რა გვარი ხართ?

— ჯაფარიძე.

— რა გქვიათ?

— მარი.

— ახლავე გადავამოწმებ... აგერ, ჩვენს ბაზაში მითითებულია, რომ თქვენ აიღეთ სესხი, 6 ათასი დოლარის ოდენობით.

— გაგიჟდით? არავითარი სესხი არ ამიღია და საერთოდ, არც მჭირდება!

— ნუ ბრაზობთ, გენაცვალე, აქ მითითებულია, რომ 25 სექტემბერს თქვენ აიღეთ სესხი და მეორე დღეს ამა და ამ მაღაზიაში, საკრედიტო ბარათით რაღაც შეიძინეთ; 30 სექტემბერს, კიდევ 100 ლარი დაგიხარჯავთ; 2 ოქტომბერს — 750.

— არა, ეს შეუძლებელია! არავითარი სესხი არ ამიღია და არც ეგ თანხა დამიხარჯავს, — გავბრაზდი.

თავში ათასი აზრი მომივიდა: „ნეტავ, ვინმეს ხომ არ შეეძლო, ჩემს სახელზე კრედიტის გამოტანა? პასპორტი არავისთვის მითხოვებია, არც დამიკარგავს...



სურვილის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ყალბი პასპორტის დამზადებაც შესაძლებელია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მე ამომიღეს მიზანში? თუმცა ამ გზით კრედიტის აღება, ალბათ, შეუძლებელია"...

— თქვენი საპასპორტო მონაცემები მითხარით, კიდევ გადავამოწმებ, — ისევ იმერულმა კილომ გამომაფხიზლა.

სასწრაფოდ მოვიძიე პირადობის მოწმობა და ვუკარნახე.

საუბარი გაგრძელდა:

— კიდევ ერთხელ მიმეორებს იმ ბანკომატების მისამართს, სადაც თანხა მაქვს განაღდებული და სამსახურის ადგილმდებარეობას მეკითხება. ამასაც ვუკარნახებ...

— პასპორტი ხომ არ დაგიკარგავთ?

— არა.

— რომელიმე თქვენს ახლობელს ხომ არ შეეძლო, თქვენი პასპორტით ესარგებლა?

— არა.

— იქნებ, თანამშრომელმა...

— არა, არა, — ხმაში გაღიზიანება დამეტყო.

— რომელიმე სხვა ბანკში კრედიტი გაქვთ?

— დიახ და არავითარი პრობლემა არ შემქმნია.

— რომელ ბანკში გაქვთ კრედიტი?

ვუთხარი.

— რა ტიპის ბარათი გაქვთ?

— ვიზა.

— საკრედიტოა?

— სახელფასო.

— შეგიძლიათ, იმაზე მეტი თანხის აღება, ვიდრე ანგარიშზე გაქვთ?

— არა.

— ახლა უნდა გადავამოწმოთ, იმ ბარათიდანაც ხომ არ აქვს ვინმეს თანხა მოხსნილი. თუ შეიძლება, მიკარნახეთ პლასტიკური ბარათის ნომერი.

— რაში გჭირდებათ? — არ მომეწონა მისი წინადადება.

— ხომ გითხარით, უნდა გადავამოწმო.

— კი, მაგრამ ერთი ეს მითხარით, სხვა ბანკის ბარათს თქვენ როგორ შეამოწმებთ? რა, ბანკებს შორის მონაცემთა საერთო სისტემა არსებობს?

— დიახ, არსებობს, — ურცხვად იტყუებოდა. — მითხარით ბარათის ნომერი, ის ზედ ბარათზეა, ამოტვიფრული.

— პინკოდიც ხომ არ გითხრათ?

— არა, ამას არც ერთი ბანკი არ გკითხავთ. უბრალოდ, ნომერი მითხარით... — გაუმკაცრდა ტონი.

— იცით, რას გეტყვით, ტელეფონით არ მინდა ნომრის კარნახი. მოდი, ახლა თქვენთან, ოფისში მოვალ და იქ გავარკვიოთ, რა კრედიტი მაქვს აღებული.

— ახლა სამუშაო საათები დამთავრებულია.

— მაშინ, ხვალ მოვალ.

— სჯობია, ნომერი მიკარნახოთ.

— არა, არ გიკარნახებთ, მხოლოდ ოფისში მოსვლის შემდეგ გეტყვით, — მართლა გავცხარდი. — მისამართი მითხარით და მოვალ, — ლამის ვყვიროდი, ტელეფონში.

ყურმილი დაკიდეს.

მეორე დღეს იმ ბანკს მივაკითხე, საიდანაც „დამირეკეს". რა თქმა უნდა, იქ ჩემს სახელზე არავითარი კრედიტი არ იყო გაცემული. როდესაც ბანკის თანამშრომელს ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი, მითხრა:

1. არც ერთი ბანკი საკრედიტო ბარათის ნომერს არ გკითხავთ.

2. არასამუშაო საათებში არავინ დაგირეკავთ.

თუმცა, მეთოდი, რომლითაც თაღლითები ჩემი თანხის მითვისებას შეძლებდნენ, ვერ ამიხსნეს.

ასე რომ, გაფრთხილდით, თაღლითების მიერ დაგებულ მახეში არ გაებათ.

●

მოკლე ჩართვა

რას მოვიმოქმედებ, ლიფტში რომ გავიჭედო?

• რას ვიზამდი და მობილურით „ოდნოკლასნიკებში" შევიდოდი და შევყვებოდი ჩათავს. მერე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება რომ შემაწუხებდა, ვეტყოდი მთელი „ოდნოს" მეგობრებს, რომ ეშველათ.

• ლიფტში თუ გავიჭედე, საშველად მოვუხმობ კიანუ რივზს, მაგრამ ჩემი ძახილი ამაო იქნება. სად სცალია ჩემთვის, ამხელა „ჰოლივუდ" კაცს? :-(მის მუმია.

• ლიფტში რომ გავიჭედო, წივილ-კივილს ავტეხ და თუ არავინ მიშველის, დავურეკავ ჩემს ძამიკოს. აი, მაგანაც თუ მიმატოვა... დამერხააა! მარი ეკაფარიძეს გაუმარჯოს!

• მივმართავ „ეზავნილიორკის" მცხოვრებლებს: „თქვენი ერთადერთი ძალად გრუზინკა ლიფტში ვარ გაჭედილი. ვისაც გულით ეუყვარვარ, მხოლოდ ის დამეხმაროს. წინასწარ მადლობა". გრუზინკა.

• ლიფტში რომ გავიჭედო, ასე ვიყვირებ: „მიშველე, ბარაკ ჰუსეინ ობამა-უმცროსო! ტყუილად გიგულშემატკივრე ამდენ ხანს? სწორედ ჩემმა ხმამ გადაწყვიტა შენი პრეზიდენტობა, მააშ!"

• ლიფტში რომ გავიჭედო? ჰმმმ... ისე, ჰო, მე ლიფტით არ ვსარგებლობ და არ გავიჭედები.

• იცით, როგორი ვარ? ასეთ სიტუაციაშიც კი ვერ დავიწყებ ყვირილსა და ხელების ბრახუნს. ჰოდა, იქამდე ვიჯდები ლიფტში, სანამ არ აღმომაჩენენ.

• არავისაც არ მოვუხმობდი, რადგან ბიძების შემყურეს, ლიფტიდან გაღწევის ხერხები ნასწავლი მაქვს. ისინი ხომ ლიფტიორები არიან, ენაცვალოთ მაგათ ჩემი თავი. სიკვდილა.

>>> 11

ძლიერი ქალის სინდროში

როგორია ძლიერი ქალი? იქნებ, სწორედ ის იდუმალებით მოცული არსებაა, ვინც ღამღამობით დარაჯად მუშაობს? ან იქნებ, ის, ვინც ფიტნესზე დადის და მძიმე გირებით ვარჯიშობს? არა, ეს ის ქალია, რომელსაც მამაკაცზე 3-ჯერ მეტი სამუშაოს შესრულება შეუძლია!

გრაფი თარხანი

„ძლიერი ქალი" ადამიანი კი არა, სინდრომია. რაღა თქმა უნდა, ძლიერი ქალისთვის ცხოვრება გაცილებით იოლია. ის, კრახით დამთავრებული სიყვარულის შემდეგ, ვენებს არ გადაიხსნის და არც სხვის დასანახავად იტირებს, თუნდაც გულში „ხმამაღლა" ქვითინებდეს; სიხარულსაც და სევდასაც ამაყად და თავდაჭერილად ხვდება; კრიტიკულ სიტუაციაში არ იბნევა და რთული სიტუაციიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობს.

იყოს ძლიერი, ალბათ, ყველა ქალის ოცნებაა, მაგრამ ეს ყველას როდი ძალუძს. ადამიანის სიძლიერე, მის ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებული. არსებობენ ადამიანები, რომლებიც უჩვეულო სიტუაციაში უეცრად ფითრდებიან, პირი უშრებათ და მუხლი ეკვეთებათ.

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ძლიერად ისეთ ადამიანს მივიჩნევთ, ვინც იოლად არ ატირდება, მაგრამ ეს ნებისყოფის კი არა, ნერვული სისტემის დამსახურებაა. მართალია, ზოგიერთს ძალზე სუსტი ნერვები აქვს, მაგრამ ამ „ნაკლის" გამოსწორება შესაძლებელია. ოღონდ, საკითხავია, საჭიროა თუ არა ამის გაკეთება? ვისაც მდგრადი ნერვული სისტემა აქვს, თავის ჯანმრთელობას უნდა მიხედოს. ის, რომ ვიღაც „ტიტანიკის" დასასრულს არ ტირის, უბედურება სულაც არაა, მაგრამ როცა საყვარელ ადამიანთან განშორებისას გული გახეთქაზე გაქვს, ტირილი ნამდვილად საჭიროა. თუნდაც იმისთვის, რომ არ გაგიჟდე. ყველა სტრესი ორგანიზმში კვალს ტოვებს და გამოსავლენად მისთვის ხელსაყრელ დროს ელის. გარკვეული რაოდენობის სტრესის დაგროვებამ, შესაძლოა, აგრესია გამოიწვიოს და არ არის გამორიცხული, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანს დაატყდეს თავს.

ძლიერი ქალები ხშირად ავადმყოფობენ, რადგან როგორც გინდა ეცადო ემოციების დამალვას, ფაქტი ერთია — ეს ემოციები მაინც არსებობს და ორგანიზმში თავის კვალს ტოვებს. ასევე, ცნობილია, რომ ძლიერი ქალები ადრე ბერდებიან, რადგან გამოუხატავი ემოცია სხეულს „ანგრევს". შესაძლოა, აღფრთოვანებული ხარ იმ „რკინის ლედით", რომელიც შენი შეფია და მოხიბლული, მისი ცივი გონებითა და უზადო ლოგიკით, მაგრამ დაფიქრებულხარ, როგორ ცხოვრობს ის სამსახურის გარეთ? აქვს თუ არა ოჯახი და თუ აქვს, როგორ ეგუება ქმარი მის ბუნებას? როგორ „რკინისადაც" უნდა გამოიყურებოდეს ქალი, ის შინაგანად მაინც ჩვეულებრივი ქალია. შინაგანად ისიც ღელავს და მძაფრ ემოციებსაც განიცდის, რაც მის სახეზე რამდენადმე სევდიან მიმიკასაც აღბეჭდავს. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ძლიერი ქალი გარეგნულად მამაკაცს ჰგავდეს. შესაძლოა, ის ძალზე ნაზი და ჰაეროვანი იყოს, ზედმიწევნით მოვლილი

და უფრო მიმზიდველი, ვიდრე ნებისმიერი პრანჭია.

ძლიერ ქალს შესაძლოა, სხვადასხვაგვარი თანამდებობა ეკავოს. შესაძლოა, ზოგი დიდ ბიზნესს უძღვებოდეს, ზოგი კი იატაკს რეცხავდეს. სიძლიერე დიდ მიღწევებს სულაც არ ნიშნავს. უბრალოდ, ძლიერები სირთულეებს უფრო იოლად დასძლევენ ხოლმე.

ძლიერი ქალი დაკარგული ნივთის გამო თავს არ მოიკლავს, როგორი ძვირფასიც უნდა იყოს იგი. მათი უმეტესობა, ნივთს მხოლოდ ნივთად მიიჩნევს და ამბობს: „ნივთი არსებობს ჩემთვის და არა მე — ნივთისთვის". ეს სწორი მიდგომაა და კარგი იქნება, თუკი ნებისმიერი ქალი ასე იფიქრებს.

თუ მოიწადინებს, ძლიერი ქალი ნებისმიერი მამაკაცის მოხიბვლას შეძლებს. ასევე იოლად მოახერხებს ბედნიერი მეუღლის როლის მორგებას, თუნდაც დარწმუნებული იყოს, რომ ქმარი ღალატობს. თუმცა, ეს მხოლოდ გარეგნული გულგრილობა იქნება — რეალურად რა ხდება მის გულში, ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს.

ძლიერი ქალები კარგი მსახიობები არიან. ამიტომ, მიზნის მისაღწევად, მათ ნებისმიერ „პიესაში" შეუძლიათ თამაში. ასევე, მათ შეუძლიათ არა მარტო ცოლის, არამედ ქმრის ტვირთის ტარებაც. შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობა, საოჯახო საქმის კეთება, შვილების აღზრდა და ამ ყველაფერს ისინი ერთნაირი წარმატებით ასრულებენ.

და მაინც, რა აიძულებს ჩვეულებრივ ქალს, ძლიერ ქალად ჩამოყალიბებას? ალბათ გარემო, კონკურენცია, სისასტიკე, რეალური უფლისწულის არარსებობა და ლიდერობის სურვილი. ამ ყველაფერს კი საერთო საფუძველი აქვს. როდესაც ქალი გადაწყვეტს, რომ მამაკაცის გარეშეც შეუძლია ცხოვრება, მაშინ მამაკაცი დუნდება, დივანზე წამოწვება და ფეხბურთის ყურებას შეუდგება. ევოლუციამ მამაკაცი მჯდომარე ცხოვრებას მიაჩვია, ქალი კი — „მორბენალს". ახლა, ქალი იძულებულია, ძლიერი იყოს, რომ ჩვეული რიტმიდან არ ამოვარდეს. იქნებ, ეს ძლიერი ქალი სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ თავი მამაკაცის ძლიერ მხარზე დადოს და ჩათვლიმოს, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ აძლევს, რადგან სულ გადარბენაზეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღაც გამოეპარება და სიტუაციას ვეღარ გააკონტროლებს. გამოდის, რომ ის სულ მოძრაობაშია და დასვენების დრო არ აქვს. სულაც არ არის ცუდი, იყო ძლიერი ქალი, მაგრამ არც ის არის ურიგო, რომ სუსტი არსების როლი მოირგო და თავი ნამდვილ ქალად იგრძნო. ძლიერი ქალებიც ისეთივე სუსტები არიან, როგორიც ყველა ქალი. უბრალოდ, მათ საკუთარი სევდისა და სისუსტის დამალვა შეუძლიათ, მაგრამ ვის აძლევს ეს ხელს? იყო სუსტი ან ძლიერი, ისეთივე „გატაცებაა", როგორიც — იყო ქერა ან შავგვრემანი. თმის ფერის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ მოგანიჭებს კი ეს ბედნიერებას? იყო ძლიერი ქალი, ნიშნავს, გარეშე თვალს დაუმალო ემოციები და მარტომ დაალბო ბალიში ცრემლებით. ხანდახან ახლობელ ადამიანს გული უნდა გადაუშალო, რომ შვება იგრძნო. არა უშავს, თუ იფიქრებენ, რომ „რკინის ლედი" არ ხარ. სამაგიეროდ, შენში ცოცხალ არსებას დაინახავენ და არა — ქანდაკებას. ცხოვრება ხომ მხოლოდ გულგრილი გათვლებისგან არ შედგება; მასში მუდამ უნდა იყოს ადგილი იმპულსური მოქმედებისა და სპონტანური ემოციებისთვის.

<<< 9

რას მოვიმოქმედებ, ლიფტში რომ გავიჭედო?

• მთავარია, მობილურმა არ მიმტყუნოს. ისე, ჩემი პატარაობის მერე კორპუსში ლიფტი არ მუშაობს. სვანის ასული.

• მე რომ ლიფტში გავიჭედო, ჯერ ხომ ლიფტიორს დაერეკავა, თუ არა და, რომ ავლრიალდები ბოლო ხმაზე, მგონი, პოლიცია, „სასწრაფო" და სახანძრო ერთად მოვიდეს. ტინტორენტო.

• მე ისე მხიბლავს კიბეზე სიარული, არა მგონია, ოდესმე ლიფტში გავიჭედო. თუმცა, ცხოვრება მიულოდნელობებითაა აღსავსე... საშველად კობი ბრაიანტს მოვუხმობდი. ნომერი ვიცი და დავუმესიჯებდი. მე თუ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" თამაშს მისი სიყვარულით ვუყურებ, ერთხელ ეგეც შეწუხდეს ჩემი გულისთვის. ეეჰ, კობი... კახელი.

• ეჰ, კი მოვუხმობდი ძიუდოისტ ვალერი ლიპარტელიანს, მაგრამ მოვა, რო? ჯერ კარგად შემეშინდებოდა, მერე კი მამას ან ძმებს დავურეკავდი და აუცილებლად მიშველიდნენ. სვანის ასული.

• ლიფტში გაჭედვის ბედი მე ვინ მომცა. მაგრამ მაინც, ჯერ სიმარტოვით დავტკბებოდი, მერე დედას დავურეკავდი და უეჭველად, ლიფტიდან სულ მალე უვნებელი გამოვიდოდი. ტოპოლინა.

• ლიფტში რომ გავიჭედო? თუ მარტო ვიქნები, არავისაც არ მოვუხმობ, ჩავჯდები იქვე და დაველოდები, ვის გავახსენდები; ხოლო თუ უცხოსთან ერთად გავიჭედები, ხმაურს ავტეხ. ნერტილი.

• როგორც მახსოვს, ერთ დროს ჩვენი პრეზიდენტი (მაშინ პრეზიდენტი არ იყო) აკეთებდა ლიფტებს. ჰოდა, მეც კანცელარიაში დავრეკავდი, სასწრაფოდ. :) ავე მე.

ბერმუდის სამკუთხედი — მითი თუ მისტიფიკაცია?

რატომ ლაპარაკობენ ამდენს ბერმუდის სამკუთხედზე და არა — ფლორიდის, პუერტორიკოს ან ბაჰამის სამკუთხედებზე? ან რატომ მაინცდამაინც სამკუთხედი და არა კვადრატი ან მართკუთხედი? ასეთი განსაზღვრების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი როლი მწერლებმა და ჟურნალისტებმა შეასრულეს. თუმცა, ამა თუ იმ ტერმინს შემთხვევით როდი იგონებენ. ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარე ამ ტერიტორიას მხოლოდ ბერმუდის სამკუთხედის სახელით არ იცნობენ. მას ასევე „ეშმაკის ზღვას", „ატლანტიდის სასაფლაოს", „დაწყევლილების ზღვას" უწოდებენ. ბერმუდის სამკუთხედი ახლო წარსულის სენსაცია გახლავთ. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ ეს ორი, მაგიური სიტყვა წამოეთქვა. ბერმუდის სამკუთხედის შესახებ აქტიურად XX საუკუნის 70-იან წლებში, ამერიკასა და ინგლისში ალაპარაკდნენ. თუმცა ნამდვილ სენსაციად ის 1974 წელს იქცა. მას შემდეგ, რაც ჩარლზ ბერლიცმა ამ თემაზე დაწერილი წიგნი გამოსცა. წიგნმა რამდენიმე დამატებით ტირაჟს „გაუძლო" და ნამდვილ ბესტსელერად იქცა.



როგორც ამბობენ, ბერმუდის სამკუთხედში უამრავი გემია დაკარგული. 1840 წლის აგვისტოში ბაჰამის კუნძულების დედაქალაქის მახლობლად, ეკიპაჟის გარეშე მოდრეიფე, აფრებაშვებული, ფრანგული ხომალდი — „როზალი" აღმოაჩინეს. გემი დაზიანებული არ იყო და სანაოსნოდ კვლავ გამოსადეგი გახლდათ. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეკიპაჟმა ხომალდი რამდენიმე საათის წინ დატოვა. არც ტვირთი იყო დაზიანებული. გემბანზე მხოლოდ შიმშილისგან სიკვდილის პირას მისული შაშვი იპოვეს. გასაოცარი ის იყო, რომ გემი ნახევარი საუკუნის წინ დაიკარგა. რაიმე საბუთის აღმოჩენა გემზე ვერ მოხერხდა. გაურკვეველია, რა მოხდა ხომალდზე, სად წავიდნენ მეზღვაურები და სად იყო აქამდე „როზალი".

ყველაზე ბურუსით მოცული ამბავი, 1854 წელს, ხომალდ „ბელას" გაუჩინარებასთანაა დაკავშირებული. ის სამხრეთ ამერიკიდან მოდიოდა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. „ბელა" მოულოდნელად გაუჩინარდა და ამის შემდეგ არც მისი ეკიპაჟის წევრები და არც მისი ნამსხვრევები არავის უნახავს.

აი, ხომალდი „მერი სეტლო" კი ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოების სიმბოლოდ იქცა. ხომალდი 80 წლის შემდეგ, დაუზიანებელი და ცარიელი აღმოაჩინეს. კაიუტებში გაშლილი სუფრები კვლავ ხელუხლებლად შემორჩენილიყო, მაგრამ იქ ადამიანის ყოფნის ნიშანწყალი არ შეინიშნებოდა.

ამ და სხვა მსგავსი ფაქტების ასახსნელად მეცნიერები უამრავ თეორიას მოიშველიებენ ხოლმე.

1. სხვა პლანეტებიდან ჩამოსული არსებები, შესწავლის მიზნით, ადამიანებსა და ხომალდებს იტაცებენ.

2. კატასტროფებს ადამიანის მსგავსი არსებები აწყობენ, რომლებიც განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგანან. ისინი უკვე რამდენიმე საუკუნეა, წყალქვეშ ცხოვრობენ.

3. პლანეტა ვენერას მცხოვრებლებს სურთ, დედამიწა თავის კოლონიად გადააქციონ. მათ ოკეანის ქვეშ გვირაბები გათხარეს, სადაც თავიანთი ბაზა აქვთ აგებული და ხომალდები სწორედ იქ უჩინარდებიან.

დღემდე, 100-მდე ხომალდის გაუჩინარების ამბავია აღწერილი. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აქ არავითარ საიდუმლოს არა აქვს ადგილი და ყველაფერი ხალხის გამოგონილია.

დაიკარგე მხოლოდ იმის ნახვამდე, შესაც ხედავ და სამ დაიკარგო, შესაც ისმენ.

ჯოტო, როგორც ოპერეტა ღაჯარგია

• „ბებიკო, ძროხის საყიდლად 800 ლარი რომ გაქვს გადანახული, მე გამომიგზავნე. სამაგიეროდ კი, აი, ამ სუპერთანამედროვე რძის ცისტერნას მოგცემ. ძროხისგან განსხვავებით, ამას მეტი ფუნქცია აქვს. ჰოდა, მეც გავიხარებ, შენც და ბაბუც“. იკუშკები.

• „გოგონა ჩერნობილიდან-2“. ბოხო.

• „დეიდა პოლიციელო, დამაპატიმრე, რაა“... ჯუკი.

• „ეს ჯარისკაცი თავისი მკერდით ყველას დახოცავს რუსების ჯარში“.

• „წარმომიდგენია ჩემი თავი, ამ ბორცვებს შორის (რა იყო, აღარც წარმოვიდგინო, კაცო?)“. ტინტორენტო.

• „აუ, ეს მოახვედრა ნუდისტების პლაჟზე“... :) GREEN GIRL.

• „ბიიიიიიიჯოო, ბიჯო, ბიჯო... აუუ, რამდენი „ძალით ავარია“ მოხდებოდااა... უუფ, ტონა!“ დადა ხათუცი.

• „ჰოლანდიური მეწველი ძროხა. ბუ, ჰე... ჰე... ჰე... ჰე“...

• „რა დავაშავო ისეთი, რომ ამ სექსპოლიციელმა დამიჭიროს?“

• „მგზავნელებო, ასე რატომ მიყურებთ? პატრული ბიძია და დეიდა გყავთ, ახლა ერთი სექსპოლიციელიც არ განყენდათ“. ლუნა.

• „ეს სულ თქვენია, ქალბატონო?“

• „უმცროსი ლეიტენანტი, მარგო ძუძუშვილი“. გოგა.

• „რა დედამ გშობა, შე მადლიანო, შენა?“ სანათა.

• „აქცია „მაკდონალდსში“: დალიე ერთი „კოკა-კოლა“ და მიიღე საჩუქრად ჯიპი, ავტომატი, „რეიბანი“, ბორკილები და 90%-იანი ფასდაკლება, კუზანოვის კლინიკაში!“ პანურგი.

• „რად გინდა ქალავ, ეგ ავტომატი? მკერდი გიღელავს, როგორც ტომატი“. აგრესიონერა.

• „ორმაგად შეიარაღებული“. აგრესიონერა.

• „ეს ქალი აჩვენეთ პუტინს და ომი აღარ იქნება“. გვანცა.

• „გადმოგიყრია, ქალაუ, ეგ სილიკონი, ძვირიო, ფორმაც კი აღარ გეკვრება, დაგვაბჩენინე პირიო, იარაღმომარჯვებულზე, ვერა გვითქვია, ჭირიო, შენნაირ ქალის ალერსსა, ნატრობს მცირე თუ დიდიო“. ვიკა.

• 2012 წელი... საქართველო... პრეზიდენტი — ნინო ბურჯანაძე... მატრიარქატი“... პანურგი.

• „როგორც მეგრელი როლანდი ნასვამ მდგომარეობაში იტყოდა — ეუუუჰ... ვინ უნდა დაწვეს ამაღამ ჩემთან?“ კახელო.

• „უკაცრავად, დეიდა, თქვენთან რძე რა ღირს?“ :) ეკაბეკა.

• „აუ, რა გამაზა მიშამ?!“ ვახო ლეონიძე.

• „ნეტავ, ეს დამიჭერდეს“.

• „სამი კილო ლარად, არ გინდათ?“

• „დავიფიცებ პორფილეს ხატზე რა, ქალბატონო მარგალიტა?“

• „დაუყენეთ მოწინააღმდეგეს ეს ქალი და ომი შეწყდება“.

• „ამას იარაღი რად უნდა? ჯერ მკერდით მოხიბლავს დამნაშავეს, რომ არ გაექცეს, მერე ზედ დაახტება და თუ მსხვერპლი ცოცხალი გადარჩა, ბორკილების დადებასაც მოახერხებს“. ტოპოლინა.

• „მაგ ქალმა ჩემი მკერდი დაისაკუთრა და მეტიც არ მინდა, არ დამიბრუნოს“. გრუზინკა.

• „აჩვენეთ ეს ქალი მსოფლიოს და... შიმშილი აღარ იქნება“. ავე მე.

• „საშიშის რა გითხრათ, მაგრამ მარი, ამ გოგოს ტელეფონის ნომერს თუ მომცემთ, მერე გულახდილად მოგიყვებით ყველაფერს, რა როგორაა“.

• „ნეტავი იმას, ვის ოჯახშიც შენ შეხვალ“.

• „რძის გადამამუშავებელი ქარხანა“.

• „არ ისროლო, ისედაც უკვე დავეციიიი!“ სიკვდილა.

• „ეს მკერდი რა ნომერია, თუ იცი? ნომერი რად გინდა, ა? ფეხზე მოგიჭერს? ჩაყავი ცხვირი და გაისუსე“. ვალიკო, „კატორი“ მიმინო.

• „აბა, ახალი „პოლის“ ტრენაჟორი იაფაااااად!“ ნამდი.

• „დედებო, თუ თქვენ რძე არ გაქვთ, თქვენს დასახმარებლად ყოველთვის მზად ვარ“. ფისო-ფისო.

• „აი, ამისთვის ღირდა ავარია“.

• „მეწველი პოლიციელი და „ოპერაცია2“. ფისო.

• „მრეკეთ, ქალბატონო მარგალიტა, დაგაპატიმრებთ, ჩემთან წაგიყვანთ“...

• „შემოსეთ ყველა პოლიციელი ქალბატონი ასე, უჩვენეთ მსოფლიოს და კრიმინალი... გაათმაგდება“. მე.

• „ასეთი პატრული რომ ჰყავდეს სახელმწიფოს, ჯარიმების რიცხვი გაორმაგდებოდა და ბიუჯეტიც ორმაგად შეივსებოდა“. ●

ფოტო, რომელიც ნელთელა ღაჯერგვე

ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

წინ, ნატოსკენ!!!

უშმაკის მოქიქარი

დასაწყისი — „გზა", №38-46

მარი ХАШАРИძე

ნიცას საქციელს ახსნა ვერ მოვუძებნე. ჯერ დავფიქრდი, მერე კი ისევ დავრეკე. როდესაც იგივე პასუხი მოვისმინე, რომ სხვაგან მოვხვდი, გადავწყვიტე, მისთვის სიურპრიზი მომეწყო.

სასწრაფოდ მოვწესრიგდი და შინიდან ისე გავედი, სიტყვა არავისთვის მითქვამს. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიცას ეზოში ვიყავი. მანქანა გავაჩერე და სადარბაზოში სწრაფი ნაბიჯით შევედი.

დავაკაკუნე.

კარგა ხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც იქნა, ფეხის ხმა გავიგონე. საკეტი გაჩხაკუნდა და კარი ოდნავ გაიღო. ნიცამ როგორც კი დამინახა, მაშინვე კარის მოხურვა დააპირა, მაგრამ ზღურბლზე ფეხი დავახვედრე და მიხურვის საშუალება არ მივეცი. კარს ხელით მივაწექი, შევაღე და დაუპატიჟებლად შევაბიჯე.

— მარტო ხარ? — ვკითხე ნიცას.

— არა, მშობლები არიან შინ, — მითხრა და გულხელი დაიკრიფა.

ტუჩები გაბუსხული ჰქონდა, სახეზე აშკარად წყენა აღბეჭდვოდა.

— მოხდა რამე?

— არა, არაფერი...

— ტყუილი არ მიყვარს, — ჭკუის დამრიგებლური ტონი მქონდა.

ნიცა კარის სახელურს მისწვდა, გამოაღო და თავით მანიშნა, რომ წავსულიყავი. კარი ისევ მივხურე, ნიცას მივწვდი, ხელები ზურგს უკან გავუკავე და ტუჩებში ვაკოცე. ჯერ წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მერე ნელ-ნელა მოეშვა, დამნებდა და კოცნაზე კოცნით მიპასუხა. თუმცა, ეს ნეტარება დიდხანს არ გაგრძელებულა.

— ვინ არის? — თავზე მამამისი წამოგვადგა.

ნიცას ხელი ვუშვი და უხერხულად შევიშმუშნე. გოგონა კედელს მიეყრდნო და ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა.

— რა ხდება აქ? — მამამისს თვალები ლამის შუბლზე აუვიდა.

— უკაცრავად, არ მეგონა, შინ თუ იყავით, — ხმადაბლა ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

ხელი ჩამომართვა და გზა დამითმო. მივხვდი, ახლა წასვლა არ ივარგებდა, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და მისაღებ ოთახში შევედი. დივანზე ჩამოვჯექი და გავჩუმდი. მიუხედავად იმისა, რომ თავი უშიშარი მეგონა და ვფიქრობდი, რკინის მკვნეტელი ვიყავი, ახლა ცოტას ვღელავდი. რაც უნდა იყოს, არ არის მოსაწონი საქციელი, რომ კაცთან შინ მიდიხარ, უხეშად იჭრები და მის ქალიშვილს დერეფანში ლამის აუპატიურებ.

მის ადგილზე ჩემი თავი წარმოვიდგინე. ჩემს შვილს რომ ვინმე ასე მოჰქცეოდა, ახლა უკვე მკვდარი იქნებოდა. ნიცას მამა კი შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. თუმცა, ლაპარაკის დაწყებას აყოვნებდა და თვალს თვალში მიყრიდა.

— კარგი, დავივიწყოთ, რაც მოხდა, — ეს მე ვიყავი, მაგრამ რაღაცნაირი, უცხო ხმით ვლაპარაკობდი. როგორც ჩანს, მღელვარებამ ხმის ტემბრიც შემიცვალა.

— დავივიწყოთ? ახალგაზრდავ, თქვენ ზავს მთავაზობთ?

— თქვენთან ბრძოლას არ ვაპირებ. ნიცა მიყვარს...

— თქვენ ფიქრობთ, დავუშვებ, რომ ჩემს ქალიშვილს კრიმინალთან ჰქონდეს ურთიერთობა?

— თქვენ მე არ მიცნობთ...

— აქამდე არ გიცნობდით, მაგრამ თქვენ შესახებ ბევრი რამ მსმენია.

— მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით და წავალ, — წამოვდექი, — ნიცას ცუდს არაფერს გავუკეთებ, შეგიძლიათ,

ჩემს შვილს რომ ვინმე ასე მოჰქცეოდა, ახლა უკვე მკვდარი იქნებოდა. ნიცას მამა კი შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენდოთ. თუმცა, თუ მას ჩემთან ურთიერთობას აუკრძალავთ, ამით ვერაფერს მიაღწევთ, მე მას არ დავთმობ.

მის პასუხს არ დავლოდებივარ. ისე წამოვედი, უკან აღარც მიმიხედავს.

— სედოი! — კიბეზე გამომეკიდა ნიცა.

შევბრუნდი და უსიტყვოდ შევხედე.

— აღარ მოხვალ? — მის ბავშვურ თვალებში შიში ამოვიკითხე.

მესიამოვნა.

ეს ჩემი დაკარგვით გამოწვეული შიში იყო.

— 4 საათზე ქვევით დაგელოდები, ახლა კი საქმე მაქვს და უნდა წავიდე.

შინ მივედი, ვიტალი წამოვიყვანე და ფათირასთან წავედი. ფათირა აზერბაიჯანელი ქურდია, რომელიც საკმაოდ დიდ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს.

ხვალინდელ შეხვედრაზე მინდოდა ლაპარაკი. აქ, რუსეთში, კავკასიელები ერთად ყოფნას ვცდილობთ. სხვაგვარად არ გამოვა. ახლა კი ის მაინტერესებდა, ხვალ ვის პოზიციას დაიჭერდა.

ფათირას კერძო სახლს უზარმაზარი გალავანი არტყია გარს. მთელი დივიზია რომ მიადგეს, შიგნით ვერ შეაღწევს. კარი მისმა ულამაზესმა ცოლმა გაგვიღო. ფათირა ეზოში დაგვხვდა, ჩრდილში, სავარცელში ჩამჯდარიყო და უზარმაზარ ნაგაზს ეფერებოდა.

ჩვენს დანახვაზე წამოდგა და ხელი ჩამოგვართვა.

— ხვალინდელ საქმეზე მოხვედით? — მიხვდა.

— ჰო, ფათირ, გენომ დამირეკა.

— ხვალ დიდი ამბავი იქნება, არ ვიცი, ეს „სხადნიაკი" რით დამთავრდება. რიჟა არ დათმობს თავის ტერიტორიას, რაღნოი გაბრაზებულია რიჟაზე, იმის გამო, რომ მისი კაცი მოკლა.

— შემომაკვდაო, ამბობს...

— ჰო, რას ამბობს, ერთია და რა იყო სინამდვილეში — მეორე. ხომ იცი, რიჟას შემთხვევით არაფერი მოსდის.

— მაგან რადნოის ქალი დააწერა და განხეთქილება სწორედ იქიდან დაიწყო.

— ჰო, ის ლამაზმანი რომ გადაიბირა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა რადნოიმ, რომ მის სამუშაო ტერიტორიაზე შესულიყო და ყველა უბანი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

— იმ ერთი ძუკნას გულისთვის უკვე რამდენი კაცი დაიღუპა, — ჩავიცინე მე.

— ბიჭო, შენ ხომ იცი, რომ რადნოი ისე არ დატოვებს ამ ყველაფერს, რიჟამ იმ ქალს დაცვა აუყვანა და რადნოიმ ჯერ ვერ ჩაიგდო ხელში, თორემ აქამდე ღორივით გამოსჭრიდა ყელს.

— რადნოიმ რიჟას სამაგიერო უკვე გადაუხადა, — მეგონა, ფათირამ ეს ამბავი იცოდა...

— სამაგიერო? ეტყობა, ახალი ამბავი იცი.

— ახალი უკვე აღარაა, რადნოიმ რიჟას ცოლთან დაიჭირა საქმე. ისე დაკერა ის ქალი, რომ წინასწარ იცის, რის გაკეთებასაც აპირებს რიჟა.

— ვაა, რას ამბობ?

— ჰო, ეგრეა, რადნოიმ თვითონ გაავრცელა ეგ ამბავი, „პროსტო", რიჟას ვერავინ უბედავს თქმას, თორემ უკვე მაგრადაა გაბაზრებული.

— იმ ქალს არ ეშინია? იმ დღესვე დასრულდება მაგის სიცოცხლე, როგორც კი რიჟა მაგ ამბავს გაიგებს.

— რადნოი აპირებს ხვალ, „სხადნიაკზე" მაგის თქმას.

— ვისთვის, კაცო, არ გადამრიო.

— ვისთვის და რიჟასთვის. ამას წინათ ვნახე, მაშინ თქვა, პირველსავე „სხადნიაკზე" პირში მივახლი, მერე ვნახავ, როგორ გუნებაზე დადგებაო.

— ვაა... — გაოცებისგან ლამის პირი დააღო ფათირამ და თავის ლამაზ ცოლს, რომელმაც ყავა მოგვიტანა, უცნაური მზერით გახედა.

— ადრე, ქურდებში ასეთი ბაზარი და ქალის დეწერება არ იყო მოსული პონტი. მაგის გამო ქურდს გააფუჭებდნენ, — ჩაილაპარაკა მერე.

— ადრე სხვა დრო იყო, ახლა ჩვენს „კანონებშიც" ცვლილება შევიდა, — გულიანად გამეცინა.

ფათირა ჩაფიქრდა.

— რას იზამ ხვალ, ვის მისცემ „პადდერჟკას"? — მკითხა მერე.

— ჯერ არ ვიცი, ჯერ ყველაფერი უნდა თქვან ბიჭებმა. იმედია, სიმართლეს იტყვიან და მერე მეც იმას მივემხრობი, ვინც კაცურ ამბავში მართალი იქნება.

— მე კი მგონია, რომ კაცურ ამბავში ორივე ტყუის, — დაფიქრებით თქვა ფათირამ და მეც დავეთანხმე.

საღამოს ნიცას სახლს მივადექი. უკვე ისე „გავნაგლდი", რომ პირდაპირ ეზოში შევედი და ქვემოდან დავუსიგნალე. თავი ფანჯრიდან გამოყო. შორიდანაც მივხვდი, რომ ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიცა უკვე ჩემს მანქანაში იჯდა და ქალაქგარეთ მივქროდით.

— სად მივდივართ? — მკითხა, როდესაც ქალაქს გავცდით.

— კოშკში უნდა წაგიყვანო და გადაგმალო, რომ შენი თავი ვერავინ წამართვას.

— მერე, ფანჯრიდან მე ჩემს ოქროს დალალებს ჩამოვუშვებ ხოლმე და ისე აგიყვან კოშკში? — გულიანად იცინოდა ნიცა.

წყენის კვალიც კი აღარ ეტყობოდა მის სახეს, მაგრამ მე ინტერესით ვკვდებოდი, რა იყო მისი დილანდელი საქციელის მიზეზი. თუმცა, ამ თემაზე ლაპარაკის წამოწყებას ვაყოვნებდი.

— არ გაინტერესებს, რატომ ვიყავი შენზე გაბრაზებული? — ასეც ვიცოდი, რომ ვერ მოითმენდა და თავადვე წამოიწყებდა საუბარს.

— მაინტერესებს და ჩემი პრინცესა ალბათ ამიხსნის... თანაც, იმედი მაქვს, რომ დამარწმუნებს, მიზეზის რეალობაში.

ნიცა ცოტა ხნით დაფიქრდა. ალბათ ფიქრობდა, ეთქვა თუ არა სიმართლე.

— იცი, გუშინ საღამოს შენთან დავრეკე, — ამოღერღა ბოლოს.

— მერე? — ყურები ვცქვიტე. ბიჭებს ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ვინმემ დარეკა.

— მერე, ქალმა მიპასუხა და მითხრა, რომ გეძინა.

— ეს დანაშაულია? თუ დანაშაული ის არის, რომ ქალმა გიპასუხა? ის ქალი ვიტალის შეყვარებულია, — ვცადე, ამეხსნა.

— ჰო, მაგრამ ვთხოვე, გაეღვიძებინე და მიპასუხა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მარტოს არ გეძინა და ოთახში შემოსვლას ვერ გაბედავდა...

სისხლი სახეზე მომაწვა და ნერწყვი ძლივს გადავაგორე...

— ჰმ... ჰმ... — რამდენჯერმე უხერხულად ჩავახველე და გონებაში დამაჯერებელი პასუხის ძებნა დავიწყე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ფეხკვნილები

მარი ჯაფარიძე

უხერხული სიტუაცია



სექსუალური ბრიგადირი და ცინგლიანი ამური ანუ „გახახუნებული" გამოსავალი

გამარჯობა. აბა, როგორ ხართ? ხუთშაბათი ჯერ მხოლოდ დღეს დადგა და უკვე მომენატრეთ. კარგ კვირასა და განწყობილებას გისურვებთ. წინა ნომერში ვთქვი, რომ მკითხველებს ერთმანეთის შესახებ რაღაცები აინტერესებთ-მეთქი. ჰოდა, პარიჟანკას გარდა, თითქმის ყველა მათგანმა ისურვა თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. ასე რომ, საინტერესო „უხერხულ სიტუაციებთან" ერთად, ჩვენი მგზავნელების პირად ამბებსაც გაეცნობით. ახლა კი მესიჯები.

„ტვინი“

„ჩემი მოსწავლეობის დროს იყიდებოდა შოკოლადი, რომელსაც „ტვინი“ ერქვა. ჰოდა, შევედი მაღაზიაში გაკვეთილების შემდეგ და გამყიდველ ქალს ვკითხე: — „ტვინი“ გაქვთ? ქალის გაოცებულ და გაბრაზებულ სახეს რომ შევხედე, მეც ძალიან გავბრაზდი და გავუმეორე: — „ტვინი“ თუ გაქვთ, მითხარით, თუ არა და წავალ-მეთქი. ქალმა სულ გაუნათლებელი და უზრდელი მეძახა. ასეთი სუპერუხერხული სიტუაცია იყო, სანამ გავაგებინებდი, რომ შოკოლადს ერქვა „ტვინი“ და ის მინდოდა. ბოლოს, მომყიდა „ტვინი“, მაგრამ ვაი, ისეთ ჭამას... მის მუმია“.

წასწრებული

„ერთ დროს ჩემი კარის მეზობლად თბილი ოჯახი ცხოვრობდა. ნიკა სამაგალითო ქმარი იყო, თეაც სულ ტრაბახობდა

ეჰ, სიბერევ...

„ჩემი მეზობელი ცოლ-ქმარი მაშინ 60 წელს იყო გადაშორებული. ერთ საღამოს დაწვნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. ამ დროს გავიდა რეკლამა, პოტენციის ასამაღლებელ ტაბლეტებზე. ცოლმა ქმარს უთხრა, კარგად მოუსმინეო. ცოტა ხნის შემდეგ რეკლამა კვლავ განმეორდა და ცოლმა ისევ შეახსენა ქმარს, რომ მოესმინა. მესამედ რომ გავიდა რეკლამა, აღშფოთებულმა ქმარმა უთხრა — ქალო, ეს ტაბლეტები თუ ვიშოვე და რამე მეშველა, შენზე დავხარჯავო? ცოლი ერთი თვე ხმას არ სცემდა. გერასიმე“.

ჰქონდა — როცა ნიკას გვერდით, თეას ნაცვლად მეზობლად მცხოვრები ეკა აღმოვაჩინე. საწყალი კაცი, საშინელ დღეში ჩავარდა. პირობა მივეცი, რომ არავის ვეტყოდი, მაგრამ მაინც, ჩემს დანახვაზე სულ მუდარით აღსავსე მზერა ჰქონდა. :) არადა, როგორ ტრაბახობდა თეა თავისი „ერთგული“ ქმრით?! ჰიტლერი007“.

„უხამსი“ სარძლო

„შეყვარებულთან ერთად გაბრწყინებული ვიჯექი სუფრასთან. ხუმრობა ხომ არ იყო, პირველად წარმადგინა ოჯახთან (როცა ვღელავ, ენა მებმის ხოლმე). საქმრომ ჯარის დროინდელი კურიოზი მოჰყვა და თან „კაპეზე“ ახსენა. მე ვერ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს „კაპეზე“. თვალები ავაფახულე და ვიკითხე, რას ნიშნავს-მეთქი? ამიხსნა. მინდოდა, მეჩვენებინა, აი, რა მიხვედრილი ვარ-მეთქი

თავისი საამაყო ქმრით. მათთან ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომ ახლო ნათესავებთან არ ვიყავით ასე ახლოს. ჰოდა, ერთხელ, ყველაფერი გავამზადე კარტოფილის შესაწვავად და აღმოჩნდა, რომ მარილი არ მქონდა. გავედი მეზობელთან მარილის სათხოვნელად. დავაკაკუნე და კარი არ გამიღეს. ვიფიქრე, ალბათ, სახლში არ არიან-მეთქი. სახლიდან მათი გასაღები ავიღე (ერთი გასაღები ჩვენთან ჰქონდათ დატოვებული) და შევედი მეზობელთან. ერთი ოთახიდან ხმა მომესმა. ქურდები არიან-მეთქი, გავიფიქრე, ტაფას წამოვავლე ხელი და საძინებელში შევედი... ლოგინში წყვილი ნებივრობდა. შემნიშნეს და თავები რომ წამოყვეს, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ

და... უნდა მეთქვა — ხო, უი, მივხვდი-მეთქი. ვთქვი კიდეც, მაგრამ ვიგრძენი, რომ დუმილი ჩამოწვა. თურმე ენა დამბმია და „ხო“ და „უი“ გამიერთიანებია. ე.ი. მითქვამს — „ხუი“, მივხვდი“. ამაზე დედამთილი ახლაც სიცილით კვდება, მე კი ის შემთხვევა ისე მწარედ მახსენდებაააა... საჩალელი“.

ეშმაკუნები

„მე და ოთო ბავშვობიდან ვმეგობრობთ. ერთი დღე განსაკუთრებულად მახსენდება და ახლა თქვენც გიამბობთ. მე და ოთო რეპეტიციებს გავდიოდით ქათმებზე ნემსის გაკეთებასა და ბაყაყების გატყავება-გამოკუჭვაში, როცა ჩვენმა მშობლებმა გვიხმეს და ოთოსთან წავედით სახლში

(ჩვენს მშობლებს რაღაც ფილმის ყურება სურდათ). ჩვენც მივუსხედით ტელევიზორს და კინოს მოლოდინში გავისუსეთ. ეკრანზე როგორც იქნა, ჯერ წარწერები, შემდეგ კი კადრებიც გამოჩნდა და წავიდა, მშობლების მსჯელობა, ვინ ვისი საყვარელი და ვინ ვისი დაა („ვორ“ — ასე ერქვა ფილმს). გაშტერებულები ვუყურებთ და ეროტიკულმა სცენებმა რომ გამოანათა ეკრანზე, მშობლებმა, ისე, რომ ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებიათ, თვალები დახუჭეთო, გვითხრეს. ჩვენც შევასრულეთ მათი მოთხოვნა და თვალი მოვარიდეთ ეკრანს. გადავბრუნდით და ტახტზე გულდაღმა დავწექით; თავი ხელებში ჩავრგეთ და შევეგუეთ იმას, რომ სანამ მშობლები არ გვეტყოდნენ, მოიხედეთო, ასე უნდა ვყოფილიყავით. გავიტრუნეთ და უცებ, ოთომ მხარი გამკრა. შევხედე და თვალებით მანიშნა, წინ მიიხედეო. მეც დიდი ინტერესით მივიხედე და რას ვხედავ? სარკეში უყურებს ყველაფერს. ორივეს გაგვიფართოვდა თვალები და ამ უხერხული სიტუაციიდან მაშინ გამოვედით, ოთოს თავში დედამისის მწარე ხელი რომ მოხვდა. ლუნიტა“.

მტკიცებულება

„უუუჰ... უხერხული სიტუაცია არ გამახსენოოთ... ერთხელ, შეყვარებულთან ერთად საერთო მეგობრის დაბადების დღეზე წავედი. წასვლამდე საგულდაგულოდ გამოვიპრანჭე, სარკის წინაც რამდენჯერმე დავტრიალდი, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ შევნიშნე, რომ შარვლის შესაკრავი ღია დამრჩენოდა... ქუჩის ბოლომდე ისე გავედი, არავინ შემხვედრია. იქ კი შეყვარებული მელოდა მანქანით. მის მანქანაში არასდროს ვჯდები, რადგან გიჟივით დაჰყავს და მეშინია. მაშინაც ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, ფეხით წავიდეთ-მეთქი. მასაც სხვა რა გზა ჰქონდა? ფეხით გავუდექით გზას. მალე შევამჩნიეთ, რომ ქუჩაში ყველა გაღიმებული სახით გვიყურებდა. ნახე, რა ლამაზი წყვილი ვართ, ყველას შურს ჩვენი, — ჩამჩურჩულა ყურში. როგორც იქნა, მივაღწიეთ რესტორნამდე, მაგრამ მთავარი თურმე წინ გველოდა. იქ ჩემი სადედამთილოც მისულიყო, სარძლოს შესათვალიერებლად. უეცრად, შემოგვხედა და ისე

„ვინდა იყოს კოჭლი, ვინდაც — ბრუციანი“...

„ჩემი ახლობელი ძმაკაცმა წაიყვანა მეზღვაურად. სიძის მეზღვარე პატარძალს არ იცნობდა. ნათესავებმა პატარძლის „გაყიდვა“ გადაწყვიტეს და 200 დოლარი დააფასეს. დაიწყო მეზღვაურმა ჩალიჩი, მაგრამ ფასი ვერა და ვერ დააწევინა. მიუბრუნდა მეზღვარე ქალის ნათესავებს და უთხრა — ჯერ პატარძალი მაჩვენეთ, ეგებ კოჭლია ან მახინჯი და ფულს არ ვიხდიო. ეგონა, ხარხარი ატყდებოდა, მაგრამ ყველა გაჩუმდა და სიტყვის უთქმელად გაუღეს კარი. პატარძალი მართლა კოჭლი აღმოჩნდა. — ქორწილი როგორ დამთავრდა აღარც მახსოვს, ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, სირცხვილით პატარძლისკენ როგორლა გავიხედავდიო. ამაზე უხერხული სიტუაცია რაღა გინდათ? ქრიქინა“.

იკივლა, გეგონებოდათ, ჭიკარტზე დაკიდეო. ორივენი დავიბენით... ამ დროს იუბილარი გამოვიდა და როცა შემოგვხედა, ისეთი ხარხარი აუტყდა, საერთოდ გავოგნდით. ბოლოს ერთმანეთი შევათვალიერეთ და... აღმოჩნდა, რომ ორივეს დაგვვიწყებოდა შარვლის შეკვრა. ქალბატონ მარინას კი ცუდი რაღაც-რაღაცები უფიქრია. ძალიან შემრცხვა და იმდენი ვიტირე, სადედამთილო აქეთ მამშვიდებდა. ახლა ამაზე ბევრს ვიცინით, მაგრამ მაშინ... ერთი ბენო“.

საფირმო ღიმილი

„უხერხულ სიტუაციებში ძალიან იშიათად ვვარდები, მაგრამ თუ მსგავსი რამ მაინც მოხდა, კარგა ხანს მყოფნის საკუთარ თავზე სახალისოდ. გაზაფხულზე მეგობართან ერთად მეტეხის ტაძარში ავედი. ეზოში, მოაჯირთან ვიდექით და ძველი თბილისის ხედებით ვტკბებოდით. ამ დროს იაპონელ ტურისტთა ჯგუფი მოვიდა. ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდნენ. რამდენიმე მათგანი მოგვიახლოვდა და აქტიური ჟესტიკულაციითა და ფოტოაპარატის ქნევით, რაღაცის ახსნა სცადა. „2 ღერი“ ინგლისური ვიცი და 1-2 სიტყვა მეცნო, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგე და მივიჩნიე, რომ ჩვენთვის სურათის გადაღება უნდოდათ, რადგან ჟესტიკულაციით ფოტოს გადაღების იმიტაციას აკეთებდნენ. აბა, მაგაზე ვაწყენინებდი ეს „პარიზელი“, ზრდილობიანი ქალი? ისე გავუღიმე, რომ 28-ვე კბილი გამოვაჩინე (სიბრძნის კბილები ჯერ არ მაქვს). :) ეს ჯადოსნური ღიმილი მაშინ შემეყინა სახეზე, როცა წვრილი თვალები ჩემი პირის გაღების პროპორციულად გაუფართოვდათ. თურმე მე მთხოვდნენ ფოტოგრაფობას. :) მას მერე მეკაიფება დაქალი — შენი „საფირმო ღიმილის“ საიდუმლო გამანდეო. :) P.S. ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, იცი, როგორ მიყვარხარ? გულიიით! პარიჟანკა“.

„გახახუნებული“

„ჩემმა მეუღლემ ორი ბილეთი აიღო და სამარშრუტო ტაქსიში ჩავსხედით. მე ფანჯარასთან ვარჩიე ჯდომა. წინ 3 საათის გზა გვედო. გზად ერთი შხვართი გოგო ამოვიდა. ადგილი არ იყო და მაინცდამაინც ჩემს მეუღლეს დაადგა თავზე. „მარშრუტკა“ იმდენჯერ არ ვარდებოდა „იამკაში“, რამდენსაც ეს გოგო აქეთ-იქით ირწეოდა. ხან „ჯიქანს“ მიადებდა, ხანაც იდაყვებით ელამუნებოდა. მოკლედ, ისეთ უხერხულ სიტუაციაში ჩავარდა ეს ჩემი თმაქოჩორა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. მძიმე ჩანთაც მუხლებზე ედო. ცალკე იმას დარდობდა, მე არ გავბრაზებოდი. საცოდავს, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ბოლოს, ჩამოიღო ეს ტვირთი, ადგა და ამ გოგოს ადგილი დაუთმო (რთული პრობლემის მარტივი გადაჭრა). 20 წუთის შემდეგ, იმ ქალბატონმა მძღოლს „მარშრუტკის“ გაჩერება სთხოვა და მეც შვებით ამოვისუნთქე. უუჰ! აბლახანუმი“.

სიყვარული სცენაზე

„თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ბათუმში სწავლისას, ხშირად მიწევდა ხოლმე თეატრის სცენაზე თამაში. ერთხელ, ერთ სპექტაკლში უზომოდ შეყვარებული ადამიანის როლს ვთამაშობდი. თან, იმ პერიოდში, „უსაშინლესად“ მორცხვი ვიყავი. მოკლედ, ერთ მომენტში სიყვარულს ვუხსნიდი პარტნიორს, სულისშემძვრელი ტექსტი მქონდა, უამრავი უნაზესი სიტყვა უნდა მეთქვა. ერთი სიტყვით, უნდა „დამედნო“ სცენაზე გოგო. საქმე ის იყო, რომ ის გოგონა, მართლაც ძალიან მომწონდა, ჭკუა მეკეტებოდა, ისე მაგრად. ამიტომ უფრო მიძნელდებოდა თამაში. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დროც დადგა, რეჟისორმა თვალი ჩაგვიკრა, გაგვამხნევა და სცენაზე გავედით.

სექსუალური ბრიგადირი

„ერთი წელია, ჩემი კვირა ხუთშაბათით იწყება. წინათ, მამიდაჩემი მთავარ აგრონომად მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს, ნივრის ამოსაღებად დარაზმა თავისი ბრიგადა და როცა ადგილზე მივიდნენ, ომახიანად გასცა ბრძანება — კაცები ამოიღებენ და ქალები თავებს დავაჭრითო. იქ ამბავი ატყდა... ვინას ახსოვდა ნიორი? ერთი პედაგოგი მუშაობდა ჩვენს სკოლაში, რომელსაც სოფლიდან უწევდა ავტობუსით სიარული. ერთ დღეს ავტობუსში თუმნიანი იპოვა. მისდა საუბედუროდ, იმ დღეს პედსაბჭო იყო დანიშნული და რაიკომიდან ესწრებოდნენ. ჰოდა, ამ ჩვენმა პედაგოგმა შეალო თუ არა კლასის კარი, მიახალა რაიკომის წარგზავნილს — ბატონო კოტე, ამ დილით თუმნიანი ვარ, თუმნიანი... მერე იდგა გაოცებული და კარგა ხანს ვერ მიხვდა, რატომ იყო ის კაცი ქარხალივით წითელი და რატომ ხარხარებდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრუსისფერი ლოყები

„ამას წინათ, ქუთაისში ვიყავი სტუმრად. გაჩერებაზე ვიდექი. სკამზე დაახლოებით 7-8 წლის ბავშვი და 75 წლამდე მოხუცი ისხდნენ. ბავშვს ცინგლები მოსდიოდა და კაშნეთი იწმენდდა ცხვირს. მოხუცებულმა გაუღიმა ბავშვს და უთხრა: — რა იყო ბაბუ, კოლდრექსის რეკლამა კი არაა, ისევ აეწეოდა... დაიტანჯა მთელი გზა. აქეთ კიდევ, 2 ქალი იჯდა ჩემ წინ და ერთმანეთს ექაქანებოდნენ. — დედა, ქალო, გეიგე? ლამარიას ბოვში დოუჭერიათ. — უი, არა, რატომ? მაი, კაი ბოვში მეგონა მე. — რატომ და გოგო „შემოცდენიაო", ამბობენ, მარა მისი ბრალი არ ყოფილაო. — აპა, რა იქნებოდა, შე ქალო, აგერ, ამ გოგოსავით რო დეიარება ნახევარი საქართველო, კაცს ან ხელი წოუცდება და ან „შემოეცდინება". — ჩემი ყურადღება ისევ იმ კაცმა მიიპყრო (ოფლს რომ იწმენდდა). გამწარებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა. ბოლოს, გულმა ვეღარ გაუძლო, წამოვარდა და წითელტრუსიან გოგონას ცხვირსახოცი მუხლებზე მიაფარა. — გოგო არ ხარ, ბიძია? რას გამოგიყრია ყველაფერი, მასეთი ყველას ქე აქვს, მარა გამოფენას კი არ აწყობს, კაცები ვართ აქანა, „პრობკები" კი არა, ჩემს ადგილზე კაცი ჩაგიყვანდა ავტობუსიდან და... მე ვიცი, რასაც გიზამდაო. გოგონა ისე გაწითლდა, ტრუსისფერი გახდა. ელდაცემულივით წამოვარდა, ავტობუსი გააჩერა და ჩასვლის წინ კაცს მიაძახა — შენნაირ მახინჯებს, ტყემალივით რომ მესხას, ერთს არ გადავუგდებდიო. აპაააა! ვიკა".

ცინგლიანი ამური

„ეს სკოლის პერიოდში მოხდა. თურმე, ნუ იტყვით და, ჩემს „მერხის მეგობარ" ბიჭს, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, ამური ჰქვია, გული შეუყვარდა ჩემზე. არადა, მთელი ბავშვობა იმაზე ვოცნებობდი, რომ ეს სიყვარულის ღმერთის მოსახელე სხვაგან გადაესვათ, რადგან წელიწადის 9 თვე გაცივებული იყო და სულ სახეში „მაცხიკებდა". ასე იყო, თუ ისე, როცა მთხოვა, ვილაპარაკოთო, დავთანხმდი და ჩამოვდექით სკოლის შენობის უკან (ეჰ, რამდენი სიყვარულის ახსნის მოწმეა ის დალოცვილი კედელი). ვზიავარ და ველოდები, როდის ამოღერღავს რამეს, ეს კი ჭარხალივით გაწითლებულა და ყურადღებით აკვირდება ქიანჭველების ცოცხალ ჯაჭვს. უხერხულობის მოსახსნელად რაღაც გავიხუმრე და გავიცინე. მანაც გაიცინა და... თანამიმდევრულად გამობერა ჯერ ერთი, მერე კი მეორე ნესტოდან დიიიიდი ბუშტები! ისედაც ცხადია, რა სახის იქნებოდა ფინალი. კარდიოლოგი".

მაგრამ მერე მისი რეპლიკა აღარ ჩაჯდებოდა; მე კი დებილივით გავშრი. აი, უხერხული სიტუაციაც. ასე საშინლად არასდროს შემრცხვენია. უამრავი ცნობისმოყვარე თვალის მზერას ვგრძნობდი და გული საშინლად მიცემდა; ტვინი გამალებით მუშაობდა, მაგრამ გავითიშე და „ვსიო". არადა, ვიცოდი, არ მქონდა ჩავარდნის უფლება (მერე, ბიჭებმა მითხრეს, სიმწრისგან ყურებიც კი გაგიწითლდაო). თიკოც მიმიხვდა, რომ ცუდად ვიყავი. — მე... მე... მე... — დავიწყე ლუღლუღი. უცებ თიკომ გამაჩერა — არაფრის თქმა არ არის საჭირო, — მითხრა ჩუმად, მომეხვია და ტუჩებზე დამეწაფა. წამით ყველაფერი აირია, მაგრამ უცებ გამოვფხიზლდი. თიკოს თბილმა ტუჩებმა გონება გამინათა. მოკლედ, გადავრჩი კრახს. მაგარი ის იყო, რომ სცენარის მიხედვით თიკო სიყვარულზე მთანხმდებოდა. ჰოდა, მისი კოცნაც მაგრად ჩაჯდა როლში. მერე რეჟისორს მოეწონა კიდეც, მაგრამ უარი ვთქვით, ზედმეტ კრიტიკას მოვერიდეთ. ახლა, რომ ვიხსენებ, მეღიმება ხოლმე. მაესტრო".

ამეიღე მა ოხერი ცხვირსახოცი და მეიხოცე ცხვირიო. ამ ლაპარაკში უცებ შენიშნეს, რომ „მარშრუტკამ" გაასწრო. მოხუცებული წამოხტა და გაეკიდა. ბავშვი მიუბრუნდა და სიცილით მიაძახა — ბაბუ, ბაბუ, ხონდრორიცის დამსახურებაა? ამასობაში ჩემი ტრანსპორტიც მოვიდა. ავედი ავტობუსში და რას ვხედავ? გოგო ზის, ნუ იტყვით... აცვია წითელი ფეხსაცმელი, დეკოლტირებული მაისური და ისეთი მოკლე კაბა, რომ წითელი ტრუსის უბე მოუჩანს. მის წინ კაცი იჯდა, რომელიც ოფლს იწმენდდა და თან ამ გოგოსკენ აპარებდა თვალს. გამიკვირდა, ამ სიცივეში რატომ სცხელა უბედურს-მეთქი. კარგა ხანს ვუყურე გოგონას საცოდაობას — წამოდგებოდა, კაბას ჩამოიწევდა, დაჯდებოდა, ისევ აეწეოდა... დაიტანჯა მთელი გზა. აქეთ კიდევ, 2 ქალი იჯდა ჩემ წინ და ერთმანეთს ექაქანებოდნენ. — დედა, ქალო, გეიგე? ლამარიას ბოვში დოუჭერიათ. — უი, არა, რატომ? მაი, კაი ბოვში მეგონა მე. — რატომ და გოგო „შემოცდენიაო", ამბობენ, მარა მისი ბრალი არ ყოფილაო. — აპა, რა იქნებოდა, შე ქალო, აგერ, ამ გოგოსავით რო დეიარება ნახევარი საქართველო, კაცს ან ხელი წოუცდება და ან „შემოეცდინება". — ჩემი ყურადღება ისევ იმ კაცმა მიიპყრო (ოფლს რომ იწმენდდა). გამწარებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა. ბოლოს, გულმა ვეღარ გაუძლო, წამოვარდა და წითელტრუსიან გოგონას ცხვირსახოცი მუხლებზე მიაფარა. — გოგო არ ხარ, ბიძია? რას გამოგიყრია ყველაფერი, მასეთი ყველას ქე აქვს, მარა გამოფენას კი არ აწყობს, კაცები ვართ აქანა, „პრობკები" კი არა, ჩემს ადგილზე კაცი ჩაგიყვანდა ავტობუსიდან და... მე ვიცი, რასაც გიზამდაო. გოგონა ისე გაწითლდა, ტრუსისფერი გახდა. ელდაცემულივით წამოვარდა, ავტობუსი გააჩერა და ჩასვლის წინ კაცს მიაძახა — შენნაირ მახინჯებს, ტყემალივით რომ მესხას, ერთს არ გადავუგდებდიო. აპაააა! ვიკა".

„მეზაღე"

„ამ ზაფხულს ერთი კვირით მარტყოფის დედათა მონასტერს ვესტუმრე. ყველა სტუმარს თავისი საქმე ჰქონდა. ერთი დღე მაცალეს ნებივრობა და მერე დამასაქმეს. ყვავილნარი უნდა გამემარგლა. ეზოში დამჭკნარი, დიდი გვირილები იყო. დედა მაკრინემ დამავალა, გვირილები ძირში მაკრატლით გადამეჭრა, რათა შემდეგ ახლები ამოსულიყო. რა ვიცი, დებილი რომ ვარ, ვერ გავიგე ალბათ, დავერიე დედა მაკრინეს გვირილებს და მთელი ყვავილნარი სულ ძირფესვიანად დავთხარე. ამ დროს დედა მაკრინეც მოვიდა. მეც შევხედე კმაყოფილმა, „კარგი გოგო ხარ"-ის მოლოდინში.

ამერიკაში ინგლიზურად ადამიანს ლოკრისული ჰქვია.

ძირს რომ დაიხედა, თვალები გაუფართოვდა — ვაიმე, ეს რა გიქნიაო. მოკლედ, კინაღამ გავაგიჟე ქალი. ეს ახლა ვიხსენებ მხიარულად, თორემ მაშინ ისეთ „უხერხულში ჩავვარდი“, ღმერთო, მომკალი-მეთქი, ვამბობდი. დედაო მაინც მომეფერა და დამლოცა. წამოსვლისას, გვირილების განადგურებისთვის კიდევ ერთხელ მოვუხადე ბოდიში, მან კი მითხრა — კიდევ რომ მოხვალ, უფრო ლამაზ ყვავილნარს დაგახვედრებო. ახლა იქაურობა ძალიან მენატრება და ერთი სული მაქვს, ისევ როდის ვესტუმრები მონასტერს. Butterfly“.

უხერხული მშობიარობა

„შვილის დაბადება ხომ ნებისმიერი დედისთვის ბედნიერებაა. ასე ფიქრობდა დედაჩემიც, მაგრამ ჩვენ, სამივე შვილმა ფრიად უდროო დროს მოვინდომეთ ქვეყნიერების შეცნობა. ჰოდა, ამიტომ უხერხული სიტუაციები შევუქმენით საწყალ დედიკოს. ჯერ იყო და, უფროსმა დაიკომ შეაწყვეტინა თეთრეულის რეცხვა და იძულებული გახადა, სარეცხისფხვნილიანი ხელებით სამშობიაროში გაქანებულიყო. სამშობიაროამდე მისვლაც არ აცალა და პირდაპირ საკაცეზე მოინდომა დაბადება, როცა საავადმყოფოს კიბეზე აჰყავდათ. მერე იყო ჩემი ძმა. ამან მონატრებული მამის სახლში ბედნიერი სახით სუფრაზე ყოფნა არ აცალა და „სმა-ჭამა, დიდად შესარგი“ არ შეარგო. მე ხომ საერთოდ დავაგვირგვინე, ორი შვილის უდროო დაბადებით გამოწვეული უხერხული სიტუაცია. თურმე ქალი მოწამლული, მომაკვდავი იყო, ამ დროს კი მე მომინდომებია მზის სინათლის ხილვა. აბა, ჩემი თავი ჰქონდა? მე“.

ბავშვობის უხერხულობა

„უხერხული სიტუაცია? ჰო, გამახსენდა: ზაფხულის არდადეგები იყო და ბანაკი გაიხსნა ჩემს სკოლაში. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ბავშვები დასასვენებლად. როცა ყველამ გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით, მაგრამ ერთ ბიჭს გოგონებმა ვერაფრით გავუგეთ. ან როგორ უნდა გაგვეგო უზრდელი და თავხედი ბიჭისთვის, რომელმაც დიდი, პატარა, გოგო, ბიჭი არ იცოდა და ვინც თვალში არ მოუვიდოდა, განურჩევლად ყველას ეუზრდელებოდა. ერთხელ გოგონები ჩავდიოდით კიბეზე და ჩვენდა ბედად, ეს ბიჭი დაგხვდა კიბესთან. — ჩაეთრიე, ჩაეთრიე, ჩაეთრიე, ჩაეთრიე, ჩაეთრიე, ჩაეთრიე, ჩაეთრიე, — უთხრა ამ ბიჭმა ყველა გოგოს. მე ბოლო ჩავდიოდი და დასძინა — შენც ჩაეთრიეო. ტყლაშან, ხუთი თითი სახეზე აღებეჭდა ბიჭს, — ეს ჩემგან საჩუქრად-მეთქი და ჩავიარე. ის დღე იყო და ის დღე, ეს თავხედი და უზრდელი ბიჭი უცებ შეიცვალა და კარგი და ზრდილობიანი გახდა. იმ დღის მერე, ამ ბიჭს ჩემ მიმართ ერთდროულად სიძულვილსა და დიდ სიმპათიას ვატყობდი, ეს კი უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. ახლა, წლების მერე ამ ბიჭს ჩემს სახლთან ხშირად ვხედავ ხოლმე. ვერც ვესალმებით ერთმანეთს და ვერც თვალს ვარიდებთ. პუპსიკა“.

ლორელაის სიყვარულის ამბავი

„არ ვიცოდი, ასე ძალიან თუ აინტერესებდათ მგზავნელებს ჩემი მეუღლის ვინაობა, რომ შენ შეგაწუხეს კითხვებით. ამიტომ გადავწყვიტე, მის შესახებ მოგიყვეთ. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ დაბეჭდავ. ჩემი მეუღლე წარმოშობით სამეგრელოდანაა, 23 წლის არის, ჯარისკაცია. წოდებით — სერჟანტი და ათმეთაური. ერთმანეთი თებერვალში გავიცანით. მალევე მომხიბლა თავისი აზრებით, იუმორით, სითბოთი და გულახდილობით. ტიტომ მე-4 დღეს მითხრა, მიყვარხარო და ამაში რომ დავერწმუნებინე, ბევრი ორიგინალური რამ გააკეთა. ქუჩაში ყვიროდა, მიყვარხარო; გამვლელებს ეუბნებოდა, თქვენც უთხარით, რომ მიყვარსო. ძალიან გულახდილი იყო და მეც ბევრი ისეთი რამ ვუთხარი ჩემს ცხოვრებაზე, რასაც საკუთარ თავსაც არასდროს ვახსენებდი. ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა და გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახებს ჩვენი ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ სიცოცხლე და ბედნიერება ჩემთვის მას შემდეგ დაიწყო. ძალიან მზრუნველი და მოსიყვარულე ქმარია. რაც ერთად ვართ, ჩემი ხელით საჭმელი არ მიჭამია, ყოველთვის თვითონ მაჭმევს. ხანდახან კი სადილსაც მიკეთებს. მოკლედ, ქება გამომივიდა, მაგრამ რა ვქნა? რაც სიმართლეა, ის ვთქვი და მგონი, მგზავნელთა ინტერესიც დავაკმაყოფილე. მარი, ალბათ, ამის შემდეგ, აღარ შეგაწუხებენ. ლორელაი“.

ელისოს გათხოვების ამბავი

„მარი, გავიგე, მკითხველს აინტერესებს, როგორ გავთხოვდი. ჩემი ქმარიც აქ არის და მითხრა, ვრცლად მისწერეო. მოკლედ, ტელეფონით მრავალთვიანი ურთიერთობის შემდეგ, მე და ლევანი ერთმანეთს რამდენჯერმე შევხვდით. შემდეგ, წნორში წავედით, სადაც თავისი ახლო ნათესავები გამაცნო. მერე ჩემთან, ვერტყვიჭალაში შევხვდით ერთმანეთს და ჩემები გავაცანი. მოკლედ, ყველა წესების დაცვით... მერე ხელი მოვაწერეთ ახალციხეში. ჩემს მოწმეს 20 წუთით ადრე ნაყიდი, ლამაზი ფეხსაცმელი ეცვა და მანქანიდან რომ გადავედით, ქუსლი მოსტყდა. ხელის მოსაწერად ოთახში რომ შევედით, ხათომ სკამზე დაჯდომა სცადა და ეს სკამიც სამფეხა აღმოჩნდა. მერე ლევანმა, იკითხა: მე ხევსური ვარ და გვარი რომ შეიცვალო, ჩემი გვარის ქალთან ხომ არ დავწვებიო? ისე, არც არასოდეს მიფიქრია გვარის შეცვლა. მერე წავედით აბასთუმანში ჩემი (უკაცრავად, — ჩვენი) მანქანით და... მოკლედ, 2 ღამე გვქონდა თაფლობის, მერე კი მე პატრულში ამოვყავი თავი, ლევანმა კი ჯარში. ასე გავთხოვდი, გენაცვალე. ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემს პატარა ოჯახთან ერთად. ყველანი მიყვარხართ. გაკოცეთ. ელისო“.

ძაძაკაცი ცდილობს, ქალი ყვავილხლობელზე ასეყვანოს, რომ ყვავად დანახოს, მა ხდება მისი ჭეშმარიტი ჭეშ.

რა უნდათ მგზავნელებს?

„არ შემიძლია, მგზავნელების კითხვები უპასუხოდ დავტოვო. დავიწყოთ კითხვებით პარიჟანკაზე, მაესტროსა და ერთ-ერთი მგზავნელის ურთიერთობაზე, მგელოსა და ლორელაიზე. ეს მათი პირადი ცხოვრებაა და მერწმუნეთ, არავის სიამოვნებს, როცა მის ცხოვრებაში ზედმეტად ერევიან. ამიტომ, ნუ ერევით ყველაფერში. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი და ამორძალი მეგერა კი მგონი, ჩვეულებრივი ადამიანები არიან; ოღონდ ზოგიერთისგან განსხვავებით, ნიჭიერები. სად წავიდა კანიბალკა? თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ოღონდ აღარ არის „გზის“ კანიბალკა. ჩორი-ჩორი, როგორც ვიცი, 17-18 წლისაა და XII კლასის მოსწავლეა. აპოლონი კი უბრალოდ, სურდომ შეაწუხა. პავლიკა ნამდვილად არ არის მექალთანე, გარწმუნებთ. უმაგრესი ადამიანია და მაგარი მეგობარია. განსაკუთრებით იმ კითხვამ აღმაშფოთა, ენიგმა უფრო გიყვარს თუ მაესტროო? ამ კითხვის ავტორს მინდა ვკითხო: დედაშენს შენ უფრო უყვარხარ თუ შენი და ან ძმა? რას მელაპარაკები, ორივე ერთნაირად, ხომ? აბა, მარის ასეთ უაზრობას რატომ ეკითხები? „გზავნილების“ დედას ყველა „გზავნილშვილი“ ერთნაირად არ ეყვარება? ეშმაკუნა“.

რძალ-დედამთილის გულახდილი საუბარი

„უხერხულ სიტუაციაში ხშირად ჩემივე გზავნილების გამო ჩავვარდნილვარ. საქმეებს მირჩევენ ხან პირადად, ხან — ტელეფონზე. არადა, ყველაზე ყველაფერი და უფრო კონკრეტულად რომ დავწერო, მერე, ალბათ, სადმე შორს გადამასახლებენ. არადა, რა ვქნა, ეს ამბები ხომ ნამდვილია და კონკრეტულ ადამიანებს ეხება? რომ არ მოგწერო, არ შემიძლია. გუშინწინ ბიძაჩემის სახლში ერთ ამბავს შევესწარი — ბიძასთან ჩავედი, ვიცოდი, მარტო ბებო (მამის დედა) იყო შინ. კარი რომ გავაღე, ყურთასმენას ბებოს და დედაჩემის დიალოგი მოსწვდა — ამ კაცებს რომ მოუსმინო, გაგაგიჟებენ, ჩვენ ყოველთვის მაგრად ვაყენებთო, გეტყვიან — მხიარულად ებაასებოდა ბებო დედაჩემს. გავიტრუნე, აქ რაღაც სერიოზულია-მეთქი. — უჰ, კარგი ერთი, თუ ქალი ხარ, შენი შვილიც ბაქიბუქობდა გუშინ, ისე მაგარია ეს დალოცვილი, მთელი სოფლის ქალებს დაგარეტიანებთო, მაგრამ ქე ნახე, რაცხა გამოდგა, — ეს დედა იყო. დავიბენი, უცებ ათასი რამ ვიფიქრე — კარგი, დედაჩემი ჯერ ახალგაზრდა მაინცაა, მაგრამ ეს 80 წლის ბებო რაღამ გადარია-მეთქი? თვალები ნელ-ნელა მიფართოვდებოდა. — ისე, მაგრად კი „მოსლაბებულა“, პირველი უკეთესი იყო, — გაეპასუხა ბებო. უკვე მაგრად დავინტრიგდი, ვიფიქრე, ამ ქალებმა საბოლოოდ გაუბერეს-მეთქი. — რა ვქნათ, გამოვწეროთ ბარემ ბოლომდე? — არ ჩერდებოდა ბებო. — მიდი, მიდი, მოიტა, რაც არის, არის, მაგის დედა ვატირე, — შეაგულიანა დედაჩემმა. აქ კი ვეღარ მოვითმინე, ჩუმად მივუახლოვდი სამზარეულოს და კარი შევაღე. ჯერ გავშეშდი, მერე კართან ჩავიკეცე და ბოლო ხმაზე ავხარხარდი. ბებო და დედა სუფრასთან ისხდნენ, სადილობდნენ და ახალ ღვინოს შეექცეოდნენ. იმდენი ვიცინე, ძლივს დამაწყნარეს. მერე, მათ ვეგონე გიჟი. ჰოდა, მეც თავი ვიმართლე, ლოთებივით სვამდით მარტო და იმიტომ გამეცინა-მეთქი. ეეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... მაესტრო“.

სტუმართმოყვარე ბებო

„ერთ ზაფხულს, გურიაში თბილისელი მეგობარი მყავდა წაყვანილი დასასვენებლად. ჩემს ბებოს, ცოტა არ იყოს, თვალთ აკლია. ერთ ღამეს, ჩემი მეგობარი გარეთ გავიდა. ბებიაჩემიც გარეთ იყო გასული. ცოტა ხანში მესმის ბებიაჩემის წყევლა: — შენ მეისპე და მოდუღდი, შენ წაი სკვარამს; რომ დაღამდა, ვერ მიხვდი? საქონელი მოდის თავისი ფეხით შეღამებულზე სახლში და შენ რით ვერ მოაგენი ჭიშკარს, რომ შემოთრეულიყავიო? გავედი გარეთ და რას ვხედავ? ბებოს ჩემი საწყალი მეგობარი ჩემს ძმაში არევია და წყევლიდა თავგამოდებით. სიტუაციაში რომ გავარკვიე, ორივენი „კაპლებით“ დავრბოდით. მერე კი გაიძახოდა ბებო: ამ სტუმარ ბაღანასთან რაფერ მევიჯაყე თავიო, მაგრამ... მის მუმია“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„აი, მაგ მოინტრიგანო ელემენტების გასაგონად ვამბობ: ვისაც ღამე არ ეძინება იმაზე ფიქრით, რას ამბობს მგზავნელებზე ეთო. რას ვამბობ და, პირველ რიგში, ჩიხტიკოპიან დილეტანტს ნუ ლანძღავთ. იმის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირხართ. მე კარგად ვიცი, რას და ვისაც გულისხმობდა ლუდით ნათქვამ სადღეგრძელოებში. შეარგოს ყველას! მეორეც, მაესტროსა და იმ მგზავნელს შორის არაფერიც არ ხდება. თქვენს თავებს მიხედეთ! მესამეც, ძალიან მინდა ელისოს გაცნობა. მისმა ფეხის ზომამ შოკში ჩამაგდო. აუ, მაგის წიხლი მომცა უბნის ჩხუბში, რა! მე ყველანი მიყვარხართ, მაგრამ ჩორი, ლუნა, ეთო, ილინი და მარი ჩემი სიცოცხლეები არიან. აი, ეს მინდოდა, მეთქვა. მე წავედი“.

„ჩვენი ოჯახის თითქმის უკვე წევრი — ჩემი მომავალი სიძე, ხშირად გვსტუმრობს და ეს მე საშინლად არ მიყვარს. დათა თუთაშხიასავით ყველგან ცხვირს ყოფს. ჩამოვარდება რაიმე თემაზე ლაპარაკი, ავყვებით ერთმანეთს და იცი, როგორი უხერხული სიტუაცია იქმნება?

უსაფუძვლო ბრალდება

„მთელი ჩემი ცხოვრება კურიოზებითაა სავსე. უხერხულ სიტუაციაშიც ბევრჯერ ჩავვარდნილვარ. ახლა ერთს მოგიყვებით: წვეულებიდან ჩემი მანქანით მოვდიოდი. საკმაოდ შეზარხოშებული ვიყავი. ერთ მომენტში საჭე ვერ დავიმორჩილე და სატვირთო მანქანას შევეჯახე. გადმოვედი მანქანიდან გაფითრებული. სატვირთოს მძღოლიც იქვე გაჩნდა. — რა დროს დამიმუხრუჭე, ბიძაჩემო, არ ვიყავი მზად, — ამოვილულლულე უმწეოდ. — რა დაგიმუხრუჭე შვილო, სამი დღეა, მანქანიდან ძრავი ამოვილე და აქ ვდგავარო. ოლეგარიო“.

მე თანამედროვედ ვაზროვნებ, ის — მოხევურ იდეებს აფრქვევს და ოჰოჰოჰო! უსკო“.

„დილა მშვიდობის, მარიამულ. პირველ რიგში, დიდი მადლობა, კიდევ ერთი ღიმილიანი დღისთვის. ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა, რაც შეეხება ჩემს საიდუმლოს — დავტოვოთ ისე, როგორც არის. ულამაზესი წუთების მიუხედავად, ტკივილიც მახსოვს მგზავნელებისგან და არ მინდა, სალაპარაკო იყოს ჩემი წმინდა გრძნობა. ალბათ, მაპატიებთ. პარიჟანკა“.

„როცა ფეხმძიმედ ვიყავი, თითქმის ყოველთვე დავდიოდი ექოსკოპიაზე. მთელი გულით მინდოდა, გოგონა მყოლოდა, ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. „ეხო“ კი ჯიუტად ბიჭს აჩვენებდა. გულს არ ვიტეხდი იმ იმედით, რომ შვილი მაინც შვილია, ბიჭიც და გოგოც, მაგრამ მაინც გოგოზე ვოცნებობდი. როცა ვიმშობიარე, დარწმუნებული ვიყავი, ბიჭი გავაჩინე-მეთქი. ბებიაქალი კი მეუბნებოდა, ულამაზესი გოგო გყავსო. სანამ ჩემი თვალით არ ვნახე, არ დავიჯერე. დაბადებისთანავე რომ არ მენახა ბავშვი, ვიფიქრებდი, შემიცვალეს-მეთქი. ის დღე ჩემს ცხოვრებაში მართლაც უბედნიერესი იყო. ახლა კი ღვთისგან ნაჩუქარ, უძვირფასეს განძს — ანამარიას სათუთად ვზრდი. მაგდა“.

„საბავშვო ბაღში ვმუშაობ. ერთხელ გრანდიოზული ღონისძიება გვქონდა. მე ვიყავი დიჯეი. მერიიდან სტუმრებს ველოდით და რომ შემოვიდოდნენ, რაღაც სიმღერა უნდა ჩამერთო. გოგონებმა დისკი შემიცვალეს და „დენ პაბედი“ არ ჩავრთე? იქ ამბავი ატყდა... ბოკვერი“.

„ჩემს ნათესავ ქალს სამი შვილი ჰყავს, ქმარმა კი ყოველგვარი მიზეზის გარეშე მიატოვა. ქალმა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა და წავიდა კიდეც. იქ მილიონერმა კაცმა ცოლობა სთხოვა და გათხოვდა. ახლა ბაია ბედნიერია. მინდა, ყველა, ძველ და ახალ მგზავნელს დიდი მოკითხვა და მოულოდნელი ბედნიერება ვუსურვო. გკოცნით პუპსიკა“.

„დედაჩემი სტომატოლოგია. ცნობისთვის დავძენ, რომ არსებობს სტომატოლოგიური მანიპულაციები, რომლის შემდეგაც 2 საათის განმავლობაში ჭამა და წყლის დალევა არ შეიძლება. დედაჩემის დაქალი, ასევე სტომატოლოგი, შეთავსებით ყურებსაც ხვრეტს. ერთ დღეს, მორიგ მსურველს გაუხვრიტა ყურები და თან ინსტრუქციაც მიაყოლა: — ნანა, გენაცვალე, 2 საათი არ ჭამო და არც წყალი დალიოო. თქვენ თუ წარმოგიდგენიათ, ნანას რა სახე ექნებოდა? ილინის თქმის არ იყოს, ანაშანაჭამი მაიმუნი არც მე მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთივე გამოხედვა ექნებოდა. ბელ-555. P.S. ილინ, აწი აღარ მითხრა, სად დაიკარგეო“.

„ჩემი ახლობლის მამა შინ მთვრალი დაბრუნდა, მანქანა დააყენა ავტოფარეხთან და საცხოვრებელი კორპუსისკენ დაიძრა. იქვე, სადარბაზოსთან ე.წ. ბირჟა იყო. ღამე იყო და თან, ნაწვიმარიც. ეზო გუბურებით იყო სავსე. ღამე წყლიანი გუბე თეთრად ჩანს. ამ კაცმაც თვალით „განსაზღვრა“, სად უნდა დაედგა ფეხი და გაექანა. გაექანა და ტყაპ, ტყაპ, ტყაპ! ყველა გუბეში გატოპა. ამ კაცის შვილს შინ ზღარბი მიუყვანია და აივანზე გაუყვანია. ღამით მამამისი ამდგარა და ნაღვინევი კაცი სიგარეტის მოსაწევად ფეხშიშველი გასულა. ალბათ, იფიქრა, შუბლსაც გავიგრილებ ღამის ნიავითო და მისმა ღრიალმა გამოაღვიძა მთელი კორპუსი. თურმე, ნუ იტყვით და, ზღარბს დაადგა შიშველი ფეხი. გაკოცეთ. ელისო“.

„ჰოო, მეც მოვედიიი.. აუჰ, რამდენი ხანია, არ დამიმესიჯებია. შორიდან ვადევნებ თვალს „გზავნილებს“. რაც შეეხება თემას, მოყვარული მსახიობი ვარ და სპექტაკლებში ვთამაშობ. ჰოდა, ახლა პრემიერა გვქონდა. ბათუმის უნივერსიტეტის დარბაზი სავსე იყო ხალხით. მე სახასიათო როლი მქონდა, ანგელოზს ვთამაშობდი. თან, ეს ჩემი პირველი სპექტაკლი იყო. სცენაზე ვიყავით მე და ჩემი ორი პარტნიორი. ჰოდა, უცებ გავჭედეეე... ტექსტი დამავიწყდა. არადა, ხალხი მომშტერებია, ჩემგან სიტყვას ელოდება. ვაიმე, ღმერთმა არ გამოგაცდევინოთ... რა მექნა, აღარ ვიცოდი. მადლობა ღმერთს, გამოვძვერი და მომდევნო ფრაზა წარმოვთქვი ისე, რომ არავის არაფერი შეუმჩნევია. ყველაფერი კარგად დასრულდა. სუპერსთარი“.

„ერთ დღეს ახალი „ზმანები“ ვიყიდე და ბედნიერი წავედი სკოლაში. კლასში თავაწეული შევედი და დავაფიქსირე, რომ ყველა მე მიყურებდა. თურმე, სიხარულისგან თავბრუდახვეული სკოლაში ჩუსტებით ისე მივეთრიე, მე დებილი, ვერც კი მივხვდი (თან ჩემი ვარდისფერი, „კუდულა“ ჩუსტებით). ბარაკუდა“.

„ჩვენს ბინაში ერთი მდგმური გვყავდა, რომელმაც ჩვენს მეზობელ ბიჭებს პლანი მე-3 სართულზე, შუა „ზასტავაზე“ გაუხარა. სამაგიეროდ, რა მიიღო, იცით — პიცები, ლობიანები, ხინკლები, ნაყინები, სენდვიჩები და უჰ, რამდენი მზესუმზირა... სამწუხაროდ, ის გოგო ახლა ჩვენთან აღარ ცხოვრობს. ფლამინგო“.

„პასუხი ცნობისმოყვარეს: ჩემსა და ერთ-ერთ მგზავნელს შორის რა ხდება? ყველაფერი კარგი! თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობთ და ძალიან მაგარია, რომ ერთმანეთს ვიცნობთ. შეგიძლიათ, პირადად მკითხოთ. მარი არც მოსამართლეა და არც ასინეთა, რომ ყველაზე ყველაფერი აინტერესებდეს. უჰ, მართლა როგორ დამღალეთ, რა... მაესტრო“.

„ქუთაისში მიმდინარეობს კომუნიკაციის აღდგენითი სამუშაოები, რის გამოც ქუჩები გადათხრილია და კენგურუსავით ხტუნვა-ხტუნვით უნდა იარო. ერთ დღეს, მოკლე კაბა მეცვა. თხრილს რომ მივუახლოვდი, შემოვლა დამეზარა და გადავახტი. უცებ, ბიჭმა არ ამოყო თავი? იქვე ბიჭები იდგნენ და ისეთი ციცილი ატეხეს... მინდოდა, მიწა გამსკდომოდა. ეშმაკუნა“.

ინდოეთია სათოვლეთი ვრძნობენ. ის ყურნახობს ჭალის, შიმ მესმითია, მიოხედავად იმისა, მესმითია თუ ვმა.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ჯადოქრობის მსხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვად კი გთავაზობთ — რჩევა, რომელიც გამომადგა.

საგზაო ჯარიმები

● ეს შემთხვევა ლონდონის ცენტრში, ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე მოხდა. ბრიჯიტ დრისკოლს 20კმ/სთ-ში სიჩქარით მიმავალი ავტომობილი დაეჯახა. პოლიციამ დაადგინა, რომ დამნაშავე მძღოლი იყო. მაშინ 1907 წელი იყო და ეს სიჩქარის გადაჭარბებად მიიჩნეოდა.

● 1999 წელს სტივ კანინგჰემმა, პროფესიონალი ინსტრუქტორის დახმარებით ავტომობილით 236 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე უკვე 1000 კმ/სთ-ს აღწევდა, ეს შედეგი რეკორდული გახლდათ, რადგან ავტომობილს ბრმა მძღოლი მართავდა.

● ქალაქ ესანის მცხოვრებმა, ალექსანდრე ციმერტენმა თავისი ავტომობილით მოძრაობისას სიჩქარეს გადააჭარბა. პოლიციელმა ეს შემთხვევა ფოტოზე აღბეჭდა. მას ჯარიმის გადახდამ მოუწია. ნაწყენმა მძღოლმა ქვითარს ბარათი მიამაგრა: „იმის ნიშნად, რომ თქვენს მოწადინებას პატივს ვცემ, თქვენს ანგარიშზე დღეს გადავრიცხე 40 დოლარი. თუმცა, ასეთი უხარისხო ფოტოსთვის ეს ძალზე ძვირი ფასია“.

● ერთ-ერთმა გერმანელმა ბიზნესმენმა, რომელიც რუსეთში საქმიანობდა, გამოაქვეყნა იმ ფასების სია, რომელსაც მოსკოვში სხვადასხვა მომსახურებისთვის იხდიდა: ტაქსით მგზავრობა — 140 დოლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკთან შეხვედრა — 3.000 დოლარი; ფორმულარი — 50 დოლარი; ელექტროქსელის შეკეთება — 30 დოლარი. მან დასძინა, რომ მოსკოვში იაფი მხოლოდ წესრიგის დარღვევაა. ის სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს და 2 დოლარის ეკვივალეტის რუსული რუბლით დააჯარიმეს.

● ბელგიაში დაბალი სიჩქარით მოძრაობა ნაციონალურ ტრადიციად მიიჩნევა. ბელგიელები ხუმრობით ამბობენ, რომ მათ ქვეყანაში დიდი სიჩქარით უნდა შეხვიდე და დამუხრუჭება მოასწრო, თორემ შესაძლოა, ქვეყნის საზღვრებს ისე გასცდე, ვერც კი გაიგო.

● კალიფორნიის შტატში ერთი ქალბატონი სიჩქარის გადაჭარბების გამო დააჯარიმეს. ის მოძრაობდა 27 კმ/სთ სიჩქარით... „როლიკებზე“. დაზარალებულმა სასამართლოში პოლიციელების წინააღმდეგ განცხადება შეიტანა და პროცესი მოიგო კიდეც, როდესაც თავის გასამართლებლად ერთი არგუმენტი მოიყვანა: „როგორ უნდა მერეგულირებინა სიჩქარე, როდესაც „როლიკებს“ სპიდომეტრი არ აქვს?“ მყარი არგუმენტია, ვერაფერს იტყვი.

● ფრანი პირველად ჩინელებმა გამოიყენეს. XVII საუკუნეში სამოის კუნძულის მცხოვრებნი ფრანს ნავებზე მოაბამდნენ ხოლმე და ამით ცურვის სიჩქარეს ზრდიდნენ.

● ამერიკელმა პოლიციელებმა მანქანა გააჩერეს და აღმოაჩინეს, რომ საჭესთან შიმპანზე იჯდა. გვერდითა სავარძელზე მჯდომი პატრონი მხოლოდ სიჩქარის გადართვაში ეხმარებოდა. პოლიციელებმა მძღოლი სიჩქარის გადაჭარბების გამო დააჯარიმეს.

● ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ერთ-ერთ მაგისტრალზე გამაფრთხილებელი წარწერა გამოჩნდა: „მძღოლო, დაადგე სიჩქარე, წინ ნარკოტიკების კონტროლის პოსტია!“ მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, აღნიშნულ პოსტს ყოველდღიურად რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკის ამოღება უწევს. რატომ? იმიტომ, რომ პოსტი ცენტრალურ გზაზე კი არა, გაფრთხილების დაფის შემდეგ მდებარე ჩიხშია, საითაც, გაფრთხილების წაკითხვის შემდეგ ნარკოსაქმოსნები პოლიციისგან თავის ასარიდებლად გადაუხვევენ ხოლმე...

●

რას მიჰარნახებს ორგანიზმი სიზმარში?

✓ხმაურიანი და ცოცხალი სიზმრები იმის მანიშნებელია, რომ ნერვული სისტემა აღგზნებულია. ჩუმ და სასიამოვნო სიზმარს კი მაშინ ნახულობ, როდესაც გამოჯანმრთელებას იწყებ.

✓საშიში სიზმრები თავის არეში სისხლის მოწოლას მიანიშნებს, ხოლო სიზმარში ნანახი ურჩხული თირკმლისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის „გაუმართაობაზე“ მეტყველებს.

✓გულით დაავადებულმა ადამიანმა შესაძლოა, სიზმარში ნახოს, როგორ აყრიან მიწას ან როგორ მიიღო მკერდის არეში რაღაც ჭრილობა.

✓ფილტვის დაავადების დროს ადამიანს შესაძლოა დაესიზმროს, რომ მკერდზე დაწოლილი სიმძიმის გამო იგუდება ან გვირაბში მიცოცავს და იჭედება.

✓სიზმარში ტალახში სიარული ფეხების ტკივილს მოასნავებს.

✓ვიწრო ან დაძეული თაქაბურავი კი თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროების დროს დაგესიზმრება.

✓თუ სიზმარში ტანი გეფუხანება, შესაძლოა, კანის დაავადება შეგეკაროს.

✓სიზმარში ნანახი მკვეთრი ფერები თვალებთან დაკავშირებულ პრობლემაზე მიუთითებს.

✓თუ სიზმარში ცივ წყალში ბანაობ, სურდოს ან გაცივებას ელოდე.

✓რა თქმა უნდა, ასეთი სიზმრები შესაძლოა, მხოლოდ მოსალოდნელი დაავადების მაუწყებელი კი არა, მოუხერხებელი სანოლის ან საძინებელში ჟანგბადის ნაკლებობის ბრალი იყოს. თუ ერთსა და იმავე სიზმარს რამდენჯერმე ზედიზედ ნახულობ, მაშინ ჯობს, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედო.

●

ოჰ, ეს უცნაური და უსაქმური მეცნიერები

მეცნიერებაში მთავარი ადგილი ცდებს უკავია. სწორედ ამ ხერხს მიმართავენ მეცნიერები, თავისი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად. თუმცა, ხშირად ხდება ისე, რომ ზოგიერთი ცდა ძალზე უცნაურად „გამოიყურება“.

ბუდაპეშტში, ლორანდას უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, მიიღებდნენ თუ არა ძაღლები თავის „კოლექტივში“ ძაღლ რობოტს. ექსპერიმენტის შედეგად გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ძაღლებმა რობოტი არ მიიღეს.

ნევროლოგმა, ხოსე დელგადომ ხარის ტვინში დისტანციური მართვის პულტის ელექტროდები გადანერგა. ამით სურდა დაემტკიცებინა, რომ სოციალური ქცევების საიდუმლო ელექტრობაშია. „მოდიფიცირებული“ ხარი რინგზე მეცნიერს დაედევნა, მაგრამ საჭირო ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ მის მიმართ ინტერესი დაკარგა.

ფსიქოლოგმა, ჯეიმს ვიკარიმ 1960 წელს ტორტის მცხობელი და მშობიარე ქალების შედარებითი ანალიზი ჩაატარა. თუმცა, მისი სახელი ისტორიას 25-ე კადრის ექსპერიმენტის გამო შემორჩა. ვიკარი ამტკიცებდა, რომ კინოსეანსის დროს, 25-ე კადრის მეშვეობით „აგდებდა“ შეტყობინებას — „დალიე „კოკა-კოლა“ და „გშია? — მირთვი პოპკორნი“, რის შედეგადაც კინოთეატრის ჰოლში „კოკა-კოლისა“ და პოპკორნის გაყიდვა გაიზარდა.

ერთ-ერთმა მეცნიერმა გადაწყვიტა, სტუდენტებზე ექსპერიმენტი ჩაეტარებინა და მათ თამაში — „ციხე“ შესთავაზა. ექსპერიმენტის შედეგად სტუდენტების ფსიქიკური მდგომარეობა შეირყა, რის გამოც მეცნიერი პასუხისმგებლობაში მისცეს.

მეცნიერ ჯეიმს ლილის ექსპერიმენტი, რომ ცურვის დროს, სრულ სიბნელეში ყველა გრძნობა გაეთიშა, იმით დამთავრდა, რომ მეცნიერს ჰალუცინაციები დაეწყო.

სურდოს კვლევის ექსპერიმენტის მონაწილეებს აიძულებდნენ, რომ მთელი დღის



განმავლობაში სველი წინდებით ევლოთ და ცივ ოთახში, ცხელი შხაპის გვერდით მსხდარიყვნენ. შედეგი: სურდოს არავითარი კავშირი არ აქვს სველ წინდებთან და სიცივესთან.

ძილის კვლევის პიონერი, ნათანიელ კლეიტმანი და მისი სტუდენტი 1 თვის განმავლობაში 28-საათიანი დღის რეჟიმით ცხოვრობდნენ. 9 საათის განმავლობაში ეძინათ, 10 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და 9 საათის განმავლობაში ისვენებდნენ. მეცნიერმა გაუძლო, სტუდენტმა — ვერა.

საბჭოთა კავშირში უწონობის მოდელირების ექსპერიმენტს ატარებდნენ, რომელიც 1986 წელს დაიწყო. 11-მა ადამიანმა 370 დღე საწოლში გაატარა. ექსპერიმენტში მონაწილეებითვის ანაზღაურება ავტომობილი გახლდათ.

1970 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტში ექიმების საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. ვინმე მაირონ ფოქსი სიტყვით გამოვიდა და გააკეთა მოხსენება თემაზე: „თამაშების მათემატიკური თეორია და მისი გამოყენება ექიმი თერაპევტების მომზადების საქმეში“. მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა და ექიმები რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ ამ თემაზე საუბრობდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ მომხსენებელი მსახიობი იყო და თემის არაფერი გაეგებოდა. თვითონ მოხსენება კი უამრავ, ერთმანეთის გამომრიცხავ და უაზრო მტკიცებულებებს შეიცავდა. თუმცა, მომხსენებლის გადმოცემის უნარმა ყველა ნაკლი გადაფარა.

დიდი ვეშაპობაა
საჭირო, შიმ თქვა ის,
შასაც ყველა თევზობს.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 40 წლის, განათხოვარი, განათლებული ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს შესაფერისი მამაკაცი.

2. რამდენი ალფონსი გვყოლია, არ ვიცოდი. თუ ხარ 45 წლის ზევით, ნამდვილი მამაკაცი, იცი, შენი თავის და ქალის ფასი, დამირეკე. უკეთესია, კახეთიდან. ვარ შვილიანი.

3. მე მქვია ნატალია. ვარ 23 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ახალგარზდა პიროვნებას. ნატალია.

4. ვარ 27 წლის გოგო. არ ვარ ლამაზი. უბრალოდ, უბრალო, ერთგული და თბილი ადამიანი ვარ. ვეძებ სულით ლამაზ ბიჭს, თბილი ოჯახის შესაქმნელად. გასართობად არ მცალია. ფუმფულა.

5. ვარ 34 წლის ქალბატონი. მსურს გავიცნო ისეთი ადამიანი, ვისაც ქალის დაფასება შეუძლია. ვარ ქმარს გაცილებული, მყავს შვილი. მესიჯებით არ გაგეცნობით.

6. ვეხმაურები „გზა“ №44, მე-14 მესიჯის ავტორს, 31 წლის ქვრივ მამაკაცს. ვარ 26 წლის, საქმიანი მანდილოსანი.

7. არსებობს ნამდვილი, ქართველი, ვაუკაცი მამაკაცი, რომელსაც სიყვარული შეუძლია? ეჰ... 37 წელია, ვეძებ და ვერ მიპოვია.

8. გადავირიე, ნუთუ ვაუკაცური, ქართული სულის მამაკაცები აღარ შემორჩა ამ დროს? არადა, 37 წელია, მხოლოდ შენ, ერთადერთს გელოდება დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე გული.

9. ვარ 20 წლის, ლამაზი გარეგნობის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასავლეთში მცხოვრებ, 20-25 წლის, კარგ ბიჭს.

ვაჟები

10. ვარ 23 წლის, 170 სმ სიმაღლის, 70 კგ, გავიცნობ 19-30 წლის მანდილოსანს. მპუა იმას, ვინც ჩემთან მოვა.

11. ვეხმაურები მაიკოს, ვარ 29 წლის, მქვია ლუკა, ვცხოვრობ ქალაქ ქუთაისში. მაიკო, გავიცნოთ ერთმანეთი?

12. ვარ 30/180/75, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგონას.

13. ვეხმაურები ჟურნალ „გზის“ №45-ში, „მობილი-ზაციის“ 1-ელ და მე-3 რესპონდენტს. ვარ 28 წლის, დასაქმებული. გავიცნოთ ერთმანეთი და იქნებ გავუგოთ ერთმანეთს. დანარჩენი — პირადად.

14. ერთი ნათესავისთვის ვეძებ საცოლეს. ძალიან მინდა, რომ დაქორწინდეს. ამიტომ მან არ იცის, რომ ამ მესიჯს ვაქვეყნებ და რომ გაიგოს, მომკლავს. ამიტომ ამ ნომერზე დამიმესიჯეთ.

15. ვარ თბილისელი (მაქვს აგარაკიც), მაღალი, ზომიერად სრული, ზოდიაქოთი ვერძი, დასაქმებული, მართლმადიდებელი, 38 წლის მამაკაცი. დამიკავშირდეს დედისერთა, 35 წლამდე ასაკის ქალიშვილი.

16. ვარ თბილისელი, მაღალი, დამოუკიდებელი (არ მაქვს ბინა), მართმადიდებელი მამაკაცი. დამიკავშირდეს დედისერთა, თბილისელი, 35 წლამდე ასაკის, სიმპათიური მანდილოსანი.

17. ვარ 36 წლის, დასაქორწინებელი ბიჭი. გამომეხმაურეთ.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ერთგულ და პატიოსან მანდილოსანს. ვარ 27 წლის და გამომეხმაუროს 25-27 წლის გოგონა. დათო. დანარჩენი — პირადად.

ბავშვები

19. ვეძებ ნიკა დავითურს, სოფელ გამარჯვებიდან, რომელიც სწავლობდა პოლიტექნიკურში, ჩხეიძის ქუჩაზე. თუ წაიკითხავს, ვთხოვ, გამომეხმაუროს.

20. ვეძებ დაკარგულ, მშვენიერ გოგოს! ვთხოვ, დამირეკოს.

21. ვეძებ სტუდენტობის მეგობრებს, ნანა და ნონა ონიანებს ქუთაისიდან. ასევე ნათლიას, მანანა ფალიანს. შემეხმიანეთ, მენატრებით... ნარგიზი, ბათუმიდან.

22. ვეძებ ალიონკა, ინგა, საშკა მირზოევებს და მათ მშობლებს — ბორია მირზოევს და ვერა დავიდოვას. გეხვეწებით, გამომეხმაურეთ. ყოფილი მეზობელი, პავლოვის ქუჩიდან.

სხვადასხვა



• აბეზარა, ციცქნა, ენიგმა, გრუზი, მაგრები

ხართ, გაიხარეთ! არ გინდათ, გაგეცნოთ? თუ სურვილი გექნებათ, მომწერეთ! შიბლიანელი ორომტრიალა.

• მაესტროს მინდა ვუთხრა — მაე, გთხოვ, ნუ მებუტები. განა არ შეგვიძლია, წყნარად ვიმესიჯოთ? როგორც ადრე... ჰა, მაე? გკოცნის შენი კუსი, უამრავს. გატოცე, შენი მე.

• ეთოს ანუ კაჭკაჭს მინდა ვუთხრა, რომ ცდება. სიცოცხლე არსებობს და მე ამ სიცოცხლითა და სიყვარულით ვტკბები. მაგიტომ ვერ ვწერ ლუნას.

• მენატრებით ძალიან, ნეტავ, რისი ბრალია? მითხარი, რომ გახსოვარ და გიყვარვარ ძალიან. რუსა.

• ჩემი მოულოდნელი ბედნიერება ის იქნება, კვირას გავიდე ომონიაზე და ჩემი ბავშვობის სიყვარული ვნახო, რომელიც ჩემი უჭკუობით დავკარგე და ცხოვრება ჯოჯოხეთად ვიქციე. ტანჯული ბებო.

• ჯერ 18 წლის ვარ. პატარა? არც ისე... ეს ჩემი ბოლო მესიჯია, თქვენთან. არ ვაპირებ, ფარული ან შეცვლილი ნიკებით ვისარგებლო. ათენში რომ ჩამოვედი, უმეგობროდ ვიყავი. ამიტომ მოგწერეთ, თანდათან გაგიცანით, მაგრამ რასაც ველოდი, ის ვერ ვიპოვე. მეგობარი მეგონა ყველა. უმეგობროდ დავრჩი. ჩემი ნამდვილი სახელია ნესტანი, ყველა ანის მეძახის, სიმარტივის გამო. მერედა, რა? არც არაფერი... თუმცა, გუ-ათენმა მატყუარა მეძახა და ერთ დღეს კარგად გამომლანძღა. ათენელი მგზავნელებიდან მივხვდი, ვინ როგორი მეგობარია. გადავწყვიტე, საერთოდ დავტოვო „გზაც“ და ყველა. ყველა მეყვარებით და ტკბილად გაგიხსენებთ ხოლმე. თქვენთან კარგი იყო, მინდა, ყველას ბედნიერება გისურვოთ. გკოცნით და გეხვევით, მარად თქვენი უკარება.

• სალამი, ათენელო მგზავნელებო, ხომ არ მოიწყინეთ, მეგობრებო? ტაქტიკა შეცვალეთ ბიჭებო, თორემ ხომ ხედავთ, არაფერი გამოდის. მოკითხვა ტატუსიას. ძალიან მაგარი ხარ. ლანდი.

• როგორ ხართ ჩემო კარგო და მონატრებულო ხალხო? ზურა, სად ხარ, რომ დაგვეკარგე? ლანდი, ტროტუარზე „პრობკებს“ ნუ ქმნი. 13.07 დაბრუნებულაოო! გუ-ათენი.

• პრინცესა, აზრზე არ ვარ, ვინ ხარ და შენზე რაიმეს რატომ დავწერ? მე რომ პრინცესას ვწერ, ერთი ძაან საყვარელი გოგო იგულისხმება, რომელიც ძალიან მიყვარს და ისაა ჩემი პრინცესა. ა, ასეა ეგ ამბავი, გენაცვალე. 9717.

• მარ, მინდა მგზავნელები გავიცნო და მათაც გამიცნონ. დამეხმარე, რა, გთხოვ. შენი იმედი მაქვს, იმედია, დამეხმარები. ძალიან მიყვარხარ. ვიკა.

• კარგია, ძველი გზის დავიწყება, მაგრამ ეს არ ხერხდება. მოვა დრო და მე მჯერა, ერთად ვიქნებით. შეიძლება ახლა მშვიდად გრძნობ თავს, მაგრამ გჯეროდეს, ის დროც მოვა. ლანდი.

• გუ-ათენო, მიყვარხარ... ძალიან მიყვარხარ და მინდა, შენც შემიყვარო. მითხარი, შენი გული თავისუფალია? ანანო.

• მიშველეთ, გავთხოვდი, მაგრამ უსიყვარულოდ. ქმარი მცემს და გული მთლად გამიტეხა. თან სხვა მიყვარს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

• ჩემი გულიდან ამოსულო, პატარა იავ და ამ იაზე დანამულო, პატარა ცრემლო და ამ ცრემლებში ჩაქსოვილო, ლამაზო გრძნობავ და ამ გრძნობაში დაგროვილო...

• გულის ტკივილს რატომღაც, არ კურნავს თურმე წამალი, ტკივილის მორჩენისათვის, გულია თურმე მთავარი. მარი, გთხოვ, გამოაქვეყნე. სასტავში შემომიშვებთ? დოპინა.

• მაააარ, ახლა ხშირად გეტყვი ხოლმე, რომ ძაან მიყვარხარ. აღარ ვაპირებ მიქელასთან საჭორაოდ წასვლას. პავლიკამ მითხრა, 117 წელი იცოცხლეო. ჰოდა, ვუსრულებ თხოვნას. ნიკოლი.

• ამ კვირაში ვერ მოგწერეთ და ძალიან მომენატრეთ. უზომოდ მიყვარხართ, crazy girl, მანაველო, გრუზინკა და ლუნა. ჩემს გულში ხართ, ხალხო და მუდამ იქნებით. ედელვაისი.

• აბეზარავ, სიხარულო, მეწყინა შენი დაქალის გარდაცვალება. ჩემო კარგო, შენ გვერდით მიგულე. უზნეო ანგელოზის და სესის გაცნობა გამიხარდა. გაკოცეთ. ედელვაისი.

• მინდა, მთელი ხმით ვიყვირო, რომ დედა, მამა, ძალიან მიყვარხართ. ჩემს პატარა გულში ხართ, მუდამ. გულს არასდროს გატკენთ ჩემი საქციელით. გპირდებით! გკოცნით. ედელვაისი.

• „გზიდან“ გააგდეს

„ჭიტაა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია, „გზავნილეთს“ კვლავ მოეჩვია, რწმენით აივსო გულია, თავი ჰგონია გმირია. მგზავნელნო, ნუ მოტყუვდებით, გმირი კი არა — ვირია.

• დაწყნარდით მგზავნელებო, მე არ ვარ ჩიხტიკოპიანი დილეტანტი. ჩიხტიკოპიანო, გაამხილე შენი ვინაობა, თორემ ეჭვიანები ავად არიან. კახელი სალომე.

• მარ, ეტყობა მოგწონს ჩემებური ენაკვიმატობა. ქუთაისელებს ენა ნამდვილად არ გვიგვალავს. გიჟ-ხიფათა, თათრული არ გამაგონო. მადლობა. არ გამეცნობი? მარ, ვის აქვს უფლება, სხვისი პირადით დაინტერესდეს? ყოჩაღ მარ, რომ არ ამბობ. ამ ხალხმა სულ გაუტია. მიყვარხარ. სვეტა.

• მეც მაქვს ერთი კითხვა — სად წავიდა ნონ სტოპი, რად დამეკარგა? „გზავნილებში“ კი ვნახე მისი მესიჯები, მაგრამ მე დამეკარგა. სად ხარ, მარი? რატომ არ მპასუხობ? გამოჩნდი, გთხოვ.

• მიყვარხაროოო, ძაალიანოოო, ჰოო, მართლა, შტეროო... ნუ, რავი, რა მაგარი ხალხია აქანე, პროსტა რიაა? მეგი, ლუნა, გრუზინკა, გეიხარეთ, ხალხო! აე, იკუშკები, გენაცვაა... ნიკოლი.

• ესეც ასე, კარდიოლოგი და ფლამინგო შემოგიერთდათ, ბარტყებო. ახლა ტკბილ მოგონებებს, ვერმახტს, ოჩოპინტრეს, შეწირულს, ბელ555-ს, ჩორტიოზნაეტს მოვუხმოთ. ტირიფი73.

• ნერეიდა, გაკოცე. crazy girl, მიყვარხარ! პრინცესა, 9717 თავის პრინცესას გულისხმობს, დაი. მანაველო, აბა, თუ მიპოვი! ნერტის, გრუზინკა, ენიგმა, მიყვარხართ. ლუნა.

• ორი რამ მინდა ამ ქვეანაზე, მხოლოდ სიცოცხლე და სიყვარული, სიცოცხლეს ღმერთს ვთხოვ, სიყვარულს — შენ, ღმერთი შემისრულებს და — შენ? ოცნების მამაკაცი.

• მამაც თოჯინას: დიდი მადლობა, ჩემო საყვარელო, შექებისთვის. crazy girl, ძალიან თბილი და საყვარელი ხარ, გაიხარე! მგზავნელებო, ვგიჟდები თქვენზე. იკუშკები.

• სიყვარული ბედნიერებაა, როცა ღვთისგანაა, მაგრამ თუ ეშმა უგზავნის ადამიანს, ნამდვილი ჯოჯოხეთია. მე დროებით ჯოჯოხეთის მკვიდრი ვარ. მიშველეთ! მე.

• ერთი გოგო სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. სიყვარული რადიოს მეშვეობით ავუხსენი, მაგრამ პირისპირ თქმას ვერ ვუბედავ. მირჩიეთ, რა ვქნა. მას ნატო ჰქვია.

• რავა ხართოოო? ეჰ, ვახსოვარ აქ ვინმეს? :-(ლუციფერ, ასე უნდა დაიკარგო? ჰაააა? :-) უჰ, მომენაااااატრეეეთ! იმედია, გამიხსენებთ. მოხევე.

• მე ახალი ვარ და თქვენს მეგობრად მიგულეთ. ბარაკუდა.

• ჩემს 2 უსაყვარლეს დაქალს ოჯახი დაენგრა და დუხჭირმა ცხოვრებამ საზღვარგარეთ უხმო. ახლა მეორესაც ვეღარ ჩავიხუტებ, ატირებულს და თმას თითებით ვეღარ დავუვარცხნი. მომენატრები უსაშველოდ, ჩემო თოჯინავ. უკვე ტირილამდე მენატრები. მიკვირს, კაცის არამსგავსები ასეთ ქალღმერთებს როგორ ვერ აფასებენ? გამაგრდით, ანგელოზებო, ღმერთი თქვენკენ! დალოცვილი ყოფილიყავით, ყველა წმინდანისგან. მიყვარხართ და გეფერებით. p.s. ყველანი ინდივიდები ვართ და მაინც, როგორ ვგავართ ერთმანეთს. ჯორჯი.

• ჯოჯოხეთში შენს გვერდით ვარ, მომწონს შენი ფორმები, ენიგმას რომ არ ელოდო, მე ვერ დამეზომები? ეძღვნება შინაბერას, ბერბიჭასგან, რადგან ეს გოგო ჩემთვის მინდა.

• ლაშა, green girl თუ მოგეწონა, ჩემზე ალბათ მტკვარში გადაეშვები. ოეეე, ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, ახლა პივას ვსვამ და მოდი, შენ გაგიმარჯოს! გიცანიო, მაშ! მე.

• მეც მოვედიი! ახალი ვარ და მალე ძველი გოგო გავხდები. ჰო, უსიყვარულოდ თუ გათხოვდი და სხვა გიყვარს? დაუფიქრებლად დაშორდი. რეალისტი ფერია. გკოცნით ყველას.

• აპოლონ, მიყვარხაარ! დაბრუნდი რა, „გზაში“, შენი ლექსები და მესიჯები მენატრება. „გზას“ შენი გულისთვის ვკითხულობდი. მაგარი ხარ. დაფნე.

• მცხეთაში, ერთ ერთი

„წინა ცხოვრებაში მეც კაცი ვიყავი“

ვილოცავ



• ლუკა თედიაშვილს ვულოცავ 7 წლის შესრულებას. ღმერთმა სულ ჯანმრთელი, ბედნიერი, ჭკვიანი, მშობლების გამხარებლად და სახელოვან ვაუკაცად გაგზარდოს. შენს დედიკოს და მამიკოს ძალიან უყვარხარ, ძალიან ენატრები და ეს ყოველივე მონატრება, წამება და ტანჯვა დაგეფასებინოს. მამა გენაცვალოს, როგორ მალე გარბის დრო და როგორ მეზრდები... ასე მალე... აგერ, უკვე 7 წლის გახდი... შენი, შენი ძმისა და შენი დედიკოს ავადობა სულ მე მერგოს. მიყვარხარ და გვაპატიეთ, მე და დედას, რომ თქვენგან შორს ვართ. ამას ჯერ ვერ გაიგებთ და როცა დრო იქნება, ყველაფერს მიხვდებით. მაპატიე, ლუკა, ჩემო უსაყვარლესო, რომ ასე გილოცავს შენი მამიკო დაბადების დღეს. გიხუტებ გულში.

• გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ გია და გიორგი ჯიმშიტაშვილებს, გიორგი გაგლოევს, გიორგი თანდილაშვილს, გიორგი მარტოლეკს და გიორგი გამყრელიძეს. მზია.

• მოვიკითხავ მარის და მის მგზავნელებს და მინდა მოგილოცოთ გიორგობა და გისურვოთ ლამაზ, ერთიან საქართველოში ცხოვრება. კეთილი სურვილებით, ნათათო აფრიდონიძე.

• ტიკარაძე მაია, მინდა მოგილოცო გიორგობა და გისურვო ლამაზი ოჯახის შექმნა. ნესტან ტვილდიანი.

• ნინო ჩარგეიშვილო, 28 ნოემბერს გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ლამაზი ოცნებების ახდენას. ნესტანი.

• სალომე გონგაძეს, ჩემს მონატრებულ შვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას და ოცნებების ასრულებას. გკოცნი და გეფერები. შენი დედიკო, თინიკო.

• ქუთაისში, ნიაკო გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას გისურვებ, წარმატებულ გზაზე გევლოს, წკრიალა ანგელოზო. გაახარე კეთილის მსურველები, პატარა ქალო. ეკა.

• green girl, დაი, გილოცავ დაბადების დღეს, 21 ნოემბერს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. უკარება.

• სვეტა და მაგდა, გილოცავთ გიორგობას. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

• ოზურგეთში, დათო და ნაირა ჩხაიძეებს ვულოცავ შვილის ბედნიერებას და ვუსურვებ ყველაფერ კარგს. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

• 23 ნოემბერს დაბადების დღეს და გიორგობას ვულოცავ ახმეტაში, იმედა თორღვაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიყვარულს, თავის ოჯახთან. ეთო.

• გიორგობას ვულოცავთ ახმეტაში ჩვენს ოჯახს — მახოს, ეთერს, ვახუნას და თამუნას. წმინდა გიორგი გფარავდეთ, მუდამ. ძალიან გვენატრებით. ხათო, ნათია და ეთო.

• სრულიად საქართველოს ვულოცავ გიორგობას. განსაკუთრებით — ახმეტას. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეთ, ქართველებო. ძალიან მიყვარხართ. ეთო.

• სენაკში, ჩემს პატარა ძმისშვილს, ზუკა ადანაიას ვულოცავ 2 წლის იუბილეს. ვუსურვებ ლამაზ ბავშვობას. უცნობი მამიდა, სოფო ადანაია.

• ქუთაისში, შალვა მუსერიძეს ვულოცავთ 19 ნოემბერს, დაბადების დღეს. ვუხურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს. გფარავდეს უფალი, ყველგან და ყველაფერში, ჩვენო მონატრებულო ვაუკაცო. გკოცნით და გეფერებით შორიდან. დედა და დეიდა.

• დაბადების დღეს ვულოცავ სიყვარულით მზია ნებიერიძესა და ნატო ბრეგვაძეს. ეკა ფურცხვანიძე. გკოცნით.

• ქეთი ბეგიაშვილს და ზურა მუშკუდიანს ვულოცავ გაბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი. სიყვარული და ბედნიერება იყოს თქვენი ცხო-

ვსურვიდა

• მთვარე ხარ, მანათობელი, იალბუზისა მთისაო, შუქი ანათებს ქვეყანას, მაგ შენი თვალებისაო. გაიგე, კორტავა? ფისო.

• ოთო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად და მთელი ცხოვრება მეყვარები. შენი მარი.

• შენ ხარ საოცრება, ჩემი გაოცება, შენ ვინც შემოგხედავს, ვინ არ გაოცდება, ვისთვის ტკივილი ხარ, ვისთვის — სინანული, ჩემი ცხოვრება ხარ, ჩემი სიხარული. ეძღვნება დიდი სიყვარულით, ჩემს მონატრებას, გიორგი ვეფხვაძეს. გიო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. მენატრები. ჩემთვის ყველაფერი ხარ. გკოცნი, პატარავ. შენი სიყვარული, ნათია.

ბედნიერ ინტერვიუსთა
გადანაწილებას
ნიშნავს.

ნატვრის ხე

ვრების მეგზური. თამილა.

• ნათათო, გილოცავ იუბილეს, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ზაზა, ავთო და დათო, ასე უნდა დამივიწყოთ? ჩამოდით სურამში, რა გინდათ იმერეთში, სულ? ლუნა.

• ჩემს საყვარელ თიკო ბლიაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ ძაან. მამი.

• თიკო ბუკია, გილოცავ 24 ნოემბერს, იმ ბედნიერ დღეს, როცა განგებამ შენისთანა სასწაული მოავლინა ამქვეყნად. რა დამავიწყებს შენს ლამაზ ღიმილს? ყველას შენზე ვესაუბრები. მე ვარ ადამიანი, რომელმაც თავის იდეალად გაგხადა, ზეცაში ოცნების კოშკი ააგო და შიგ დაგასახლა.

• ვინ მისწვდება ცაში ვარსკვლავს? გისურვებ, ღირსი პატივი გქონდეს, ყველა სულიერისგან. ნაცნობი, მარად უცნობი.

• green girl, შენც 21-ში გაქვს დაბადების დღე? გილოცავ, ჩემო კარგო, ბედნიერ და სიხარულით სავსე მომავალს გისურვებ. იკუშკები.

• ეთო მონასელიძესა და დათო ღონღაძეს ვულოცავ პატარა გიორგის დაბადებას. ვუსურვებ ბედნიერებას და ულევ სიხარულს, მათ ლამაზ ოჯახს. მიყვარხართ, გკოცნით, თქვენი მარი.

• ბათუმელო ინგა დონაძევ, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერი იყავი, მარისთან ერთად და სხვასთან არავისთან. იცი, რატომ? იმიტომ, რომ მატყუარა და მოღალატე ადამიანი ხარ.

• green girl-ს და ჩემს უსაყვარლეს დაიკოს, ნანას, იუბილეს ვულოცავ და სურვილების ასრულებას ვუსურვებ. მგზავნელებს უამრავი სიყვარული და კოცნა — ჩემგან! crazy girl.

• ზესტაფონში, ნათია გორგაძეს 20 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღმერთის მფარველობას, ოჯახთან და პატარა შვილთან ერთად. დაიკო ნინი.

ამაგენ იცყვის ცყოილს,
მოცა ამაგენ ოსძენს.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ნამდვილი ქალის 15 პოსტულატი



1. ნამდვილმა ქალმა იცის, როგორ გაუმართლა, ქალად რომ დაიბადა.

2. რაც უფრო მეტი საყვარელი საქმე აქვს ქალს, მით უფრო მეტი შანსია, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩასაყოფად ვერ მოიცლის.

3. ნამდვილმა ქალმა მამაკაცს უფლება არ უნდა მისცეს, პრობლემების გამო მას მხარზე თავი ჩამოადოს და იტიროს. მამაკაცმა თავის პრობლემებს თავად უნდა მიხედოს.

4. თუ ქალს სურს, შემთხვევითი შეხვედრისას კარგად გამოიყურებოდეს, მან უნდა ისწავლოს, როგორ მოახერხოს, ყოველთვის კარგად რომ გამოიყურებოდეს. მაშინაც კი, როდესაც ნაგავს ყრის.

5. ფულს მსუბუქად უნდა შეხედოს — თუ მას ფული აქვს, უნდა იცოდეს, როგორ დახარჯოს; თუ არ აქვს, ამის გამო დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს.

6. ქალმა საკუთარი თავის ფასი კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ ამის თაობაზე ხმამაღლა არ უნდა განაცხადოს.

7. არ უნდა იჩქაროს დაწუნებული კავალრის თავიდან მოშორება. რაც მეტი მამაკაცი ტრიალებს ქალის გარშემო, მით უფრო მიმზიდველია ის სხვა მამაკაცებისთვის. ადრე თუ გვიან, ამ ქსელში ვინც საჭიროა, ის გაებმება.

8. თუ ქალს კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა არ სურს, მან მრავალმნიშვნელოვნად უნდა გაიღიმოს. საერთოდ, ღიმილი შესანიშნავი განმაიარაღებელი საშუალებაა.

9. ქალის ყველაზე საშიში იარაღი ცრემლია, მაგრამ მან ის, რაც შეიძლება, იშვიათად უნდა გამოიყენოს. მუდმივად მტირალი ქალი თანაგრძნობას კი არა, გაღიზიანებას იწვევს.

10. შესაძლოა, ქალი მრავალმხრივ განვითარებული და ნაკითხი იყოს, მაგრამ თუ საუბრის წარმართვა არ შეუძლია, საინტერესო მოსაუბრე ვერასოდეს იქნება.

11. კარიერის დასაწყისში ქალმა თავისი ყველა ღირსება არ უნდა წარმოაჩინოს. ამით გაცილებით მეტს მოიგებს.

12. ნამდვილმა ქალმა თავდაპირველად, მამაკაცი მისთვის ფულისა და დროის ხარჯვას უნდა შეაჩვიოს. მთავარია, იცოდეს, რომ მამაკაცები გაცილებით მეტად აფასებენ იმას, რასაც გასცემენ, ვიდრე იმას, რასაც იღებენ.

13. თუ ქალი ბევრ მამაკაცს მოსწონს, მასზე ბევრს იჭორავებენ. ნამდვილმა ქალმა არ უნდა მოუსმინოს სხვის აზრს და ამაყად თავაწეულმა უნდა იაროს. ჯობს პრანჭია იყოს, ვიდრე — ჭორიკანა.

14. ტონუსის შესანარჩუნებლად ქალმა ცხოვრებაში რაღაც უნდა გამოიცვალოს: ხელთათმანი, სამსახური, ქმარი. თუ ქმარსა და სამსახურში გაუმართლებს, ხშირად უნდა იცვალოს ხელთათმანი.

15. ვიდრე ქალი თავს ქალად გრძნობს, ყველაფრის თავიდან დაწყება, გვიანი არასდროს არის. ●

სახელმწიფო ენის ცენტრის პრიზი გაუფრთხილებლობა



სტუდენტი, დაცე კალნინია საღამოობით ჯიხურში მუშაობდა. მან კლიენტთან რუსულად ლაპარაკზე უარი განაცხადა. სკანდალის შემდეგ, ის სამსახურიდან დაითხოვეს. თუმცა ნაციონალ-რადიკალურმა პარტიამ ის დიპლომით დააჯილდოვა. ცოტა ხნის შემდეგ კი ამ ჯილდოს სახელმწიფო ენის ცენტრის პრიზიც მიემატა. პრიზის გადაცემის დროს ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გოგონას სამსახურში სიამოვნებით აიყვანდა.

ლატვიაში რუსული ენა ისეთივე უცხოურ ენად მიიჩნევა, როგორადაც — ფრანგული ან გერმანული, ან ნებისმიერი, სხვა ენა. აქედან გამომდინარე, ვინც რუსული არ იცის, შეუძლია, დაუბრკოლებლად იმუშაოს და რუსულად არ ილაპარაკოს. როგორც გერმანიაში შვედურის ცოდნა არ არის სავალდებულო, ასევე ლატვიაში რუსულის ცოდნას არავინ ითხოვს. „არსებობს ისეთი ქალაქები, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფო ენაზე მოლაპარაკე. მაგალითად, რიგაში 56% რუსულენოვანია, ხოლო დაუგავპილსში — 85%. ამიტომ, იქ ყველას რუსულად უწევს ლაპარაკი და ამ ერთი გოგონას პროტესტი მათთვის სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს“, — ასეთი კომენტარი გააკეთა ლატვიაში მოქმედმა რუსულმა ტელეარხმა.

ტასიჩსხვებუდი მკვდარი



ტეხასის შტატის საავადმყოფოში ექიმებმა ზაკ დენლეპის ტვინის სიკვდილის კონსტატაცია მოახდინეს. ამის შემდეგ მან საავადმყოფოში თვე-ნახევარი კიდევ დაყო. 21 წლის დენლეპი გარდაცვლილად 2007 წლის 19 ნოემბერს გამოაცხადეს. ავტოავარიის შედეგად მიღებული ტრავმების შემდეგ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ნათესავებმა მედიკოსებს ახალგაზრდა მამაკაცის ორგანოების ტრანსპლანტაციის უფლებაც კი მისცეს. თუმცა გამოთხოვების ცერემონიის დროს, მან უეცრად ფეხი აამოძრავა. იქ მყოფები ზაკს ტერფზე დანის წვერით შეეხნენ. ამაზე „მიცვალებულს“ რეაქცია ჰქონდა. ახლა ზაკს ეს დანა სამახსოვროდ აქვს შენახული. „მხოლოდ ის ახალგაზრდა კვდება, ვინც კარგია. მე გადავრჩი“, — იღიმება ზაკი, როცა ამის შესახებ ესაუბრებიან. მას არ ახსოვს კატასტროფის დეტალები და მანამდე 1 დღით ადრე მომხდარი მოვლენები. სამაგიეროდ, კარგად ახსოვს ის მომენტი, როდესაც ის მკვდრად გამოაცხადეს. „მინდოდა, ექიმებისთვის მეგრძნობინებინა, რომ ცოცხალი ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი“, — დანანებით ამბობს ის. მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები მას ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ მისი ოჯახის წევრები ამას არად დაგიდევენ. მათთვის მთავარია, რომ ზაკი ცოცხალია. მშობლებმა ნამდვილი სიხარულის შოკი განიცადეს, როდესაც მათი გარდაცვლილი შვილი ცოცხალი აღმოჩნდა.

რას გარდიანდენს სჯობრიც?

ხორვატიელმა დიზაინერმა, ჯორჯ ჟივანოვიჩმა უჩვეულო სარეცხი მანქანის პროექტი გამოაქვეყნა. უცნაური აპარატი სფეროს ჰგავს და „აკვარიუმი“ ჰქვია. თუმცა, გამჭვირვალე არ გახლავთ. ავტორი ირწმუნება, რომ ასეთი ფორმის მანქანა სახლს სიმყუდროვეს მიანიჭებს. „აკვარიუმი“ სხვა მანქანებისგან მხოლოდ დიზაინით კი არა, კონსტრუქციითაც განსხვავდება და გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას საჭიროებს.



ჰიჯი აბი: „ვინც კარგად მიცნობს, იცის რომ მტკიცე ხასიათი...“

ქართველ ქალს განსაკუთრებული სიყვარული სჩვევია. ალბათ, სწორედ ამან გადააწყვეტინა თურქ ჰიჯი აბის, არა მარტო დაეკავშირებინა ბედი ხათუნა ხურცილავასთვის, არამედ მისი ხათრით, მართლმადიდებლად მონათლულიყო და გულის სწორთან ჯვარიც დაეწერა. თურქეთის ქალაქ გერასუნში დაბადებულ და გამრდილ ჰიჯი აბის ახლა გიორგიც ჰქვია და, ისევე, როგორც ქალბატონ ხათუნას, მიაჩნია, რომ ცხოვრების მეგზურთან შეხვედრის მხრივ, ძალზე გაუმართლა.

თიკო სამხარაძე

ჰიჯი აბი, იგივე გიორგი:

— მე და ხათუნამ ერთმანეთი ორი წლის წინ გავიცანით და როგორც იტყვიან ხოლმე — ერთი ნახვით შემიყვარდაო, ისე დამემართა. ქართული სილამაზით ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. ჩემი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ რწმენის შეცვლაც გადამაწყვეტინა.

— ძნელი არ იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თან არცთუ პატარა ასაკში?

— რწმენის შეცვლა მე ერთი ხელის მოსმით არ გადამიწყვეტია, ამაზე ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე! ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მინდოდა, მართლმადიდებელი ვყოფილიყავი. შეიძლება, ცოტა გაუგებარია, ამ ასაკამდე რას ველოდებოდი, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.



ხათუნა ხურცილავა:

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ყოველთვის წარმოუდგენელი იყო სხვა სარწმუნოების ადამიანთან ცხოვრება, არასდროს მიმიცია თავისთვის უფლება, ვინმესთვის რწმენის შეცვლა მეთხოვა. ჩემდა !ასიხარულოდ, ამის სურვილი ჰიჯიმ თავად გამოთქვა და მალევე მოინათლა.

— ცნობილია, რომ თურქები მტკიცე რწმენით გამოირჩევიან. მათთვის მიუღებელი არ აღმოჩნდა თქვენი საქციელი? მოღალატედ ხომ არ მიგიჩნიეს?

ჰიჯი:

— რეაქცია, რა თქმა უნდა, ნეგატიური იყო. უმეტესობამ ვერ გამიგო, მაგრამ ვინც კარგად მიცნობს და ჩემი მტკიცე ხასიათი იცის, მიხვდა: რადგან ასე გადავწყვიტე, ე.ი. სერიოზული მიზეზი მქონდა. ვცდილობ, არ ვიფიქრო იმაზე, რომ ახლობლებს შეიძლება, გული ეტკინათ. ვიცი, ოდესმე მაინც გამიგებენ. თანაც, ჩემი მეუღლე ძალიან უყვართ და პატივს სცემენ.

— მონათვლის შემდეგ თუ აგრძელებთ ქრისტიანულად ცხოვრებას?

— ვცდილობ. უკვე 2-ჯერ ვეზიარე. როცა საქართველოში ვარ, ხშირად დავდივარ ეკლესიაში. სურვილი მაქვს, უფრო განვიმტკიცო რწმენა.

— ქართველებს როგორი რეაქცია აქვთ, როცა თქვენი გაქრისტიანების ამბავს იგებენ?

— დადებითი. ბევრი უცხო ადამიანი მილოცავს და მეუბნება, რომ ბედნიერი ვარ და ეს ძალიან მახარებს.

ნინო, ჰიჯის ნათლია:

— ჰიჯი მესამე ადამიანია, რომელიც მოვნათლე და ყველაზე საინტერესო ეს ნათლობა იყო. როდესაც სამების საკათედრო ტაძრიდან გამოვედით, ხალხი დაგვხვდა. როგორც ჩანს, იცოდნენ, მუსლიმანი ქრისტიანად რომ ინათლებოდა. მილოცავდნენ, ჰიჯის ვინაობას მეკითხებოდნენ. ერთი კაცი მოგვიახლოვდა, მომილოცა, ჰიჯის ხელზე აკოცა და ტირილი დაიწყო. ბედნიერებისაგან მეც ავტირდი და კარგა ხანს ემოციურ მდგომარეობაში ვიყავი.

— ნათლიის მოვალეობას თუ ასრულებ?

— ვცდილობ, რწმენის გაძლიერებაში დავეხმარო და უკეთ გავარკვიო მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში.

ქრისტეს მხედრობაში ჩამდგარი ჰიჯი და მისი ქართველი მეუღლე უახლოეს პერიოდში საქართველოში ცხოვრებასაც აპირებენ.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

ეგბის წიგნაკიდან:

1. „ცენტურიონი“ ინგლისური ტანკია.
2. „ამქმელი“ და „ბებიაქალი“ სინონიმებია.
3. საერთო ხარჯით გამართულ ნადიმს რაჭაში ოჩხარი ჰქვია.
4. მაიონეზის გამოგონებას კარდინალ რიშელიეს მზარეულს მიაწერენ.
5. ძველი რომის გზების საერთო სიგრძე დაახლოებით 85 ათას კილომეტრს შეადგენდა.
6. შუაცეცხლის თავზე გადებულ ძელს, რომელზედაც ჯაჭვი კიდია, ოჯინჯალი ჰქვია.
7. „მედიცინსკი ინსტიტუტ ვიპუსკაეტ მედიკოვ, ა პედაგოგიჩესკი ინსტიტუტ — ...!“ — არ ამთავრებს თავის მოსაზრებას ევგენი პეტროსიანი.
8. მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სტენდალის შემოქმედებაში. დიდ მწერალს ეკუთვნის ჰაიდნის, მოცარტის, მეტასტაზიოსა და როსინის ბიოგრაფიები.
9. 1695 წელს ინგლისში შემოღებული, ფანჯრის ბეგარის გამო, მაღაზიის მფლობელებმა გადასახადის თავიდან აცილების მიზნით, აგურით ამოაშენეს ფანჯრები.
10. ყავის ყველაზე ძვირფასი ჯიში Bourbon pointu კუნძულ რეიუნიონზე მოჰყავთ. 2007 წელს ერთი კილოგრამი ამ ყავის მარცვლები 459 ევრო ღირდა.

11. ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი კარგ გუნებაზე თუ იყო, მუშებს იმ ღუმლებთან გათბობის უფლებას აძლევდა, რომლებშიც ებრაელთა გვამები იწვოდა.
12. ლეიტენანტ ჰენრი შრაპნელის მიერ გამოგონილ ჭურვს მოწინააღმდეგის ჯარის თავზე ჩაჰკიდებდნენ ხოლმე არტილერისტები. იგი სკდებოდა და უამრავ რკინის ბურთულას ფანტავდა.
13. დმანისში აღმოჩენილი მამონტის ჩონჩხი 2 მილიონი წლისაა. იგი თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და მსოფლიო ექსპონატებს შორის, მხოლოდ პარიზისა და სანქტ-პეტერბურგის ექსპონატებს ჩამოუვარდება ღირებულებით.
14. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი სიცილიელი წინააღმდეგი იყო, რომ კუნძული იტალიის შემადგენლობაში დარჩენილიყო. მათ სურდათ, სიცილია აშშ-ის 49-ე შტატი გამხდარიყო.
15. ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის ჟანა დ'არკმა თავის მეფეს ჯილდოდ რამდენიმე ცხენი და მშობლიური სოფლის, დომრემის მცხოვრებთა გადასახადებისგან გათავისუფლება სთხოვა. იქიდან მოყოლებული, მისი სოფელი არც ერთ მეფეს არ დაუბეგრავს.
16. დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი

„საუნჯე“ ამერიკიდან: „მისთვის ვუკრავ, ვისაც საქართველო უყვარს“

გახსოვთ, ალბათ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბავშვთა ანსამბლი „მზიური“, რომლის შემადგენლობაშიც 12 გოგონა და ერთადერთი ბიჭი იყო. ის საუცხოოდ უკრავდა სალამურზე. შემდეგ ნიკო ნადირაშვილმა უფრო გაითქვა სახელი, ტრიო „საუნჯით“. წლების განმავლობაში ატკბობდა ქართველ მსმენელს ეს ტრიო, ბატონი ნიკოს, მისი ძმის — რაულისა და ბავშვობის მეგობრის — გია ასანაშვილის შემადგენლობით. შორს წაგვიყვანდა იმ ქვეყნების ჩამოთვლა, სადაც „საუნჯეს“ კონცერტებით უსახელებია თავიც და ჩვენი ქვეყანაც. მერე ეს ტრიო ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა. მას შემდეგ, 10 წლის განმავლობაში აქ თითქმის აღარავის გახსენებია. ჩვენი სატელეფონო ზარით გახარებული ნიკო ნადირაშვილის ინტერვიუზე დაყოლიება არ გაგვჭირვებია.

ანა აგულავა

ხანგრძლივი „ბრავო“ და ამერიკაში ჩარჩენილი ტრიო

— 1998 წელი გასტროლებით გვქონდა გადატვირთული. შეერთებულ შტატებშიც კონცერტების ჩასატარებლად ჩავედით. „საუნჯეს“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ყველა კონცერტი სრული ანშლაგითა და შეუწყვეტელი „ბრავოს“ შეძახილით მიმდინარეობდა. რამდენჯერმე გაგვიგრძელეს გასტროლების ჩატარების ვადა. ამ დროს საქართველოში ეკონომიკურად მართლაც რომ რთული პერიოდი იდგა. ვიფიქრეთ, ცოტა ხნით კიდევ დავრჩენილიყავით, რათა საკუთარი ოჯახებისთვის მატერიალური კომფორტი შეგვექმნა. ასე, „ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ...“ — და ოჯახებიანად ამერიკას შემოვრჩით. თავდაპირველად, ჩვენმა იპრესარიომ კომფორტულ აპარტამენტებში მიგვიჩინა ბინა, მაგრამ მაინც, 3 ოჯახი ერთად ვცხოვრობდით, ამიტომ გადავწყვიტეთ, ცალცალკე დაბინავებაზე გვეზრუნა. შევიძინეთ ავეჯიც, ავტომანქანებიც, ოჯახის სხვა წევრებიც დავასაქმეთ... მოკლედ, ამერიკულ ცხოვრებას მოვერგეთ. ჩვენს კარიერასაც ვაგრძელებდით. ტრიო „საუნჯის“ პოპულარო-

ნიკო, გია, რაული

ბა სულ უფრო იზრდებოდა. მალე დაგვიდგა ის დრო, რომ საკუთარი თავისათვის ჩვენვე უნდა მიგვეხედა, რადგან ჩვენი მენეჯერი სხვა ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად. დავიწყეთ სამსახურის ძებნაც. მე პარალელურად, ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ვმუშაობდი. ამ არხზე ხშირად აშუქებდნენ „საუნჯის“ მოღვაწეობას, რაც ტრიოს პოპულარობას კიდევ უფრო ზრდიდა. კონცერტებს უკვე დამოუკიდებლად ვმართავდით. მიწვევაც ბევრი გვქონდა... ლეგალურად ცხოვრების საკითხიც დაისვა და ესეც გადავწყვიტეთ — ამ წლის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები ვხდებით...

„თვითმფრინავი გაიტაცეთ?“

— ახალი ჩასულები ვიყავით აშშ-ში, როცა კონცერტის წინადღეს პრესკონფერენცია მოვაწყვეთ. ერთ-ერთმა იქაურმა ჟურნალისტმა მკითხა, — რა შემადგენლობით ჩამობრძანდითო? მეც დავიწყე ჩამოთვლა: „ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ტრიო „საუნჯის“ დამაარსებლები, ჩემი მშობლები — გიორგი ნადირაშვილი და ევა ბიჩინაშვილი, ტრიოს დანარჩენი წევრები — რაულ ნადირაშვილი და გია ასანაშვილი, ჩემი მეუღლე ინგა მაჭავარიანი...“ მოკლედ, მივყვები ბოლომდე, გადავწვდი რაულისა და გია ასანაშვილის ოჯახის წევრებსაც და უეცრად, ისევ ის ჟურნალისტი მაწყვეტინებს და გაკვირვებული მეკითხება: „რა, თვითმფრინავი გაიტაცეთ?“ მის ამ სიტყვებს დარბაზში დიდი ყიჟინა და მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. მე კი გულში მიკვირდა — ნეტავ, რა უხარიათ-მეთქი?.. კონცერტის შემდეგ ქართველი დიპლომატი მოვიდა და მთხოვა, — მეორედ ამდენი აღარ ჩამოთვალოთ, საქართველოს პრესტიჟზე უარყოფითად მოქმედებსო... მეც აღარაფერი მითქვამს და 10 წლის შემდეგ ამას თქვენ გეუბნებით.

„მამები და შვილები“

— ამერიკაში ჩამოსვლამდე ორი შვილი მყავდა — არჩილი და ნინო. აქ, 45 წლის ასაკში, მესამე შემეძინა — გიორგი, რომელიც ახლა 5 წლისაა და უკვე სალამურზე დაკვრას სწავლობს. ისე კარგად ითვისებს, რომ მალე მაჯობებს კიდეც (იცინის). არადა, თავიდან მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებდა. ერთხელ ასეთი რამ მითხრა: როცა უკრავ, თვალზე ცრემლი გადგება და არ მინდა, მეც მომადგესო!.. ვაგრძელებ დემოგრაფიულ თემას: ჩემი ძმის, რაულის ოჯახშიც მატებაა. მის უფროს ვაჟიშვილს 4 შვილი ჰყავს. აქ, ამერიკაში, ჩვენი შვილების ტრიოც არსებობს. ამ „საუნჯეში“ შედიან: ჩემი უფროსი ვაჟი არჩილი და რაულის შვილები — გიორგი და ნიკო. რაც შეეხება მამების ტრიოს მესამე წევრს — გიორგი ასანაშვილს: მისი შვილები არ გაჰყვნენ ჩვენს პროფესიას. სამაგიეროდ, გიას უმცროსი ვაჟი ლევანი ფეხბურთელია, ნიუ-იორკის კლუბში თამაშობს და სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.



აქ 45 წლის ასაკში, მესამე შემეძინა — გიორგი

როდის დაბრუნდება ტრიო „საუნჯე“ სამშობლოში?

— ძალიან გვინდა საქართველოში დაბრუნება; გვინდა, ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს; გვინდა, ვაკეთოთ ჩვენი საქმე. იქნებ, გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც დაგვეხმარება ქვეყნისა და ქართველი ხალხისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში. ძნელია, იცხოვრო უცხო ქვეყანაში და საყვარელ საქმეს არ აკეთებდე. ამერიკა ბევრისთვის ოცნების ქვეყანაა, მაგრამ მერწმუნეთ, უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეებისთვის საოცნებო ქვეყანა, ისევ და ისევ, მშობლიური საქართველოა. დიახ, ვისაც ვიცნობ ამერიკაში მცხოვრები ქართველებიდან, ყველანი სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ! ჩვენც ვოცნებობთ... იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედოს და ჩვენც დავბრუნდეთ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი: „ების წიგნაკიდან:

ფაშიზმი“ კინორეჟისორ მიხაილ რომის გადაღებულია. ავტორებს სურდათ, ფილმში გამოყენებული მასალები წიგნად გამოეცათ, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო — „ნიკჩემუ! ფილმ პასმოტრიატ მილიონი ი ზაბუდუტ, ა კნიგუ პრაჩტუტ ტისიაჩი ი ნაჩნუტ სრავნივატ“, — თავი არ აიტკივეს საბჭოთა ცენზორებმა.

17. გერმანიის დამარცხების შემდეგ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკთა უფროსს, ადოლფ ეიხმანს ყალბი საბუთების შოვნაში ეკლესია დაეხმარა. იგი გერმანიიდან არგენტინაში გაიქცა, სადაც რიკარდო კლიმენტეს სახელითა და გვარით ცხოვრობდა, სანამ ერთმა ებრაელმა არ იცნო და ისრაელის სპეცსამსახურში არ დაასმინა. ბუენოს-აირესიდან იგი ამავე სპეცსამსახურის თანამშრომლებმა მოიტაცეს, იერუსალიმში ჩაიყვანეს, გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. ტელ-ავივის სპეცსამსახურის ამგვარი ქმედება მკაცრად გააპროტესტა არგენტინის მთავრობამ. ქვეყნიდან გააძევეს ისრაელის ელჩი. ისრაელის მთავრობა იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა არგენტინის მთავრობის წინაშე.

18. 1889 წელს მრეცხავი დედისა და მეწალე მამის 14 წლის ვაჟიშვილი ათი მონეტისა და გაქონილი რვეულის ანაბარა ჩავიდა კოპენჰაგენში. რვეული საშინელი კალიგრაფიითა და ორთოგრაფიული შეცდომებით ნაწერი ზღაპრებით იყო სავსე. რვეულში ეწერა ის, რასაც დღეს მთელი მსოფლიო ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრებს ეძახის.

19. ილია რეპინი პარიზში ყოფნისას ძლიერ გაიტაცა ფოტოგრაფიამ, რომელიც იმ დროს მოდად იყო ქცეული. ერთხელ მეგობრებმა სთხოვეს, მონმარტრის ფონზე სურათი გადაგვიღეო. რეპინმა ერთხანს უტრიალა უშველებელ ფოტოაპარატს. ოფლში გაიწურა, თავზე გადაფარებული ნაჭრის ქვეშ. ძალიან რომ შეწუხდა, თავი მიანება. ხელში ფუნჯი და პალიტრა მოიმარჯვა და ჯგუფური პორტრეტის ხატვა დაიწყო, — ჩემთვის ეს უფრო ადვილიაო.

20. მაჰათმა განდი „ბერეტას“ სისტემის პისტოლეით მოკლეს. ეს იარაღი, განდის სათვალესა და ქოშებთან ერთად, დელიში, ეროვნულ მუზეუმში ინახება. P.S. „ინგლისელები ჩვენი მტრები არ არიან. ისინი ჩვენი მეგობრები არიან, — ეუბნებოდა განდი თანამემამულეებს, — ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ შეცვალონ დამოკიდებულება ჩვენ მიმართ და მეგობრებად უნდა დავშორდეთ მათ, როცა ამის დრო მოვა“.



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ღამით თითქმის არ მიძინია, რის გამოც დილით თავი მისკდებოდა ტკივილისგან. სარკეში რომ ჩავიხედე, საკუთარი ორეული ვერ ვიცანი — სახე და თვალები ლოთი კაცივით შემშუპებოდა. საათს დავხედე. ჯერ ადრე იყო. რით მომეკლა დრო? ფიქრის თავიც არ მქონდა. გადავწყვიტე, ცენტრში გავსულიყავი და სუფთა ჰაერი ჩაძეყლაპა, იქნებ სახე დამწყნარებოდა. ასეც მოვიქეცი.

მზე სასიამოვნოდ ანათებდა, ჰაერში ახლად აყვავებული ტყემლის და ატმის ყვავილის სურნელი ერთმანეთში ირეოდა. პარკში შევედი და წითელი კენჭებით მოკირწყლულ ბილიკს დავუყევი. თერთმეტი ხდებოდა. ასეთ დროს, იშვიათად, აქ ვინმე ყოფილიყო, ჩემნაირებს ჯერ კიდევ ეძინათ, უფრო მოწესრიგებულები კი სამსახურში იყვნენ, სასეირნოდ არ ეცალათ. რამდენიმე ქალს თუ შეხვედრიხარ მხოლოდ — პატარებს რომ დაატარებდნენ საბავშვო ეტლებით. ერთი ბიჭიც დავინახე, ძაღლს ასეირნებდა.

მერხზე ჩამოვჯექი და თავი საზურგეს მივადე. თვალებდახუჭულმა სუფთა ჰაერი ხარბად შევისუნთქე და დანიშნულ შეხვედრაზე დავიწყე ფიქრი. რა გაუძლებს ახლა ქალების პრეტენზიებს. როგორ არ მიყვარს, როცა ვილაც თავზე მახვევს თავის მოთხოვნებს. არავის წინაშე არ ვგრძნობ ვალდებულად თავს, არავის არაფერს შევპირებივარ. ვიცოდი, როგორი სამსჯავროც მელოდა და პასუხიც მზად მქონდა ყველა კითხვაზე. ვიცოდი, რასაც ვიზამდი. ვიცოდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. ორივე დაზარალდებოდა ამ შეხვედრით... მათ შორის მეც... და ალბათ ყველაზე მეტად...

ორის ათი წუთი იყო, მაკას სახლს რომ მივადექი. ზარი არ დამირეკავს, ისე შევაღე კარი. ორივენი — მაკაც და ნატაც — მაგიდას მისხდომოდნენ და მშვიდად საუბრობდნენ.

— გამარჯობა, — ცივად ვთქვი და იქვე მდგარ კომოდს ნახევრად დამჯდარ პოზაში მივეყრდენი, ხელები ქურთუკის ჯიბეებში მქონდა ჩაწყობილი. გულგრილი გამომეტყველებით ამოვიღე გულის ჯიბიდან საღეჭი რეზინი და პირისკენ გავაქანე.

ერთიანად სახეანითლებული ნატა მომესალმა, მაკას კი ხმა არ ამოუღია, ამრეზით მიყურებდა.

— აბა, გისმენთ, რა საქმე გაქვთ ჩემთან? — ისეთი ტონით ვიკითხე, თითქოს მართლა სასამართლო დარბაზში ვყოფილიყავი.

— ნატა, დაიწყე... — მაკა ნატას მიუბრუნდა.

— მე არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, — ტუჩები გაუფითრდა გოგონას და თავი ჩაღუნა. ნიკაპი უცნაურად აუკანკალდა.

— კარგი, მაშინ ჯერ მე ვიტყვი, — მაკამ მედიდურად მიმოიხედა, — ზაზა, მგონი, არ დაგვიწყებია, რასაც შემპირდი.

— რას შეგპირდი? — წინადადების გაგრძელება არ ვაცალე.

— იქნებ, დაჯდე და ისე მომისმინო?! თორემ ზედამხედველივით მადგახარ თავზე.

— არ მინდა, ასე მირჩევნია, — თავი გადავაქნიე, — რაო, რას მეუბნებოდი, რას შემპირდიო? — აგდებული ტონით გავაგრძელე.

მაკას ნირი წაუხდა.

— ხომ მეუბნებოდი, ჩემს ცხოვრებაში სხვა ქალი არ არსებობს და ჩვენ სულ ერთად ვიქნებითო?

— ასე გეუბნებოდი? რაღაც არ მახსოვს, მთლად ასე ყოფილიყო, მაგრამ ჯანდაბას! ჩავთვალოთ, რომ ასე გითხარი, მერე?

— მერედა ის, რომ შენ პირობა დაარღვიე.

— მერე, მერე?

— პასუხი შენგან მინდა მოვისმინო.

— რაზე გინდა პასუხი მოისმინო — ასე რატომ გეუბნებოდი თუ პირობა რატომ დავარღვიე?

— ერთზეც და მეორეზეც.

— მაკა, რაში დაგჭირდა ეს მასკარადი? — სიბრაზე უფრო და უფრო მერეოდა.

— ეს კი არ არის მასკარადი, ზაზა, მასკარადი შენი საქციელია! — იყვირა მოულოდნელად ისტერიკანარევი ხმით.

— მართლა? ასეთი რა დავაშავე?

— რა და ის, რომ ზუსტად იმავეს ეუბნებოდი ამ ბავშვსაც; ამას ცალკე უბნევდი თავგზას!

— რას მელაპარაკები... ნატა, შენც ასე ფიქრობ?

ნატა თავს არ სწევდა, არც ხმას იღებდა.

— შენ გეკითხები, შენც ასე ფიქრობ? — დაჟინებით გავიმეორე.

— არ ვიცი... — ჩურჩულით ჩაილაპარაკა და თმა ყურზე გადაიწია, სწორედ ისე, როგორც სჩვეოდა, ოღონდ უფრო შენელებული მოძრაობით. — საერთოდ, ვერ ვხვდები, რა მინდა აქ.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ. რა გინდა აქ?

— ნატა, ნუ გერიდება და ნუ გეშინია. ეგ უკვე ვეღარაფერს დაგიშავებს, — გამყინავი ხმით ჩაერთო ჩვენს ლაპარაკში მაკა, — მაგის საქმე წასულია. ამას არ ვაპატიებთ.

— ბოლოს და ბოლოს, მეტყვით, რა გინდათ ჩემგან? ოდესმე მითქვამს რომელიმესთვის, მიყვარხართ-მეთქი? — საბოლოოდ დავკარგე წონასწორობა. — ან ცოლად შერთვას შეგპირდით? მაკა, მიპასუხე, შეგპირდი ამას?.

— არა, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — დაიბნა მაკა.

— ნატა, შენ?

ნატამ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— მაშინ რატომ მესხმით თავს? რატომ მიყენებთ უაზრო პრეტენზიებს? მე მსიამოვნებდა თქვენთან ურთიერთობა,

ვმეგობრობდი ორივესთან, რაც შემეძლო, იმას გიკეთებდით. ახლა კი მომისმინეთ, ყურადღებით მომისმინეთ. არც შენ მჭირდები არაფერში, — მაკას გადავხედე, — და არც შენ, — მერე ნატასკენ გადავიტანე მზერა, — მორჩა, სასამართლო დამთავრებულია. მე წავედი, — ვთქვი და კარისკენ გავემართე.

— რატომ მატყუებდი ამდენ ხანს, რატომ? ჩემი ცოდვა არ გაგახარებს! — მაკას წივილი დამეწია.

— შენთან ლაპარაკი დავამთავრე, — მოვტრიალდი და თითი დავუქნიე საყვარელს, — შენ კი, ნატა, სხვა დროს დაგელაპარაკები, — კბილებში გამოვცერი და იქაურობა ერთიანად აკანკალებულმა დავტოვე.

მაკასგან არ მიკვირდა მსგავსი სცენები, მაგრამ ნატა? მისგან არ ვიყავი ჩვეული ასეთ რამეებს. თუმცა ვერც გავამტყუნებდი. ვიცოდი, ეს ყველაფერი მაკას მონწყობილი იყო, მან აიძულა გოგონა, მხარი აება მისთვის. რა მოიგო? ვერაფერი. რა წააგო? ამაზე თავად უნდა ეფიქრა.

მე კი წავაგე. მაკა არ მანაღვლებდა, ადვილად შეძლებდა ჩემს დავიწყებას და სხვაზე გადართვას, მაგრამ ნატაზე ფიქრი გონებიდან არ მშორდებოდა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონია სასიყვარულო ინტრიგები ცხოვრებაში. ვხვდებოდი, ეს პირველი შემთხვევა რომ იყო და ამიტომაც მეცოდებოდა. თანაც... სადღაც ჩემი ბრალიც იყო, ამგვარ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა. ცოტა მეტი რომ მეთქვა მისთვის, ოდნავ მეტად რომ დამერწმუნებინა ჩემს გრძნობებში, მაკას თამაშის წესებს არ დაემორჩილებოდა.

რთული სიტუაცია შეიქმნა. არ მინდოდა ნატას დაკარგვა. დაკარგვა კი არა, მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. ერთი დღეც ვერ ვძლებდი, მისი ხმა რომ არ გამეგონა. ახლა კი... მეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა. მაპატიებდა კი ნატა? შემირიგდებოდა? წარმოდგენა არ მქონდა, რას მოიმოქმედებდა. არც ის ვიცოდი, მე როგორ უნდა მოვქცეულიყავი.

არ მახსოვს, როგორ მივედი სახლში. ნერვიულობისგან აძაგძაგებული, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, უაზროდ ვცემდი ბოლთას ოთახში და გამალებით ვფიქრობდი. ნეტავ, ახლა სად არის? როგორ წამოვიდა იქიდან? როგორ გამოისტუმრა მაკამ? ნუთუ ვერ მიხვდა, რაც ვუთხარი — შენ მერე დაგელაპარაკები-მეთქი? ეს იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლად ვნახავდი და ყველაფერს ავუხსნიდი... მაგრამ მიმიხვდებოდა? ის ხომ მთლად ბავშვია... გაიგებდა, კი?..

თანდათან უფრო და უფრო ვწყნარდებოდი. იმედი მქონდა, რომ ნატა ჩემს ნათქვამს გაიაზრებდა და დამირეკავდა, რომ ის უჩემოდ დიდხანს ვერ გაძლებდა, მაგრამ დრო გადიოდა და ჩემი იმედი არ მართლდებოდა. ერთხელაც არ დარეკა, არც მომიკითხა. ყოველ საღამოს, რვა საათის შემდეგ, შინ ვიყავი დარჭობილი მისი ზარის მოლოდინში... თუმცა ამაოდ... იმაზე მეტად თავმოყვარე ყოფილა, ვიდრე მეგონა.

იმ დღეებში, როცა რეპეტიცია ჰქონდა, სპეციალურად გავდიოდი თეატრისკენ, რომ თვალი მაინც მომეკრა. არც აქ გამიმართლა. არც შესული მინახავს თეატრის შენობაში და არც გამოსული. სხვა გზა არ დამრჩა, თენგო უნდა მენახა და გამეგო, რა ხდებოდა.

თენგოს რეპეტიცია კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, მის კაბინეტში რომ შევედი.

— ვა! ამას ვის ვხედავ! დაკარგულს გაუმარჯოს! რაფერაა საქმეები, ძამა? — გურულად მოუქცია.

— ისე, რა. შენკენ რა ხდება, რეპეტიციობ?

— ჰო, მაგრამ რად გინდა, მთავრდება სასწავლო წელი. მერე მთელი ზაფხული ტყუილად ყურყუტი მომიწევს, უფულოდ და უდოლოდ, — გაიცინა.

— შენი ქებული მოსწავლე რას შვრება, ისევ ცეკვავს?

— რომელზე მეკითხები, მე ბევრი მყავს ქებული, — დაიტრაბახა თენგომ და თავის კანტურით გამომხედა.

— აი, ის გოგო, მე რომ გავაცილე ერთხელ, ნატა ჰქვია.

— როის, ბიჯო, შარშანდელ ამბავზე უბნობ? — კვლავ გურულად მოუქცია და ხმამაღლა გაიცინა.

— მერე რა, შარშან იყო, მაგრამ არ დამვიწყებია.

— კარგი, კარგი, გეხუმრები. ნატამ, ჩემო ბატონო, სამეცადინო მაქვს, წელს ვაბარებო და მთხოვა, არ ვივლიო. კაი სამი კვირაა, რაც დამეთხოვა.

ამის გაგონებაზე რაღაც ჩამწყდა გულში. თვალწინ მისი სევდიანი თვალები დამიდგა, თვალები, რომელშიც ყოველთვის მსურდა ჩავძირულიყავი და იქ დავრჩენილიყავი, სანამ სრული ბედნიერებით არ დავნაყრდებოდი...

სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. რაც დრო გადიოდა, მით მეტად ვხვდებოდი, რომ ცუდად მოვექეცი. დამნაშავე ვიყავი მის წინაშე. მინდოდა, მისთვის ყველაფერი მეთქვა, რასაც განვიცდიდი, რასაც ვგრძნობდი, მაგრამ არ შემეძლო. რაღაც მიშლიდა ხელს, რაღაც მწევდა უკან. თავმოყვარეობა? სიამაყე? ამპარტავნება? ალბათ სამივე ერთად...

ამასობაში გოგას ქორწილის დღეც დადგა. მეჯვარეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, თავაზიანად, რა თქმა უნდა — მაგისთვის მზად არ ვარმეთქი. არადა, უბრალოდ, ყველაფრის ხალისი დაკარგული მქონდა. თავში მხოლოდ ნატა მიტრიალებდა...

ლამაზი ქორწილი იყო, ყველა ერთობოდა და მხიარულობდა, ჩემ გარდა. მაკაც იყო დაპატიჟებული. რამდენჯერმე სცადა, დამლაპარაკებოდა, გამუდმებით ჩემ სიახლოვეს ტრიალებდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. მაინც არ მოისვენა, სანამ არ გამომელაპარაკა.

— როგორ მიდის შენი საქმეები, შეურიგდი იმ ღლაპს? — დამცინავად მკითხა.

პასუხი არ გავეცი, ალმაცერად შევხედე მხოლოდ.

— ჩემი ბრალი არ არის, ზაზა. გეფიცები, არ მინდოდა ასე მომხდარიყო, მაგრამ ნერვებმა მიმტყუნა. ასე მითხრა, ზ:ზას მე ვუყვარვარ, შენთან მხოლოდ ერთობაო.

— არ გინდა, მაკა. მორჩი ტყუილებს. ის ამას არ იტყოდა, კარგად ვიცნობ.

— მისი გჯერა და ჩემი არა, ხომ? იცი, რა მითხრა? შენ ეცოდები და იმიტომაა შენთან, უბრალოდ, კაცის სიცარიელეს გივსებსო.

— არ მაინტერესებს, წარსული უკვე დავივიწყე და უკან მიბრუნებას არ ვაპირებ. დაიმახსოვრე ეს! — ვუთხარი და ამით საბოლოოდ ვაგრძნობინე, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული იყო.

პაპუნას გვერდით დავჯექი და დავთვერი. შეზარხოშებულს უფრო მეტად მომენატრა ნატა. სიგიჟის ზღვარზე ვიყავი. მოულოდნელად გადაწყვეტილება მივიღე.

— პაპუნ, ხომ ხარ ჩემი ძმა?

— ვარ, აბა არ ვარ?

— ჰოდა, ახლა ერთ ადგილას უნდა გამომყვე.

— რაზეა ბაზარი, სადაც მეტყვი, იქ წამოვალ.

— მანქანის მართვა შეგიძლია?

— მთლად გათიშული რომ ვიყო, მაინც შემიძლია. ხომ იცი, რა მაგარი ვარ! — საჩვენებელი თითი მაღლა შემართა პაპუნამ და თვალი ჩამიკრა.

— წამო, ერთი გოგო უნდა ვნახო.

— ვნახოთ, მაგას რა სჯობია.

ღამის ორი საათი იყო. ანთებული ფარებით პირდაპირ ნატას ჭიშკარს მივადექით და დავასიგნალეთ. სახლში შუქი ჩამქრალი იყო, ყველას ეძინა. ცოტა ხნის შემდეგ ქვედა სართულზე სინათლე აინთო და კარიც გაიღო...

ზღურბლზე ვიღაც კაცი გამოჩნდა და ჭიშკრისკენ დაიძრა. ტანში გამცრა. მამამისი ჩამოსულიყო. რაღა ახლა მოუნდა?

— რომელი ხარ? — გაისმა ბოხი ხმა.

ახალგაზრდა, მაღალმა მამაკაცმა ურდული გადასწია და ჩვენკენ წამოვიდა.

— გამარჯობა... — დაბნეული მივესალმე. — უკაცრავად, ბოდიშს გიხდით შენუხებისთვის, ბატონო ედიშერ. მე ნატას მეგობარი ვარ. აუცილებელი საქმე მაქვს, შეიძლება მისი ნახვა?

— ისეთი აუცილებელი, რომ მაინცდამაინც ამ დროს უნდა მოსულიყავით? — ეჭვიანი მზერით შემათვალიერა მასპინძელმა.

— რა ვქნა, სიტუაციამ ასე მოითხოვა, თორემ არ შეგაწუხებდით, — თავი ვიმართლე, თან გულში ვნანობდი, რომ მოვედი.

— შემობრძანდით, აქ ხომ არ იდგებით, — შეგვიპატიჟა მან და განზე გადგა.

ედიშერი სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა, მაგიდასთან დაგვსხა და ვიღაცას გასძახა.

— ციცო! ერთი ნატა გააღვიძე და უთხარი, აქ მოვიდეს!

მეორე ოთახიდან ჭრელ, გრძელ ხალათში ჩაცმული ქერათმიანი ახალგაზრდა ქალბატონი გამოჩნდა, ნამძინარევი თვალების ფშვნეტით.

— ხომ მშვიდობაა? — იკითხა შეშფოთებული ხმით.

— მშვიდობაა, მშვიდობა. მიდი, გააკეთე, რაც გითხარი! — თითები მაგიდაზე აათამაშა ნატას მამამ.

ქალი გატრიალდა და ცოტა ხანში თმაბურდულ ნატასთან ერთად დაბრუნდა. ეს უკანასკნელი შეშინებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ჩემს დანახვაზე თვალები გაუფართოვდა.

— ზაზა?.. მოხდა რამე? — აკანკალებული ხმით წარმოთქვა.

— მოხდა, — მოკლედ მოვუჭერი.

— ციცო, გაშალე სუფრა, მოგვიტანე რამე და ღვინოც მოაყოლე, — კვლავ გასცა ბრძანება მასპინძელმა.

ბებია არსად ჩანდა. ალბათ მეორე სართულზე ეძინა და ვერ გაიგო, დაბლა რა ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისე წამოვედით, ის არ გამოჩენილა.

რამდენიმე წუთში მოკრძალებული სუფრა გაიშალა. ედიშერმა, — თქვენს მოსვლას გაუმარჯოსო და მოგვიჭახუნა. მერე ცარიელი ჭიქა მაგიდაზე ხმაურით დადგა და გამომხედა.

— აბა, გისმენთ, აგვიხსენით თქვენი მოსვლის მიზეზი.

უხერხულობის გასაფანტავად ჩავახველე. უკვე მოფიქრებული მქონდა, რაც უნდა მეთქვა.

— ბატონო ედიშერ, მე და ნატა მეგობრები ვართ, თეატრიდან ვიცნობთ ერთმანეთს, — დავიწყე.

— ძალიან კარგი, — უსიამოვნოდ გაისმა მისი ხმა.

— მე მეგობარი ქალი მყავს, მაკა ჰქვია, რომელსაც ნატაც იცნობს. დიდი ხანია, გვიყვარს ერთმანეთი. ამაღამ ცოლად უნდა მომეყვანა, მაგრამ სასტიკი უარით გამომისტუმრა. ნატას რაღაცები ულაპარაკია მასთან ჩემზე, რის გამოც ძალიან ნაწყენი იყო. მიმტკიცებდა, თურმე არ გიყვარვარ და რატომ მატყუებო.

— მე-ე? — გულზე ხელი მიიდო ნატამ. — რა სისულელეა, როდის ვნახე მაკა, არც მახსოვს, მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა!

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, შენ გაბრალებს ყველაფერს. მე აქ ამის გასარკვევად მოვედი. რა უთხარი ამისთანა, რომ გადარიე? — შეტევაზე გადავედი.

ნატა წამოჭარხლდა.

— მე... მე... არაფერი მითქვამს. თვითონ დაიწყო მაშინ, გახსოვს? შენ ხომ მეუბნებოდი, ზაზა, რომ...

— ცუდს რას გეუბნებოდი, ნატა? — გავაწყვეტინე, რომ ჩვენს ურთიერთობაზე არ დაეწყო ლაპარაკი. — მე და შენ ხომ მეგობრები ვართ. ცუდი შენთვის არასდროს მნდომებია, დასავით გიყურებდი და ეს მეკუთვნოდა შენგან? — თავადაც არ ვიცოდი, რას ვბოდავდი.

ჩემი ერთადერთი მიზანი ახლა, ამწუთას მისი სახლიდან გაყვანა იყო. მერე მე ვიცოდი.

— დაფიქრდი, რას ამბობ, ზაზა, — მიკნავლებული ხმით აღმოხდა ნატას.

— შენგან მხოლოდ ერთი რამ მინდა. წამომყვე მაკასთან და უთხრა, რომ შენ არაფერ შუაში ხარ, რომ მე ის ნამდვილად მიყვარს და შენი სიტყვები უკან მიგაქვს.

— რა სიტყვები, რას ამბობ...

— ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრათ, ბატონო ედიშერ. ამაღამ ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ყველაფერი ნატაზეა დამოკიდებული.

— ვერ გავიგე, რა გინდა, რომ ვუთხრა? — უკმეხად მკითხა ბოლოს ნატამ.

— ის, რომ მე და შენ მაკაზე არასდროს გვილაპარაკია — არც ცუდი და არც კარგი.

— კი, ბატონო, თუ ასეა საჭირო, ახლავე წამოვალ, — ნატა წამოდგა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ძალიან ლამაზი იყო იმწუთას.

— მოიცა, მოიცა, — ხელი გაშალა ედიშერმა, — ბიჭებო, ასე არაფერი გამოვა. ახლა გვიანაა, შუაღამეა. წადით შინ, გამოიძინეთ, ხვალ დილით მოდით და მერე ვნახოთ ის თქვენი მაკა.

ეს სიტყვები ისეთი ტონით იყო ნათქვამი, მიეხვდი, შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ უხმოდ წამოვდექით მე და პაპუნა, დავემშვიდობეთ მასპინძელს მეორე დილამდე, შევპირდით, თერთმეტისთვის აუცილებლად მოვალთ-თქო და წამოვედით.

ჩემმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა. არადა, იმ ღამეს მამამისს ნატა რომ გამოეშვა...

დღეს იგი ჩემი ცოლი იქნებოდა.

დილით, თერთმეტ საათზე, მე და პაპუნა ადგილზე ვიყავით. ნატა და მამამისი გამზადებული დაგვხვდნენ. ამას კი მართლა არ ველოდი. რას ვიფიქრებდი, ის კაციც თუ წამოგვყვებოდა? როგორც ჩანს, რაღაცას მიხვდა. რა უნდა მექნა?! ორივე მანქანაში ჩავსვი და მაკას კორპუსს მივაყენე, თან წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეთქვა მისთვის, რისთვის მოვედით-მეთქი?

— ნატა, შენ მარტო შედი, ჩვენ აქ დავრჩებით, — ვთქვი და ამით ვაგრძნობინე ედიშერს, რომ მისი იქ შესვლა საჭირო არ იყო.

— კარგი, — თქვა ნატამ და გაუბედავად გადავიდა მანქანიდან.

ცოტა ხნის შემდეგ მაკა გამოვიდა და ხელი დამიქნია. პაპუნას გადავხედე.

— მიდი, ზაზა, მიდი, ჩვენ აქ დაგელოდებით, — გამამხნევა მეგობარმა და მიმახვედრა, ამას მე მოვუვლიო.

ოთახში შევედი. მაკა პიანინოს გვერდით იდგა, ნატა — მაგიდასთან და ჩაფიქრებულს თვალები გაშტერებოდა.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ზაზა? — იკითხა მაკამ.

— აბა, ერთი გაიმეორე, წუხელ რაც მითხარი! — კატეგორიული ტონით მივმართე.

— რა გითხარი?

— ნატამ რა მითხრაო, რას ამბობდი?

— ჰოო... ზაზას ეცოდებოდი და იმიტომ იყო შენთანო.

— შენ კაცი გჭირდებოდა და ის უბრალოდ ამ სიცარიელეს გივსებდაო, არა?

— დიახაც, დამირეკა და ასე მითხრა, — იხტიბარი არ გაიტეხა ყოფილმა საყვარელმა.

— ნატა, მართალია, რასაც მაკა ამბობს?

— რა საჭიროა ასეთი ტყუილი, მე თქვენ მხოლოდ ორჯერ გნახეთ, მაკა,

როგორ არ გრცხვენიათ? როდის დაგირეკეთ? თქვენი არსებობა საერთოდ არ ვიცოდი, მით უმეტეს — თქვენი ტელეფონის ნომერი.

— მე მრცხვენია? რატომ უნდა მრცხვენოდეს? ერთი, შეხედეთ ამ ქუჩის გოგოს, რა დიდ გულზეა. კაცი წამართვი და კიდევ მე უნდა გიხადო ბოდიშები? ვინ გგონია შენი თავი, ლაწირაკო ბავშვო! — იწივლა მაკამ და პიანინოს მოშორდა, ნატასკენ წამოვიდა გაავებული.

გზა გადავუჭერი.

— დაწყნარდი და ნუ გაკივი. სიმართლე მითხარი, მან დაგირეკა, თუ შენ დაურეკე?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— აქვს.

— არ მახსოვს, რა ვიცი, მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა.

— უკაცრავად, მაგრამ მე თქვენგან გავიგე, ზაზასთან რომანი რომ გქონდათ. დაგავიწყდათ, ღამით რომ დამირეკეთ და მეორე დღეს შეხვედრა მთხოვეთ? არ გახსოვთ, რაზე მელაპარაკებოდით? რომ არა თქვენ, ვერასდროს ვერაფერს გავიგებდი, — ნატა სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ძარღვი არ შესტოკებია ქაღალდივით გათეთრებულ სახეზე.

— მატყუარა! — მაკა ისევ გაიქაჩა.

იძულებული გავხდი, შემეკავებინა, თორემ ალბათ თმაში სწვდებოდა გოგოს, რომელიც ამის გაგონებაზე შეტორტმანდა. შემეშინდა, იატაკზე არ გაიშხლართოს-მეთქი, მაგრამ ვერც მაკას ვუშვებდი ხელს.

— ახია ჩემზე, — ჩაილაპარაკა ნატამ, — თქვენთან არაფერი მესაქმება. თუ ერთმანეთი გიყვართ, ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ. მე ხელს არ შეგიშლით, ოღონდ კი თავი დამანებეთ. დიდი მადლობა, ზაზა, ყელამდე ვარ შენი პატივისცემით, — ორაზროვნად მითხრა, გატრიალდა და ბარბაცით გაემართა კარისკენ.

როგორც კი ნატა გავიდა, მაკა მოეშვა.

— ხედავ, რას ბედავს ეს ცინგლიანი?

— დღეიდან ჩემი სახელი არ ახსენო, გასაგებია? — მუქარა გავურიე ხმაში.

პირკატა ეცა, დაფეთებულმა შემომხედა.

— დაჯექი ახლა და აქედან გამოსული არ დაგინახო, — სკამისკენ ვუბიძგე და ზურგი ვაქციე, მომხდარით ნირწამხდარი ნატას გავეკიდე.

კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი დავინახე, ძალა გამოლეოდა ანერვიულებულს. ხელი შევაშველე, რომ წამომეყენებინა.

— როგორ მინდა ვიტირო, მაგრამ მამაჩემის მეშინია, — ჩურჩულით თქვა და მაჯაზე დამეყრდნო. გაუჭირდა ადგომა.

— ცუდად ხარ?

— როგორ ფიქრობ, კარგად ვიქნები? რა გინდა ჩემგან, რას მერჩი? რა დაგიშავე ასეთი? — უმწეოდ ჩაილაპარაკა.



— მაპატიე, რაც მინდოდა, ის არ გამოვიდა. სულ სხვა რამ მქონდა ჩაფიქრებული, — თავის მართლებას მოვყევი.

— მაშინაც, როცა ორივეს გვხვდებოდი? — ფრთხილი ნაბიჯებით ჩაუყვა კიბეს, გაფითრებულმა ამომხედა და გამილიმა.

გული მომიკლა ამ ღიმილმა.

— ნატა...

— ნატა აღარ არსებობს, ნატა მოკვდა. ძალიან პოეტური სიტყვებია, მაგრამ სინამდვილეში მართლა ასეა.

— მომისმინე...

— არა, ეს შენ მომისმინე! — ჩემკენ შემობრუნდა და მრისხანე მზერა მესროლა. — შენთან ურთიერთობა მწარე გაკვეთილი იყო ჩემთვის. ძალიან გვიან მივხვდი ყველაფერს, მაგრამ არა უშავს, როგორმე გადავიტანე. შენით დაიწყო ჩემთვის ცხოვრება, მაგრამ შენით არ მთავრდება. მივხვდი, რომ ის გიყვარს... ჰოდა, ძალიან კარგი. გისურვებთ, ტკბილად შეჰბერებოდეთ ერთმანეთს. მე ჩემს გზას თავად მოვნახავ.

— არ მიყვარს, დამიჯერე...

— შენი აღარაფერი მჯერა, დიდი ხანია, ზაზა. არც არავისი მჯერა, საკუთარი თავისაც კი. როგორც ჩანს, ილუზიებით ვცხოვრობდი, კიდევ რაღაცის იმედი მქონდა. ვაღიარებ, რომ მწარედ შევცდი, თუმცა ამ შეცდომის გამოსწორება ჯერაც არ არის გვიან. შენ კი... შენ გაგიჭირდება, ასე თუ გააგრძელებ, — მითხრა, თავისი ნაღვლიანი თვალები შემომანათა და ხელი შემიშვა.

— მეც მათქმევინე ორიოდე სიტყვა, ხომ შეიძლება? — წამოვიძახე და გავჩერდი.

ისიც შედგა. მძიმედ მოატრიალა თავი და მრავლისმეტყველი მზერა მესროლა.

— თქვი.

— გინდა, დაგიმტკიცო, რომ არ გატყუებდი? ახლავე, ამწუთას.

— რა აზრი აქვს? — მხრები ზანტად აიჩეჩა.

— უდიდესი აზრი აქვს.

შეყოყმანდა. ერთხანს დაკვირვებით მომჩერებოდა, მერე ამოიოხრა და მითხრა.

— როგორ, როგორ დამიმტკიცებ?

— მომეცი ხელი და უკანა კარიდან გავიდეთ ეზოში, მამაშენი ვერ შეგვამჩნევს. გავიპაროთ და ერთად წავიდეთ.

წარბები აზიდა გაოცებისგან.

— სად?

— ჩემთან... სახლში.

— ჰმ... რა მინდა შენთან, სახლში, ხომ ვერ მეტყვი? რა უნდა ვაკეთო?

— ის, რასაც ცოლები უკეთებენ თავიანთ ქმრებს, — როგორც იქნა, მთავარ სათქმელამდე მივედი.

დიდხანს მოუნდა გაღიმებას... სინანული ნელ-ნელა გამოესახა ტუჩებზე, თვალები დახუჭა და ჩურჩულზე გადავიდა.

— უკვე გვიანაა, ზაზა. მკვდრები არ თხოვდებიან, — სადარბაზოდან უკანმოუხედავად გავიდა. მეც მივყევი. სანამ მანქანას მიუახლოვდებოდა, ერთხელ კიდევ მოტრიალდა.

— მაპატიე, მაგრამ ამას ვერ გაპატიებ, — სიტყვები არ გამიგონია, მაგრამ ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რომ ეს მითხრა.

მისმა ნათქვამმა მეც მომკლა.

გზა არ გამიგრძელებია. ერთ ადგილზე ვიდექი გაქვავებული. ნატა მანქანაში ჩაჯდა. ვიცოდი, ჩემი ასეთი მდგომარეობა ედიშერს საეჭვოდ მოეჩვენებოდა, ამიტომ ძალა მოვიკრიბე, პაპუნასთან მივედი და ნახევრად ჩამოწეულ სარკმელს თითებით ჩავებღაუჭე.

— ბატონო ედიშერ, დიდი მადლობა დახმარებისთვის. ბოდიში, რომ თქვენი შეწუხება მომიხდა.

— არა უშავს, არა უშავს. ახალგაზრდები ხართ, ყველაფერი ხდება. ხომ კარგად არის საქმე? — ორაზროვნად იკითხა ნატას მამამ.

— არაჩვეულებრივად, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი, — მეც ორაზროვანი პასუხი გავეცი და პაპუნას მხარზე დავკარი ხელი, — სახლში მიიყვანე და მერე მნახე, აქ, ახლომახლო ვიქნები.

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ, შუადღეს, უნივერმაღის წინ, ტროტუარზე ბიჭებთან ერთად ვიდექი, რომ გვერდით მანქანამ ჩამიარა. საჭესთან სეიფა იჯდა. მან მისალმების ნიშნად დაგვისიგნალა. სხვებთან ერთად მეც ავუწიე ხელი, რომელიც იმწამსვე ჰაერში გამიშეშდა...

სეიფას გვერდით ნატა იჯდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯონების სამკარიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

პასუხების სვეტისაკენ არ გაბედოთ თვალი

1. ვინ არის შულტა?

2. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ მოპარვისთვის სასამართლომ ვინჩენცე პერუჯას მხოლოდ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. რატომ?

3. ვაზუზა, ვეტლუგა, დუბნა, ერმელანი, ერუსლანი, კამა, ოკა, სოკი, ლამა, სურა, ტმა, უპსა, შოშა, ილეტი, მაინა, პერლი, მოლოგა, სამარა, სვიაგა, ტვერცა და შეკსნა — რა აქვთ ამ მდინარეებს საერთო?

4. რის შემდეგ დამკვიდრდა საფრანგეთში ხუმრობა: „ლუვრში მივდივარ, ხომ არაფერი გინდა?“.

5. დაასახელეთ ცნობილი კომპოზიტორი, რომელსაც თავისი ავადმყოფი მეგობრის, ანტონი ბრენდანოს ცოლი უყვარდა. ეს ქალი ოთხი შვილის დედა იყო და ქმრის სიკვდილის შემდეგ ვიღაც არისტოკრატს გაჰყვა ცოლად.

6. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, ილიკო მასზე მხოლოდ ორი წლით იყო უფროსი. ნიკო გამუდმებით აქილიკებდა მას, რის გამოც ერთხელ ილიკომ დუელშიც კი გამოიწვია. დუელი ქალაქგარეთ შედგა. ილიკოს გარდა ყველამ იცოდა, რომ დენთით დატენილ დამბაჩებში ტყვიები არ იდო. როდესაც დუელანტებმა თავიანთი იარაღი დაცალეს, ნიკოლოზ ბარათაშვილი მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. როგორ დამთავრდა ეს ამბავი?

7. დაასახელეთ ბილ კლინტონის ნამდვილი გვარი.

8. „ის შაიბრალეთ, ქალებო, იმაზე ცოდო რა არი, პირთავქვე დაკიდებული, ორივე თვალით ბრმა არი, მივა და იქ გადახტება, საცა ყველაზე ღრმა არი, იმითვე დასაჩუქრდებით, ვინც გამაიცნობთ, რა არი“, — ვინ წაიკითხა ეს სახუმარო ლექსი-გამოცანა „ღამის შოუს“ ეთერში?

9. რომელი ფირმის მიერ იყო დამზადებული ფრანგული ტანკები, რომლებიც გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს უკლებლივ ხელში ჩაიგდეს?

ანეკდოტები

***

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთ-ერთს ორი ტელევიზორი მოაქვს.

— რად გინდა ორი ტელევიზორი?

— ჩემმა სიდედრმა თქვა, ნახევარ სიცოცხლეს მივცემ ტელევიზორის გულისთვისო.

***

რეკლამა: „მეტყველების დეფექტი გაქვთ?! ენა გებმით?! ასო „რ“-ს ვერ წარმოთქვამთ?! თქვენ დაგეხმარებათ პრეპარატი იმუნოცელისტონატრიუმ-ქლორიდჰიდროკარბადონი! იკითხეთ ქალაქის აფთიაქებში!“

***

ექიმი ეუბნება პაციენტის ცოლს:

— ქალბატონო, უნდა გაგიმხილოთ, რომ თქვენი ქმარი ვერასოდეს შეძლებს მუშაობას.

— ახლავე ვეტყვი, ექიმო. ოოო, როგორ გაუხარდება!

***

— ექიმო, სულ მეჩვენება, რომ სერიოზულად არავინ აღმიქვამს.

— ხუმრობთ?!

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ორი ამბავი უნდა გითხრა, ცუდი და კარგი.

— რა ამბავი?

— შენგან მივდივარ!

— მშვენიერია, ბარემ ცუდი ამბავიც მითხარი!

***

ცოლი ოთახს ალაგებს. ქმარი გაზეთს კითხულობს. ცოლი:

— ხვალ ჩვენთან დედა ჩამოვა!

სიჩუმე...

— ცოტა ხნით, სულ რამდენიმე კვირით!

სიჩუმე...

— გესმის, რა ვთქვი?

სიჩუმე...

— მშვენიერია, მე ვიცოდი, რომ შენ არ გაბრაზდებოდი.

მძიმე ამოსუნთქვა.

— ნუ მიყვირი!..

***

— ჩემი გოგო მუსიკით რომ დამეინტერესებინა, ვიოლინო ვუყიდე, მაგრამ ამაოდ.

— მეც ასე მომივიდა, როცა ჩემს სიდედრს ჩემოდანი ვუყიდე.

***

კახელმა მეცნიერებმა ახლახან გამოიგონეს მოწყობილობა, რომელიც 95%-ით ამცირებს ავტომობილში ხმაურს — ეს არის ჩვეულებრივი სარეცხი ღრუბელი, რომელიც მანქანაში მჯდარ ცოლს პირში უნდა ჩასჩაროთ.

***

მიხო კიბეზეა ასული და ჭერს ღებავს. იქვე პატარა ვანუა თამაშობს. შემოდის მარო და შვილს ეუბნება:

— ენდე, უყურე მამაშენს, როგორ ღებავს და რომ გაიზრდები, მიეხმარე.

— რა, მანამ არ მორჩება!?

***

— სად ჩააბარე, მიხო?

— სამედიცინოზე.

— ვა, მაგარია. მე კი — ვეტერინარულზე. სწავლას რომ მოვრჩებით, ერთმანეთს ვუმკურნალოთ ხოლმე!

***

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა. ძალიან დაბნეული იყო. ერთმანეთში ურევდა დასამშვიდებელ და ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს. ამიტომაც, ძალიან ბევრი შვილი ჰყავდა და ეს ამბავი სულაც არ ადარდებდა.

***

მათხოვარი გამვლელს:

— დაეხმარეთ წიგნის „გამდიდრების ათასი მეთოდის" ავტორს.

— თუ თქვენ მართლა ამ წიგნის ავტორი ხართ, რატომღა მათხოვრობთ?

— ეს გამდიდრების ერთ-ერთი მეთოდია.

***

პლაჟზე ლამაზი ქალი წევს და „ზაგარს" იღებს. მიხო და მიტო მთელი დღე ახლომახლო უტრიალებენ, მაგრამ ვერაფერს უბედავენ. მიხო ეუბნება მიტოს:

— კაცო, მთელი დღეა ვკითხულობთ, — ეს ქალი ვისია-თქო? — და ხმას არავინ იღებს. რაიმეს დავუპირებთ და ათასი პატრონი გამოუჩნდება.

***

— ჩემი სიდედრი განათლებული ქალია, ხუთ ენაზე ლაპარაკობს, — ეტრაბახება მიტო მიხოს.

— რას ამბობ, ჯო, ჩემი ერთზე ლაპარაკობს და ლამის არის, ისიც ამოვგლიჯო!..

***

სვანი წიქარას დაოთხილს მიარბენინებს. წიქარა ეკითხება:

— დაგრჩა რაიმე გადასაგდები?

— კი, სარკე!

— მერე უკან გადააგდე, შე იდიოტო, თორემ აღარ შემიძლია ტყეების ჭრა და კლდეებზე ძრომიალი!

***

— შენთვის მართლა პირველი მამაკაცი ვარ?

— სამ შვილს გეფიცები!

***

ქმარი საღამოს შინ მიდის და გაცოფებული ცოლს ეცემა:

— რომ მგზავნი მშობელთა კრებაზე, არ უნდა მითხრა, რომელ სკოლაში სწავლობს ჩვენი შვილი?!

***

— შენს დალაქს ყოველთვის ამინდზე რატომ ელაპარაკები?

— შენ გინდა, კაცს, რომელსაც ხელში სამართებელი უჭირავს, პოლიტიკაზე ველაპარაკო?!

***

— რას ჭრი, მიხო, მაგ გაზეთიდან?

— სტატიაა იმაზე, თუ როგორ მიაღწია განქორწინებას ერთმა ამერიკელმა იმის გამო, რომ ცოლი მის ჯიბეებში იქექებოდა.

— რად გინდა?

— ჯიბეში უნდა ჩავიდო.

ჯონების საკარჭიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მამაკაცს, რომლის მოვალეობაა, დღეობაში სოფელს ლუდით გაუმასპინძლდეს, თუშეთში შულტას ეძახიან. დღეობამდე შულტა მარხულობს, ღორისა და ქათმის ხორცს არ ეკარება. კვერცხსაც არ ჭამს და ქალთანაც არ წვება.

2. პერუჯამ მოსამართლეები დაარწმუნა, რომ ნახატი პატრიოტული მოტივით მოიპარა და მისი იტალიაში დაბრუნება ეწადა.

3. ყველა მათგანი მდინარე ვოლგას ერთვის.

4. მას შემდეგ, რაც ვინჩენცო პერუჯამ ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა" მოიპარა.

5. ბეთჰოვენი.

6. გინზე მოსული ილიკო ნიკოს „ცხედარს" მივარდა და ტირილით დაემხო ზედ. ნიკომ საპასუხოდ ყვირილი მორთო, თავიდან მომაშორეთ, ჯიბიდან ჭიშმიშსა მპარავსო. ილიკოს ისე გაუხარდა ნიკოს უფნებლად გადარჩენა, რომ ეს ხუმრობაც აპატია.

7. აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ბავშვობაში ჯეფერსონის გვარს ატარებდა. მერე გადავიდა მამინაცვლის გვარზე და კლინტონი გახდა.

8. ვახუშტი კოტეტიშვილმა.

9. ამ ტანკებს ფირმა „რენო" უშვებდა.

ჩვენი ფოტო მაღლრეა

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა თამარ გოგოლაძემ გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო: „აი, ტიპური ვაკელი კაცი. საძებს აკეთებს და პარალელურად, სიგარეტსაც ეწევა..."

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნით ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ჯირის პალტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ №49.

როგორი იქნება თქვენი მომავალი?

მაშ ასე, თანაცხოვრების პირველი წელიწადი მთავრდება. შეიძლება ითქვას, თავისებურ გამოცდას გაუძელით. თქვენ ძველებურად გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ ჰორიზონტმე ძლივს შესამჩნევი ღრუბელი გამოჩნდა. რამდენი წელი მოგიწევთ ერთად ყოფნა და ბედნიერები იქნებით თუ არა, არავინ იცის. და მაინც, რამდენიმე სიგნალი მეტ-ნაკლები სიმუსტით გიჯარნახებთ, როგორი იქნება თქვენი მომავალი:

ნდობა

ერთი წლის მანძილზე ურთიერთნდობა დაიმსახურეთ, თუმცა მამაკაცი თავისი ქცევებით ადასტურებს, რომ მარტოც მშვენივრად გრძნობდა თავს, ქალი კი ღამ-ღამობით „მკითხაობს“, მას ეკუთვნის თუ არა პარტნიორის გული. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენმა ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ ფაქტია, ერთ-ერთი თქვენგანი (ან შეიძლება ორივე) დისკომფორტს განიცდის.

სისუსტეთა შეგნობა

წყვილთა ურთიერთობაში კრიზისის გამომწვევი, უპირატესად, ერთის დაუინებული მცდელობაა — გარდაქმნას მეორე. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მშვიდად უნდა შეეგუოთ თქვენი რჩეულის უარყოფით თვსებებს, მაგრამ წყალში ჩაყრილია შრომა, როცა ცდილობთ, მოათვინიეროთ და პედანტად აქციოთ ბუნებით დაუდევარი მამაკაცი; ან თუ პარტნიორად მეოცნებე ნატურის ადამიანი აირჩიეთ, მოგიწევთ შეეგუოთ მის არაკეთილგონივრულ და არაპრაქტიკულ ექსპერიმენტებს. ხოლო იმ მამაკაცმა, ვისაც დაუოკებელი ტემპერამენტის მქონე ქალი ჰყავს გვერდით, უნდა გაითვალისწინოს, რომ მის გულის სწორს ხანდახან „გიჟური“ იდეები შეაწუხებს. დიახ, სიყვარული ცვლის ადამიანს, მაგრამ არა იმდენად, რომ ხელახლა აღზარდოს.

ლაპარაკისა და მოსმენის უნარი

იქნებ მიგაჩნიათ, რომ საიდუმლო თქვენ შორის არ არსებობს და უსიტყვოდ უგებთ ერთმანეთს? თუ ასეა, მაშინ ღირს დაფიქრდეთ — ეგებ ერთ-ერთი თქვენგანი სიმართლეს ბოლომდე არ ამხელს ან სულაც, „დუმილის უფლება აქვს არჩეული“?

ურთიერთშევსება

ვუხდებით თუ არა ერთმანეთს? — ეს საკითხი ბევრს აღელვებს. როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, ხასიათის სრული შეწყობა, კავშირის განვითარებისათვის ისეთივე გამოუსადეგარია, როგორიც მკვეთრად გამოხატული აშკარა შეუთავსებლობა. კავშირს ცხოვრებისეულ ძალას სწორედ პარტნიორების ურთიერთშეფასება აძლევს.

ხშირად პარტნიორში ჩვენი „მეს“ ფარულ ნაწილს ვეძებთ და მაშინ, რაციონალურ მამაკაცს ემოციური ქალი უყვარდება; ხოლო ზედმეტად დისციპლინირებული ქალბატონი მოვალეობებისგან თავისუფალ მამაკაცს ირჩევს. ერთიან კავშირში, ურთიერთშევსებით, ორივე პარტნიორი იგებს.

საერთო ინტერესები

განსხვავებული ტემპერამენტის ადამიანები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერთო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამონახონ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას უნდა მისცენ ხმა ან ერთსა და იმავე კერპს ეთაყვანნონ — საკმარისია, ერთი მათგანი მეორის მხოლოდ ერთ სერიოზულ გატაცებას იზიარებდეს. საერთო ინტერესები მეგობრობის საუკეთესო ფუნდამენტია, მართალია, მეგობრობა სიყვარულს ვერ შეცვლის, მაგრამ მაინც, მეგობრობაა ის ძალა, რომელიც პარტნიორებს სირთულეს დააძლევინებს.

ვნება და სინამე

სამწუხაროა, თუ ურთიერთლტოლვა მოწყენილობით ან სიახლოვის დაკარგვით შეიცვლება. ბუნებრივია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარი სექსუალური მოთხოვნილება აქვს. დასაწყისში ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ ხანგრძლივი ურთიერთობისას, პარტნიორებს სექსუალური ცხოვრების რიტმი შეთავსებული უნდა ჰქონდეთ.

სექსუალურობა — ორი ადამიანის კავშირის ბარომეტრია. თუ გსურთ, რომ სიყვარული გაიხანგრძლივოთ, ეცადეთ, დაუოკებელი ვნება ყოველდღიური სექსით შეცვალოთ. ველური ვნების ცეცხლს პარტნიორები დიდხანს ვერ უძლებენ. საჭიროა, იცოდეთ, რომ მოზომილი ურთიერთობები წყვილს ნაზ და ვნებიან სიყვარულს უხანგრძლივებს.

ჯამათის ხელოვნება

კონფლიქტები ბედნიერ წყვილებს შორისაც იჩენს თავს, მაგრამ ჯამათის ხელოვნებას სწორედ ისინი ფლობენ. ჯამათის სიმწვავის ხარისხი კარის მიჯახუნების სიძლიერითა და დამტვრეული თეფშების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ წყვილის ურთიერთობით: ცხარე ჯამათის შემდეგ, ურთიერთობაში რაღაც უნდა გაირკვეს და შეიცვალოს.

საჭიროა სიცილი

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარ და პარტნიორის შეცდომებს იუმორით შეხედოთ. ეს დაძაბულობის განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა, თუმცა ხანგრძლივი, ბედნიერი თანაცხოვრების გარანტიას არ წარმოადგენს. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიმფილმა

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41 8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲛᲐᲛ „ᲔᲚᲕᲐᲡᲐᲠᲕᲘᲡᲘ“

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. № 49
ᲢᲔᲚ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ქართველ დიზაინერს ელენე ფიცხელაურს იტალიელები როგორც ელენ ლიჩელს, ისე იცნობენ. ლიჩელი მისი ბებიის გვარია. ვინაიდან იტალიელებს „ფიცხელაურის" თქმა უჭირდათ, გადაწყვიტა, იტალიური მოდის სამყაროში ამ გვარით წარმდგარიყო. ცოტა ხნის წინ ელენე იტალიაში მოდის ფესტივალზე იმყოფებოდა, სადაც ფესტივალის ორგანიზატორებმა ქსოვილების მხატვრული დამუშავების საუცხოო ტექნოლოგიისათვის პრემიით დააჯილდოეს.

ქართული თექა, ჩამორჩენილი იტალიელები და გამოფენა ტურინში

სოფო ჭონიშვილი

— შემოქმედებით წარმატებას საკმაოდ რთულად მივაღწიე. სამხატვრო აკადემია იმ პერიოდში დავამთავრე, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მაშინ გამოფენა-ჩვენებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრამ ის პერიოდი მაინც საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენე — საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობდი. ვქმნიდი ფერწერულ, გრაფიკულ ნამუშევრებს. შემდგომ, ქსოვილების მხატვრული დამუშავება დავიწყე, რაშიც ცოტა მოგვიანებით, ჩემი შემოქმედების რეალიზაციაც ვიპოვე. ჩვენს ქალაქში უამრავი ჩვენება მომიწყვია.

— რამდენადაც ვიცი, თქვენმა შრომამ შედეგი გამოიღო. სულ ახლახან იტალიიდან დაბრუნდით, სადაც თქვენი ნამუშევრების ჩვენება მოაწყვეთ. გვიამბეთ ამ ჩვენების შესახებ და საერთოდ, ვინ მიგიწვიათ იტალიაში?

— ჩემს შრომას მართლაც რომ უქმად არ ჩაუვლია. 15 წლის განმავლობაში, შემოქმედებით საქმიანობაში არც ერთი ჩავარდნა არ მქონია. ერთი პერიოდი თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტებს ქსოვილების მხატვრულ დამუშავებას ვასწავლიდი, რაც კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევდა იმისთვის, რომ არ გავჩერებულიყავი. იტალიაში მოდის ფესტივალზე მიწვევა თავად იტალიელებისგან მივიღე, რომლებიც საქართველოში იყვნენ ჩამოსულები. ისინი რამდენიმე ქართველი დიზაინერის ჩვენებაზე მოვიდნენ, ჩვენი ნამუშევრები ძალიან მოეწონათ, განსაკუთრებით ორი დიზაინერის შემოქმედებით დაინტერესდნენ. ერთ-ერთი მე ვიყავი. ისინი მთელ ჩვენს შემოქმედებით საქმიანობას დაწვრილებით გაეცნენ და აღფრთოვანება ვერ დაფარეს. იტალიელებს გაუჩნდათ სურვილი, საქართველოში მოდისა და დიზაინის ასოციაცია ჩამოეყალიბებინათ და ეს იდეა განახორციელეს კიდეც. ასოციაციას „ველ დორო" უწოდეს, რაც ქართულად ოქროს საწმისს ნიშნავს. მისი საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი იტალიელი კლაუდიო დე ბიაზია. შარშან გაზაფხულზე ამ ასოციაციის პრეზენტაციაზე იტალიიდან 30 სტუმარი ჩამოგვივიდა, ივლისში კი კლაუდიო დე ბიაზის დახმარებით, თბილისში, მიხეილ უუმანიშვილის სახელობის თეატრში, იტალიელი დიზაინერების ჩვენება მოვაწყვეთ. ჩვენებამ დიდი წარმატებით ჩაიარა. შემდეგ ასოციაციის ხელმძღვანელებმა იტალიაში, „მედ მოდის" ფესტივალზე წასვლა გვირჩიეს. ამ ფესტივალზე დიზაინერთა კონკურსიც იმართებოდა. საქართველოდან 4 დიზაინერი წავედით. მე და ქეთი დარსაველიძემ გავიმარჯვეთ.

მათი თექა, ისეთი ხარისხიანი არ არის, როგორიც — ჩვენი

— კონკურსის ძირითადი მოთხოვნა რა იყო?

— ამ კონკურსში მსოფლიოს 170 დიზაინერი მონაწილეობდა. თემა — ეროვნული კოსტიუმი გახლდათ. ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი იყო სხვადასხვა ქვეყნის დიზაი-

ნერებთან ურთიერთობა, მათი ეთნიკური სამოსის დათვალიერება. ჩემი კოლექციის ჩვენება სუხიშვილების „ასა ფართის“ ფონზე მიმდინარეობდა. ამ კონკურსზე სულ 10 კოსტიუმი მქონდა წარდგენილი. „მედ მოდის“ ფესტივალზე გამარჯვების შემდეგ კი ეგო ვონ შუსტერბერგის პრემიაზე წარმადგინეს, სადაც როგორც ქსოვილების მხატვრული დამუშავების დიზაინერმა, ეს პრემიაც მივიღე ქსოვილების მხატვრული დამუშავების ახალი კვლევებისა და მიგნებებისთვის.

— რა პროცედურებია საჭირო იმისთვის, რომ მატყლისგან ასეთი ლამაზი ქსოვილი მივიღოთ?

— მატყლის დამუშავება ძალზე შრომატევადი საქმეა, ამავე დროს — საინტერესოც. ცხვრის მატყლი ჯერ კარგად უნდა გაირეცხოს, გაშრეს, შემდეგ გაიჩეჩოს და შეიღებოს. ეს ნედლეული შემდეგ მუშავდება და ვიღებთ თექას, რომლისგანაც უამრავ ლამაზ აქსესუარსა და კოსტიუმს ვქმნი.

— თქვით, რომ იტალიელებს თქვენ მიერ დამუშავებული თექა ძალიან მოეწონათ, რაშიც პრემიაც კი მოგანიჭეს. იტალიელებს თექა არ აქვთ?

— აქვთ, როგორ არა, მაგრამ მათი თექა, ისეთი ხარისხიანი არ არის, როგორიც — ჩვენი. საქართველოში თექა ასწლეულების მანძილზე იქმნებოდა, თუმცა, აქტუალური და მოდური სულ რაღაც 3 წელია გახდა. ჩვენი თექა უცხოურისგან ძალიან განსხვავებულია. იქაური მატყლი უხეშია, შესაბამისად, თექაც უხეში და ძნელად დრეკადი გამოდის. მათ ჩვენებური მატყლის დამუშავების ტექნოლოგია ძალზე მოეწონათ. ჰოდა, ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ტურინის „ეკო მუზეუმში“ დიდი დარბაზი დაგვითმეს, სადაც ჩვენი ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვეთ. გამოფენის თემა იყო „კავკასიური ქართული მასალა“. ამ გამოფენის შესახებ იტალიურ პრესაშიც წერდნენ. ასეთი წარმატებული ჩვენებების შემდეგ მოწვევებს იტალიიდან ხშირად ვიღებ. ერთი მოწვევა სულ ახლახან მივიღე, წასვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ ნამუშევრები გავგზავნე, რომელიც იქ, ჩემ გარეშეც გამოიფინა.

— თექის სამოსი ამ სეზონზე რამდენად აქტუალური და მოდურია?

— თექა, მოდურობას და აქტუალობას არასოდეს კარგავს. ახალ კოლექციაში სულ 12 კოსტიუმი მაქვს, რომელიც ძირითადად ეროვნულ სტილშია გადაწყვეტილი. 12-დან 5 ისეთია, რომლის გამოყენებაც ყოველდღიურადაც შეიძლება.

— თექის სამოსის ჩაცმა წვეულებებსა ან ოფიციალურ შეხვედრებზეც შეიძლება?

— რა თქმა უნდა. თექის კოსტიუმებით თავისუფლად შეიძლება წვეულებაზე წასვლა. ყოველდღიურად კი შეგიძლიათ თექის აქსესუარები გამოიყენოთ. ძალზე მოდურია თექის შარფები, ქუდები, ჩანთები და ჩექმები.

— ჩექმის დამზადება ალბათ უფრო რთულია, არა?

— საკმაოდ. ჩექმის შესაქმნელად, ჯერ ქსოვილს ვქმნი, სადაც არა მარტო მატყლს ვიყენებ. თექას მაქმანებითა და დეკორატიული ძაფებით ვამდიდრებ, შემდეგ კი მზა მასალა, ხელოსანთან მიმაქვს და ვაკერვინებ.

— თექის ჩანთები ამ სეზონზე მოდურია?

— ჩემ მიერ შექმნილი თექის ჩანთები იტალიაში ახლაც გამოფენილია. ძალიან მოსწონთ. ჩანთებს ძირითადად ბისერებითა და ძვირფასი თვლებით ვრთავ. იტალიელები, ქართველებისგან განსხვავებით, სადად და ნაკლებპომპეზურად იცვამენ. ამ ქვეყანაში ოთხჯერ მქონდა ჩვენება, რამაც საშუალება მომცა, იტალიელთა გემოვნება კარგად შემესწავლა. იქაური ბაზარი ძირითადად, ყოველდღიურ სამოსზეა გათვლილი.

— თექის დამუშავების ანუ შელებვის დროს თუ ითვალისწინებთ იმ ფაქტს, თუ რა ფერებია იმ სეზონზე მოდური?

— როცა კოსტიუმებს და აქსესუარებს სარეალიზაციოდ ვქმნი, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ. რაც შეეხება საჩვენებელ კოსტიუმებს — ჩემი გემოვნებით ვირჩევ.

— რამდენად შესაძლებელია, თექისგან შარვალი შეიკეროს?

— შეუძლებელი არ არის, თუმცა თექის შარვალი არაპრაქტიკულია. ის შეიძლება მხოლოდ გამოსასვლელად გამოვიყენოთ. არაპრაქტიკულია ასევე თექის ქვედაბოლოც, რომელმაც დღის განმავლობაში შეიძლება ფორმა შეიცვალოს და თავი არაკომფორტულად იგრძნოთ.

— საინტერესოა, თექით შექმნილი კოსტიუმის ან აქსესუარის გარეცხვა თუ შეიძლება?

— რეცხვის დროს თექა ფორმას არ იცვლის, არც ფერი გასდის. რაც შეეხება ქუდებს, მათი გარეცხვა ცოტა სარისკოა, რეცხვისას შეიძლება, ფორმა შეიცვალოს.

— ახლო მომავალში ისევ ხომ არ აპირებთ იტალიაში გამგზავრებას?

— იტალიიდან რამდენიმე შემოთავაზება მაქვს. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ჩვენმა იტალიურმა ასოციაციამ სასწავლო ჯგუფები შექმნა, სადაც მსურველებს თექის დამუშავების ტექნოლოგიებს ვასწავლით. ჯერ ამ საქმით ვარ დაკავებული. ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. ■

სოფო ჭონიშვილი

— ვისაც 10-სანტიმეტრიანი წვრილი ქუსლების დანახვაზე გული უსკდებოდა, უხაროდეთ — ამ სეზონზე ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე 6-7 სანტიმეტრამდე შემცირდა. გარდა სიმაღლისა, ქუსლის ფორმაც შეიცვალა. მსხვილდიამეტრიანი, მაღალი ქუსლი XX საუკუნის 70-იანი წლების „ჰიტი“ იყო. ამ სეზონზეც სწორედ ასეთი ფეხსაცმლის ქუსლია აქტუალური.

— ფეხსაცმლის ცხვირის ფორმა თუ შეიცვალა?

— შარშან ძალიან მოდური და აქტუალური, მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი იყო. ამ სეზონზე ცხვირმა დეფორმაცია განიცადა, სამკუთხედის ფორმა მიიღო ანუ ოდნავ წვეტიანი გახდა. რაც შეეხება ჩექმის ყელის სიგრძეს, ის 30-35 სანტიმეტრამდე დამოკლდა. ასეთი სიგრძის ყელი, ყველაზე მოხდენილია. ჩექმის ყელი, ფეხზე მომდგარი უნდა იყოს და გვერდზე ელვით უნდა იკვრებოდეს.

— წელს მსოფლიოს წამყვანმა დიზაინერებმა მოდურ ფერებად შავი და რუხი დაასახელეს. ფეხსაცმლის შესაკერად რა ფერის ტყავი უნდა ავირჩიოთ?

— ამ სეზონზე მოდაში დეკორატიული ტყავია. პრიალა ლაკის ფეხსაცმელი უკვე ნაკლებად აქტუალურია. მაღალყელიანი ფეხსაცმლის გასაფორმებლად, ბეწვსაც ვიყ-

ამ სეზონზე მოდაში დეკორაგიული ტყავია

გასული საუკუნის 70-იანი წლების ფეხსაცმელი ბრუნდება

იმისათვის, რომ თავი მოდურ ადამიანად მიიჩნიოთ, ფეხსაცმლის სწორად შერჩევა და მორგება უნდა შეგეძლოთ. მოდური და თანაც პრაქტიკული ფეხსაცმელი ხშირად, რთული შესარჩევია. წლევანდელ სეზონზე დიზაინერებმა საკუთარ ფანტაზიებს დიდი გასაქანი მისცეს და სხვადასხვა ფაქტურის, ფორმისა და ფერის უჩვეულო შეხამებით, მოდის მიმდევრებს ორიგინალური მოდელები შესთავაზეს. როგორც დიზაინერმა მადონა ხარატიშვილმა მითხრა — მოდაში 70-იანი წლების ფეხსაცმლის სტილი ბრუნდება.

ენებთ. ბეწვი თავის აქტუალურობას არასოდეს კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ ლაკი მოდაში აღარ არის, ამ სეზონზე ძალზე მოდურია ე.წ. რუხი ლაკის ფეხსაცმელი. ძირითადად კი მაღალი მოდის მიმდევარი ქალბატონების ფეხზე, ნიანგის ტყავის ფაქტურის ფეხსაცმელს იხილავთ.

— „ტანკეტკაზე" რას იტყვით?

— „ტანკეტკა" წლევანდელი სეზონის „ჰიტია", მოდურიცაა და პრაქტიკულიც. რაც პრაქტიკულია, ის ყოველთვის მოდურია. მიუხედავად იმისა, რომ ფერადი ფეხსაცმელები ძალიან აქტუალურია, საქართველოში საზოგადოების უმეტესობა უპირატესობას, მაინც შავს ანიჭებს. ეს, ისევ და ისევ, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე ხდება: შავი ფერის ფეხსაცმლის ჩაცმა ნებისმიერი ფერის სამოსთან შეიძლება. სხვა ფერის ფეხსაცმელს კი სამოსის შერჩევა, შეხამება სჭირდება.

— კლასიკური ფეხსაცმლის სტილი როგორია?

— კლასიკური, გამოსასვლელი ფეხსაცმელი ე.წ, „ფრანცუსკია", რომელიც შეიძლება ძვირად ღირებული თვლებით — მაგალითად, სვაროვსკის, ცირკონის ან ბრილიანტის პატარა ლამაზი თვლებით გავაფორმოთ. წლევანდელ სეზონზე კოჭამდე „შუზიც" ძალიან მოდურია, რომელიც „რუშებითა" და მაქმანებითაა გაწყობილი.

— მოდის მიმდევარ თინეიჯერებს რას სთავაზობთ?

— როგორც შარშან, თინეიჯერებისა და საერთოდ, სპორტული სტილის მოყვარული ადამიანებისთვის, მოდაში „ბოტების" მაგვარი, დაბალძირიანი „უზმეიკო" ფეხსაცმლებია, რომლის ქუსლის სიმაღლეც 3 სმ-ს არ აღემატება. ■


იყიდეთ
ნოემბრის
ნომერი
№11
ლიტერატურული
ფასი 2 ლარი
ფასი 2 ლარი
ფასი 2 ლარი

ზეციური მფარველი, ბორბალზე გვემა, ხატს შეზრდილი თითი და „განცხადებულად“ მებრძოლი დიდმოწამე

მორენა მერკვილაძე

23 ნოემბერს გიორგობასაც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს — დიდმოწამის ბორბალზე გვემის მოსახსენიებლად. ჩვენს სამშობლოში, წმინდა გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას IV საუკუნის დასაწყისში დაედო საფუძველი. არსენ იყალთოელის მოწმობით, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო დიდმოწამე, გიორგის ბიძაშვილი გახლდათ. სწორედ მისგან შეუტყვიათ ქართველებს მისი მრავალმოწამეობის შესახებ. წმინდა მოწამის ბორბალზე წამების აღსანიშნავად, 23 ნოემბერს დადგენილი გიორგობის დღესასწაულიც წმინდა ნინოს დაუწესებია...

მართლმადიდებლურ სამყაროში წმინდა გიორგის მიერ აღსრულებული უამრავი სასწაულია ცნობილი. მოგითხრობთ რამდენიმე მათგანის შესახებ.

უპირველესად, წმინდა გიორგის ბორბალზე წამება გავიხსენოთ, რომელსაც არაერთი სასწაული ახლდა თან: დიდმოწამე გიორგი რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს ბრძანებით გააკრეს ბორბალზე, რადგან ერთ დროს მისი უახლოესი და საყვარელი მხედართმთავარი ქრისტიანთა სასტიკი დევნის გამო შეეწინააღმდეგა იმპერატორს. გიორგი ძალზე მდიდარი გახლდათ. როდესაც დიოკლეტიანემ ქრისტიანთა მსხვრევა განადგურება დაიწყო, მან ყველაფერი გაყიდა, ქონება უპოვართ დაურიგა და სენატის წინაშე წარდგა; იმპერატორისა და ქურუმების წინაშე უშიშრად აღიარა ქრისტე და ამხილა დიოკლეტიანე. საყვარელი მხედარმთავრის სიტყვებით თავზარდაცემული იმპერატორი ჯერ ტკბილი სიტყვით შეეცადა მის დარწმუნებას — განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეწირა კერპებისთვის; შეაგონებდა, — ნუ დაკარგავ პატივს, დიდებასა და სიმდიდრეს, რაც ჩემთან სამსახურის სანაცვლოდ მოგიპოვებია. მაგრამ როდესაც გიორგის სიმტკიცე იხილა, ბრძანება გასცა, დილეგში ჩაეგდოთ. დიოკლეტიანეს მეომრები შუბის ცემით შეეცადნენ დარბაზიდან მის გაყვანას, მაგრამ გიორგის სხეულზე შეხებისას რკინის შუბები რბილდებოდა და იდრიკებოდა. როდესაც საპყრობილეში ჩააგდეს, ფეხებზე — ხუნდები, გულზე კი ლოდი დაადეს და გასცილდნენ. მეორე დღეს დიოკლეტიანე თავად ჩავიდა გიორგისთან და ჰკითხა, — ხომ არ შეინანე შენი საქციელი? გიორგიმ მიუგო: ნუთუ ფიქრობ, მეფევ, რომ ასეთი უბრალო წვალების სანაცვლოდ უარვყოფ ქრისტეს? შენ უფრო ადრე დაიღლები ჩემი წვალებით, ვიდრე მე — სატანჯველთა დათმენითო. გააფრთებულმა დიოკლეტიანემ გიორგის ბორბალზე წამება ბრძანა. ის შიშველი გააკრეს მბრუნავი ურმის თვალზე, რომლის ქვეშაც რკინის მახვილები იყო აღმართული. ჯალათებმა ბორბალი დაატრიალეს. წმინდანის სხეულს რკინის წვეტები ესობოდა და ხორცს ნაჭერ-ნაჭერ აგლეჯდა. გიორგი კი ხმამაღლა ლოცულობდა და ადიდებდა ღმერთს. შემდეგ, უფლისგან განმტკიცებული დიდმოწამე დადუმდა, ვითარცა მკვდარი და ჩუმად, გულში განაგრძო ლოცვა. დიოკლეტიანემ მართლაც, მკვდრად ჩათვალა და გახარებულმა შესძახა: „სად არის გიორგის ღმერთი, რატომ არ მოვიდა და დაიხსნა იგი?..“ დიდმოწამე, ურმის თვალზე გაკრული დატოვეს და აპოლონის კერპისკენ გაემართნენ, რათა მსხვერპლი შეეწირათ მისთვის.

მოულოდნელად, ირგვლივ ჩამობნელდა, უჩვეულო ხმაური გაისმა და ზეციდან გარდამოვიდა ხმა: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ მცირე ხნის შემდეგ ბორბალთან ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო წმინდა მოწამეს და მიმართა — „გიხაროდენ!“ უფლის ანგელოზი მყისვე გაუჩინარდა, წმინდა გიორგი კი სრულიად უვნებელი, თვითონვე ჩამოვიდა ბორბლიდან.

დაფიდან გამჭრალი გამოსახულება და წმინდანის ლოყას შეზრდილი თითი

იმპერატორ ლევ ბრძენის მეფობის ჟამს, 919 წელს ძმები — მოსე, აარონი და ბასილა ბერებად აღიკვეცნენ და ათონის მთაზე დამკვიდრდნენ. მათ მცირე ზომის ეკლესია ააგეს, მაგრამ ვერასგზით შეთანხმდნენ, თუ რომელი წმინდანის სახელზე ეკურთხებინათ ტაძარი და რომელი წმინდანის ხატი დაეწერათ საგანგებო მომზადებულ დაფაზე, ამიტომ უფალს შესთხოვეს, მათთვის თავისი წმინდა ნება ეუწყებინა. ბერები თავ-თავიანთ სენაკებში განმარტოვდნენ და ლოცვით ადადებდნენ ღმერთს. შუაღამისას ტაძარსა და მის არემარეს უჩვეულო ნათელი მოეფინა. დილით ტაძარში შესულმა ბერებმა დაფაზე სასწაულებრივად დაწერილი, წმინდა გიორგის ხატი იხილეს. მის პატივსაცემად და ამ სასწაუ-



ლის მოსახსენიებლად, მონასტერს „ზოგრაფისა“ — ანუ „ფერწერისა“ ეწოდა.

ამავე დროს, პალესტინაში მდებარე, ფანუელის მონასტერში დაბრძანებული, წმინდა გიორგის ხატიდან ბერების თვალწინ, გამოსახულება თავისით მოსცილდა დაფას და გაუჩინარდა. ბერები შეშფოთდნენ, ლოცვით ევედრებოდნენ უფალს, მათთვის სასწაულთმოქმედი ხატის გაუჩინარების ამბავი გაემხილა. სავანის იღუმენს თავად წმინდა გიორგი გამოეცხადა და აუწყა: „ნუ სწუხართ ჩემზე, მე ვპოვე ჩემთვის ტაძარი ღმრთის დედის წილხვედრ მხარეში, ათონზე. თუ გნებავთ, თქვენც მიაშურეთ იმ მხარეს: რადგან პალესტინას ღვთის რისხვა დაატყდება“. იღუმენმა ბერები იხმო და ყოველივე უამბო მათ. ბერებმა ათონის მთაზე გამგზავრება გადაწყვიტეს. წმინდა მთაზე ჩასულებმა მართლაც იხილეს ერთ-ერთ სავანეში წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედი ხატი. მისგან აღსრულებული სასწაულის შესახებ მრავალმა ადამიანმა შეიტყო, ზოგრაფის მონასტერში მომლოცველთა ნაკადი არ წყდებოდა. დიდმოწამის ხატი სასწაულთა წყაროდ იქცა.

საკვირველთმოქმედი ხატის შესახებ ერთ-ერთმა ეპისკოპოსომა შეიტყო; გადაწყვიტა, ათონის მთაზე გამგზავრებულიყო, რათა შეემოწმებინა, მართლაც სასწაულთმოქმედი იყო თუ არა წმინდა გიორგის ხატი. როდესაც სიწმინდეს მიეახლა, მედიდურად იკითხა: „ეს არის თქვენი სასწაულთმოქმედი ხატი?“ საჩვენებელი თითი კი ხატზე გამოსახული წმინდანის ლოყას შეახო. თითი ხატს შეეზარდა. თავზარდაცემულმა მღვდელმთავარმა ვერასგზით მოახერხა სიწმინდისგან თითის მოშორება. მას თითი მოაჭრეს. თითის წვერი დღემდე ხატზეა დარჩენილი.

წმინდა გიორგის, უმეტესწილად, თეთრ ცხენზე ამხედრებულს გამოსახავენ — მაშინ, როდესაც ის შუბით გველეშაპს განგმირავს. წმინდანის ასეთი სახის იკონოგრაფიული გამოსახულება მის მიერ აღსრულებულ ერთ-ერთ სასწაულს უკავშირდება: ქალაქ ბეირუთის მახლობლად მდებარე ტბაში დრაკონი ბინადრობდა. იგი ხშირად ამოდიოდა ტბიდან, მუსრს ავლებდა მთელ არემარეს, ადამიანებსაც კლავდა და ჰაერსაც თავისი უწმინდური სიმყრალით ბილწავდა. იქაური მცხოვრებლები და მათი მეფე კერპთმსახურები იყვნენ, ამიტომ რჩევისთვის ქურუმებს მიმართეს. მათი რჩევით, მეფემ გასცა ბრძანება, თითოეულ ოჯახს რიგრიგობით შეეწირა შვილი ბოროტი არსებისთვის. თუკი ჯერი მასზე მიდგებოდა, მსხვერპლად ერთადერთ ასულსაც შესწირავდა. მოსახლეობა იძულებული გახდა, მეფის ბრძანებას დამორჩილებოდა. ჯერი მეფის ასულზეც რომ მიდგა, რაღას იზამდა მეფე — ერთადერთი ქალიშვილი მსხვერპლად უნდა შეეწირა. ქალწული ტბის პირას მიიყვანეს და დატოვეს. აცრემლებული ასული შიშით მოელოდა დრაკონის გამოჩენას. მოულოდნელად მის წინ, თეთრ ცხენზე ამხედრებული უცნობი ჭაბუკი გაჩნდა, რომელსაც ხელში შუბი ეჭირა. ეს, დიდმოწამე გიორგი გახლდათ. ქალს ტირილის მიზეზი ჰკითხა; შეძრწუნებულმა ასულმა ყველაფერი უამბო. ჭეშმარიტი ღმერთის სახელით გიხსნი გველეშაპისგანო — დაამშვიდა ქალი წმინდა გიორგიმ. კეთილო მხედარო, ნუ დაიღუპავ თავს, მე მაინც გამზადებული ვარ სასიკვდილოდ; შენ ვერ მიხსნი, მხოლოდ თავს დაიღუპავ, უმჯობესია, აქაურობას გაეცალოო, — შეეევედრა მეფის ასული. ამ დროს დრაკონიც გამოჩნდა. რაინდი მისკენ გაემართა, პირჯვარი გადაისახა, წმინდა სამებას შესთხოვა შემწეობა, შუბი აღმართა და ურჩხულს მახვილი ჩასცა. შემდეგ, მეფის ასულს მიუბრუნდა, უბრძანა, წელსარტყი მოეხსნა, მხეცისთვის გამოება და ქალაქში წაეყვანა. დაჭრილი დრაკონი მორჩილად გაჰყვა ქალს. გაოცებულები და შეძრწუნებულები შესცქეროდნენ მეფე და ქალაქის მცხოვრებნი ამ საოცარ სანახაობას. წმინდა გიორგი მათ წინაშეც წარდგა: „ნუ გეშინიათ, გარნა სასოებდეთ უფალსა ჩემსა იესო ქრისტეს და გწამდეთ მისი, რამეთუ თქვენს სახსნელად მან მომავლინა“, — წარმოთქვა წმინდა მოწამემ და მთელი ქალაქის თვალწინ განგმირა დრაკონი. ხალხმა ერთხმად განადიდა ჭეშმარიტი ღმერთი და ნათელ იღო ქრისტეს სახელით.



ხატზე გამოსახული დრაკონის მლახვრავი, თეთრ რაშზე შუბით ხელაღმართული წმინდა გიორგი, ქრისტეს ეკლესიის ბოროტებასა და ცოდვებზე გამარჯვების სიმბოლოა. დრაკონში დიოკლეტიანეა ნაგულისხმევი. გველეშაპის განგმირვა მიანიშნებს ეკლესიის გამარჯვებას მის ხილულ მტრებზე.

მარტვილებრივი აღსასრულის შემდეგ, წმინდა გიორგის ნეშტი პალესტინაში, ქალაქ რამალაში მდებარე ტაძარში დაკრძალეს. კონსტანტინე დიდის მეფობის დროს კი იერუსალიმის მახლობლად, ქალაქ ლიდაში (დიოსპოლისში), წმინდა გიორგის სახელზე დიდი ტაძარი ააგეს და მისი წმინდა ნაწილები იქ გადააბრძანეს. დაბას ერთხელ, სარკინოზთა ჯარი შემოესია. ლაშქრობის შემდეგ სარკინოზებმა კარვები გაშალეს და ლხინსა და განცხრომას მისცეს თავი. შემდეგ წმინდა გიორგის ტაძარში შევიდნენ და მის საკურთხეველში, სადაც დიდმოწამის ნაწილები იყო დაბრძანებული, გააჩაღეს ღრეობა და თამაში. იქამდეც კი მივიდნენ რომ საკურთხეველში დაბრძანებულ წმინდა ხატებს ისრები დაუშინეს. ერთ-ერთმა ტყვედ აყვანილმა ქალაქის მცხოვრებმა სცადა, შეეჩერებინა გონდაბნელებული სარკინოზები: არ შეიძლება, ასეთი მკრეხელობა წმინდანთა მიმართ; მოწამე, რომლის სახელზეც არის აგებული ეს ტაძარი, უძლეველი მეომარი იყო და დღემდე ამხელს და ულმობლად მუსრავს მოწინააღმდეგეებსო, — უთხრა მათ და წმინდა გიორგის ხატისკენ მიუთითა. ხატზე გამოსახულ წმინდანს ჯაჭვის პერანგი ემოსა და ხელში შუბი ეჭირა. უსჯულო მხედრებმა სიცილი დაიწყეს. ერთ-ერთმა მათგანმა კი ისარი მოზიდა და წმინდანის ხატს სტყორცნა. ისარი უკუიქცა და მხედარს გული განუგმირა. დანარჩენმა მხედრებმა თვალნათლივ იხილეს, რომ ხატზე გამოსახულმა წმინდანმა ხელი გაშალა და უსჯულოების შემუსვრა დაიწყო. მხოლოდ რამდენიმე მათგანი გადაურჩა მსჯავრს. სასწაულის შესახებ სწორედ მათგანაა ცნობილი.

ისტორიული წყაროებიდანაც ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ბრძოლების დროს, ცხადად შეეწეოდა ქართველებს. ერთ-ერთი ასეთი შეწევნა მოხდა დიდგორის ბრძოლის დროს. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ბრძოლის ველზე „ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარავდა“ ქართველთა ლაშქარს, წმინდა გიორგი განცხადებულად და „ყოველთა სახილველად“ უძღოდა წინ ქართველებს, „მკლავითა თვისაითა მოსრავდა ზედამიწევნელთა მათ წარმართთა“. ეს სასწაული თვით უსჯულო თურქ-სელჩუქებმაც იხილეს და აღიარეს ძლევამოსილება და საკვირველება მთავარმოწამე გიორგისა.

წმინდა დიდმოწამე გიორგი ცხადად წინამძღვრობდა ქართველთა ლაშქარს ბახტრიონის ბრძოლის დროსაც. არსებობს გარდამოცემა, რომ ამ ბრძოლისას ცხადად ხედავდნენ წმინდა გიორგის „ელვის სახედ მიმასრბოლს წინა მავალად მათდა“ — ანუ ქართველთა.

ერთხელ ირანს ავღანელები შეესივნენ და ფერეიდნის დაპყრობის სურვილიც გაუჩნდათ. მოგეხსენებათ, ფერეიდანში სამშობლოს მოწყვეტილი არაერთი ქართველი ცხოვრობდა, რომელიც, ყველა თანამემამულის მსგავსად, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა წმინდა გიორგის. ქართველები ავღანელების წინააღმდეგ სალაშქროდ მოემზადნენ, მედგრად შეუტიეს მტერს, მრავალი მოწინააღმდეგეც გაულიტეს, მაგრამ მათ მაშველი ჯარები ემატებოდა. კარგა ხანს იბრძოდნენ ქართველები, მაგრამ ბოლოს დანებება და უკან დახევა გადაწყვიტეს, რადგან ტყვია-წამალიც გამოელიათ და აღარც ძალა შესწევდათ. დაქანცულები ჩამომსხდარიყვნენ და ფიქრს მისცემოდნენ. მოულოდნელად, ფერეიდნის ჩრდილოეთით, თამზიანის გორაზე, თეთრ ცხენზე ამხედრებული, ნათლით მოსილი მხედარი გამოჩნდა, შეუძახა მეომრებს და საომრად იხმო. ქართველებმა მხედარში წმინდა გიორგი შეიცნეს, მყისვე მიჰყვნენ და სწრაფად უკუაგდეს მტერი. იმ ადგილს ქართველები „ამაღლების მათს“ ეძახიან. გარდამოცემა მოგვითხრობს, რომ იმ ადგილას, სადაც დიდმოწამე იდგა, მისგან მომდინარე ნათელმა ქვა გახეთქა. ეს ქვა დღემდე იქვე დევს — შუაზე გაჭრილი, კუთხეები კი სამკუთხედად აქვს ჩამოპობილი. ქვა საოცრად მხურვალეა. როგორც ამბობენ, სპარსელები ამ ადგილის სიახლოვეს მისვლასაც ვერ ბედავენ. ■

ზოუი დეშამელი პირველად გაშიშვლდა

28 წლის ზოუი დეშამელის მიერ შექმნილი ეკრანული სახეების სია ოცამდე დასამახსოვრებელი როლისგან შედგება. მსახიობის დებიუტიდან 19 წლის შემდეგ, თაყვანისმცემლები საყვარელ მსახიობს, ბოლოს და

ბოლოს, შიშველს იხილავენ. ზოუი დეშამელი ცნობილი ამერიკელი მომღერლის, ჯენის ჯოპლინის შესახებ გადაღებულ ბიოგრაფიულ ფილმში — The Good Life მთავარ როლს ითამაშებს. მომღერალი, ჰეროინის გადამეტებული დოზის მიღების გამო, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლეშიც ბევრი რამ მოასწრო და — არა მხოლოდ მუსიკის სფეროში... ბავშვობაში ჯენისს „კოლეჯის ყველაზე უშნო გოგონას“ ტიტულით ამკობდნენ; როდესაც უფულობის გამო, ქუჩაში მამაკაცებს საკუთარ სხეულს 5 დოლარად სთავაზობდა, მასხრად იგდებდნენ. მომღერალი იმ წლებს ასე იხსენებდა: „მაშინ ჩემთვის სულერთი იყო, ვისთან დავწვებოდი... ვწოვდი, ვლოკავდი, ვკოცნიდი, ვეწეოდი, ვიკეთებდი და მიყვარდა“... ჯგუფური სექსისთვის, ორგიებისთვის პარტნიორ მამაკაცებსა და ქალებს პირდაპირ ქუჩებში ეძებდა და პოულობდა. ერთხელ მატარებლით 365 მამაკაცთან ერთად მგზავრობდა და გულისტკივილით დაიჩივლა, რომ სქესობრივი კავშირი მხოლოდ 65 მათგანთან დაამყარა...

რაღა გასაკვირია, რომ ასეთი ქალის როლის შემსრულებელი მსახიობი „თამამი სცენების“ გარეშე ვერ გადარჩებოდა?! ზოუი დეშამელს კინოობიექტივის წინ გაშიშვლება პირველად მოუხდა და ამოცანას თავი ჩინებულად გაართვა. აღსანიშნავია, რომ მაყურებელი მალე კიდევ ორი ახალგაზრდა მსახიობის შიშველ სხეულს იხილავს. 26 წლის ლიზი კაპლანი („მონსტრი“, „ჩემი საუკეთესო მეგობრის შეყვარებული“) და მისი თანატოლი ენ პაკუინი („ჯეინ ეარი“, „ადამიანები X-2“) ფილმში — True Blood შიშვლად მოგვევლინებიან...

უილ სმიტის ვაჟიშვილი „კარატე კიდის“ რიმეიქში ითამაშებს

სტუდია Columbia Pictures 1984 წელს გადაღებული ფილმის — „კარატე კიდის“ ახალ ვერსიაზე მუშაობს. ახალ სურათში მთავარ როლს მსახიობ უილ სმიტის 10 წლის ვაჟიშვილი ჯეიდენი ითამაშებს. თავად უილ სმიტი ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერია. გადაღებები 2009 წელს პეკინში დაიწყება. ჯეიდენ სმიტის დებიუტი ამავე კინოკომპანიის ფილმში — „ბედნიერების ძიებაში“ — შედგა. სურათში უილ სმიტიც თამაშობდა. როგორც ამბობენ, ჯეიდენი კარატემ სერიოზულად გაიტაცა. მკითხველს შევახსენებთ, რომ უკვე გადაღებულია „კარატე კიდის“ ოთხი ფილმი. ბოლო სურათში ნათესავი როლი ორგზის „ოსკარიანმა“ მსახიობმა, ჰილარი სუონკმა ითამაშა.

ჯენი მაკარტნიმ ამანდა პიტს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა

„პლეიბოის“ ყოფილ მოდელს, ამჟამად 36 წლის მსახიობ ჯენი მაკარტნისა („ბინძური სიყვარული“, „ძალზე საშიში კინო-3“) და მის თანატოლ ამანდა პიტს („9 იარდი“, „სირიანა“) შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, შუღლის მიზეზი კი — ჯენის ოჯახური დრამაა. მსახიობის 6 წლის ვაჟიშვილი ფრენსისი აუტიზმით არის დაავადებული. ამ ფსიქიკური სენის გამომწვევი მიზეზი მეცნიერთათვის დღემდე უცნობია, მაგრამ ბავშვის მშობლები — ჯენი მაკარტნი და მისი ყოფილი მეუღლე, მსახიობი ჯონ აშერი („ბრილიანტები“) შვილის დაავადებას აცრებს უკავშირებენ. შვილი ამანდა პიტსაც ჰყავს. მისი წლინახევრის გოგონა ფრენსისი სრულიად ჯანმრთელია, ხოლო ბედნიერი დედა ვაქცინაციის მხურვალე პროპაგანდისტთა რიგს მიეკუთვნება და მშობლებს მოუწოდებს, შვილების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ეს პროფილაქტიკური საშუალება გამოიყენონ. კოლეგის განცხადებები ჯენი მაკარტნის საშინლად აღიზიანებს. ჯენი, მისი ამჟამინდელი ბოიფრენდი ჯიმ კერი („ნიღაბი“) და აუტისტთა გაერთიანების სხვა წევრები საზოგადოებას ამანდა პიტის ფილმების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებენ და ვაქცინაციის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში სისტემატურად მონაწილეობენ.



„ბონდიანის" ვეტერანი, აგენტი 007-ის ახალი თავგადასავლებით უკმაყოფილოა

ბრიტანელი მსახიობი როჯერ მური, რომელმაც 1975-85 წლებში ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებულ 7 ფილმში ითამაშა, აგენტი 007-ის უახლეს თავგადასავლებს მეტისმეტად სასტიკად მიიჩნევს და ძალიან წუხს, რომ მაყურებელს ამგვარი სისასტიკე ხიბლავს!.. 81 წლის მსახიობის აზრით, მური-ბონდის უკანასკნელი ფილმიც — A View To A Kill — მეტისმეტად სისხლიანი იყო. მხცოვანმა მსახიობმა „ბონდიანისადმი" დამოკიდებულების შესახებ, ბრიტანულ გაქირავებაში „ბონდიანის" 22-ე ფილმის — „გულმოწყალების კვანტი" — გამოსვლიდან რამდენიმე დღეში ილაპარაკა. მას ბოლო ფილმი ნანახი არა აქვს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში სურათი წარმატებას მოიხვეჭს. ახლახან გამოქვეყნდა როჯერ მურის მოგონებები — My World is My Bond (წიგნის სათაურში გამოყენებულია ინგლისურ სიტყვათა თამაში: „ინგლისურ ენაზე ი. ფლემინგის გმირის გვარი და სიტყვა „ბორკილები" ან „ხუნდები" ერთნაირად იწერება და გამოითქმის), სადაც ის კერძოდ, აღნიშნავს: „ვინატრებდი, რომ მაყურებელს ლირის ან ჰამლეტის როლის უდიდეს შემსრულებლად დავმახსოვრებოდი, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, სავსებით კმაყოფილი ვარ იმით, რომ ბონდის როლი ვითამაშე", — ამბობს მსახიობი.

სასამართლომ სანდრა ბალოკის თაყვანისმცემელს პირობითი პატიმრობა მიუსაჯა



2007 წელს ბალოკის თაყვანისმცემელმა ქალმა მისი მეუღლისთვის ავტომანქანის დაჯახება სცადა. რამდენიმე დღის წინ სასამართლომ 47 წლის მარსია ვალენტაინს 3 წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ამ ხნის განმავლობაში დამნაშავეს სანდრა ბალოკთან ყოველგვარი კონტაქტის დამყარება, მსახიობის სახლთან, სამუშაო ადგილთან და ოჯახის წევრებთან მიახლოება ეკრძალება! ვალენტაინმა აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში სდევნიდა სანდრა ბალოკს და ერთხელ მის მეუღლეზე თავდასხმაც სცადა.

ფანატიკოსი თაყვანისმცემელი სანდრა ბალოკის ეზოში ქაღალდის ფურცლებს ტოვებდა, რომლებზეც უცნაური ნიშნები იყო გამოსახული. 2007 წლის 22 აპრილს ბალოკის მეუღლე ჯეს ჯეიმსი სახლის წინ განრთხმულ თაყვანისმცემელს გადააწყდა. ჯეიმსს ვალენტაინის მანქანის ნომრის ჩაწერა უნდოდა, მაგრამ მარსია საჭეს მიუჯდა და მისთვის ავტომობილის დაჯახება რამდენჯერმე სცადა. პოლიციამ დამნაშავე დააკავა, მაგრამ მოგვიანებით, გირაოს თანხის გადახდის შემდგომ, გაათავისუფლა.

„ინგლისურ ვარდს" ბასრი ეკლები გამოეზარდა

ჟურნალის — Vanity Fair — დეკემბრის ნომერში მკითხველი მომხიბვლელი კეიტ უინსლეტის ფოტოსურათებს იხილავს. 33 წლის მსახიობმა 10 კილოგრამი დაიკლო და სახელოვანი მეუღლის, რეჟისორ სემ მენდესის („ამერიკული სილამაზე") მისტიკური კომიქსის გადაღებისთვის საგულდაგულოდ ემზადება. მსახიობი ფოტოსესიით ძალზე კმაყოფილია, მაგრამ საქმეში ჩახედული ადამიანები ირწმუნებიან, — ფოტოსესია „ფოტოშოფს" უფრო წაგაავს, რადგან კეიტ უინსლეტი ახლა რეალურად, ღარიბული პროვინციული ქალაქის ბინადარ მოსამსახურეს უფრო ჰგავს... ფოტოგრაფმა კრის ბიკმორმა ვარსკვლავ მოდელთან რთული მუშაობის დეტალები გაამხილა: „არე თვალების გარშემო, სახის ოვალი და ტუჩების გარშემო კანი ძალზე პრობლემური აღმოჩნდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ინგლისური ვარდი" მართლაც რომ გაიფურჩქნა, თუმცა ბასრი ეკლებიც გაუჩნდა", — დასძენს ფოტოგრაფი.

„მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით მონავარდე ქალებს შევცქერი და ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩემს გარეგნულ იერს უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმო, მაგრამ ღირს კი? რეალობის „რეტუშირების" ხელმარჯვე ოსტატი ხომ მრავლადაა!.." „ზედმეტ წონას მხოლოდ იმისთვის არ „დავაგდებ", რომ დაკლებული კილოგრამების რაოდენობით ვინმე გავაოცო", — ამბობს მსახიობი. მაგრამ სემ მენდესის მისტიკური ტრილერის — Preacher გადაღებისთვის, მაინც გახდა! კეიტ უინსლეტის თაყვანისმცემლები საყვარელი მსახიობის ბოლო ნამუშევარს დეკემბერში იხილავენ, როდესაც ეკრანებზე გამოვა ფილმი „ცვლილებათა გზა". სურათში კეიტს პარტნიორობას კვლავ ლეონარდო დი კაპრიო გაუწევს.

დასაწყისი იხ. გვ. 16

მი კვლევა-ძიების დროს, ისეთი ყალბი სიგელ-გუჯრებიც აღმოაჩინეს, რომლებიც ღიმილს გგვრის. მაგალითად, წერია, ვითომდა, დავით აღმაშენებლის ეპოქაშია გაცემული, ხოლო თვით სიგელის წყობა სულ სხვა ეპოქიდანაა აღებული... იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის შთამომავლობა კი არსად ჩანს, რადგან მეფე ისე გარდაიცვალა, რომ შვილი არ ჰყოლია. არადა, ის ადამიანი, რომელიც სოლომონ ბაგრატიონად ასაღებს თავს, ამბობს, — სოლომონ II-ეს ორი ვაჟი ჰყავდა, მე კი ვახტანგის შთამომავალი ვარო!.. ბაგრატიონები ის საგვარეულოა, რომლის გარშემოც ყველაფერი ცნობილია მეცნიერებისთვის. აქედან გამომდინარე, ასეთი კითხვაც მიჩნდება: ბატონებო, ზედმეტად ხომ არ ვაზვიადებთ იმ საფრთხეს, რომელიც ვითომდა, ამ ადამიანის გამოჩენით გვემუქრება?..

ვახტანგ ჯორჯიკია, *ისტორიკოსი:*

— მსოფლიოში არსებობს დიდი მონარქისტული ორგანიზაცია, სადაც ყველა ქვეყნის სამეფო საგვარეულოს შესახებ არის ინფორმაცია, მათ შორის — ბაგარატიონების შესახებაც. სამეცნიერო კვლევებს თავი რომ დავანებოთ, ყველა ქართველმა კარგად ვიცოდით, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II ისე გარდაიცვალა, შთამომავალი არ დარჩენია. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, ვინც ამბობდა, რომ ენათესავებოდა მეფეს, მაგრამ ეს კაცი ამბობს, რომ მისი პირდაპირი შთამომავალია(!). 1990 წელს გურამ შარაძესთან, ვახტანგ რჩეულიშვილთან, მარიკა ლორთქიფანიძესთან, თემურ ყორყოლიანთან და სხვებთან ერთად, სოლომონ II-ის გადმოსვენების კომისიის წევრი გახლდით და ჩვენთვის ზედმიწევნით ზუსტად იყო ცნობილი ამ მეფის ცხოვრების ყველა დეტალი... საინტერესოა — იცოდა თუ არა, ვითომდა მომავალი ტახტის მემკვიდრის ნათლობის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა?.. ახლა საქართველოში ძალზე მძიმე ვითარებაა. ფაქტებით ვერ დავადასტურებ, მაგრამ არსებობს ტექნოლოგიები, რომლებიც ასეთ მძიმე ვითარებაში, ფანტასმაგორიული წარმოდგენების გავრცელებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, წარმოჩინდებიან უცნაური სუბიექტები. მსგავსი რამ რუსეთის ისტორიიდან შეგვიძლია მოვიშველიოთ — ცრუდმიტრის მაგალითი, რომელიც თავს რუსეთის მეფედ ასაღებდა... ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ადამიანი, რომელიც სოლომონ II-ის შთამომავლად ასაღებს თავს, საფრთხეს უქმნის საქართველოს. ასეთი სისულელით ხშირად, რუსეთი სარგებლობს და ეშიშობ, სათავისოდ არ გამოიყენოს, — იმისთვის, რომ წაბილწოს ჩვენი ისტორია, მეფეები, დედაეკლესია... როდესაც აგვისტოს მოვლენების დროს, მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ რუსული საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოსვლას აპირებდნენ, სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე. ახალა კი რეალობა ისეთია, რომ რუსული ჯარი თბილისიდან სულ რაღაც 30 კილომეტრში, ახალგორში დგას. ასე რომ, დაუჯერებელი არაფერია.



სიმონ კოვაძე:

— ჩემთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ მერაბ ტიტანიძეს საქართველოში ე.წ. კონ-

ტრიბუციული ნაწარმი შემოაქვს. საქონელი, რომელიც ამერიკის ბაზრიდან ჩამოიწერება, საქართველოში შემოდის თითქოსდა ქველმოქმედებისთვის. საინტერესოა, რომ აქ, ამ კონტრიბუციული საქონლის მიმღები გახლავთ საქველმოქმედო ფონდი „ბაგრატიონი", რომლის დამფუძნებელიც მერაბ ტიტანიძეა. ასეთი საქონლის ჩამოტანა მხოლოდ ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მისი დიდი ნაწილი, არა საქველმოქმედოდ, არამედ სარეალიზაციოდ გამოიყენება. ჩემთვის ასევე ცნობილია — ამ ადამიანმა საკუთარი პირადობის მოწმობა ისე გადაიკეთა, რომ პირადი ნომერიც შეაცვლევინა, — არადა, როგორც წესი, პირადი ნომერი უცვლელი რჩება. წარმოუდგენელია ისიც, რომ ბავშვს დაბადების მოწმობაში „სოლომონ ბაგრატიონი" უწერია.

ჯაბა სამუშია:

— მეფე არ „ინომრება", ეს არის მხოლოდ ტექნიკური საშუალება, რომელსაც ჟამთააღმწერლები და ისტორიკოსები იყენებენ. სიცოცხლეში მეფეს ნომერს არავინ ანიჭებს. როდესაც მეფე ერეკლე დაიბადა, წერდნენ, რომ დაიბადა უფლისწული ერეკლე და არა — ერეკლე II. თვით დავით აღმაშენებელიც კი არ „ინომრებოდა" ცხოვრებაში. ტახტის ისეთი პრეტენდენტი, როგორადაც ეს ბავშვი გვევლინება, შესაძლებელია, გვყავდეს იმდენივე, რამდენიც ქართველია... ეჭვს იწვევს ამ კაცის მშობლების ისტორიაც, რომლებიც ვითომდა 1957 წელს თურქეთში გადაიხვწნენ. ჯერ ერთი, საინტერესოა, როგორ გადაურჩნენ რუსეთის აგრესიას, ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ, ე.წ. მესამე წმენდას, როდესაც ბაგრატიონთა შორის დიდი მსხვერპლიც იყო?!. სამეფო ოჯახზე წიგნი მაქვს დაწერილი და ამ ადამიანთა შესახებ ცნობებს არსად გადავყრივარ.

ვახტანგ ჯორჯიკია:

— სოლომონ II-ის გადმოსვენების პროცესშიც კი იყო გარკვეული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს ნამდვილად, იმერეთის მეფის ნეშტი. შემდეგ, მეცნიერმა გიორგი აბდუშელიშვილმა მოგვცა დასკვნა, რომლის თანახმადაც, ტრაპიზონში დაკრძალული ადამიანი 95%-ით, სოლომონი გახლდათ. მახსოვს, როდესაც მოვასვენებდით, მოსახლეობა გზად ღვინითა და ჩურჩხელებით გვხვდებოდა, თან გაიძახოდნენ: მეფე სოლომონს გაუმარჯოს, გაუმარჯოს მის დაბრუნებასო! მეფის ცხედარს გელათში ჩოხოსნები მოასვენებდნენ, რომლებსაც ხელთ ხუთჯვრიანი დროშები ეპყრათ... თურქებიც კი გავაოცეთ: როგორი მოწიწებით ეპყრობით თქვენს მეფესო!.. ტრაპიზონიდან, იქ, სადაც სოლომონ ესვენა, ერთი მუჭა მიწა წამოვიღე. შემდეგ, მეგობარმა მთხოვა, ეს მიწა მისთვისაც მეწილადებინა და უარი არ მითქვამს. ჩემმა მეგობარმა იმ მიწაში მოზაიკის ფრაგმენტი აღმოაჩინა, სავარაუდოდ — ეკლესიის იატაკის ნატეხი, რომელსაც საქართველოს რუკის ფორმა ჰქონდა.

ჯაბა სამუშია:

— ერთხელ სუფრასთან მქონდა ბედნიერება, პეტრე გრუზინსკის ვაჟს — ნუგზარ ბაგრატიონს შევხვედროდი. საუბრისას მისდამი ჩემი პატივისცემა გამოვხატე და ვუთხარი: რა სჯობია, როდესაც სამეფო ოჯახის წევრთან ერთ სუფრასთან ზიხარ-მეთქი!..

ბატონი ნუგზარი უხერხულად შეიშმუშნა და დელიკატურად მთხოვა, ამ გარემოებას აღარ შევხებოდი... ამ ადამიანს სულში უზის მეფური სიდარბაისლე... გასაგებია, რომ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც მოქალაქეს გვარის შეცვლის უფლებას აძლევს. მაგრამ უნდა არსებობდეს ისეთი გვარების ჩამონათვალი, რომელთა ხელყოფა დაუშვებელი იქნება. მათ შორის, უპირველესი — ქართული სამეფო გვარი „ბაგრატიონი" უნდა იყოს. ეს გვარი უნდა იყოს დაცული, როგორც ისტორიული, საპატიო, სამეფო გვარი. ბაგრატიონი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საგვარეულოდ მიიჩნევა, რომელსაც მეფობის ათასწლოვანი ისტორია აქვს, თანაც — მეფობის, რომლის განმავლობაშიც, სხვა გვარით მისი ჩანაცვლება არ მომხდარა.

გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“ საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“ ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი“

„დიდი სამეგიდო ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“

მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

დასახელება	1 ფგზ. ფასი	ფგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში	ფასი 1 წლით
ქვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
ყველა სიახლე	0.80	52	41.60
გზა	0.80	52	41.60
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
ქარიგჟე	1.00	26	26.00
ოჯახის ჟურნალი	1.00	26	26.00
ქარუსელი	0.50	52	26.00
საბავშვო ქარუსელი	1.00	52	52.00
გოგონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.50	312	156.00
ათიანი	5.00	12	60.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დაზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ოქსია 29 ლარი

თქვენ ყი მსგ ფოვსლოლ მიიღებთ!



დიდგორის ცაზე ფრენდის ხვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-46

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

მონღოლები უბადლო მხედრები იყვნენ და მშობლიურ სტეპშიც კარგად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ცხენების უსასრულოდ ჭენება მათაც არ შეეძლოთ და დღე-ღამის შემდეგ, მონღოლთა მეთაურმა ბანაკის დაცემა ბრძანა. მონღოლებმა ტყვეები ცხენებიდან ჩამოიყვანეს, ბექობის ძირში უხეშად მიყარეს და გუშაგები მიუჩინეს. დანარჩენებმა კი ცეცხლი დაანთეს და ვახშმის მომზადებას შეუდგნენ. მექარავნეებს მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ ერთმანეთისთვის გადახედვის შესაძლებლობა. მონღოლებთან შეტაკებისას მექარავნეთა უმეტესობა დაღუპულიყო. მხოლოდ ჰასანი, მისი ერთგული ღულამი, ისა, მუროჩი და გვიდო გადარჩენილიყვნენ. ეს მათი მოგზაურობის დასასრული იყო. მონღოლებმა მექარავნენი ამოხოცეს. დაიღუპა გუელმო. ტვირთი, რის ჩატანასაც აპირებდნენ ცინში, მონღოლებმა დაიტაცეს. რაღა აზრი უნდა ჰქონოდა გზის გაგრძელებას?.. თუმცა ახლა გზის გაგრძელებასა კი არა, ცოცხლად გადარჩენაზე უნდა ეფიქრათ. ეს მექარავნეებს შეუძლებლად ეჩვენებოდათ. მათი დამატყვევებელი, ორასამდე მონღოლი იქვე ტრიალებდა. ათამდე გუშაგი თვალს არ აცილებდა. ესეც რომ არა, დამატყვევებლებს ისე შეებოჭათ, რომ ხელისა ან ფეხის გათავისუფლება შეუძლებელი იყო. მუროჩიმ რამდენჯერმე სცადა ხელის გათავისუფლება, მაგრამ ცხენის ძარღვების რბილი საბელი უფრო ღრმად ჩაეჭრა კანში.

— ნუ ბორგავ. მონღოლებმა თუ შეგნიშნეს, მოგკლავენ, — ფრთხილად გადაულაპარაკა ჰასანმა.

— ასე თუ ვისხედით, მართლაც ამოგვწყვეტენ, — გაეპასუხა მუროჩი.

— ცხვარივით სიკვდილს მეც არ ვაპირებ. ღამეს დაველოდოთ. დაღლილები ჩანან. ივახშმებენ და ძილად მიეყრებიან. მაშინ ვცადოთ საბელებისგან გათავისუფლება.

— რომც დაიძინონ, გუშაგებს მაინც დატოვებენ. არ ღირს დროის დაკარგვა... შენკენ ზურგით შევბრუნდები, სცადე, იქნებ, კბილებით გადაღრღნა თასმა, — მუროჩი პასუხს არ დალოდებია, გვერდზე გადაწვა და საბლით შეკრული მაჯები ჰასანს მიუშვირა, მაგრამ ჰასანმა განძრევაც ვერ მოასწრო: სწორედ ამ დროს, ტყვეებს მონღოლთა მეთაური მიუახლოვდა, სახესთან ცხვრის ახალმოხარშული ბარკალი მიუტანა და დამცინავად ჰკითხა:

— გშია? — ჰასანი უხმოდ გაერიდა ბარკალს და მონღოლს გააფთრებული მზერა ესროლა.

— არა ჭამ?! — სიცილით განაგრძო მონღოლმა. — ისე, შენს ადგილზე, მეც ეგრე მოვიქცეოდი, — სავსე სტომაქით ძელზე გასმა უფრო ძნელი იქნება!

— რას გვიპირებთ? — ალაპარაკდა ჰასანი.

— მე — არაფერს. თუმცა ჩემი ნება რომ იყოს, აქვე დაგაყრევინებდით თავებს, მაგრამ ბატონმა თქვენი ცოცხლად მიყვანა მიბრძანა.

— მაშინ რატომ დახოცეთ სხვები?! — ბრაზი მოერია ჰასანს.

— თქვენი უგუნურება რომ არა, არავინ მოკვდებოდა. შენმა ხალხმა იარაღი არ დაყარა!

— რა უნდა თქვენს ბატონს?.. რატომ გვადანაშაულებს იმაში, რაც არ ჩაგვიდენია?

— ბატონი ტყუილად არავის სჯის. განსაკუთრებით — მექარავნეებსა და ვაჭრებს, მაგრამ თქვენ მექარავნეები არ ხართ, მანჯუს მსტოვრები ხართ ან — ცინის. ჩვენი ბატონისთვის სულერთია, ერთთანაც მტრობს და — მეორესთანაც, — ბღვერით ჩაილაპარაკა მონღოლმა.

— რა მტრობა უნდა გვქონოდა შენს ბატონთან? — გაიკვირვა ჰასანმა. — პირველად მოვხვდით თქვენს მხარეში.

— თქვენი მეგზური? — ის ხომ მანჯუდან იყო!

— არ ვიცი. ჩვენ გვითხრა, ცინის ქვეყნიდან ვარო.

— შეიძლება, მაგრამ მაგას მნიშვნელობა არა აქვს. უკეთესი იქნება, თუ იტყვი: სად გაქრა ის კაცი?! — ჰკითხა მონღოლმა.

— ჩვენ გვეგონა, რომ რაღაც დაეშავა და თქვენ დაატუსაღეთ, — უპასუხა ჰასანმა.

— ეგ ხრიკი არ გაგივა. კარგად იცი, სადაც არის შენი მეგზური და რა დავალებასაც ასრულებდა, — შეუღრინა მონღოლმა.

— არ ვიცი! იმ კაცს რაც უნდა ჩაედინა, მე და ჩემი ხალხი მაინც უდანაშაულონი ვართ!

— არასოდეს მინახავს ტუსაღი, რომელსაც ეთქვას: დამნაშავე ვარ და ჯალათს მიმგვარეთო! თქვენც ასეთები ხართ. ბოლომდე ებღაუჭებით სიცოცხლეს და როგორც კი მიხვდებით, რომ ვერ გადარჩებით, ერთმანეთს დაუწყებთ მომხდარის გადაბრალებას. ამჯერად, ეგეც აღარ გიშველით. ყაენის ოჯახის წევრების მოკვლისთვის წამებით ამოგხდით სულს! — მუქარით წამოისროლა მონღოლმა.

— თუ ასეა, რაღას გვაწვალებთ. მოიქნიე ეგ ხმალი და ყველაფერი დამთავრდება! — შესძახა ჰასანმა. — მაგრამ ვიდრე მომკლავდე, ერთ კითხვაზე მიპასუხე: ჩემი ხალხის სიცოცხლის გამოსყიდვა თუ შემიძლია?

— რით?! — ჩაიცინა მონღოლმა. — შენ არაფერი გაბადია: არც ქარავანი, არც ქონება და არც ოქრო!

— დრო მომეცით. ჩემი ხალხი ბადახშინში დაბრუნდება და გამოსასყიდს ჩამოიტანს. მანამდე კი მე თქვენი მძევალი ვიქნები, — შესთავაზა ჰასანმა.

— ვაჭრობა გყვარებია, მაგრამ მაგითაც ვერ დაიხსნი თავს. შენი ბედი, რომ ბატონმა თქვენი ცოცხლად მიყვანა ბრძანა. ჩემი ნება რომ იყოს, აქვე დაგაყრევინებდით თავებს! — კბილები გააღრჭიალა მონღოლმა და ჰასანს გაშორდა.

— რა თქვა?.. რას გვემართლებიან? — ჰასანს ჰკითხა მუროჩიმ.

— ვერაფერს მივმხვდარვარ. თუ ჩვენი გაძარცვა ჰქონდათ ჩაფიქრებული, ამას კარვების ქალაქშიც მოახერხებდნენ. მოკვლა თუ უნდათ, რა უშლით ხელს?! — ხელფეხგაკოჭილებს იოლად მოგვიღებენ ბოლოს. ეს მონღოლი კი კარავთა ქალაქში დაბრუნებითა და ყაენის სასამართლოთი იმუქრება. ამბობს, რომ მსტოვრები ვართ და შიმ ჩვენი დავალებით ამოხოცა ყაენის ძმის ოჯახის წევრები.

— რა სიგიჟეა!.. რისთვის უნდა ამოეხოცა მონღოლები შის? — გაუკვირდა მუროჩის.

— სიგიჟეა თუ სიმართლე, ჩვენი ბოლო მაინც ერთი იქნება — კარვების ქალაქში დაგვაბრუნებენ, თავებს დაგვაყრევინებენ და მტერთა დასაფრთხობად, მარგილებზე აღმართავენ... — ჰასანმა გვიდოს გახედა, რომელიც პირქვე ჩამხობილიყო მიწაში და ყრუდ გმინავდა. — საბრალო ყმაწვილი, თავი მაღლა ვერ აუწევია, გუელმოს თავი რომ არ მოჰყვეს თვალში. ის კი არ იცის, რომ ხვალ ყველა მაგ დღეში აღმოვჩნდებით!

— არა... ეგ არ მოხდება. იმისთვის კი არ გამოვიარე ამხელა გზა, რომ წვირიანმა თათარმა ცხვარივით გამომჭრას ყელი... — ბრაზით წამოისროლა მუროჩიმ და მაჯები ჰასანს მიუშვირა: თოკი გადაღრღენიო.

დიდხანს იწვალა ჰასანმა, მაგრამ ამაოდ. ცხენის ძარღვებისგან საგანგებოდ დაწნული წვრილი თოკი არ დანებდა. ბოლოს გვერდზე გადავარდა, მოწმენდილ ცაზე გაფანტულ ვარსკვლავებს მიაპყრო მზერა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— მორჩა, ფხოველო, მთელი წელიც რომ ვღრღნა ეგ თოკი, არაფერი გამოვა. ეტყობა, კარგად იციან თავიანთი საქმე ამ წუნკლებმა. სიკვდილი არ მაშინებს, მაგრამ არ მინდა, ასე ცხვარივით ხელფეხგაკოჭილმა დავტოვო ეს ქვეყანა. შენი და ჩემი ხალხის ცოდვაც თან გამყვება. მე ჩამოგიტყუე ამ ჯოჯოხეთში. მარტო ერთი რამ მრჩება იმედად: იქნებ, ყაენი „მოვაღორო“ და ოქროზე დახარბებით, შენ და გვიდო მაინც გიხსნათ?!

— ვიდრე ცოცხლები ვართ, არაფერი დამთავრდება, — კბილები გააღრჭიალა მუროჩიმ, — მაგაზე ფიქრი კი ახლავე ამოიგდე გონებიდან. აქედან ან ერთად გავაღწევთ ან ყველა ერთად დავიღუპებით.

— რის იმედად ამბობ მაგას? — ამოიოხრა ჰასანმა. — ხელ-ფეხი გაკოჭილი გვაქვს. თავს ორი ასეული მონღოლი გვადგას. ირგვლივ ჩვენთვის უცნობი სტეპია. ახლა მონღოლებმა რომც გამათავისუფლონ, გზასაც ვერ გავიგნებ. შენ კი ამბობ, ჯერ არაფერი დამთავრებულაო.

— მას შემდეგ, რაც ერთად თუ ცალ-ცალკე გადავიტანეთ, ასე უბრალოდ ვერ მოვკვდებით. ახლა არ ჩანს საშველი, მაგრამ გამოჩნდება... აუცილებლად გამოჩნდება. ღმერთი არ გაგვწირავს, — უპასუხა მუროჩიმ, — ასე იყო, როცა სელჩუკებმა დამატყვევეს. თითქოს არ ჩანდა საშველი, მაგრამ მაინც დავიხსენი თავი. არც ბაღდადის სასამართლოში ჩანდა საშველი, მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ. იმ მღვიმეშიც შეიძლებოდა გაყინვა. იქაც გადავრჩით. თოვლსა და ყინულში გავიკვლიეთ გზა და აქამდე მოვაღწიეთ. მოკვდება ის, ვისაც საკუთარი ბედისწერისა არ სჯერა!

— იქნებ, ესაა ჩვენი ბედისწერა? — ამოიოხრა ჰასანმა. — გუელმოც დარწმუნებული იყო, რომ ცინს ჩააღწევდა და მშობლიურ ვენეციაშიც დაბრუნდებოდა და რა გამოვიდა აქედან? მოკვდა და ახლა მისი თავი მონღოლ მეომარს წამოუგია შუბზე... ყოველთვის მომწონდა შენი უდრეკობა, მაგრამ ახლა...

— ნუ იტყვი, მაგას! — მკაცრად თქვა მუროჩიმ. — გაიხსენე კარანაუსელები და ისიც გაიხსენე, როგორ გადარჩი ცოცხალი!

ვიდრე მუროჩი და ჰასანი ჩურჩულებდნენ, მონღოლებმა ვახშმობა დაამთავრეს და საძილედ მიეყარნენ. ზოგი პირდაპირ კოცონთან დაწვა, ზოგი — ოდნავ მოშორებით. ფეხზე ოთხი მეომარი დარჩა. მათ უნდა ედარაჯათ ბანაკისთვის, ვიდრე გამოძინებული მეომრები არ შეცვლიდნენ. გუშაგებმა უნაგირები კოცონსა და ტყვეებს შორის დადგეს, ჩამოსხდნენ და საუბარი წამოიწყეს. დროდადრო ერთი მათგანი დგებოდა, ბანაკს გარშემო უვლიდა და მერე ისევ ამხანაგებთან ბრუნდებოდა. ნელ-ნელა, გუშაგებმა ბანაკის შემოვლას უკლეს, ბოლოს კი ძილმორეულებმა შუბებზე ჩამოდეს თავები და ხვრინვა ამოუშვეს. ამის დანახვაზე მუროჩი გამოცოცხლდა, ჰასანს გვერდზე მიეკრა და კბილებით საბელს ჩაეჭიდა. საკმაოდ დიდხანს ეწვალა, მაგრამ მარილში გამოყვანილ ცხენის ძარღვებს ვერაფერი დააკლო. ის იყო, იმედი გადაეწურა, რომ ახლოს მდებარე ბორცვზე ფრთხილად მოძრავი ლანდი შენიშნა. თავიდან იფიქრა, — მგელი ან ტურა იქნება, ალბათ ბანაკის გარშემო მიმოყრილმა ცხვრის ძვლებმა მიიზიდაო, — მაგრამ ლანდი უჩვეულოდ მოძრაობდა, ფრთხილად, უხმაუროდ მიიწევდა უნაგირებზე ჩამომჯდარი გუშაგებისკენ. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს ხვრინვა შეეწყვიტა, რომ ლანდი უმალ გაქვავდებოდა და მერე ისევ ფრთხილად განაგრძობდა ცოცვას. „ეს ნადირი არ არის. ადამიანია და გუშაგებს ეპარება“, — გაიფიქრა მუროჩიმ.

ამასობაში, აჩრდილი გუშაგებს მიუახლოვდა, მცირე ხნით გაირინდა, მერე უეცრად წამოიწია და მარჯვენა ორჯერ ზედიზედ მოიქნია. მუროჩის სტვენის ხმა ჩაესმა. ხმა ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც ისარი გამოსცემს. სტვენას ტყაპანის მაგვარი ხმა მოჰყვა. ორი გუშაგი უმალ უკან გადავარდა და მიწაზე აფართხალდა. ამ დროს, აჩრდილი ელვისებურად მოსწყდა ადგილს და მძინარე გუშაგებისკენ გავარდა. ბნელოდა, მინავლებული კოცონი იქაურობას ოდნავ ანათებდა, მაგრამ მუროჩიმ მაინც მოჰკრა თვალი, როგორ იელვა მახვილმა და გუშაგის თავი როგორ გაგორდა მიწაზე. მას მეორე გუშაგის თავიც მიჰყვა. თავმოკვეთილი გუშაგები უნაგირებიდან ჩამოცვივდნენ და აფართხალდნენ. აჩრდილი უმალ ზემოდან დააწვა ორივეს, რათა მათ ხმაურს მძინარე მონღოლები არ გაეღვიძებინა. იქამდე აკავებდა, ვიდრე გუშაგებმა ხროტინი და ფართხალი არ შეწყვიტეს. მერე გვამებს მოშორდა, ყურადღებით შეათვალიერა კოცონის სიახლოვეს მიმოყრილი მონღოლები და როგორც კი დარწმუნდა, რომ ყველას ეძინა, უხმაუროდ გაცოცდა ტყვეებისკენ. სულ მალე მათ გვერდით იყო. უცნობს ერთი სიტყვაც არ უთქვამს. სათითაოდ ჩამოუარა ტყვეებს, ხელ-ფეხი საბლებისგან გაუთავისუფლა და ანიშნა — გამომყევითო. ტყვეებს მისი წაქეზება არ დასჭირვებიათ, როგორც კი თავისუფლება იგრძნეს, თავად გახოხდნენ უახლოესი ბორცვისკენ. მხოლოდ იქ მიეცათ მოულოდნელად გამოჩენილი მაშველის შეთვალიერების საშუალება. ეს მათი მეგზური — ში იყო.

— შენ ხარ? — გაოცებით აღმოხდა ჰასანს, როდესაც მეგზურმა სახეზე ნიღბად აფარებული ჩალმის ბოლო მოიშორა.

— სხვას ვის ელოდი, ბატონო?.. მთელი დღე გი-

თვალთვალეთ და მარტო ახლა მომეცა თქვენი გათავისუფლების საშუალება.

— შენ ჩვენ კი არა, საკუთარი სიკვდილი გაათავისუფლე, ავაზაკო. შენ გამო მოხდა ყველაფერი! — გვიდო ყელში სწვდა შის. — შენ რომ არა, არაფერი მოხდებოდა და მამაჩემი ცოცხალი იქნებოდა!

ში მკვეთრად შებრუნდა, ყელი მისი ხელებისგან გაითავისუფლა და მერე თქვა.

— ბოღმას ჩემზე ნუ ანთხევ, ბატონო. მე თქვენთვის ცუდი რომ მნდომებოდა, აქ არ მოვიდოდი, საერთოდ დავივიწყებდი თქვენს არსებობას და მშვიდად გავაგრძელებდი გზას.

— მოგკლავ... შენ სიცოცხლე არ გიწერია! — ბრაზით გაიმეორა გვიდომ და ქამარი მოისინჯა, სადაც ხანჯალი ეგულებოდა.

— მშვიდად, ახალგაზრდა ბატონო. წყალს ნუ გაატან ჩემს წვალებას. მონღოლებმა თუ გაიღვიძეს, ველარაფერი გვიშველის, ყველას ამოგვხოცავენ! — ჩაილაპარაკა შიმ. — თანაც ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მონღოლების გაღვიძებამდე უნდა გავეცალოთ აქაურობას, ცხენები კი არ გვყავს. უკან, მონღოლთა ბანაკში უნდა დავბრუნდეთ და ცხენები გამოვრეკოთ!

— ჩვენიცა და მათიც, — ჩაურთო მუროჩიმ.

— მართალი ხარ, — თავი დაუქნია მეგზურმა, — ამხედრებულები დაგვდევნებიან და მალე წამოგვეწევიან... ვინ გამომყვება ბანაკში?.. მარტო ვერ გავართმევ თავს.

— ყველა ერთად წავალთ! — სწრაფად თქვა გვიდომ.

— ბევრი ხალხი, ბევრი ხმაურია! — შენიშნა შიმ.

— იქ მამაჩემია! — კბილების ღრჭიალით ჩაილაპარაკა გვიდომ და ვიდრე ში რამეს იტყოდა, ბექობზე დაეშვა. მექარავნეებიც უკან მიჰყვნენ.

მონღოლთა ბანაკს ისევ მშვიდად ეძინა. ვერავინ შენიშნა გუშაგთა დახოცვა და ტყვეების გათავისუფლება. მექარავნეებმა მშვიდად ჩაუარეს მძინარე ბანაკს და ცხენებს მიუახლოვდნენ, რომლებიც გრძელი საბლებით ერთმანეთზე გადაებათ მონღოლებს. საბედნიეროდ, მათი ცხენებისთვის უნაგირები არ აეხსნათ. ცხენები ჩუმი ფრუტუნით შეეგებნენ პატრონებს. ახლა მექარავნეებს ველარაფერი შეაჩერებდა, იოლად გაეცლებოდნენ იქაურობას და მონღოლთა ცხენებსაც გაირეკავდნენ, მაგრამ მანამდე კიდევ ჰქონდათ საქმე მოსაგვარებელი: პირველ რიგში, უნდა დაებრუნებინათ იარაღი, რომელიც მონღოლებმა აჰყარეს. ეს იარაღი მონღოლთა მეთაურს საკუთარ ალაფად მიაჩნდა და ტყავის ტომარაში ჩაყრილი, თავის კარავთან დაედო; და მეორე — ვიდრე მამის სისხლს არ აიღებდა, გვიდო იქიდან ფეხის მოცვლას არ აპირებდა.

ვიდრე ჰასანი, ისა და ში მონღოლთა ცხენებს დასტრიალებდნენ, მუროჩი და გვიდო ცხენდაცხენ მიუახლოვდნენ მეთაურის კარავს. მუროჩიმ იარაღით სავსე ტომარა უნაგირს მიამაგრა. გვიდომ კი მამის თავი აკანკალებული ხელებით ჩამოხსნა შუბიდან და ტყავის ტომარაში შეინახა. ამის მერე, შურისძიების დროც დადგა, მაგრამ გვიდოს არ სურდა მძინარე მონღოლის მოკვლა და გამოსაფხიზლებლად მოსისხლეს მახვილი გამეტებით ატაკა ბარძაყში. მონღოლი უმალ გამოფხიზლდა. ფეხზე წამოიჭრა და გაოგნებული მზერა მიაპყრო თავდამსხმელს. გვიდომ გონს მოსვლა არ აცალა. ელვისებურად შემოუქნია ხმალი და თავი წააგდებინა. მერე კი ცხენიდან გადაიხარა. მონღოლის თავს გრძელ თმაში სწვდა, აიტაცა და იმავე შუბზე წამოაგო, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ მამამისის თავი ჩამოხსნა.

ამჯერად მონღოლებს ხმაური არ გამოჰპარვიათ. ახლოს მყოფებმა გაიღვიძეს და როგორც კი თავმოკვეთილ მეთაურს მოჰკრეს თვალი, შიშით აღრიალდნენ.

— ჰეა, მაგათ! — წამოიყვირა მუროჩიმ და თავის მგლისსახიანი გორდათი დაერია მოსისხლეებს.

— განგაში!.. თავს დაგვესხნენ!.. — დამფრთხალი მონღოლები ყვირილით მოედვნენ ბანაკს. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მონღოლებს ცხენები არ ჰყავდათ, მაგრამ ფეხდაფეხ შეეძლოთ ბრძოლა. მშვილდსაც მოიხმარდნენ, შუბსაც და ხმალსაც. მაგრამ მექარავნეებს ამისთვის აღარ დაუცდიათ, ცხენებს დეზი ჰკრეს, ბანაკს გაეცალნენ და მონღოლთა ცხენებიც თან გაირეკეს. ყველაზე თავგამოდებულმა მონღოლებმა მაინც სცადეს დადევნება, მაგრამ როგორ უნდა დასწეოდნენ დასვენებულ, ფეხმარდ ბედაურებზე ამხედრებულ მექარავნეებს?! ირბინეს იმდენი, რამდენიც შეძლეს. მერე კი შეჩერდნენ და წყევლა-კრულვა დააყარეს მექარავნეებს, რომლებიც მალე მიეფარნენ თვალს.

მექარავნეებმა ცხენები გათენებამდე შეუსვენებლად აჭენეს, რათა რაც შეიძლებოდა დიდი მანძილით დაშორებოდნენ მონღოლთა ბანაკს. მათი შიში არც ჰქონდათ, ფეხდაფეხ ვერ წამოეწეოდნენ, მაგრამ შეიძლება, მონღოლთა სხვა რაზმს გადასწყდომოდნენ და ვინ იცის, რა მოხდებოდა მაშინ. მონღოლებს თავისთავად დააეჭვებდათ მონღოლური ცხენების რემა, რომელსაც ისინი მიერეკებოდნენ. მათთან შეტაკება კი მექარავნეთა მცირერიცხოვანი რაზმის განადგურებით დამთავრდებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, შიმ სხვა მიმართულებით გარეკა ცხენები და მერე სტეპში მიატოვა. ახლა ცხენებს შეეძლოთ, ნებისმიერი მიმართულებით წასულიყვნენ. ში დარწმუნებული იყო, გონიერი არსებები ნაცნობი გზებით მიბრუნდებოდნენ ბანაკში, სადაც პატრონები ეგულებოდათ.

გამთენიისას შიმ თანაგზავრები მდინარისპირა კორომში შეიყვანა. უცნაური სანახავი იყო ის ტყე: ასწლოვან მუხას და წიფელს ცისკენ აეტყორცნა ხავსმოდებული ტოტები. ისეთი ხშირი ფოთოლი ესხა, რომ კორომში თითქმის ბნელოდა. შესანიშნავი ადგილი იყო თავის შესაფარებლად. კორომში დამალულთ ვერავინ შენიშნავდა, თავად კი სტეპში გამოჩენილი არც ერთი მხედარი არ გამოეპარებოდათ.

— ახლა გავასწოროთ ყველა ანგარიში! — ფიცხლად შესძახა გვიდომ და შის ჯიქურ ჩააცქერდა სახეში.

— რა სურს ბატონს? — მშვიდად ჰკითხა შიმ.

— შენი მიზეზით დაიღუპნენ მამაჩემი, ვენეციელი მსახურები და ჰასანის ღულამები... დავკარგეთ საქონელი. მხოლოდ ხმლების ამარა დავრჩით! — განაგრძო გვიდომ.

— მე არაფერი დამიშავებია თქვენთვის. მამაშენი და მსახურები მონღოლებმა დახოცეს და ამისთვის მე უნდა მაგებინოთ პასუხი?! — გაიკვირვა შიმ.

— შენ გამო გვიმტრეს მონღოლებმა,

— საუბარში ჰასანი ჩაერთო, — მათ თქვეს, რომ შენ ყაენის ძმა და მისი ოჯახის წევრები ამოხოცე!.. მართალია ეს თუ — არა?

— მართალია, — თავი დაუქნია შიმ.

— წყეულიმც იყავ, ავაზაკო! — გააფთრებულმა შესძახა გუელმომ და მახვილზე იტაცა ხელი. — შენ მონღოლები დახოცე, მათ კი ჩვენზე იძიეს შური.

— შურისძიება ადვილია, მაგრამ ამისთვის ყველაზე მცირე, ის მაინც უნდა იცოდე, რისთვის იძიებ შურს. მონღოლებმა ეს არ იცოდნენ და ამიტომაც არიან ბრიყვები და ველურები, რომლებსაც სისხლის ღვრა ყველაფრის წამლად მიაჩნიათ. შენ როგორ ფიქრობ, ბატონო, რამეს შეგმატებს ჩემი სისხლი?

— შემმატებს!.. ჰო, შემმატებს. მოგკლავ და მეცოდინება, რომ მამის სიკვდილი არ შეგარჩინე!

— მაგრამ მე მამაშენისთვის არაფერი დამიშავებია. ერთგულად ვემსახურე, ვიდრე შემეძლო და როცა თქვენი სამსახური ველარ შევძელი, მშვიდად გაგეცალეთ.

— რატომ მიგვატოვე კარვების ქალაქში?.. სად გაქრი?! — ჰკითხა ჰასანმა.

— ჩემი ნამდვილი ბატონი მოვძებნე — ის, ვის გამოც სიცოცხლეს არ დავიშურებდი! — უპასუხა შიმ.

— ვინაა ის ბატონი? — ჰკითხა ჰასანმა.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ჯობს, თქვენს მომავალზე ვილაპარაკოთ. შემეძლო, პირდაპირ მანჯუსკენ გამეგრძელებინა გზა. ასეც მოვიქცეოდი, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, რომ მონღოლები არაფერს დაგიშავებდნენ. ამისთვის მოვბრუნდი უკან. მოვბრუნდი და შორიდან გადევნებდით თვალს. მონღოლთა რაზმის მოახლოება თქვენზე ადრე შევნიშნე. მათი სიმრავლე იმაზე მიმანიშნებდა, რომ ისინი შურისმაძიებლები იყვნენ. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ არაფერს დაგიშავებდნენ, დაგატყვევებდნენ და უკან მოგაბრუნებდნენ. თქვენ იარაღზე რომ არ გაგევლოთ ხელი, ასეც მოხდებოდა, იმ ღამით მაინც გაგათავისუფლებდით, მაგრამ თქვენ ბრძოლა არჩიეთ და იმ შეტაკებაში თქვენი ამხანაგები დაიღუპნენ. ეს იყო გუშინ და ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ რა მოხდება ხვალ...

— რადგან დაიწყე, ბოლომდეც თქვი, — ჩაურთო ჰასანმა, — შენ რას გვთავაზობ?

— ვიდრე თქვენს პასუხს არ მოვისმენ, ვერაფერს შემოგთავაზებთ.

— მასთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა, ჰასან! — ბრაზით შესძახა გვიდომ. — როგორ უნდა ვენდოთ კაცს, რომელმაც ერთხელ გვიღალატა?!

— მერე კი უკან მობრუნდა და ყველა გადაგვარჩინა, — შენიშნა ჰასანმა.

— მაგრამ მაგას ჯერაც არ უთქვამს, რატომ დახოცა მონღოლები?.. რისთვის გადაიმტერა მთელი მათი მოდგმა?

— ამაში მართალი ხარ, — ჩაილაპარაკა ჰასანმა და შის მიუბრუნდა, — თუ გინდა, გენდოთ, თავად უნდა გვიამბო, რა მოხდა კარვების ქალაქში.

— გიამბობთ, მაგრამ გაფრთხილებთ: თუ დროზე ადრე, უცხო ადამიანთან გაამჟღავნებთ მომხდარს, ყველას ისევე ამოგხოცავთ, როგორც ის მონღოლები მოვკალი! — თქვა შიმ.

— რაო?! — აღელდა გვიდო. — იმის მაგივრად, რომ მუხლებში ჩაგვივარდეს და შეწყალება გვთხოვოს, აქეთ გვემუქრება!

— მე არასდროს ვიმუქრები. ვამბობ იმას, რაც მოხდება! — ცერად გახედა შიმ.

— მოიცადე, გვიდო, — ჩაერია მურროჩი, — მის მოკვლას ყოველთვის მოასწრებ. ჯერ თქვას სათქმელი, თავი იმართლოს.

— მე არ ვარ გამცილებელი და არც ქარავნები მიტარებია ამ გზებით. ჩემი სახელი იცით — ში ცზუნი, ცინის იმპერატორ ტან დაი ცზუნის ნახევარძმა!..

— ცინის იმპერატორის ძმა?! — სუნთქვა შეეკრა ჰასანს.

— ნახევარძმა... ხარჭისგან შობილი და მემკვიდრეობას მოკლებული, — დააზუსტა შიმ.

— გონებას გვირევს. სად გაგონილა, იმპერატორის ძმას, თავლაში ეძინოს და მხოლოდ საჭმლისთვის მოსამსახურედ დაუდგეს ვინმეს? — ეჭვით თქვა გვიდომ.

— ვინმემ რომ შემოგთავაზოს, მემსახურე და მამას გაგიცოცხლებო, როგორ მოიქცეოდი? — გახედა შიმ.

გვიდომ დუმილით უპასუხა.

— ახლა მაინც მიხვდით ჩემი დამდაბლების მიზეზს? — განაგრძო შიმ.

— ვერა... შენი მიკიბულ-მოკიბულიდან ვერაფერი გავიგეთ, — თქვა ჰასანმა, — დალაგებით აგვიხსენი, რატომ ხარ აქ და რისთვის გადაიმტერე მონღოლები?

— ბადახშინში ტანის უკანასკნელ ნაშიერთა მოსაძებნად ჩამოვედი — მათ საძებნელად, ვისაც ეკუთვნის ცინის იმპერატორთა ტახტი. მთელი გზა მათ ძიებაში გავატარე და ბოლოს კარვების ქალაქში, ველურ მონღოლთა მონობაში მივაგენი მათ კვალს. ის ბრიყვები ვერასოდეს მიხვდებიან, რომ ცინის საუკეთესო შვილები წყალს ასმევდნენ მათ ცხვარს... მე ვინმეს მოკვლა არ მინდოდა. ყაენის ძმას მათი გამოსყიდვა შევთავაზე. ათჯერ... ორმოცდაათჯერ... ასჯერ მეტი ოქრო შევთავაზე, ვიდრე ერთი მონა ღირს. ამ ფასად მთელ რემას ან უზარმაზარ ფარას შეიძენდა. ამან დააეჭვა მონღოლი. ნაკლები რომ შემეთავაზებინა, იქნებ მართლაც დაეთმო ტყვეები, მაგრამ მისმა ველურმა გონებამ სხვა რამ უკარნახა: წაართვი ოქრო და ის ოქროც შენ დაგრჩება და ტყვეებიცო. ასე მოხდა დავა. მე დასაკარგავი აღარაფერი მქონდა — ან ტყვეებთან ერთად უნდა წამოვსულიყავი იქიდან, ან მოვმკვდარიყავი. ჩემს სიკვდილს, მათი დახოცვა ვამჯობინე. ყაენის ძმა და მისი ოჯახის წევრები ამოვხოცე და ტყვეები გავიტაცე. თქვენთან კი იმიტომ აღარ მოვედი, რომ მონღოლებს თქვენზე არ მიეტანათ ეჭვი, — ში ცოტი ხნით დადუმდა და მერე განაგრძო, — მე ჩემი სათქმელი გითხარით. ახლა თქვენი ჯერია. რას აპირებთ?

— რას უნდა ვაპირებდეთ? — მხრები აიჩეჩა ჰასანმა. — ახლა მარტო ერთზე უნდა ვიფიქროთ, მონღოლებმა არ მოგვიხელთონ.

— მაშინ მე მისმინეთ, — განაგრძო შიმ, — მე მარტო ვარ და მემკვიდრეების მანჯუში ჩაყვანა ძალიან გამიჭირდება, მით უმეტეს მაშინ, როცა მონღოლები ნამდვილ ნადირობას გამოაცხადებენ ჩვენზე. თქვენზე უკეთეს მცველებს ვერც კი ვინატრებ, თქვენ არ მენდობით, სამაგიეროდ, მე მოგენდობით ყველაფერში, განდობთ ყველაზე ძვირფასს, რაც ცინს გააჩნია — ტახტის მემკვიდრეებს. დამეხმარეთ მანჯუში ჩასვლაში და პირობას გაძლევთ, იქიდან უმდიდრესი ადამიანები გამობრუნდებით!.. ესაა ჩემი სიტყვა და გპირდებით, ყოველ სიტყვას ავასრულებ! თუ ჩემი პირობა თქვენთვის მიუღებელია, დროს ნუღარ დავკარგავთ, აქვე დავშორდეთ ერთმანეთს. მე ჩემი გზით წავალ, თქვენ — თქვენი გზით!

— სად არიან მემკვიდრეები? — ჰკითხა ჰასანმა.

— თქვენ ჯერ არ გითქვამთ, იღებთ ჩემს პირობას თუ — არა!

— სხვა რა გზა გვაქვს?! მეგზურის გარეშე მაინც ვერ გავიგნებთ გზას, — ამოიოხრა ჰასანმა, — იყოს ასე. ჩვენ შენთან ერთად წამოვალთ.

— კეთილი, — ჩაილაპარაკა შიმ. მერე ხშირ ბუჩქნარში მიიმალა. უკან მობრუნებულმა კი ძონძებში გამოხვეული ქალ-ვაჟი მოიყვანა და თქვა:

— იცნობდეთ, ბატონებო... თქვენ წინაშეა ცინის იმპერატორის პირდაპირი მემკვიდრე ტან გაუ ცზუნი და ცინის პრინცესა მეი ცზუნი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოდას აყოლილი ბაბუ და მოტაცებული შინაბერა

„იმდენი ჯურცყი, ხორცსაკეპში გაცარიელებულს დაემსგავსა"

ძველად ქალის მოტაცებას ვაჟკაცობად მიიჩნევდნენ — ვაჟები გულის სწორებს გოგოს ნაბადში გაახვევდნენ და ცხენით გაიტაცებდნენ ხოლმე. დროთა განმავლობაში მოტაცების მეთოდები იცვლებოდა. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ, შეყვარებულები ცხენებს აღარ კადრულობდნენ, საყვარელ ადამიანს მანქანით „ჩაუწუილებდნენ" და ზედ ფეხებთან „დატორმუზების" შემდეგ, ბიჭები ძმაკაცის საცოლეს ჩაავლებდნენ ხელს და ვინ იცის, საცოდავ სუსტი სქესის წარმომადგენელს თავს სად მიარტყმევინებდნენ. მაგრამ ეგ არაფერი, სასიძოსთვის მთავარი გახლდათ, მის ძმაკაცებს გოგოსთვის უხერხულ ადგილას არ წაეცლოთ ხელი, თორემ როგორც ამბობდნენ, — თავს არ იცოცხლებდნენ... დღესდღეობით, მოტაცება სასაცილო თემად იქცა და გოგონები ბიჭებს ამ საქციელს უწუნებენ, მაგრამ მსგავსი რაღაცები ჩვენში მაინც ხდება და სხვათა შორის, არცთუ ისე იშვიათად. ისეთი შემთხვევების შესახებაც მსმენია, როცა „მსხვერპლი" ბიჭი ყოფილა.



ლიკა ქაჯაია

თეო, *17 წლის:*

„იცით, ბაბუას ბებია რატომ შეურთავს? იმიტომ, რომ მაშინ მოტაცება მოდაში იყო და ბაბუას უნდოდა, მოდის ტენდენციებს არ ჩამორჩენოდა. ჰოდა, როცა მის სოფელში ქალაქელი გოგო ჩავიდა, მაშინვე ხელი სტაცა. აბა, თანასოფლელს ამას როგორ აკადრებდა?! ერთხელ ბაბუს ვკითხე, — იმ პერიოდში ქალაქიდან სხვა გოგოც რომ ჩამოსულიყო, როგორ მოიქცეოდი-მეთქი? მიპასუხა, — მაშინ არჩევანის საშუალება მექნებოდაო. სხვათა შორის, ბებოც ყოველთვის წყევლიდა იმ დღეს, როცა მოიტაცეს, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ყველაფრით სჯობდა — ჭკუა-გონებით, გარეგნობით და ოჯახური მდგომარეობითაც. სასაცილო ისაა, რომ მეუღლე ბაბუს სოფლელს ეძახდა... ეს ამბავი იცით, რამ გამახსენა? — რამდენიმე დღის წინ ჩემი მოტაცება ქალაქელმა ბიჭმა დააპირა. ხომ ხედავთ, სიტუაცია როგორ იცვლება :)) ჰოდა, იმ ბიჭს ეშმაკობას მივუხვდი და იცით, იმ დღეს რა მოხდა? — მან სხვა გოგო მოიტაცა, მე კი შემომითვალა, — რა ფეხები გაფშიკე, გეგონა, შენ გარდა ქვეყნად ქალი არ არსებობდაო?.. ამიხსენით, მოტაცება ისევ მოდაშია და ჩემი ცოლად შერთვა მხოლოდ ამიტომ განიზრახა?.."

ლიკო, *27 წლის:*

„რამდენიმე დღის წინ, ჩემი მეზობელი მოიტაცეს. ის ქალბატონი, იცით, რამდენი წლის იყო? — 68-ის და თანაც, 4 შვილის დედა გახლდათ. მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა ქვეყანა შეძრეს, სასიძოს წინაალმდეგ მთელი სანათესაო დაირაზმა, მაგრამ მერე შერიგდნენ და ის კაცი შინ დაპატიჟეს. თურმე, კაცს ქალი წლების განმავლობაში უყვარდა, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავდა. მერე ნაზიკო ბებო გათხოვილა და მისი თაყვანისმცემელი მშრალზე დარჩენილა. ამბაკო ბაბუას ცოლი არ შეურთავს და როცა მისი „შეყვარებული" დაქვრივდა, იმედის ნაპერწკალი ჩაესახა — ქალს სიყვარული აუხსნა, მაგრამ დადებითი პასუხის ნაცვლად, წყევლა-კრულვა მიიღო. ამბაკომ ნაზიკოს მოტაცება ამიტომაც განიზრახა და ქალი საკუთარი ჯიპით გაიტაცა. ნაზიკოს შვილებმა მამინაცვალს შეცოდება იმიტომ მიუტევეს, რომ ფულიანი მასტია, მე კი ამ ამბის შემდეგ ყურებჩამოყრილი დავდივარ. რატომ? ახალგაზრდა გოგო უსიყვარულოდ ვჭკნები, ლამის შინაბერა დამიძახონ, 70 წელს მიღწეული ქალი კი გათხოვდა, თანაც მოიტაცეს... ეჰ, ნეტავ, მეც მომიტაცებდნენ და ამით ჩემი საცოდავი მშობლებიც დამშვიდებოდნენ. ბიჭებო, თუ რაიმეს დამიპირებთ, წინასწარ შემატყობინეთ, რათა შიშისგან კივილი არ ავტეხო...

ლანა:

„ჩემმა ქმარმა რომ მომიტაცა, 15 წლის ვიყავი. ზვიადი არ მომწონდა, რადგან სხვა მიყვარდა. XXI საუკუნის ადამიანმა იცით, რითი მომიტაცა? — ცხენით. ეს იმერეთში მოხდა. ერთ ზაფხულს ზესტაფონში, ნათესავთან ჩავედი. ზვიადმა სწორედ იქ მნახა, მოვეწონე და დამელაპარაკა, მაგრამ როცა უარი მიიღო, მითხრა — იცოდე, მხოლოდ ბედნიერებას გისურვებო! მეორე დღეს ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარა. ის ჩვენთან ცხენით მოვიდა და გასეირნება შემომთავაზა. ცხენზე არასდროს ვმჯდარვარ და გასეირება ძალიან მომინდა. ზვიადმა ცოტა ხანი მასეირნა, მერე კი ცხენი მთელი სისწრაფით გააჭენა და რამდენიმე საათში ბათუმში ამოვყავი თავი... ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. ქმარმა შეძლო და თავი შემაყვარა, მაგრამ მაინც, მიმაჩნია, რომ ბიჭები ცუდად იქცევიან, როცა გოგონებს იტაცებენ. ვერ ვხვდები, მათ რა გარანტია აქვთ, რომ შეიყვარებენ?.."

გიო, *20 წლის:*

„ძმაკაცს გოგოს მოსატაცებლად გავყევი. მითხრა, — გოგო თანახმაა, უბრალოდ, მშობლების ეშინია და გათხოვება ამიტომაც არ უნდაო. რა თქმა უნდა, უარი ვერ ვუთხარი. გოგოს უნივერსიტეტთან დავუდარაჯდით და როცა გამოვიდა, ხელი ვტაცე. მას არც უკივლია და ვიფიქრე, ალბათ ჩემი ძმაკაცი მართლა უყვარს-მეთქი, მაგრამ როგორც კი შეგვათვალიერა, იკითხა, — კი, მაგრამ ჩემი საქმრო რომელიაო? თურმე, გიას არც კი იცნობდა. როცა საქმრო ვუჩვენეთ (ის რატომღაც, წინ იჯდა), ხელჩანთა თავში უთავაზა და მანქანის გაჩერება მოსთხოვა. ვინაიდან სასიძო ხმას არ იღებდა და არც გოგონას დაწყნარებას ცდილობდა, ეს მისია მე ვიკისრე. ჰოდა, გიაც გამიბრაზდა, — რას ეფერები, ხომ არ მოგეწონაო? ძმაკაცი მანქანიდან გადმოვათრიე და იმდენი ვურტყი, ხორცსაკეპში გატარებულს დავამსგავსე, მერე კი გოგონა სახლამდე მივაცილე და ბოდიში მოვუხადე... ახლა ის გოგო თავად შემიყვარდა, მასაც ვუყვარვარ და მალე დაქორწინებას ვაპირებთ, მაგრამ არ ვიცი, ამ ამბავს ჩემი საძმაკაცო როგორ შეხვდება (ის ხომ გიას მოსწონდა?) ალბათ, ხელს მკრავენ. თუმცა, სიყვარული ყველაფერზე ძლიერი ყოფილა და საყვარელი ადამიანის გვერდით მყოფს, აღარაფრის მეშინია. თანაც, გულს იმით ვიმშვიდებ, რომ სინამდვილეში, გიას ჩემი საცოლე კი არ უყვარდა, არამედ მოსწონდა, გოგო კი საერთოდ არ იცნობდა. იმედია, ძმაკაცები (მათ შორის გიაც) გამიგებენ და ჩემს ქორწილშიც გულიანად მოილხენენ."

თიკო, *29 წლის:*

„ამას წინათ მომიტაცეს. ბიჭებმა მანქანაში რომ შემაგდეს, ვიფიქრე, — მეშველა-მეთქი და კივილის ნაცვლად, ხარხარი ამიტყდა. ბიჭებს შორის საქმროს ძებნა არ დამიწყია, გვერდით მჯდომს თავი მივადე და ლამის, გავაუპატიურე. ის უხერხულად რომ შეიშმუშნა, მივხვდი, რალაც შეცდომა დავუშვი და გავწითლდი. მიუხედავად ყველაფრისა, ამაყად ვიყურებოდი და წინასწარ ვტკბებოდი ჩემი ბედნიერებით. როცა წარმოვიდგინე, როგორი რეაქცია ექნებოდათ ახლობლებსა და დაქალებს, ჩემი მოტაცების ამბავს რომ შეიტყობდნენ, სიხარულის ურუანტელმა დამიარა, მაგრამ... რალაც მანძილის გავლის შემდეგ ბიჭებმა მანქანა გააჩერეს. ავტოში ვიღაც ბიჭმა შემოყო თავი და გაკვირვებულმა იკითხა, — ეს ვინაარ? თურმე, სასიძომ ძმაკაცებს სთხოვა „ბინძური" საქმის შესრულება, მათ კი საპატარძლო მე ვეგონე, რადგან თმა მეც ქერად მაქვს შეღებილი და ხელი მტაცეს. ეჰ, ყველაფერი წყალში ჩამეყარა. ბიჭებმა ბოდიში მომიხადეს და შემპირდნენ, — არ ინერვიულო, შინ მიგიყვანთო. უფ, რა შემატყვეს ნერვიულობის? ქალი გულში ვამბობდი, — მეშველა მე საცოდავს-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად მიხაროდა. ეს ამბავი (თქვენ გარდა) არავინ იცის, რადგან მეშინია, არ დამცინონ. თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მინდა, იმ ბიჭებს მივმართო — რას მერჩოდით? რა დამიწუნეთ? რატომ დამლუპეთ? რა იყო, არც ერთს არ მოგეწონეთ? რომელიმეს ბერბიჭა მეზობელი მაინც არ გყავდათ, მისთვის რომ მიგეგვარათ ჩემი თავი? მაგრამ არა, ყველაფერს ბედი უნდა. ბიჭებო, იცოდეთ, თქვენზე ნაწყენი ვარ და თუ ქუჩაში გადამეყარეთ, მოგკლავთ!"

ამ თემასთან და წინა ნომერში დაბეჭდილ წერილებთან დაკავშირებით თინეიჯერები გვწერენ:

სვანუკა:

„კაროჩე", ახლა ჩემს პრობლემაზე უნდა „გებაზროთ", ოღონდ გაფრთხილებთ, არ დამცინოთ. მოდი, ახლა ცოტას გაგამხიარულებთ, თორემ ძალიან მოიწყინეთ. ერთი სიტყვით, ვემესიჯები ერთ ძააალიან მაგარი სახელის ადამიანს, რომელიც ზონაზეა. ჰოდა, ეს ჩვენი „სტრაშნი" ძია მეხვეწება, სურათი „გამოუშვიო", მაგრამ ამას არ ვაკეთებ, რადგან ხომ იცით, იქ ცოტა სხვანაირი ადამიანები სხედან და სურათი რომ გავუგზავნო, იტყვის, — „ნი დასტოინია" და ყველაფერზე წამსვლელია, რადგან ამდენს ბედავსო. ხომ გამხიარულდით?"

კოკო:

„ლიკ, ძალიან გამიხარდა, მესიჯი რომ დამიბეჭდე. თქვენი რჩევები გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა. ჩემს ყოფილ საქმროს მივწერე, რომ არ მიყვარს და პატიება ვთხოვე იმისათვის, რომ საკუთარ გულსა და გრძნობებს ვერაფერი მოვუხერხე. იმედია, გამიგებს და ყველაფერს მაპატიებს. ჰო, იმის იმედიც მაქვს, რომ ოდესმე მეც მეწვევა ნამდვილი სიყვარული და იმას, რომ საქმროს დავშორდი, არასდროს ვინანებ... თქვენი ჟურნალის მეშვეობით გიოს პატიებას ისევ ვთხოვ და მინდა, იცოდეს, რომ ბედნიერებას ვუსურვებ"!

ლუციფერი (გიო), *18 წლის:*

„მინდა, მოგიყვეთ ის, თუ ვინ ვარ. არასდროს მიცხოვრია ისეთ ოჯახში, სადაც სიყვარული და სითბოა, ასეთმა ცხოვრებამ კი სიძულვილი მასწავლა, სატანად ვიქეცი, ტვინი „გადამენერგა". ჩემს სხეულში სადისტის სისხლი ჩქეფს. მე ვარ ადამიანი, რომელიც ყველაფერზე წამსვლელია. მინდა, ადამიანებს ტკივილი მივაყენო და ამის გამო, მეც სიკვდილი მომისაჯონ, რათა დამთავრდეს ეს დამპალი სიცოცხლე. ამ ყველაფერს თქვენ რატომ გწერთ? — იმიტომ, რომ ადამიანებთან კონტაქტი მომწონს. ასეთი რომ ვარ, არ ვნანობ, არ მინდა შევიცვალო. ჩემს ოჯახს „ვკიდივარ". ჰოდა, ვიფარფატებ მანამ, ვიდრე ვცოცხლობ. P.S. ლიკა, იმედია, არ „დამბლოკავ" და ჩემს ტკივილსაც გაიზიარებთ".

ნათი, *17 წლის (ათენიდან):*

„თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. „გზა" ძალიან მიყვარს და მის გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლია. თქვენი საშუალებით ბევრი რამ ვისწავლე და მინდა, კიდევ დიდხანს იარსებოთ. ძალიან მომწონს „გზის" რუბრიკები. მიხარია, ადამიანებს უანგაროდ რომ ეხმარებით და იმედს ვიტოვებ, ისინი ამას დაგიფასებენ. წარმატებებს გისურვებთ!"

ლელუკა:

„აღარ ვიცი, როგორ გამოვხატო ის სიყვარული, რასაც „გზის" მიმართ განვიცდი. თქვენ ბევრ რამეში გვეხმარებით და ამისათვის დიდი მადლობა. იცით, მთელი ჩემი სამეგობრო „გზას" კითხულობს. ჩვენ ამ ჟურნალს ყოველ ხუთშაბათს განვიხილავთ და ხშირად, ამ განხილვაში ჩვენი მასწავლებლებიც მონაწილეობენ. ღმერთმა დალოცოს თქვენი მარჯვენა. გაიხარეთ და გაგვახარეთ. გკოცნით".

„ძალიან ძძიმე ბავშვობა მქონდა"...

უცნობი:

„პრივეტ", ლიკ. დიდი მადლობა, „გზისთვის" ტკივილის გაზიარების უფლება რომ მომეცი. ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა. დედაჩემი მამას უსიყვარულოდ გაჰყვა, მასთან დიდხანს ვერ გაძლო და გაშორდა. დედას ინსულტი 3-ჯერ დაემართა, ახლაც წამლებს სვამს. მამაც ავადაა. მე დედასთან ვცხოვრობ. მართალია, მეგობრები მყავს, მაგრამ თავს მაინც მარტოსულად ვგრძნობ, რადგან მგონია, მათ ჩემთან ურთიერთობის რცხვენიათ. შეყვარებულიც არ მყავს. ზოგჯერ სიკვდილს ვნატრობ, მაგრამ დედ-მამა მეცოდება და თვითმკვლელობას ამიტომაც ვერ ვბედავ"...

„ჩემს ცხოვრებაში მასტორიალურად ძლიერი ბიჭი გამოჩნდა"

ანა:

„19 წლის მანძილზე 19 მილიონი რალაც მაკლდა. ახლა ჩემს ცხოვრებაში მატერიალურად ძლიერი ბიჭი გამოჩნდა, რომელსაც სიგიჟემდე ვუყვარვარ. ის არაფერს მაკლებს, ძვირად ღირებული ტელეფონიც მაჩუქა, მაგრამ მერწმუნეთ, ეს წვრილმანია. მართალია, ის ბიჭი არ მიყვარს, მაგრამ ფულის გამო, მის გვერდით თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. იცით, იმიტომ, რომ არ მიყვარს, თვალებშიც ველარ ვუყურებ. გემუდარებით, რამე მირჩიეთ. თქვენი დახმარება ჰაერივით მჭირდება".

P.S. მაშ ასე, თუ **უცნობისა** და **ანას** წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

„ძალიან პატარა ვიყავი, მშობლებმა რომ მიმატოვეს...“

„თუ ნარკომანი იქნები, არავინ გაგეკარება“

„გზის“ №46-ში დაიბეჭდა ლოლოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ 9 წლის ასაკში მამა დაკარგა და ცხოვრების ხალისიც გაუქრა. „ქუჩა იყო ჩემი სახლი... შემიყვარდა ადამიანი, რომელმაც ამქვეყნად დამაბრუნა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, გაურკვეველი მიზეზის გამო, დამშორდა“. ლოლო იმასაც გვწერდა, რომ შეყვარებულთან დაშორებამ ნარკომანისკენ უბიძგა და ჰგონია, რომ ბედნიერება არასდროს ელირსება“.

ფილა:

„რას ვიზამთ, ჩემო ლოლო, ცხოვრება არც ისე ტკბილია, იგი სავსეა სიმწარით. ზოგს მშობლები ჰყავს, მაგრამ რაღაც მაინც სტკივა. მთავარია, სასოწარკვეთილებას არ მიეცე და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. იცოდე, ამქვეყნად ბოლომდე ბედნიერი არავინაა. შეგამჩნიე, რომ სურვილი გაქვს, საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალო. გირჩევ, წუმპიდან ამოსვლის სურვილი სურვილად არ დატოვო. ხომ გაგიგონია, — კაცი იხრჩობოდა და ღმერთს სთხოვა, — დამეხმარეო. მან კი უპასუხა, — ხელი განაძრიე და გეშველებაო!“

GREEN GIRL:

„თუ იბრძოლებ, გამოსავალს ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვი, ახლა კი მხოლოდ უფალი გადაგარჩენს. ილოცე და ღმერთი სწორი გზის პოვნაში დაგეხმარება!“

ნატული 16:

„მეგობარო, იმედს ნუ დაკარგავ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ნამდვილად სასტიკია. იცი, რამდენიმე ხნის წინ, ჩემი უდანაშაულო ძმა დააპატიმრეს და გაბოროტებული ეკლესიამ გადამარჩინა. შენც ამავეს გირჩევ. უფალმა დაგლოცოს“.

ანისო:

„გენაცვალე, ლოლო. ნეტა, რამდენი წლის ხარ, ასეთი ცხოვრება რომ გაქვს? საინტერესო ადამიანი ჩანხარ. მჯერა, შენ ყველაფერს გაუმკლავდები. მერწმუნე, შენთან სიყვარულიც მოვა და ბედნიერებაც. მთავარია, საკუთარი თავის გჯეროდეს“.

ეფფაკუნა:

„შენი მესიჯი რომ წავიკითხე, გული მეტკინა. რთული ცხოვრება გქონია, მაგრამ მაინც, ხელი არ ჩაიქნიო. ეკლესიაში იარე და ცოდვები მოინანიე. უფალს ებარებოდე“.

ფილო:

„შენს უბედურებას უმამობას ნუ დააბრალებ. ძალიან პატარა ვიყავი, როცა მშობლებმა მიმატოვეს, მაგრამ ამის გამო გზას არ ავცდენივარ. ნუ ამბობ, რომ უიღბლო ხარ. მერწმუნე, მალე ისევ შეხვდები ადამიანს, ვისთანაც ბედნიერი იქნები“.

გრუზინკა:

„იმედი არასდროს დაკარგო. თქვენი დაშორება ღმერთმა ინება და უიღბლობა არაფერ შუაშია. ნარკომანია განკურნებადია და თუ ამ სენისგან გათავისუფლდები, უფალი აუცილებლად დაგაჯილდოებს. პრობლემები მეც მაქვს, მაგრამ ყველაფერს ვუმკლავდები. P.S. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

ნატალია 16:

„აუ, დედას გეფიცები, შენი ამბავი ძალიან განვიცადე და მინდა, მხარში ამოგიდგე. ამ ცხოვრებაში ბევრს არ უმართლებს, მათ შორის, მეც, ცხოვრება ცალ ფეხზე მკიდია, ჩემი გული მკვდარია და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ 2 საყვარელი ადამიანი დავკარგე“.

პატარა ფერი:

„შეეცადე, „წამალს“ შეეშვა, ცხოვრების აწყობა ერთხელ თუ შეძელი, ე.ი. ამას კიდევ შეძლებ. უფალს მიენდე და ერთ დღეს შენც გაგიმართლეს!“

ლუციფერი:

„გეთანხმები, ცხოვრება მართლაც, სასტიკია, მაგრამ მაინც, ხელი არ ჩაიქნიო. იყავი მებრძოლი და რაღაცას აუცილებლად მიაღწევ. ეცადე, ამ სენს სძლიო. P.S. ლუნა, შენი გაცნობა მინდა. ლიკას ჩემი ნომერი „გამოართვი“.

სვანის ასული:

„სამწუხაროა, ცხოვრების ერთადერთი მანათობელი სხივი ასე მოულოდნელად რომ ჩაგიქრა. შენ გამოსწორებისთვის იბრძოდი და გთხოვ, ამისთვის ისევ იბრძოლე! ეკლესიაში იარე და შენს აწწილ სულს იქ უმკურნალებენ. მერწმუნე, ამის შემდეგ, სამყარო კვლავ ფერადი გახდება“.

პანკუშკა:

„საწყენია, ასეთი რთული გზა რომ გაგივლია, მაგრამ ყველაფერი წინ გაქვს. თავი ხელში აიყვანე და შეეცადე, ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრო. წარმატებები!“

უცნობი:

„ძნელია, როცა არ გიმართლებს. ცხოვრება მართლაც, დაუნდობელი და სასტიკია, მაგრამ მას თავი არ უნდა გაათელინო. ეცადე, გამოსწორდე და საბედოს აუცილებლად შეხვდები. P.S. მაგრამ თუ ნარკომანი იქნები, არავინ გაგეკარება“.

„გზის“ №46-ში დაიბეჭდა ინას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ, გათხოვება გადაწყვიტა და შეყვარებულთან ერთად გაიპარა, მაგრამ მშობლებმა იმ დღესვე შინ დააბრუნეს. ინა ამბობდა, — მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და ჩემს შეყვარებულს შორის არაფერი მომხდარა, მეშინია, ნაცნობებმა ჩემზე არ იჭორაონ, ცუდი რაღაცები არ თქვანო.

„ყველაფერი იქნება, გათხოვებას თუ ვერ ძალავ“

„სახლიდან გავიქეცი, მიტოვებულ ბარში ვათევდი ღამეებს“

თეო:

„ჩემო კარგო, ალბათ, შენი მშობლები კარგად მოიქცნენ, შინ რომ დაგაბრუნეს. 16 წლის ასაკში მეც ასევე მოვიქეცი. მამა გაბრაზდა, — რატომ გაჰყვაო?! და არ მომაკითხა. მაშინ მშობლებს შინ რომ დავებრუნებინე, დღეს ასეთი უბედური არ ვიქნებოდი — ჩემი ქმარი მალევე გარდაიცვალა და დავრჩი მარტო (მას შემდეგ 14 წელი გავიდა)“.

ვიკა:

„ინა, ძვირფასო, ხალხს ყურადღებას ნუ მიაქცევ, რაც უნდათ, ის თქვან. თუ გიყვარს, მასთან ერთად ისევ გაიპარე. მერწმუნე, ადრე თუ გვიან, მშობლები გაგიგებენ. ნურავის მისცემ უფლებას, ბედნიერებაში ხელი შეგიშალოს. იყავით ერთად და სიყვარული ყველაფერს დაგაძლევინებთ! აბა, შენ იცი, არაფერზე იდარდო“.

ეფფაკუნა:

„სანამ გაიპარებოდი, იმაზეც უნდა გეფიქრა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა შენს საქციელს. შენი მშობლების მესმის — ჯერ პატარა ხარ და გათხოვება ნაადრევია. ბავშვო, საკუთარ გრძნობებში კარგად დარწმუნდი და გათხოვებაზე მერე იფიქრე. არ მესმის, სად გეჩქარება? თუ უყვარხარ, სიკვდილამდე დაგელოდება. ღმერთს ებარებოდე“.

ნერტილი:

„ინა, თუ თქვენ შორის არაფერი მომხდარა, რატომ ნერვიულობ? ვერ ვხვდები, თუ არ გიყვარდა, მასთან

ერთად რატომ გაიპარე? რომ გყვარებოდა, მასთან დაშორებას უფრო იდარდებდი, ვიდრე ხალხის ჭორაობას. ცხოვრება გრძელდება!"

აზიელი:

„ფერაძემ თქვა: „კაცობრიობავ, ყველაფერი უნდა გახსოვდეს, რათა ის, რაც მოხდა, არ განმეორდეს, აღარასოდეს!.." ამ სიტყვებს ძალიან ვაფასებ და ამიტომაც, ვერ გეტყვი, ყველაფერი დაივიწყე-მეთქი. უბრალოდ, შეცდომა აღარასდროს გაიმეორო (შეცდომად მივიჩნევ შენი და შენი შეყვარებულის გაპარვას, რადგან არა მგონია, ის გყვარებოდა). როგორ მოიქცე? — ჭკვიანურად და ნორმალურად. წარმატებები!"

რეალისტი ფერია:

„თუ გიყვარს, ბედი კიდევ ერთხელ სცადე და მასთან ერთად გაიპარე — ოღონდ ისე, რომ ვერ მოგაგნონ; ხოლო თუ არ გიყვარს, ეს ამბავი, პირველ რიგში თავადვე უნდა დაივიწყო. ხალხის ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ბედნიერებისთვის იბრძოლე!"

ფინო:

„ბევრი მსგავსი შემთხვევა ვიცი, მაგრამ ცუდი არც ერთ მათგანზე არ მსმენია. თუმცა, სამწუხაროდ, ბოროტი ადამიანებიც არსებობენ და შეიძლება, რომელიმემ შენზე ცუდიც თქვას (აბა, როცა საქმე არ აქვთ, რა ქნან, რაღაცით ხომ უნდა გაირთონ თავი), მაგრამ დამიჯერე, ამის გამო ნერვიულობა ნამდვილად არ ღირს. მე შენზე ცუდ სიტუაციაში ვარ, მაგრამ არ ვაპირებ, ვინმეს რამე ავუხსნა, რადგან დარწმუნებული გახლავართ, მაინც იმას ილაპარაკებენ, რაც თავად სურთ. ასე რომ, ამაზე ფიქრით თავს ნუ მოიკლავ. გკოცნი".

ნატალია 15:

„უხ, ეს ნახე, რა! რაო, პატარავ, გათხოვება მოგინდა? ყველაფერი „დაიკიდე" და შენს „ლოვეს" გაჰყევი".

GRAZY GIRL:

„პატარა, მსგავს სიტუაციაში ბევრი გოგო აღმოჩენილა. მშობლებს აუხსენი, რომ ის ბიჭი გიყვარს და დაქორწინება გსურთ. რატომღაც მგონია, გაგიგებენ. ისე, კარგი იქნება, გათხოვებას თუ არ იჩქარებ".

ერთიგანწო:

„დაიკო, შენი მშობლების რეაქციაზე თავიდანვე უნდა გეფიქრა, მაგრამ ალბათ, საყვარელ ადამიანთან ყოფნა ძალიან გინდოდა და ეს ნაბიჯი ამიტომაც გადადგი. ახლა მთავარია, მშობლებმა გაგიგონ, თორემ ის, რასაც შენზე იტყვიან, უნდა „დაიკიდო". ბედნიერად".

იკუზკები:

„საკუთარ გრძნობებს გაუფრთხილდი და საყვარელ ადამიანს ნუ დაკარგავ! თუ გიყვარს, დაუბრუნდი!"

ლუციფერი:

„ჩემი კარგო, გაქცევით თავს ვერ უშველი. 1 კვირით მეც გავიქეცი — ზღვასთან ახლოს, მიტოვებულ ბარში ვათევდი ღამეებს. როცა ფული გამომელია და შიმშილით ვკვდებოდი, შინ დაბრუნებაზე მაინც არ მიფიქრია. მერე დაქალმა ჩამომაკითხა და მთხოვა, — დავბრუნებულიყავი. ასეც მოვიქეცი. შინ დაბრუნებული, მშობლებს არ ველაპარაკებოდი, მერე კი შევრიგდით, რადგან მერწმუნეთ, მშობლებს ჩვენთვის კარგი უნდათ!"

პეტრუშკა:

„სად გარბოდი, რომ გარბოდი? გათხოვება კარგია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. შეირგე ბავშვობა! თუ იმ ბიჭთან მართლა არაფერი გქონია, ხალხის ჭორაობა „დაიკიდე".

გრუზინკა:

„თუ თქვენ შორის არაფერი მომხდარა, რაღას დარდობ? ხალხს ჭორაობა მოჰბეზრდება და შეგეშვება. ნუ ნერვიულობ, უფალი დაგიფარავს".

პანკუშკა:

„რომ გყვარებოდა, ასე ადვილად არ დათმობდი. შენ ის უფრო გადარდებს, თუ რას იტყვის შენზე ხალხი. ჩემი აზრით, ოჯახის შესაქმნელად, მზად არ ხარ". ■

ჯადოს მოსნა ყველანაირი პროგლემისგან გაგითავისუფლებთ

ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვთ, შიში და უძლურება ეუფლებათ; ასევე, უჩივიან უგუნებობას, უბარაქობას და ა.შ. როგორც ქალბატონი ლია ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ ექვსი ექვსიანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან.

— ეშმაკი ადამიანებს იმონებს და მისი ზეგავლენით, ისინი ჯადოს გაკეთებას იწყებენ. დღეს მოსახლეობის 90%-ს ჯადო აქვს გაკეთებული. მერწმუნეთ, ვისაც მისი არსებობის არ სჯერა, სწორედ მას ებრძვის ეშმაკი.

— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჯადო გვაქვს გაკეთებული?

— ამ დროს ადამიანი უმიზეზოდ ჩხუბობს, უხასიათოდაა, ყველაფერი აღიზიანებს, ოჯახის წევრებს ვერ იტანს, მათ ეჩხუბება და შინიდან გარბის. ბოლო დროს, თითქოს ეშმაკი ყველას ერთად შეუჩნდა, განსაკუთრებით კი — მამაკაცებს. მათ ცხოვრების ხალისი აქვთ დაკარგული, ზოგი სვამს, ზოგი — წამალს იკეთებს, სხვები კი საყვარელს იჩენენ.

ქალბატონ ლიასთან საუბრის შემდეგ, მასთან რჩევის საკითხავად მისულ ადამიანებს გავესაუბრე.

მარგო, *62 წლის:*

— ჩემი ქმარი, რომელიც საკმაოდ კარგ თანამდებობაზე მუშაობს, ამ სიბერეში გადაირია — ქალებში დაიწყო სიარული. ერთხელ, დამირეკა და მითხრა, — არ დამელოდო, დღეს დამაგვიანდებაო. ცოტა ხანში ტელეფონიდან კვნესის ხმა მომესმა (ეტყობა, ტელეფონის გათიშვა ორივეს დაგვავიწყდა). მერე ჩემი ქმრის ხმა გავიგონე, ვიღაცას ისეთი სიტყვებით ამკობდა, ჩემთვის რომ არასდროს უთქვამს... შინ დაბრუნებულს ჩხუბი დავუწყე, მას კი ხმაც არ ამოუღია. მერე დახმარებისთვის ქალბატონ ლიას ვესტუმრე. მან ჩემი ქმარი ჯადოსგან გაათავისუფლა და ამის შემდეგ მეუღლე გამომიტყდა, რომ ვიღაც ახალგაზრდა ქალი გადაეკიდა, მოსვენებას არ აძლევდა და ისიც, მონუსხულივით უარს არაფერზე ეუბნებოდა. ახლა ქალბატონ ლიასთან მადლობის სათქმელად მოვედი.

ნელი:

— ჩემი შვილის — ნინოს საქმრო საბერძნეთში წავიდა. ცოტა ხანში ნინოც მასთან უნდა წასულიყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, რადგან გამუდმებით თავი სტკიოდა, სანოლიდან ვერ დგებოდა. მეზობელმა ქალბატონ ლიასთან მოსვლა მირჩია, ამ ქალბატონმა კი მოსვლისთანავე მითხრა, — ნინოს ბალიში გამეხსნა. ასეც მოვიქეცი და იქ ცელოფანის პარკში გახვეული რაღაცები ვიპოვე. მისი განადგურების შემდეგ, ჩემი შვილი ფეხზე წამოდგა და საქმროსთან გაემგზავრა. როგორც მერე გავიგეთ, ჯადო მეგობარმა გაუკეთა, რათა ნინო საქმროსთან დაეშორებინა...

* მის: დ. გურამიშვილის №48, (მ. „ლრმალელესთან"), II სად, VII სართ. ბ №40, ტელ: 69-60-00; 61-87-24; 8(93) 21-52-33 (ჩაწერა წინასწარ).* R

საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტნისა და „მილანის“ მცველ კახა კალაძის შემდეგ, 18 წლის თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე მეორე ქართველია, ვისაც იტალიის სერია A-ში ოდესმე გოლი გაუტანია. ის სიცილიურ კლუბში მიმდინარე სეზონის დასაწყისში გადავიდა და მხოლოდ 2 მატჩის ჩატარება იკმარა საიმისოდ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში პირად ანგარიშზე ბურთი ჩაეწერა. ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდა ქართველმა ისეთი გრანდის წინააღმდეგ შეხვედრისას გამოიჩინა თავი, როგორიც ტურინის „იუვენტუსია“ და „ბებერ სინიორაზე“ საკუთარ გუნდს გაამარჯვებინა.

ლევან მჭედლიძე: „კუპერმა გუნდს ხელი უკვე დაატყო“

„პალერმოელი“ ქართველისთვის 99 ბედნიერების მომტანია

ლაშა თაბაგარი

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მჭედლიძემ საქართველოს ნაკრების რიგებში კვიპროსელთა წინააღმდეგ კარგად ითამაშა და მატჩის ფრედ დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანა, ხოლო ბულგარეთთან შეხვედრა მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქესთან შეჯახებისას, ტვინის შერყევა მიიღო. საბედნიეროდ, „პალერმოს“ ფორვარდი იოლად გადარჩა და მოედანს მალე დაუბრუნდება. მანამდე მისი თბილისში ყოფნით ვისარგებლე და ვესაუბრე.

— სერია A-ში პირველი ბურთის გატანა თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო?

— იტალიაში გოლის გატანა საერთოდ, ძნელია და „იუვენტუსის“ კარის აღება ჩემთვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი იყო. როგორც იტყვიან, უფრო „გავიხსენი“ და მეტი თავდაჯერება ვიგრძენი. ცხადია, გატანილი ბურთი სასიამოვნოა, მაგრამ უფრო სასიამოვნოა, რომ ამ მატჩში 3 ქულა ავიღეთ.

— „იუვენტუსთან“ გამარჯვების შემდეგ, სიცილიელთა პრეზიდენტმა, მაურიციო ძამპარინიმ აღნიშნა, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ჩამოყალიბების შანსი გაქვთ...

— ცხადია, პრეზიდენტის შექება ძალიან სასიამოვნოა. მით უმეტეს, რომ ძამპარინი იტალიის მასშტაბით ერთ-ერთ სერიოზულ ფიგურად მიიჩნევა. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მთავარია — შრომა, შრომა და კიდევ შრომა, რასაც ნამდვილად, არ ვიშურებ.

— განვლილი პერიოდის განმავლობაში „პალერმოს“ მთავარი მწვრთნელის თაობაზე გარკვეული შთაბეჭდილება უკვე შეგექმნებოდათ...

— ბალარდინი ყოველმხრივ ძლიერი მწვრთნელია. მასში რაიმე სუსტ წერტილს ვერ ვხედავ და ძალიან მომწონს. ჩემი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

— იტალიაში ძამპარინის საკმაოდ სკანდალური რეპუტაცია აქვს და გუნდის მთავარ მწვრთნელსაც ხშირად ცვლის...

— უბრალოდ, ძამპარინის სურს, რომ მისი გუნდი ყოველთვის პირველი იყოს და საამისოდ ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. აქედან გამომდინარე, წარუმატებლობის დროს მწვრთნელს რომ ცვლის, ამაში გასაკვირი არაფერია. „პალერმოში“ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ფეხბურთი ითამაშო. გუნდში „დალაგებული“ ვითარებაა და არავითარი პრობლემა არ არის.

— მიმდინარე სეზონში „პალერმო“ რა მიზანს ისახავს?

— მაქსიმალური მიზანი — ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ცხადია, უარს არც ჩემპიონობაზე ვიტყვით, მაგრამ „პალერმოსთვის“ ამის მიღწევა ძალზე ძნელი იქნება. ნორმალური სტარტი გვქონდა, რადგან 4 თამაში მოვიგეთ და მხოლოდ 2 წავაგეთ.

— გუნდის ლიდერად ვინ მიიჩნევა?

— გამორჩეული ლიდერი არ გვყავს, „პალერმოში“ თანაბარი ძალის ფეხბურთელები არიან თავმოყრილი. თავად ბალარდინიც არ ცდილობს, გუნდის თამაში ერთ ფეხბურთელზე ააწყოს.

— 99-ნომრიანი მაისური რატომ აირჩიეთ?

— ამ ნომრით თამაშმა საქართველოს ნაკრებში წარმატება მომიტანა, როდესაც შარშან შოტლანდიასთან ჩემთვის სადებიუტო მატჩში გოლი გავიტანე.

— პრეზენტაციაზე შვედ თავდამსხმელ ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც შეგადარეს...

— ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, — იბრაჰიმოვიჩს ხშირად გადარებენ და ამაზე რას იტყვიო? ვუპასუხე, — იბრაჰიმოვიჩისგან შორს ვარ-მეთქი.

— ახალ გუნდში როგორ მიგიღეს?

— ასეთ მიღებას ნამდვილად არ ველოდი. საკუთარი თავის იმედი მაქვს და ვფიქრობ, ჩემს შესაძლებლობებს კიდევ გამოვამჟღავნებ.

— ვიდრე კლუბს გამოიცვლიდით, ყოფილმა გუნდმა „ემპოლიმ“ გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ...

— „ემპოლის“ ჩემი გაშვება არ უნდოდა და ამის გამო, საკმაო ხანი უბრალოდ, სახლში ვიჯექი და ველოდი, კლუბები ერთმანეთთან რას მოილაპარაკებდნენ. საბოლოოდ, „ემპოლი“ ჩემს გაშვებას დათანხმდა და 2 წლის შემდეგ „პალერმოს“, კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება.

— საქართველოს ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— კუპერი მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი სპეციალისტია. მან გუნდს თავისი ხელი უკვე მეორე თამაშიდან დაატყო. იმედია, ნაკრებში წარმატებით იმუშავებს, რაშიც ფეხბურთელებმაც უნდა შეუწყოთ ხელი.

— კვიპროსთან და ბულგარეთთან ჩატარებული მატჩების თაობაზე რას იტყვით?

— ორივე შეხვედრაში 3-3 ქულის აღება ძალიან გვსურდა, რაც სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. განსაკუთრებით ბულგარელებთან ნათამაშები ფრეა გულდასაწყვეტი, ვინაიდან მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. ■

„მერსედესი“ ორ არასაგზაო მოდელს გამოუშვებს

„მერსედესის“ პირველი არასაგზაოს — Mercedes-Benz ML 55 — 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ატელიე მოდელის — ML 63 AMG — ბაზაზე, სპორტული არასაგზაო ავტომობილების სპეციალური სერიის გამოშვებას გეგმავს. სპეცსერიის ფარგლებში, ორი ახალი მოდიფიკაცია გამოვა: 10 th Anniversary და AMG Performance Studio. ამასთანავე, ეს ვერსიები მხოლოდ დეტალებით იქნება განსხვავებული. 10 th Anniversary-ს დამატებითი შტამპებით განსხვავებული კაპოტი და წინა და უკანა ბამპერებზე მუქი მეტალის დეტალები დაუყენდება. თავის მხრივ, SMG Performance Studio მხოლოდ მუქი „მეტალიკის“ ფერში შეიღებება. მას ბამპერებზე ქრომირებული დეტალები და ორიგინალური, 21-დუიმიანი საბორბლე დისკები დაუმონტაჟდება.

ორივე მოდელის ინტერიერი ძვირფასი ტყავით გაფორმდება, ხოლო ვერსიას — AMG Performance Studio უკანა პანელზეც გადაეკვრება ტყავი. ტექნიკური მახასიათებლების თვალსაზრისით, ორივე მანქანა იდენტურია. ისინი 510 ცხ.ძ. სიმძლავრის, V8 ატმოსფერული მოტორით აღიჭურვება. ორივე 100 კმ/სთ სიჩქარეს 5 წმ-ში განავითარებს, ხოლო მათი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ იქნება. ■

VW მცირელიტრაჟიან მანქანებს შემოგვთავაზებს

გერმანული ავტოკონცერნი „ფოლკსვაგენი“ ორადგილიანი მცირელიტრაჟიანი ავტომობილის შექმნაზე მუშაობს, რომელიც 100 კმ მანძილს მხოლოდ 2 ლ საწვავით დაფარავს. ეს მანქანაც იმავე პლატფორმაზე აიწყობა, რომელზეც პერსპექტიული საქალაქო მოდელი — VW UP! არის შექმნილი. სიახლე სამცილინდრიანი, ერთლიტრიანი დიზელის მოტორით იქნება აღჭურვილი. კომპანიამ ტესტირება ჩაუტარა ორცილინდრიანი ძრავებით აღჭურვილ მანქანებს და დაადგინა, რომ სამცილინდრიანი აგრეგატი უკეთესად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. მისი სიმძლავრე სავარაუდოდ, 50 ცხ.ძ. იქნება, ხოლო სიახლის დებიუტი 2010 წლისთვისაა დაგეგმილი. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, VW UP!-ის სერიული ვერსია 0,6-ლიტრიანი ბენზინის და დიზელის ძრავებით აღიჭურვებოდა და 100 კმ მანძილის დასაფარად, 2,5 ლ საწვავი დასჭირდებოდა. ■



1. ოვიეა, რაც ქირურგი
2. საფრანგეთის პრეზიდენტი
3. თოვლიანი ქარი
4. დიდი მორბენალი ფრინველი
5. ჩრდილოამერიკული დათვი
6. „ჰიუნდაის“ მოდელი
7. ლუმბაძის მოთხრობა
8. ანტიკური ქალაქი კოლხეთში
9. ლატვიის პარლამენტი
10. ოვიეა, რაც ხანჯალი
11. ქართველი კომპოზიტორი
12. შეკიბრების დასწყების მომენტი
13. ფრანგი ფერმწერი
14. რეფლექტორ ერნესტო გევარას მეტსახელი
15. მცენარეთა სამყარო
16. გულუბრყვილო ადამიანი
17. რისამე დედაზრი
18. იტალიის ფეხბურთის გუნდი
19. გალაკტიონის ლექსი
20. ზეციერ-დეკორატიული განთება
21. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია
22. მოსამართლე მუსლიმანებში
23. სასვენი ნიშანი
24. „ფერარის“ მოდელი
25. ავადმყოფობის გაფთარების პიკი
26. მუხანთა, ვერაგი
27. სახალხო კრება ძველ რუსეთში
28. ქართული ლიტერატურული პრემია
29. იტალიური მაკარონი
30. დამუხტული ნაწილაკი
31. რუსული ავტომობილი
32. ბრაზილიელი მწერალი
33. მუჭი ნაკრისფერი
34. ლოკომოტივების სადგომი
35. სისხლის სამართლის დანაშაული
36. წამლის ფორმა
37. ავსტრალიური ველური ძაღლი
38. ხელოვნური ენა

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ესპერანტო; 2. პანტა; 3. მენდელსონი; 4. რაში; 5. ალასკა; 6. ნაფოტი; 7. ტიტრი; 8. ლანდშაფტი; 9. იგავი; 19. ეტლი; 11. კოლეჯი; 12. სლაი; 13. მეხიკო; 14. კინტო; 15. გორგასალი; 16. ურალი; 17. მიამიტი; 18. ოდა; 19. ნატურა; 20. კორონაცია; 21. ლილო; 22. ალტი; 23. მოსე; 24. არა; 25. მარანი; 26. კულინარი; 27. აკრობატი; 28. კიი; 29. პოლემიკა; 30. ტილო; 31. თონე; 32. ბიბლია; 33. ბოლერო; 34. პო; 35. კელა; 36. ბატი; 37. თოკი; 38. პაპარაცი; 39. მტორმი; 40. წიწილი.

სურათებზე: ემლი ჯადი; ჯორჯ კლუნი.

თქვენი რაციონი მეტისმეტად ცხიმიანი ხომ არ არის?

მოცემულ კითხვებზე თქვენთვის შესაფერის პასუხს თუ შეარჩევთ, შეუძლიათ, საკმაოდ ობიექტურად განსაზღვროთ, ჭარბად ხომ არ არის თქვენს რაციონში ცხიმები.

1. ხართ თუ არა ვეგეტარიანული კვების მომხრე?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1 ქულა; გ) არა — 2 ქულა.

2. იყენებთ თუ არა პროდუქტს შესაწვავად ნაღების კარაქს?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.

3. გიყვართ ბოსტნეული ზეთით?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.

4. ხშირად მიირთმევთ თევზს?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

5. იღებთ დღეში 300 გ-მდე ბრინჯს?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

6. სვამთ ყავას უნაღებოდ?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

7. შემწვარ ქათამს კანიანად მიირთმევთ?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.

8. მიირთმევთ თუ არა ხორცს მწვანილთან და ბოსტნეულთან ერთად?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

9. გიყვართ ჰამბურგერები და ჩიზბურგერები?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0;

10. დილაობით მიირთმევთ თუ არა შვრიას?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

11. მიირთმევთ თუ არა ბოსტნეულს წვნიანს არაყის გარეშე?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

12. მიირთმევთ თუ არა მაწონს?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

13. გიყვართ მწნილი?
ა) დიახ — 2; ბ) ყოველთვის არა — 1; გ) არა — 0.

14. მარწყვის ჭამა უნაღებოდ გირჩევნიათ თუ არა?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

15. გიყვართ აღმოსავლური სამზარეულო?
ა) დიახ —2; ბ) არც ისე — 1; გ) არა — 0.

16. გიყვართ ცხიმიანი ყველი?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.

17. ხშირად მიირთმევთ ხორცის ბულიონს?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.

18. უარს ამბობთ თუ არა ჩიფსებზე?
ა) დიახ — 0; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 2.

19. გიყვართ ტკბილეული?
ა) დიახ — 2; ბ) არც ისე —1; გ) არა — 0.

20. გიყვართ ქონი („სალა“) და შაშხი?
ა) დიახ — 2; ბ) ხანდახან — 1; გ) არა — 0.



ტესტის შედეგები

0-დან 12 ქულამდე: ცხიმების შემცველობა თქვენს რაციონში ბევრი ნამდვილად არ არის. ამასთან, თქვენ უპირატესობას ანიჭებთ სასარგებლო — მცენარეულ ცხიმებს, ამიტომ სპეციალური დიეტა არ გესაჭიროებათ.

13-დან 26 ქულამდე: თქვენ მიერ მოხმარებული საკვებში ცხიმების რაოდენობა უკვე ნორმაზე მეტია. კარგი იქნება, თუ რაციონში გაზრდით თევზეულისა და მწვანილის რაოდენობას, აგრეთვე შეამცირებთ მარილიან პროდუქტებს.

27-დან 40 ქულამდე: სამწუხაროდ, ძალიან დიდი რაოდენობით ცხიმს იღებთ თანაც ძირითადად, მავნე ცხიმების სახით. გირჩევთ, მკვეთრად შეამცირეთ მიღებული ტკბილეულის რაოდენობა, რაციონში მეტი ხილი, ბოსტნეული, ზღვის პროდუქტი და სპეციალური (სამკურნალო) სახის პური შეიტანოთ. ჯარგი იქნება თერაპევტთან კონსულტაცია. გაესაუბრეთ აგრეთვე დიეტოლოგსაც.

ჰოროსკოპი

(20 — 26 ნოემბერი)

ვერძი

ხელშეკრულებების დადება და ახალი საქმეების დაწყება სჯობს, შემდეგისთვის გადადოთ. ერიდეთ შემთხვევით ურთიერთობებს, განსაკუთრებით რომანტიკულ სფეროში.

ხარი

საქმიან პარტნიორებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ. ფინანსური მდგომარეობის შეცვლა შეიძლება სამსახურის შეცვლამ ან ოჯახის წევრებთან უთანხმოებამ გამოიწვიოს. მოერიდეთ თავშეყრის ადგილებს.

ტყუპი

შესაძლოა სასიყვარულო ურთიერთობამ ქორწინებამდე მიგიყვანოთ, მაგრამ ეს ჯერ ნაადრევი იქნება. ეცადეთ, ამ კავშირმა ზიანი არ მოუტანოს თქვენს საქმეებსა და კარიერას. ყურადღება დაუთმეთ დასვენებას.

კირჩხარი

ენერგეტიკა დაგიქვეითდებათ, ამიტომ საყოფაცხოვრებო საქმეების კეთებით შემოიფარგლეთ. გააზრებულად იმოქმედეთ, რათა ახლობლების მხარდაჭერა დაიმსახუროთ.

ლომი

საქმეების მოსაგვარებლად დამატებითი სახსრების მოპოვება რომელიმე ახლობელს დაავალეთ. მოგზაურობისას გადაამოწმეთ საბუთები, რათა პრობლემები არ შეგექმნათ. საყვარელ ადამიანთან კი მომთმენი იყავით, ნუ გააღიზიანებთ.

ქალწული

მიზნების მისაღწევად თავი აარიდეთ ფარულად მოქმედებას. კარგი დროა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საყვარელი ადამიანი და ოჯახის წევრები ყველანაირად შეგიწყობენ ხელს.

სასწორი

შემოსავლის გაზრდის სურვილის შემთხვევაში, ყურადღებით გადაამოწმეთ ყველა მიღებული ინფორმაცია. მოგზაურობები კი სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ. ერიდეთ აზარტულ თამაშებს.

ღრიანცელი

დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ და მარტოობის სურვილს გაგიჩენთ. საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებული კამათი სწრაფად დაასრულეთ და დაისვენეთ.

მშვიდღელისფერი

ხელმძღვანელი ან გავლენიანი პირებისგან გარკვეულ მხარდაჭერას იგრძნობთ. გადაადგილებებისა და სამუშაოს სირთულის გამო, შესაძლოა, პერიოდულად თავი შეუძლოდ იგრძნოთ.

თხიზ რქა

უცხო ადამიანების მიმართ სიფრთხილე გამოიჩინეთ და ეცადეთ, მინიმუმამდე შეამციროთ გაუთვალისწინებელი ხარჯის რაოდენობა. მნიშვნელოვანი საქმეების შესრულებისას ხშირად შეისვენეთ, რათა ორგანიზმი არ გადაღალოთ.

მშვილდოსანი

მშობლები დახმარებას გაგიწევენ, თუმცა მხოლოდ მათ იმედზე ნუ იქნებით. მომავალი ფინანსური წარმატება თქვენს შრომისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. ერიდეთ, გარშემო მყოფებმა არ მოგატყუონ.

თევზები

ემოციებს ძალიან ნუ ჩაუღრმავდებით, რათა ამან დეპრესიაში არ ჩაგაგდოთ. მეგობრების რჩევებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის დეფიციტი ბუნებასთან ურთიერთობით ჩაანაცვლეთ.

ცოდნა

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	6	2	5	8	9	7	4	3
8	3	5	7	4	2	6	9	1
9	4	7	6	1	3	5	8	2
7	8	1	2	9	4	3	5	6
3	5	9	1	6	7	4	2	8
4	2	6	8	3	5	9	1	7
5	9	8	3	2	6	1	7	4
6	1	4	9	7	8	2	3	5
2	7	3	4	5	1	8	6	9

1	8	7	9	6	2	3	4	5
5	4	6	3	7	1	9	2	8
9	2	3	4	8	5	7	1	6
4	9	2	1	5	8	6	3	7
3	6	8	2	9	7	1	5	4
7	5	1	6	3	4	2	8	9
2	7	4	5	1	6	8	9	3
8	3	5	7	2	9	4	6	1
6	1	9	8	4	3	5	7	2

1	7	5	8	2	6	4	3	9
6	4	9	3	5	7	1	2	8
2	3	8	9	4	1	6	7	5
4	2	7	6	9	5	8	1	3
3	5	1	2	8	4	7	9	6
9	8	6	1	7	3	2	5	4
5	1	4	7	3	8	9	6	2
7	9	3	4	6	2	5	8	1
8	6	2	5	1	9	3	4	7

იაპონური სენსაციია

მარტივი

5		8	1				3	6
	7		2			4		
6			5		9			8
	4	9		1	2	6		
1				6				2
		3			7	9	8	
4			3		8			7
		6			1		2	
9	3				5	8		4

საშუალო

3			7			2		
			5			6		
6					1		8	
	5			7	3			1
		3		6		5		
9					5		4	
	9		1					2
		7			9			
		8			4			3

რთული

		8			9			5
			5				3	
6					2		4	
1			4		7		2	
		7			6	8		
	4		3					1
	7		9					6
	9				1			
4			2			1		

ფოტოკოლაჟები





საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

№ 111/42

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალეე — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში